



იგარი ბასილაძე

ქრისტიანული პალაზოგიანის  
საგანი, ამოცაბი,  
პრინციპაბი და მათოლაბი

1999 წლის თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტი



## ცარი გასილა

ქრისტინა ლი პალაგონიძე  
საგანი, ამოცანაზი,  
პრინციპაზი და მათოლაზი

არა უკანასკნელი მიმღებელი არის მარიამ გარებაშვილი  
მარიამ გარებაშვილი და მარიამ გარებაშვილი სახელი

ISBN 978-5-991-1499-8-0

თბილისის უნივერსიტეტი

სამართლებრივი დოკუმენტი მიმღებელი მარიამ გარებაშვილი

15 00 არა რეალური მიმღებელი მარიამ გარებაშვილი

ცარაბე

2010



## ცეკვის განვითარების სამსახური

რედაქტორი: ჯემალ ჯინჯიშვილი, პედაგოგიკურ  
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

## სისტემური განვითარების სამსახური

რეცენზენტი: პონსტანტინე რამიშვილი, განათლების  
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,  
პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი

K276·3  
543

ISBN 978 9941-417-85-6



© აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა  
ქუთაისი, 4600, თამარ მეფის 59. ტელ: 4 00 21  
E-mail: atsuph@atsu.edu.ge

შესავალი .....	
§1. ქართული ენობრივი და კრისტიანული პატარების ცალის საფუძვლები .....	12
§2. ქართული ენობრივი და კრისტიანული პატარების ცალის საფუძვლები, მათობრივობის საფუძვლები, საგანი და ძირითადი ცნებები .....	87
§3. ქართული ენობრივი და კრისტიანული პატარების მიზანი, აღმართვა, პრინციპები, აღმზრდლობითი ზოგადი, მათი სასიათი და ფორმები .....	108
§4. ქართული ენობრივი და კრისტიანული პატარების როლი თანახადროვა სახალხო განათლების სისტემის განვითარების საჭრები .....	135
რეზუმე ქართულ ენაზე .....	141
რეზუმე ინგლისურ ენაზე .....	144
გამოყენებული ლიტერატურა .....	146

## შესავალი

**თვემის აქტუალობა.** ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ საქართველო არა მხოლოდ ორგანიზაციულად და პოლიტიკურად განამტკიცა, არამედ დიდი ბიძგი მისცა ხალხის კულტურისა და აღზრდა-განათლების განვითარების საქმესაც. ქრისტიანობამ საქართველოში ხელი შეუწყო წერა-კითხვის გავრცელებას, ქართულ ენაზე მწერლობის განვითარებასა და აღზრდის სრულიად ახალი სისტემის ჩამოყალიბებას. შედეგების შეფასება კი ყოველთვის ცალმხრივად მიმდინარეობდა ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში. არადა, ქართული პედაგოგიკა, ჩვენი აზრით, ყოველთვის ატარებდა ქრისტიანულ ხასიათს.

ქართული მარლმადიდებლური პედაგოგიკის მიერ დასახული მიზნის მიღწევა, ქრისტიანის აღზრდა, არის წმინდა პედაგოგიური ამოცანა, არამედ "ეკლესიის საქმის გამოვლინება დედამიწაზე". ბავშვის მართლმადიდებლური სულისკვეთებით აღზრდა ყველა საზოგადოებრივი წყობისათვის იყო პრობლემა, მაგრამ, თუ ის განსაკუთრებით ჩვენს ეპოქაში წარმოჩნდა, ამის მიზეზი სკოლის, საერთოდ, სასკოლო სისტემისა და სარწმუნოების, სულიერი ცხოვრების გამიჯვნა გახდა. არადა, ქრისტიანობამ დიდაქტიკით თავის უპირველეს საქმედ გაიხადა შეექმნა მდიდარი ტრადიციები და მოძღვრება.

ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულმა პროცესებმა სრულიად ახალი ვითარება და შესაძლებლობები შექმნა პიროვნების ფორმირებისა და ადამიანის თავისუფლების სულისკვეთებით განვითარებისათვის. ტოტალური რეგიმის მემკვიდრეობის - ანტირელიგიური და ეროვნული აღზრდა-განათლების სისტემის ძირები რეფორმირება ვერ მოხდება ტრადიციული პრიცეპებისა და სულიერი ფასეულობების აღდგნა-დაბრუნების გარეშე. ამას კი დიდი დრო, და რაც მთავარია, დიდი ქრისტიანულ-ზენობრივი გამოცდილება სჭირდება. ვფიქრობთ, რომ პედაგოგიკამ, პედაგოგიურმა მეცნიერებამ საერთოდ, დაუყოვნებლივ უნდა აღმოფხვრას სარწმუნოებიდან გამიჯვნის უმძიმესი ვითარება და მთლიანად ადამიანის განვითარების კანონმდებრებათა შესწავლას საფუძლად დაუდოს პიროვნების სულიერი ფორმირება. ეს ერთნაირად ეხება პედაგოგიკის ყველა დარგს, ყველა კატეგორიას, მეთოდსა და პრინციპებს.

რელიგიის სწავლების საკითხებთან დაკავშირებით საყურადღებო მასალები იბეჭდებოდა, XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისსა

და დასასრულს, ისეთ უურნალებში, როგორებიცაა: „რელიგია”, „სკოლა და ცხოვრება”, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში”, სადაც მეცნიერები და მოწინავე პედაგოგები გამოთქვამდნენ სასკოლო პრაქტიკისათვის მნიშვნელოვან საპროგრამო შეხედულებებს (რ. სირაძე, ზ. კირნაძე, თ. ფანჯიკიძე, ვ. გოლოძე, რ. ბარაძიძე, გ. მურლულია, რ. ჩიქოვანი, ც. მეგრელაძე, ზ. მიმინშვილი და სხვ.).

მიუხედავად ამისა პედაგოგიკის ისტორიაში არ ჩანს საეკლესიო მამების: გრიგოლ ხანძთელის, გიორგი მთავრმინდელის, შოთა რუს-თაველის, ანტონ ვათალიკოსის, სულხან-საბა ორბელიანის, გაიოზ რექტორის, დავით რექტორის, ილია ჭავჭავაძის, გაბრიელ ეპისკოპოსის, სიმონ მჭედლიძის და სხვების დამსახურება ქართული ქრისტიანული პედაგოგიური აზროვნების განვითარების ისტორიაში, რომლის მიზეზი „საბჭოთა პედაგოგიკის” ათესისტური საფუძველი იყო. მიგვაჩინა, რომ თავისი ღვაწლით, საყურადღებო იდეებით, პარეტიკული საქმიანობითა და შრომებით მათ მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიმკვიდრონ ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში. დაინტ სამართლიანობის აღდგენა და საეკლესიო მოღვაწეთა შეხედულებების საფუძვლიანი შესწავლა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ უწმინდეს და უნეტარეს ილია მეორესთან მეცნიერთა და პედაგოგთა შეხედრაზე აშკარად გამოიკვეთა რელიგიურ-ზნეობრივი აღზრდისათვის გადაუდებელი ზრუნვის აუცილებლობა. საშუალო და უმაღლეს სკოლაში ისეთი ქრისტიანულ-ზნეობრივი ღირებულებების მიზანშეწონილობა, რომელიც ხელს შეუწყობს პროვენებაში ადამიანურობის აღზრდას (ნ. ვასაძე, ნ. ამაღლობელი, რ. გორდეზიანი და სხვ.).

რაც შეხება „ქრისტიანული პედაგოგიკის” არსისა და მიზნების გარკვევას, იგი თანამედროვე ქართულ პედაგოგიკაში კვლავ წამოჭრა პროფ. ნ. ვასაძემ, თავის სახელმძღვანელო წიგნში „პედაგოგიკა”. საინტერესო მასალები აქვთ გამოქვეყნებული ც. მეგრელაძესა (თარგმნა ვ. ზენკოვის წიგნი „პედაგოგიკა”) და ზ. მიმინშვილს. შალვა ამინაშვილის რედაქციით მოსკოვში გამოვიდა ჰუმანური პედაგოგიკის ანთოლოგია „ეკლესიის მამები ადამიანის ბუნებისა და სრულყოფის შესახებ”, ხოლო 2007 წელს ავთანდილ ასათიანის ავტორობით გამოიცა წიგნი „ნარკვევები ქრისტიანული პედაგოგიკის ისტორიიდან” მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ დღემდე ქართული მართლმადიდებლური პედაგოგიკის საფუძვლები, მიზნები, ამოცანები, თავისებურებები,

პრინციპები არავის გაუხდია სპეციალური კვლევის საგნად, რამაც განაპირობა ყურადღება გაგვემახვილებინა ყოველივე ზემოაღნიშნულზე ამდენად, მიგვაჩინა, რომ, როგორც ქართული მართლმადიდებლური პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, ისე ქრისტიანული პედაგოგიკა ნაკლებად არის გამოკვლეული და იგი სპეციალური შესწავლის საგანს წარმოადგენს.

კვლევის პროცესში მასალების მოძიების უამს ვხვდებოდით ისეთ ნაშრომებს, როგორებიცაა: იოანე ოქროპირის „ბავშვთა აღზრდის შესახებ”, ბასილ დიდის „რა უნდა ისწავლოს ქრისტიანმა ახალაგზრდამ წარმართული ლიტერატურიდან” და სხვა. ამ მხრივ ფრიად საინტერესოა ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა ნაშრომი, ნააზრევი და პრაქტიკული საქმიანობა. ბევრი რამ ჯერ კიდევ უცნობი და შეუსწავლელია პედაგოგიკური მეცნიერების მიერ. ყოველივე ამან განაპირობა აღნიშნული საკითხით ჩვენი დაინტერესება.

ზოგისათვის ტრადიცია განყენებულ კატეგორიებში მოაზრებული ცხოვრების მოქმედი წესია, სადაც ყველაფერი სტერეოტიპების მიხედვით ხორციელდება, რეალურად კი ეს ცოცხალი შემოქმედებითი ცხოვრებაა, რომლის სულიერ დერძს ჩვენთვის საუკუნეების მანძილზე ეკლესია და ქრისტიანულ-დიდაქტიკური შეხედულებები წარმოადგენდა, ეკლესია, რომელიც აცოცხლებდა და ხელმძღვანელობდა ისეთ უმნიშვნელოვანეს საქმეს, როგორიც მომავალი თაობის ქრისტიანული აღზრდა-განათლებაა. აღნიშნული პრობლემების გადაჭრისათვის მუშაობამ განაპირობა იმ მასალების კვლევა, რომელიც წარმოდგენილია ნაშრომში.

კვლევის ობიექტია ქართველი საეკლესიო მოღვაწეების შრომები, პრაქტიკული ნააზრევი და პედაგოგიკური კუთხით საინტერესო ქადაგებანი. ვაჩვენოთ ქართველი საეკლესიო მოღვაწეების როლი აღზრდა განათლების სისტემის, ქართული მართლმადიდებლური პედაგოგიკის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

კვლევის საგანია წარმოჩენა იმისა, თუ რა როლი აკისრია ქართველი საეკლესიო მოღვაწეების დიდაქტიკურ შეხედულებებს, ქართული ეროვნული სკოლის ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითად მიმართულებათა განხორციელებაში.

კვლევის მიზანია ქართული პედაგოგიკური აზროვნების განვითარებაში საეკლესიო მამების, პედაგოგიკური შეხედულებების როლისა და მნიშვნელობის განხილვა. აგრეთვე მათი დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი შეხედულებების გაცნობისა და გამოყენების

ეფექტიანობა თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის  
განვითარებაში.

### კვლევის ამოცანები:

1. ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანული პედაგოგიკის, როგორც საგნის დეფინიცია.
2. ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანული პედაგოგიკის, როგორც საგნის ცნების განსაზღვრა.
3. ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანული პედაგოგიკის მიზნების დადგენა.
4. ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანული პედაგოგიკის თავისებურებებისა და პრინციპების შესწავლა.
5. ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანული პედაგოგიკის როლის გარკვევა თანამედროვე გლობალიზაციის პროცესში.
6. სწავლების ქრისტიანული შინაარსის, ცოდნის სისტემისა და მოცულობის დადგენა. მისი მნიშვნელობა მოსწავლეთა ზნეობრივ-ეთიკური და ეროვნული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.
7. ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანული პედაგოგიკის აღმზრდელობითი ზომების, ხასიათისა და ფორმების დადგენა.
8. საეკლესიო მამების აღმზრდელობით-დამრიგებლური ქადაგებანი და მათი როლი პიროვნების ჩამოყალიბებაში.
9. ქართული მართლმადიდებლური პედაგოგიკური აზროვნების განვითარების ისტორიაში საეკლესიო მამების სასულიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის შეფასება.
10. მართლმადიდებლური ქრისტიანული პედაგოგიკის როლი და მნიშვნელობა თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში.

თანამედროვე მსოფლიოში უამრავი სარწმუნოება და რელიგიური მოძღვრება არსებობს. სულიერად გამოუცდელი ადამიანი, რომელსაც არ შესწევს უნარი, გაერკვეს მათ ჭეშმარიტებასა თუ სიყალბეში, ცდილობს თავი დაიცვას მათგან. ასეთი თავდაცვა ზოგჯერ იწვევს ათეიზმს, რომელიც ღმერთის არსებობის უარყოფას კი არ წარმოადგენს, არამედ ადამიანის წინაშე დგება არჩევნის პრობლემიდან თავის არიდების მცდელობა. აქედან გამომდინარე, ჩვენ მიერ შემუშავებული იქნა სპეციალური კითხვარი, რომლის მიხედვითაც ქ. ქუთაისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჩავატარეთ გამოვითხვა, მართლაც ეკლესიური არიან თანამედროვე ბაშვები, თუ ფეხის ხმას არიან აყოლილი და მეგობრების მიბაძვით დადიან ტაძარში.

ჩატარებულმა გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ იმ სკოლების ბავშვები, სადაც სწავლობენ „რელიგიასა და კულტურას“, „რელიგიის ისტორიას“ უფრო მორწმუნენი და ეკლესიურნი არიან, ვიდრე დანარჩენი სკოლების მოსწავლეები. აღნიშნული გამოკვლევის ბაზაზე კვლევის პროცესში სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის, და მოწინავე გამოცდილების ანალიზის, საკუთარი მრავალწლიანი საკვლევაძიებო საქმიანობისა და პრაქტიკული დაკვირვების შედეგების გათვალისწინებით ჩამოგვიყალიბდა ჩვენებული სამუშაო პიპოთება: ქრისტიანულ-რელიგიური საქმიანობისადმი მოსწავლეთა ინტერესის განვითარება-ჩამოყალიბება მწყობრად და მიზანმიმართულად უნდა წარვმართოთ რაშიც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საეკლესიო მოღვაწეების პედაგოგიურ შეხედულებებს. მათი შესწავლის გარეშე შეუძლებელია ქართული პედაგოგიური აზროვნების სრულყოფილად წარმოჩენა.

მიგვაჩინია, რომ სათანადო პრაქტიკულ საქმიანობას მოწყვეტილი თეორიული სწავლების პროცესი, თუ მას არ ახლავს ცოდნისა და უნარ-ჩვევების აუცილებლად დაუფლების პიროვნებისეული ნება, ნეგატიურად მოქმედებს ქრისტიანული პედაგოგიკის ინტერესების განვითარება-ჩამოყალიბებაზე. ჩვენი კვლევის პრაქტიკული მიმართულების განსაზღვრისათვის ამოსავალს წარმოადგენს აზრი იმის შესახებ, რომ მოსწავლეთა ქრისტიანული აღზრდა-განათლების რეალური ხორცშესხმა ვერ მოხერხდება, თუ არ დაგაზუსტეთ ქრისტიანული პედაგოგიკის სწავლების შინაარსი. ცოდნის აუცილებელი მინიჭები. ასევე აუცილებელია მოსწავლეთა საეკლესიო აქტივობის გაღვივება, სწავლის პროცესის მამოძრავებელი მოტივაციური მხარეების, ასაკობრივ-ფსიქოლოგიური მახასიათებლის გათვალისწინება და სხვ.

ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანული პედაგოგიკის შესწავლით დაინტერესებულ პირთა საყურადღებოდ განსახილველად გამოგვაჭვს შემდეგი დებულებები და საკვანძო საკითხები:

1. საეკლესიო მოღვაწეების პედაგოგიური შეხედულებების არასათანადოდ შეფასება გამოწვეული იყო საბჭოთა პედაგოგიკის მიერ რელიგიის უარყოფით.
2. ქართული პედაგოგიური აზროვნება საფუძველს იღებს უძველესი დროიდან და განვითარების განსაკუთრებულ საფეხურს გადის. თითოეული ნაბიჯი განაპირობებს ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანული აზროვნების განვითარებას.

3. განათლების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ეჭიროს სასულერო განათლებას.

4. მართლმადიდებლური ქრისტიანული პედაგოგიური იდეალის ფორმირება და აღზრდის მიზნის გაცნობიერება მომდინარეობს მართლმადიდებლური ეკლესიისგან.

5. მოსწავლისა და მასწავლებლის მუშაობისათვის გამოსადეგია ქრისტიანულ პედაგოგიკაში მიღებული, საეკლესიო მოღვაწეთა მიერ მითითებული, მოწინავე პედაგოგიური გამოცდილებით შემუშავებული სწავლების მეთოდები და ხერხები.

6. მსოფლმხედველობა, რომელზეც საუკუნეთა მანძილზე ჩვენი ერის სულიერ-კულტურული და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრება შენდებოდა, ასეთი მოკლე ფორმულით შეიძლება განვსაზღვროთ: ქრისტიანული პატრიოტიზმის აღზრდა.

7. ეკლესია, ოჯახი და სკოლა, როგორც პიროვნების ზნეობრივი სრულყოფილების ფაქტორი.

8. სასკოლო განათლების შინაარსში ქრისტიანულ ნორმათა სწავლება მიზანშეწონილია მორალურ-აღმზრდებლობითი თვალსაზრისით, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს იცხოვროს მართლმადიდებლური ქრისტიანული ზნეობის ნორმებით.

9. ქართული მართლმადიდებლური პედაგოგიკა არის გაეკლესიურების პედაგოგიკა.

10. ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანული პედაგოგიკის იდეოლოგია არსებითად საეკლესიო განათლებისა და საეკლესიო ცენტრების მეშვეობით ვრცელდებოდა.

11. ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანული პედაგოგიკის მიზანი, ამოცანები და პრინციპებია: а) მომზადება ამჟეყნიური ცხოვრებისათვის; б) მომზადება მარადიული ცხოვრებისათვის; გ) ბავშვის აღზრდა თავისუფლებაში; დ) აღზრდა ადამიანის იერარქიული აგებულების პრინციპის გათვალისწინებით; ხოლო აღმზრდებლობით ფორმას წარმოადგენს: ოჯახი, ეკლესია და სკოლა.

12. აუცილებელია სკოლებში კვლავ აღდგეს "რელიგიის ისტორიის" სწავლება.

13. რელიგიისა და მეცნიერების ურთიერთმიმართება, ქრისტიანული აზროვნების მთელი ისტორია და სწავლა-აღზრდის ტრადიცია, რომელიც საქართველოში არსებობდა, სრულ საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ ჩვენში საგანმანათლებლო და აღმზრდებლობითი

საქმიანობის უმთავრესი ამოცანა გახდეს მომავალ თაობაში ცოდნისა და რწმენის საკითხი. ისეთი მომავალი თაობის აღზრდა, რომელშიც ჰარმონიულად იქნება შერწყმული სარწმუნოება და ცოდნა.

**კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს** წარმოადგენს ფილოსოფიის, პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის, რელიგიათმცოდნეობის მეცნიერებათა მონაცემები პიროვნების რაობის, მისი ფორმირების პრობლემათა გადაწყვეტის შესახებ.

**კვლევის მეთოდური საფუძველი** კვლევის მეთოდებად გამოყენებულია:

1. სპეციალური სამეცნიერო-რელიგიური ლიტერატურის ანალიზი, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა გამოკვლევის თეორიული და პრაქტიკული მიმართულება.

2. პედაგოგიურ პროცესზე დაკვირვება და მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების ანალიზი.

3. სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების, მეთოდური რეკომენდაციებისა და სხვა სასწავლო დოკუმენტების შესწავლა.

4. მოსწავლეთა ეკლესიური და რელიგიური საქმიანობის ანალიზი.

**კვლევის შედეგების მეცნიერული სისახლე მდგომარეობს შემდეგში:**

1. ნაშრომში გაანალიზებულია ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანული პედაგოგიკის ძირითადი საფუძვლები და დასკვნები, რომელიც ახალი შუქი იქნება ქართული პედაგოგიური აზროვნების განვითარების ისტორიაში.

2. მეცნიერულად არის შესწავლილი, თუ რა როლი შეასრულა ქრისტიანულმა პედაგოგიკურმა შეხედულებებმა ქართული ეროვნული პედაგოგიკისა და პედაგოგიური აზრის განვითარებისა და ჩამოყალიბების საქმეში.

3. საეკლესიო მოღვაწეების პედაგოგიური შეხედულებები თანამედროვე პირობებში ხელს შეუწყობს სწორი საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავებას.

4. დასაბუთებულია საკოლო განათლების შინაარსში ქრისტიანულ-რელიგიურ ნორმათა სწავლების მიზანშეწონილობა.

5. შემუშავებულია ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანული პედაგოგიკისა და რელიგიის ისტორიის პროგრამა.

ნაშრომის პრაქტიკული ლირებულება მდგომარეობს იმაში, რომ კვლევის შედეგები, შემოქმედებითი მიდგომის პირობებში, გამოადგება თანამედროვე საერო და, განსაკუთრებით, სასულიერო სკოლებს, გიმნაზიებს, სასწავლებლებსა და აკადემიებს, რომელთა ქსელი ამჟამად სწრაფად ფართოვდება;

# §1. ქართული მართლადიდებული რესტორანი ქრისტიანული კაფაგოგიკის ცარიცხული ეკლესიის საფუძვლები

ქართველ ხალხს თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობის შესაბამისი საკმაოდ მაღალი კულტურა ჰქონდა, მაგრამ იგი კარჩაკუტილი და გარესამყაროსაგან მოწყვეტილი როდი იყო, პირიქით, ითვისებდა ყველაფერს საუკეთესოს, რაც მის ახლო, თუ შორეულ მეზობელ ქვეწებში იქმნებოდა. საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით წარმოადგენდა ბუნებრივ ხიდს, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ამიტომ აქ ხდებოდა ორივე მხრიდან მომდინარე ტრადიციების საინტერესო შერწყმა. ეს გარემოება, ჩვენი აზრით, ძალზე თავისებურ იერს აძლევდა ქართულ კულტურას, მთელი თავისი არსებობის მანძილზე.

ჯერ კიდევ ძველი ბერძენი მწერლები აღნიშნავდნენ, რომ ქართველებს უხსოვარი დროიდან ჰქონდათ საკუთარი დამწერლობა. აპოლონიოს როდოსელის თანამედროვე ბერძენების ცნობით, კოლხები იყენებდნენ სამანძილო დაფებს წარწერებით (კვერპები) და ეს დაფები არა აპოლონიოს როდოსელის (ძვ.წ. III საუკუნის მოღვაწე) დროიდელია, არამედ უფრო ადრინდელი, რადგან იგი „წინაპართა მიერ ყოფილა დამზადებული“. სხვა ბერძნული წყაროებიც მოგვითხოვთ, რომ კოლხებს ძველთაგანვე ჰქონდათ დამწერლობა და, ამასთანვე, ოქროს მოპოვების წესი ტყავზე ნაწერ წიგნებში გადმოუციათ. რა თქმა უნდა, ქართველები ამ დამწერლობას გარკვეული ცოდნა-გამოცდილების თაობიდან თაობაზე გადასაცემად იყენებდნენ. ლეონტი მროველის ცნობით ძვ.წ. III საუკუნეში ფარნავაზ მეფემ „განავრცო ენა ქართული და შექმნა მწიგნობრობა ქართული“.

უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ საქართველოში უძველესი დროიდანვე სასკოლო სწავლებაც ყოფილა გავრცელებული, რასაც ადასტურებს კოლხეთში არსებული გიმნაზიონები და დისკოები (სამხედრო სასწავლებლები), რომლებიც უცნობი ბერძენი ავტორის ტიმონაქსის ცნობით, არსებულა კოლხების უძველეს ქალაქ ეაში. ქალაქი ეა ძვ. წ. II-III საუკუნეებისათვის უკვე განადგურებულია. ჩვენ არ ვიცით, კერძოდ, ქ. ეას გიმნაზიონთა დეტალები, ის კი ცხადია, რომ ამ შენობებს თავისი დანიშნულებით და მათი ცალკეული

ნაწილების განლაგებით უდავოდ პქონია მსგავსება ბერძნულ გიმნაზიონებთან". ბერძნულ გიმნაზიონებს კი, როგორც ვიციო, პქონდათ დიდი ეზო სავარჯიშო მოედნით, სხვადასხვა შენობა, საჭიდაო არენა, სტადიონი, რიტორთა და ფილოსოფოსთა საკრებულო კედლის პირას ჩალაგებული მერხებით. ამ გიმნაზიონების ძირითადი მიზანი იყო არა მარტო ფიზიკური და სამხედრო მომზადება, არამედ-გონებრივი განვითარებაც.

აქვე, ქ. ეაში, ტიმონაქსს უნახავს სამხედრო სასწავლებლები-დისკოები.

ბერძნულ წყაროებში დაცული ცნობებით დაწყებითი და საშუალო განათლების გარდა, უკვე ახ.წ. II-IV საუკუნეებიდან კოლხეთში, ქალაქ ფაზისში (დღვევანდველი ფოთი), უმაღლესი ფილოსოფიური განათლების კერაც არსებობდა.

შ.ხიდაშელი - წიგნში „ქართული ფილოსოფიის ისტორია"- წერს: III- V საუკუნეებში, იმ დროს, როდესაც საქართველო საკმაოდ ხანგრძლივ კავშირსა და კულტურულ ურთიერთობაში იმყოფებოდა აღმოსავლეთ რომის იმპერიასთან, განსაკუთრებული ყურადღება იყო მიპყრობილი იმპერიაში სწავლა--განათლების (საშუალო და უმაღლესი) ქსელის გაფართოებისაკენ... IV საუკუნის ბერძნულ მწერლობაში ხდება ხელახალი აღორძინება ფილოსოფიისა, რომელსაც მაშინდელ პირობებში სოფისტიკა ენოდებოდა. თუმცა მან მესამე საუკუნეში ერთგვარი დაქვეითება განიცადა. IV საუკუნეში რიტორიკული სკოლების გაძლიერებასთან ერთად აღმავლობის გზას დაადგა ფილოსოფიის სწავლებაც. მიუხედავად ამ სკოლების წარმართული ხასიათისა, მათში ღებულობდნენ აღზრდასა და განათლებას ქრისტიანობის მომავალი მოღვაწეები.

ბიზანტიელი ორატორი და ფილოსოფოსი თემისტე (317-388 წწ.) იძლევა, უტყუარ ცნობებს ქ. ფაზისში უმაღლესი სკოლის არსებობის შესახებ. ეს საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში შემოიტანა ივ. ჯავახიშვილმა. თემისტეს სიტყვებიდან ჩანს, რომ ელინური სწავლა-განათლებისათვის ნაყოფიერი ნიადაგი აღმოჩენილა კოლხეთში და, თუ მას დავუჯერებთ, ქვეყანა ელინური კულტურისა და „მუზათა სადგურად" უქცევია, ისე რომ იმ დროს კოლხებს ელინთა სადღესასწაულო ყრილობაზედაც კი უსახელებიათ თავი რიტორიკით და მჭერმეტყველებით.

კოლხეთის აკადემიის დაარსების თარიღად ქართველი მეცნიერები

ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნის შუახანებს თვლიან. ეს შეხედულება დასტურდება იმით, რომ თემისტეზე ადრე იქ უსწავლია მის მამას ევგენიოსს, რომლის განსწავლის წლები მესამე-საუკუნის სამოცდაათიანი-ოთხმოციანი წლები უნდა იყოს. ხოლო, რაც შეეხება საკითხს, თუ ვინ დააარსა კოლხეთის აკადემია, ამ კითხვასთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთიანი აზრი არ არსებობს, ასახელებენ პიროვნებებს, მაგრამ მიგვაჩინია, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული აზრი, თითქოს იგი ევგენიოსს უნდა დაეკარსებინა, სინამდვილეს არ შეეფერება, რაც შემდგომი კვლევის საგნად გვესახება. ჩვენ მართებულად მიგვაჩინია დოც. ვ. ქაჯაიას ვარაუდი, რომ „ამ სკოლის დამარსებელი, მისი შემდგომი მეთაურები და მასწავლებლებიც ძირითადად კოლხები უნდა ყოფილიყვნენ, რაც არ გამორიცხავს ბიზანტიიდან სწავლულთა მოწვევის შესაძლებლობასაც“ [159, გვ.17]. აღსანიშნავია, რომ ფაზისის სკოლაში სწავლება მიმდინარეობდა ქართულ და ბერძნულ ენებზე. ისწავლებოდა იგივე მეცნიერებანი (მათემატიკა, ასტრონომია, ლიტერატურა, ფილოსოფია, სამართალი, მუსიკა), რასაც ეუფლებოდნენ იმდროინდელ, ბიზანტიის მსგავს, უმაღლეს ფილოსოფიურ სასწავლებლებში. აკად. შ. ნუცუბიძეს მიაჩინია, რომ კოლხეთის რიტორიკული სკოლა „სასამართლო მოღვაწეებს - დამცველებს და ბრალმდებლებს ამზადებდა“ [123, გვ.92]. ჩვენი აზრით, აღზრდის, სწავლებისა და მომავალი თაობისათვის წინა თაობათა ცოდნა-გამოცდილების სისტემატური, ორგანიზებული გადაცემის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ფილოსოფიური აზროვნებისა და, საერთოდ, საზოგადოების წინსვლა-განვითარებაც.

მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. მას თან მოჰყვა ანტიკური განათლების კერებისა და დაწესებულებების მოქმედებათა შეკვეცა და მათი თანდათანობითი მოსპობა. აღზრდის, განათლების, მწერლობისა და იდეოლოგიის სადავები ქრისტიანულმა ეკლესიამ ხელში მოექცა. აქედან მოყოლებული, საქართველოში ყალიბდება მხოლოდ ქრისტიანული საეკლესიო ცენტრები და სკოლები, რომლებშიც რელიგიურ-დოგმატური აღზრდა-განათლება მიმდინარეობდა.

მიგვაჩინია, რომ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება არა მხოლოდ ორგანიზაციულად და პოლიტიკურად განამტკიცებდა ქვეყანას, არამედ ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა აღზრდისა და

განათლების განვითარების საქმეს. ამიტომ იყო, რომ ეკლესია-მონასტრებთან არსებული სკოლები ქრისტიანული აღზრდა-განათლების უმნიშვნელოვანესი კერები იყო.

როგორც აკად. პ. კეკელიძე აღნიშნავს, ჩვენში ქრისტიანობის გავრცელების პერიოდში გაბატონებული ყოფილა ნიზიბინის სკოლა (ქალაქი ჩრდილოეთ მესოპოტამიაში). შეიძლება დავასკვნათ, რომ სწავლებაც ნიზიბინის სკოლის პროგრამით იქნებოდა მოწყობილი. ამ სკოლისათვის დამახსასიათებელი იყო პრაქტიციზმი და მთავარ საგნად თვლიდა ეგზიგეტიკას (ბიბლიური ტექსტის შესწავლა), პომილეტიკას (ეკლესიაში სავაროდ სწავლა-მოძღვრების წარმოება), ლიტურგიკას (ლვოისმსახურების შესრულება და საეკლესიო გალობა). „მხედველობაში ჰქონდათ პრაქტიკული მიზნები: ქრისტიანული დამოძღვრა და ეკლესიის მსახურთა მომზადება. ამით აიხსნება, რომ ამ სკოლებში სწავლობდნენ როგორც ბავშვები, ისე მოზრდილები და ხანში შესულნი“ [97, გვ. 80-81].

ჩვენ ნინაშე ისმის კითხვა, როგორ იყო დაყენებული იმ დროის საქართველოში მართლმადიდებლური ქრისტიანული სწავლა-აღზრდის საქმე? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უეჭველ საბუთს ვპოულობთ წმ. პეტრე ქართველის სვინაქსარში: „და ვითარ მიეცა (პეტრე) სწავლად, მცირედთა უამთა დაისწავლა ყოველივე წერილი და გულის ხმის ყოფით აღმოიკითხავენ და ინვრთინ დღე და ლამა; რამეთუ თუ ფრთხილი იყო და მახვილი გონებითა მადლი ლვთისა იყო მას ზედა. თორმეტი წლის პეტრე მქევლად წარგზავნილი კონსტანტინოპოლში წარსდგა ნინაშე იმპერატორისა თეოდოსე მცირისა (423წ.). მცირეთა უამთა ისწავა ენა ბერძნული და ყოველივე სწავლება საეკლესიო და საფილოსოფოსო. აგრეთვე, წარვიდა რა იერუსალიმად, საფლავსა უფლისასა მიიწია და მუნ აკვეცილი იქნა მონაზვნად და უწოდეს სახელად პეტრე; ისწავლა ენა და სწავლულება ასურებრივი, ვიდრემდის უკვირდა ყოველთა საფრთხო და სიმახვილე გონებისა მისისა. აჲ, უეჭველი საბუთი, რომ მირიანის დროდანვე ქართულს ენაზედ ისწავლებოდა და იმოძღვრებოდა ქართველი ერი, და რომ მთავარებისკოპოსნი და მღვდელნი კაბადოკიელნი იყვნენ, ქართული ენის კარგად მცოდნენი.

პეტრე თვით თარგმნიდა და სწერდა ქართულს ენაზედ საღმრთო წერილს. ანერინებდა თავის მოწაფეებს მრავლად წირვა-ლოცვის დროს სახმარებელ წიგნებს. გაამრავლა ყრმათა სასწავლო სკოლები,

დააარსა მონასტერნი ანტიოქიაში (საკვირველ მთაზე), საატუმრონი და ქსენონი და ბოლოს მირიანის მიერ გამშვენებულ ჯვრის მონასტერში დაბინავდა" [90, გვ. 27].

როგორც წმ. პეტრე ქართველის სვინაქსარიდან ჩანს, იმდროინდელ საქართველოში, მართლაც, მაღალ დონეზე ყოფილა დაყენებული ქრისტიანული სწავლა-აღზრდის საქმე.

ვფიქრობთ. რომ პედაგოგიური იდეალის განსაზღვრა და აღზრდის მიზნის დასახვა შეუძლებელია თეორიული მსჯელობისა და აზრორივი ვარაუდების გზით. ეს ამოცანა წყდება და განისაზღვრება იმით, რომ ქართველმა ხალხმა მიიღო მართლმადიდებლური სარწმუნოება და განათლება ისე, რომ შეითვისა მაშინდელ მსოფლიოში არსებული განათლების სისტემა.

მართებულად მიგვაჩინა ჩვენს ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული აზრი, რომ ქართულ მონასტრებსა და კულტურულ კერებს საერთო-ქრისტიანული სამყაროსათვის ჰქონდა მნიშვნელობა და არამარტო საქართველოსათვის. გაიდო კულტურული ხიდი საქართველოსა და განათლებულ მსოფლიოს შორის. ბერძნული, ლათინური, სირიული, არაბული, სომხური ენებიდან ქართულად ითარგმნებოდა მოწინავე ქრისტიანული აზრი და ქართულიდან ამავე ენებზე გადადიოდა ქართული მწერლობისა და ლვითისმეტყველების ძეგლები.

ამრიგად, მსოფლიო საქრისტიანო თეორიასა და პრაქტიკას ქართული ეკლესია თავის სინამდვილეს უფარდებდა, აყალიბებდა ეროვნულ მწერლობას, განათლების სისტემას, ქმნიდა საკუთარ წელთაღრიცხვას, კალენდარს, ტიპიკონებს, ჰაგიოგრაფიას.

მართლმადიდებლური ქრისტიანული პედაგოგიური აღზრდის მიზნის გაცნობიერება მომდინარეობდა მართლმადიდებლური ეკლესიის გავლენით. მისი შედეგების შეფასება კი ყოველთვის ერთმნიშვნელოვნად არ ხდებოდა. ამიტომ მიგვაჩინა, რომ ეკლესიამ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ეროვნულ-ზნეოპრივი თვითმყოფადობის განვითარების საქმეში. ივანე ჯავახიშვილის თქმით, „ეს იყო დიდი ეროვნულ-განმანათლებლური პროგრამა, რომლის განხორციელებასაც ქართული ეკლესია და მონასტერი უშელავათოდ ეძლეოდა. მთელი მონასტერი ღამდამობით წყვდიადით იყო ხოლმე მოცული, ღამის მყუდროება და სიჩუმე სუფევდა მონასტერში, მარტოოდენ კანდელის მკრთალი ნათელი აქა-იქ, სენაკებში, მონმობდა, რომ ამ მონასტერში ჩუმი, მაგრამ დაუდალავი, მშობელი

ეკლესიისათვის თავგანწირული გონიერივი მუშაობა მიმდინარეობდა. აქ მოღვაწეობდნენ სამშობლოსადმი ღრმა და გულწრფელი სიყვარულით აღფრთოვანებული საქართველოს მნათობნი, გამორჩებილი მცნიერი ბერები... დიადი იყო ის ნაყოფი, რომელიც აშ გულის სიღრმითგან მომზექვარე გრძნობაშ სამშობლოს შესძინა" [2, გვ. 2].

ქართველთათვის დამახასიათებელი იყო უფლისადმი ერთგულება, სიყვარული და მორჩილება. ქრისტიანობამ განაპირობა კაცობრიობის კულტურის ყველა სფეროს არაჩვეულებრივი აყვავება. მისი ყოვლისმომცველი შემოქმედებით განვითარდა ხელოვნება, მეცნიერება, სოციალური ყოფა, ოჯახი, სკოლა.

ჩვენში შემოვიდა ძველბერძნული თარგმანები, საღვთისმეტყველო და წმინდა წერილის წიგნები. საკითხავი წიგნებიდან ყველაზე მეტად გავრცელდა ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა. გარდა თარგმანებისა, ადგილზეც შექმნა მნიშვნელოვანი ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, რომლის მეშვეობითაც ეკლესია ცდილობდა მიეწოდებინა თავისი მრევლისათვის ქრისტიან წმინდანთა ცხოვრების ნიმუშები. გავრცელდა აპოკრიფული და პატრისტიკული ლიტერატურა.

ადრეფეოდალურ საქართველოში, სასკოლო სწავლა-განათლებასთან ერთად, იქმნებოდა და ვითარდებოდა ამ პრაქტიკის შესაფერისი ქრისტიანული მართლმადიდებლური პედაგოგიკური აზროვნება. ცხადია, იმ ერს, რომელმაც შექმნა კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლა (III-VIს.), პეტრე იბერიელის სირიული სკოლა (Vს.), იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება", „ესტატე მცხეთელის წამება" და მრავალი სხვ., ლიტერატურულ-შემოქმედებით და რელიგიკურ-ფილოსოფიურ აზროვნებასთან ერთად ამ ეპოქის შესაფერისი მართლმადიდებლური პედაგოგიკური შეხედულებებიც უნდა შექმნავებინა. როგორც ირკვევა, ასეთი პედაგოგიკური შეხედულებები შექმნავებულა კიდეც, თუმცა ისინი სხვადასხვა ისტორიულ ძეგლებშია გაძნეული, რის გამოც მათი სრული სახით აღდგენა და სისტემაში მოყვანა დღეისათვის გვიძნელდება.

„წამებაი წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაი" თითქმის არავითარ ცნობას არ გვაწვდის იმ პერიოდის სწავლა-აღზრდის პრაქტიკის შესახებ. ამ ძეგლით დასტურდება, რომ შუშანიკს სწავლა-აღზრდა აქვს მიღებული, თუმცა, როგორი იყო იმ დროს სწავლა-აღზრდის სისტემა, თხზულებაში არ ჩანს. მაგრამ უდავოა, რომ შუშანიკმა ქრისტიანული პედაგოგიკის კარგი სკოლა გაიარა, ალბათ, ბავშვობის



ასაკიდან. ამ მხრივ, არც „ქატატე მცხეთელის წამებაა“ მნიშვნელოვანი. ქრისტიანობა თანდათანობით ვრცელდება მაშინდელ მსრულიობში, მაგრამ, როგორც ყველა ახალ მოძღვრებას, მასაც გაუჩნდა. მრავალი ცრუ მიმდინარეობა. რელიგიურ განხეთქილებასა და დაპირისპირებას ვერც საქართველომ დააღწია თავი. „სარწმუნოებისა მართლისა“ განმტკიცება და „განწმედა სჯულისა“ - აი, რა იყო ასურეთიდან მოსული იოანე ზედაზნელისა და მისი თორმეტი მოწაფის ქრისტიანულ-მართლმადიდებლური პედაგოგიური მოღვაწეობის მიზანი. განუზომელია სირიელ მამათა ღვაწლი საქართველოსა და ქართული მართლმადიდებლური პედაგოგიური აზროვნების წინაშე. კერძოდ, ასურელ მამათა ცხოვრებამ დიდი კვალი დააჩინა ქართულ ეკლესიას. მათმა მოღვაწეობამ განამტკიცა ქართლში ქრისტეს რჯული და ძალა მისცა ხალხს წინ აღდგომოდა სპარსელი მოგვების მცდელობას ჭქშმარიტი სარწმუნოებისაგან გადაეცდინათ ერი.

ასურელ მამათა მოღვაწეობის შედეგი იყო საქართველოში სამონასტრო ცხოვრების დაფუძნება. მათი მადლით დაარსდა რამდენიმე სავანე, საფუძველი ჩაეყარა მარტყოფის, ალავერდის, შიომღვიმის, დავით გარეჯის, სამთავისის, ურბნისის, იყალთოს, ბრეთისა და ულუმბოს მონასტრებს. შემდგომში ზოგი მათგანი დიდ საეკლესიო და მართლმადიდებლურ საგანმანათლებლო ცენტრად იქცა. ამ მონასტრებში იზრდებოდნენ და იღვწოდნენ უდიდესი ქართველი ლვთისმეტყველები და ქრისტიანული პედაგოგიკის მოღვაწე ბერები. მათ მიმართავდა ერი უკიდურესი გაჭირვების უამს და იღებდა სულიერ და გონებრივ საზრდოს.

ამ პერიოდის ერთადერთი ძეგლი, რომელშიც შედარებით საყურადღებო მასალებია დაცული სწავლა-აღზრდის საკითხებზე, არის „სიბრძნე ბალავარისა“. მისი ქართული ვარიანტი, როგორც აკად. შ. ნუცუბიძე ფიქრობს, VII საუკუნის პირველ ნახევარში უნდა იყოს შექმნილი. ამ ძეგლის მიხედვით, ყურადღების ცენტრშია ბავშვი, რომლის ირგვლივ იბრძვის ორგვარი, ერთმანეთის საწინააღმდეგო, მსოფლმხედველობა. ერთის მხრივ, ნაშრომში გამოყვანილია ინდოთ მეფე - აბენესი, ხოლო, მეორეს მხრივ, ქრისტიანული თვალსაზრისის მატარებელი ბალავარი. ეს ორი პირი ცდილობს აღზარდოს ყრმა იოდასაფი თავისი იდეების მიხედვით. ამ მიზნის მისაღწევად ძეგლში გამოყენებულია დაალოგის მეთოდი. თხზულების მიხედვით, სწავლებაში გარკვეული ყურადღება ექცევა მოსწავლის ნიჭიერებას, შეთვისების

უნარს, მექსიერებას, ცოდნისადმი ინტერესისა და მისწრაფების აღძვრას, ცოდნის შინაგან რწმენად გადაქცევას, ისეთი პიროვნების ფორმირებას, რომელსაც შეუძლია თავისი რწმენისა და შეხედულების დაცვა, ამასთან ერთად გამოთქმულია აზრი, რომ მასწავლებელი ბრძენი უნდა იყოს, კარგად ესმოდეს აღზრდის მიზანი. სწავლების შეგნებულ, შემოქმედებით და აქტიურ ხასიათზე მიგვითითებს აგრეთვე ის, რომ მოსწავლემ უნდა გააკეთოს დასკვნა, ე.ი. შეგნებულად, აქტიურად და შემოქმედებითად ჩაებას ცოდნის დაუფლების პროცესში. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ ეს ლიტერატურული ძეგლი ქრისტიანული პედაგოგიკის ზეგავლენით გამოირჩევა სწავლისა და აღზრდის პროცესში.

როდესაც არაპთაგან დაჩინილმა ქვეყანამ ოდნავ მოითქვა სული და კვლავ ჯიუტად შეუდგა გაერთიანებას, ეკლესია იყო ის ორგანიზაცია, რომელმაც საგანგებოდ იზრუნა და მოიპოვა ამ ერთიანობის აუცილებელი პროგრამა: „ქართლად ფრიადი ქვეყანაი ალირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითაი უამი შეინირვის და ლოცვით ყოველი აღესრულების“ (გიორგი მერჩულე); ეს იყო ლოზუნგი, რომლის მიხედვითაც ერთიანი სახელმწიფო ენით, ერთიანი სახელმწიფო ინსტიტუტებით, ერთიანი ქრისტიანული აღზრდის სისტემით უნდა გაერთიანებულყო აღმოსავლეთისა და სამხრეთის ქართული სამეფოები. დამახასიათებელია, რომ ეს ლოზუნგიც შერეული მოსახლეობის ქართული პროვინციის (ტაო) მიმართ ეროვნული პროგრამის შემუშავებაში დაიბადა.

ივანე ჯავახიშვილის თქმით, „ეს იყო დიდი ეროვნულ-განმანათლებლური პროგრამა, რომლის განხორციელებასაც ქართული ეკლესია და მონასტერი უშეღავათოდ იძლეოდა. მთელი მონასტერი ღამდამობით წყვდიადით. იყო ხოლმე მოცული, ღამის მყუდროება და სიჩუმე სუფევდა მონასტერში, მარტომდენ კანდელის მცრთალი ნათელი აქა-იქ სენაკებში, მოწმობდა, რომ ამ მონასტერში ჩუმი, მაგრამ დაუღალავი, მშობელი ეკლესიისათვისს თავგანწირული გონებრივი მუშაობა მიმდინარეობდა. აქ მოღვაწეობდნენ სამშობლოსად მი ღრმა და გულ წრფელი სიყვარულით აღფრთოვანებული საქართველოს მნათობნი, გამოჩენილი მეცნიერი ბერები... დიადი იყო ის ნაყოფი, რომელიც ამ გულის სილრმითგან მომჩერეფარე გრძნობამ სამშობლოს შესძინა“ [2, გვ. 3].

არაპთა ბატონობის ეპოქაში, VIII-IX საუკუნეებში, ქართული მართლმადიდებლურ-ქრისტიანული პედაგოგიკური აზროვნება

დოგმატიკური შეხედულებებით არის გამსჭვალული. ამ პერიოდში დაიწერა ცნობილი ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულებანეთი იმანე საბანისძის „აბო თბილელის წამება“ (VIII), ბასტა ზარზმელის „სერაბიონ ზარზმელის ცხოვრება“, გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და სხვ.

ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული ლიტერატურული ძეგლების-მიხედვით ირკვევა, რომ ქართული მართლმადიდებლური პედაგოგიკაში გავრცელებულია სქოლასტიკა და დოგმატიკა, „რაუმს მოვიდა იგი (აბო)... წმიდათა ეკლესიად და მარადის ისმწენ წმიდათა სახარებათაგან და საკითხსავთა მათ წინამარტყველთა და მოციქულთა და მრავალთაგან შჯულის-მეცნიერთა იკითხავნ და ისწავებნ“ [159, გვ. 43].

ი. საბანისძის შეხედულებით, ყოველგვარი ცოდნა, გარდა ქრისტიანულისა, საეჭვო და დაუსაბუთებელია. ერთადერთი ჭეშმარიტი ცოდნა ეს არის ლმერთის მიერ შთაგონებული ცოდნა, რომელიც არავითარ მტკიცებას არ საჭიროებს. ამიტომ ქართული ქრისტიანული პედაგოგიკის აზრით, აბო თბილელი ხანგრძლივი წვრთნისა და სწავლის გზით კი არ დარწმუნებული ქრისტიანული სარწმუნოების ჭეშმარიტებაში, არამედ მხოლოდ იმით, რომ მან იწამა. ამრიგად, აბოს რწმენა არის მისი ცოდნა. რასაკვირველია, ეს ცოდნა დოგმატიკურ-რელიგიურია, მაგრამ ამასთან, წარმოადგენს დიდაქტიკურ-დამრიგებლურ მასალას, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამსჭვალულია ქრისტიანული რელიგიური ტენდენციით. როგორც შ. ნუცუბიძე ასკვნის, „საგულისხმოა ის გარემოება, რომ იმანე საბანისძე ქრისტიანული სარწმუნოების ჭეშმარიტების საკითხში ბერძნებს ედავება და ფიქრობს, რომ ქართველი ერი არავითარ შემთხვევაში არ დაუთმობს ბერძნებს ქრისტიანული ჭეშმარიტების გაგების, ვითომდა, მეტ ძალას. იმანე საბანისძე ვერ ამჩნევს, რომ ამ სადაო შედარების დროს ის შეუცნობლად მაინც აღიარებს, რომ არსებობს სხვადასხვა დონე ქრისტიანული განათლებისა. მაგალითად, დონე ბერძნული და დონე ქართული“ [125, გვ. 392]. ქართული ქრისტიანული პედაგოგიკის ეს დონე, ი. საბანისძის აზრით, იმდროინდელ საქართველოში ბერძნულს კი არ ჩამოუვარდებოდა, არამედ გაცილებით მაღლა იდგა, მიუხედავად იმისა, რომ ქართული მართლმადიდებლური პედაგოგიკის იდეოლოგია, არსებითად, საეკლესიო განათლებისა და საეკლესიო ცენტრების მეშვეობით ვრცელდებოდა.

სამონასტრო-სამრევლო სკოლები ჩვენში VIII-IX საუკუნეებშიც არსებოდა, რასაც ადასტურებს გ. მერჩულეს თხზულება „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“. გრიგოლ ხანძთელი გვევლინება არა მარტო, როგორც საეკლესიო მოღვაწე, არამედ, როგორც ქართული ქრისტიანული პედაგოგიკის მოძღვარი. საეკლესიო-სამონასტრო და ქრისტიანულ პედაგოგიკაში, როგორც ჩანს, განსაკუთრებული პედაგოგიური როლი ეკისრებოდა მოძღვარს, რომელსაც მოწაფები ჰყავდა და გარდა რელიგიურ-სარწმუნოებრივი დოგმებისა, ამ მოწაფებს რომელიმე ხელობასაც ასწავლიდა. ამასთან, მოძღვარი ვალდებული იყო ესწავლებინა ძმათამოყვარეობის, სიკეთის, სიძვისაგან განშორების, ხორციელ სურვილებზე ამაღლების, მოწყალების, მეგობრისათვის თავის დადების, ცოდვათა ძლევის და სხვათა არსის წვდომა, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევდა ეცხოვრა მართლმადიდებლური ქრისტიანული ზნეობის ნორმებით.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ საანგებო დაკვირვებასა და შესწავლას საჭიროებს ლოცვის თეოლოგიური ფუნქცია. მორწმუნეთათვის ლოცვა ერთადერთი გზაა სულის სამყაროში ჩაღრმავებისა, საკუთარი, შინაგანი ძიებისა და განწმენდისა და მეორე მხრივ, ღვთაებასთან უშუალო კონტაქტისა და ამაღლებისაკენ სწრაფვისა. „საკუთარ თავთან განმარტოებით ყოფნა და განცდათა სამყაროში ძიების გზით პიროვნული ბუნების გახსნა, ყოველივე განცდილისა და ნაფიქრალის გაცნობიერება და გამოაშვარავება ლოცვის საშუალებით ხდება; ლოცვაა აგრეთვე ღმერთთან გასაუბრებისა და საკუთარ მისწრაფებათა თუ ოცნებათა გამხელისა და ვედრების გამოთქმის საშუალება“. [16, გვ. 26]. ამიტომაც იყო, რომ გრიგოლ ხანძთელმა, როდესაც გადაწყვიტა კლესის აგება, უპირველეს ყოვლისა მან ლოცვა აღავლინა ღვთაების წინაშე. სწორედ ამ ლოცვაში გამოიკვეთა მისი მოღვაწეობის მიზანი, პროგრამა და ოცნება. გრიგოლ ხანძთელმა იცის, რომ ეს დიდი ტაძარი უნდა გახდეს თანამემამულეთა სულის დიდი სალბუნი, არაბთაგან შერყეული ზნეობის განწმენდისა და ეკლესიური ცხოვრების დამამკვიდრებელი სისტემიდე. სწორედ მტერთაგან დიდი ძალმომრეობის იმ ეპოქაში განსაკუთრებით საჭირო იყო სულის სიმტკიცის ქადაგება და დამკვიდრება, რომლის სახიერ ნიმუშადაა წარმოდგენილი წმ. გიორგი და დიდი მოწამები.

აღნიშვნის ღირსა, აგრეთვე ის, რომ გიორგი მერჩულე ნაწარმოებში მსჯელობს მონაზონთა ცხოვრების წესის შესახებ. ამავე დროს

საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ გრიგოლმა წინდანინვე სახელმძღვანელო პრიციპებად ჩამოაყალიბა მონაზვნური ცხოვრების არსი და მიზანდასახულობა, მისი გამოვლენის ფორმები და მასშტაბები.

გიორგი მერჩულეს ქრისტიანული მართლმადიდებლური პედაგოგიკის მიხედვით მონაზვნური ცხოვრების საფუძველთა საფუძველი სიყვარული, ქრისტიანული ეთიკის გამოვლენაა და ამიტომაც მთელი ზნეობრივი კოდექსი აქვს ჩამოყალიბებულ:

„მოთმინება სიმდაბლით და სიმშვიდით,

მარხვაი ლოცვითა შეზღუდული,

სარწმუნოებასა თანა მართალსა დამტკიცებული,

სიწმინდე გულისა და ჭეშმარიტებაი ენისა

და უბინოებით კრძალვა სრულიად

ყოველსავე ზედა" [15, გვ. 29].

ისტორიული ცნობებით, იმდროინდელ საეკლესიო მოღვაწეთა განსწავლულობა მარტო რელიგიური ცოდნით და ქრისტიანული პედაგოგიკური აზროვნებით არ ამოიწურება, ისინი ფილოსოფიას არიან დაუფლებულნი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ არსენ საფარელს, საეკლესიო-ქრისტიანულ განათლებასთან ერთად, საკმაო ფილოსოფიური განათლებაც უნდა ჰქონოდა. მან მის მიერ გადამუშავებულ პაგიოგრაფიულ ძეგლებში გარკვეული ფილოსოფიური მანიპულაციები გააკეთა. „გასაგებია, რომ მას საერთო, ზოგად განათლებასთან ერთად, საეკლესიო-დოგმატიკური განათლებაც ჰქონია და, ამდენად, თავისი დროისათვის ფრიად მეცნიერი და განსწავლული კაცი ყოფილა" [125, გვ. 410].

ქართულმა ქრისტიანულმა, მართლმადიდებლურმა პედაგოგიკამ აღნიშნული პერიოდისათვის მიიღო ქრისტიანული იდეალი, განდგომილისათვის - ბერისათვის დამახასიათებელი სახე. წარმოიქმნა ქართული ღვთისმოსაობის განსაკუთრებული ტიპი, რომელმაც მართლმადიდებლურ სარწმუნოებას თავისებურება და ეროვნული ხასიათი მიანიჭა. არა მარტო და არა იმდენად სარწმუნოების ცოდნით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სარწმუნოებისადმი განსაკუთრებული ერთგულებით.

ჩვენი შეხედულებით, სწორედ ცხოვრების ბერ-მონაზვნური იდეალი წარმოადგენდა მართლმადიდებლური პედაგოგიკის აღმზრდელობით იდეალს. წმინდანობისკენ სწრაფვა გამოიხატებოდა მისწრაფებაში

ზეციური, ანგელოზისმაგვარი ცხოვრებისაკენ. ქართველს ესმოდა, რომ ბერად ალკეცა კი არ ბადებს ბერს, არამედ ცხოვრების წესი. ბერად ალკეცა - ანგელოზის ცხოვრების აღიარება, ადამიანებს მიწიერისამყაროს ძალაუფლებისაგან თავისუფლების აღიარებაა, მაგრამ სწორედ ეს არის სულიერი არსებობის სხვა რეალობის მოპოვება. ბერმონაზვნური იდეალი დროისგან დამოკიდებულებაშიც ვლინდება, რადგანაც გადასვლა მიწიერი ყოფიდან ზეციურისაკენ არ განისაზღვრება სხეულის კვდომის მომენტით, არამედ იგი არის მარადიული ცხოვრების, უფლისა და კაცის ერთობლივი ქმნილების შედეგი.

ცხოვრების ბერმონაზვნურ წესს შეიძლება ვუწოდოთ ქართული მართლმადიდებლურ-ქრისტიანული პედაგოგიკის პრაქტიკული იდეალი. ხოლო თეორიულ მიზნად უნდა მივიჩნიოთ წერა-კითხვის დაუფლება, საღვთო წერილისა და წმინდა მამათა ქმნილებების გაცნობა.

მოღვაწეობის ასეთი წესის გარდა ეკლესიას ჰქონდა საკუთარი თვალსაზრისი, რაც კარგად გამოვლინდა გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“. ამ კონცეფციის მიხედვით, ქვეყნიერი მეფე და ყველა კაცი ეკლესიას უნდა დაემორჩილოს. ეკლესია თავის თავზე აღიარებს მხოლოდ ქრისტეს ხელმწიფობას.

ამრიგად, შეიძლება გაფავეთოთ ასეთი დასკვნა, რომ ახალგაზრდობის სწავლა-განათლება ამ პერიოდის საქართველოში ძირითადად რელიგიურ ცენტრებსა და სკოლებში მიმდინარეობდა და მართლმადიდებლური პედაგოგიკური აზროვნება რელიგიურ-დოგმატიკური ხასიათის მატარებელია. ამასთან, იგი ხელს უწყობდა მშობლიური ენისა და მწერლობის შესწავლა-გავრცელებას. გარდა ღვთისმსახურებისა, ასწავლიდწენ გრამატიკას (რაც აუცილებელი იყო სწორი წერისა და საღვთო წიგნების უკეთ გაგებისათვის), უცხოურ ენებს (განსაკუთრებით ბერძნულს, რაც ქართულ აზროვნებას ანტიკურობას უკავშირებდა) და ფილოსოფიას.

ქართველთა ქარისტიანული მართლმადიდებლური-პედაგოგიური შემოქმედებითი ენერგია იმდენად გაიზარდა აյ არსებულ მონასტრებში, რომ ის ჩვენი ქვეყნის საზღვრებში ვერ მოექცა, გადავიდა მცირე აზიის სხვადასხვა პუნქტში და „მერე ათონის ნახევარკუნძულზე, სადაც მან შეემნა ჩვენი მწერლობის ახალი ცენტრი ივერიის მონასტრის სახით“ [2, გვ. 97]. ათონის მონასტერი წარმოადგენდა ქართული ქრისტიანული მართლმადიდებლური პედაგოგიკის საეკლესიო ქიმს,

რომელიც თავდაპირველად იკვებებოდა ტაო-კლარჯეთიდან მომდინარე ტრადიციებით. ათონის ივერიის აკადემია თავიდანვე გაძლიერდა ქართველი ახალგაზრდობის მიმზიდველ ცენტრად. XI-XII საუკუნეებში ჩვენი ახალი თაობა იქ ღებულობდა იმ დროისათვის შესაფერის უმაღლეს განათლებას და იძნდა მეცნიერული კვლევის უნარს. როგორც პროფ. გ. თავზიშვილი აღნიშნავს: „მეტად მნიშვნელოვანი, დიდად სასარგებლო და ნაყოფიერი როლი შეასრულა ათონის აკადემიამ თავისი ორსაუკუნობრივი არსებობის მანილზე. ათონისა უეჭველად ახალი ჰერიოდი შექმნა ქართული კულტურის განვითარებაში თავისი განმახლებელი მუშაობით: 1. ფილოსოფიაში, 2. ენაში, 3. ლიტერატურული პაერობის დარგში; 6. ისტორიაში; 7. პედაგოგიკაში; 8. კალიგრაფიაში და სხვ". [80, გვ. 23].

აღნიშნული პერიოდისათვის მასწავლებელს უნდა ეზრუნა მონაფის რელიგიურ და ზნეობრივ აღზრდაზე. ამ მხრივ მეტად დიდ ინტერესს იწვევს სირიელი ღვთისმეტყველის ეფრემ ასურის (306-373წწ.) ორი თხზულების ქართული თარგმანი, რომელიც შესრულებული იყო ექვთიმე მთაწმინდელის მიერ და, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ კიდეც ქართული მონასტრები. საყურადღებოა, რომ მონაფის ნებისყოფის გამოწრობისა და განმტკიცებისათვეს წინა პლანზე იყო წამოწყული წინააღმდეგობათა გადალახვის უნარისა და ჩვევების შემუშავება. აღიარებული იყო, რომ ნებისყოფა და ხასიათი წინააღმდეგობათა გადალახვის პროცესში ყალიბდებოდა. ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილ თხზულებაში ამის თაობაზე ნათქვამია: „ვითარცა ცეცხლი ბრძმედსა შინა გამოცდის ოქროსა და ვერცხლსა, აგრეთვე განსაცდელითა შინა გამოცდებიან სულნი კაცთანი" [177, გვ. 198].

ექვთიმე ათონელის კალამს ეკუთვნის უამრავი რელიგიურ-ქრისტიანული წიგნის თარგმანები ბერძნულიდან ქართულ ენაზე ბიძლიოლოგიის, აპოკრიფების, ეგზეტიკის, დოგმატიკის, პოლემიკის, ასკეტიკის, მისტიკის, პომილეტიკის, პაგიოგრაფიის, ლიტურგიკის და საეკლესიო სამართლის დარგებში. აქვე, როგორც ჩანს, იგი სასწავლო-მართლმადიდებლურ-პედაგოგიურ მუშაობასაც ეწეოდა. აკად. ივ. ჯავახიშვილი წერს: „ათონის მონასტრის დაარსებას ქართული კულტურის ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ საზღვარგარეთ მყოფ ქართველთა სავანეების კულტურული მნიშვნელობა ფრიად დიდი იყო, იმიტომ

რომ სწავლა-განათლების კერა საშუალო საუკუნეებში ყველაზნ  
სამონასტრო დაწესებულებაში იყო მოთავსებული" [191, გვ. 339].

ექვთიმე ათონელის სალიტერატურო-მთარგმნელობითი ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ-პედაგოგიკური სასწავლო-მეცნიერული ტრადიციები განაგრძო და უფრო მაღალ დონეზე აიყვანა XI საუკუნის გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწემ გიორგი ათონელმა (მთაწმინდები). მისი ბიოგრაფი გიორგი მცირე (ხუცესმონაზონი) აღნიშნავს: „და ესრეთ აღზარდნა ყოველნივე და ლვოვ სულიერითა სწავლითა სრულ ჰყავნა". იქვე იგი აღნიშნავს, რომ გიორგი ათონელი „თვით ასწავლებნ და მოძღვრინ მწყობრთა და მწყობრთა ასეულთა" [137, გვ. 471], ე.ი., ასწავლიდა არა ცალკეულ, არამედ ასეულობით ახალგაზრდას. როგორც ჩანს, ათონის ქართულ აკადემიაში უმაღლეს განათლება მიღებული ახალგაზრდები უბრუნდებოდნენ დედა-სამშობლოს და მოღვაწეობას აგრძელებდნენ აქაურ ეკლესია-ტაძრებსა და სკოლებში. მისი ბიოგრაფიიდან ჩანს, რომ გიორგი ათონელი დიდ ყურადღებას აქცევდა ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ აღზრდას, „ვითარცა ახალი ნერგი შუენიერი ისწავლიდა წერილთა საღმრთოთა". გიორგი ათონელის ბიოგრაფიიდან ისიც ირკვევა, რომ იმდროინდელ საქართველოში, ქრისტიანულ-მართლმადიდებლური პედაგოგიკის მიხედვით ბავშვის ასაკი და მისი სწავლა-აღზრდა სამ საფეხურად იყოფოდა: „ყრმობად, როდესაც მთავარი ყურადღება „ექვთილად აღზრდას" ექცევა; ჭაბუკობად, როდესაც სწავლაა მთავარი ამოცანა და სრულ ასაკად, როდესაც სრულად „განათლდება" [159, გვ. 66].

გიორგი მთაწმინდელი იყო პირველი მოღვაწე არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საქრისტიანო მსოფლიოში, რომელიც საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრებაში ფეოდალიზმს შეებრძოლა. მან თავისი მოღვაწეობითა და გაბედული ქადაგებებით შეძლო უწოდებრიობისა და დემოკრატიული პრინციპების შემოტანა ქართულ ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ პედაგოგიურ აზროვნებაში.

ძველი აღთქმისეული პედაგოგიური პრაქტიკისათვის ნიშანდობლივი იყო სიმეაცრე, მისი მომთხოვნელობა დიდხანს დომინირებდა და დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. მაგალითად, ერთ-ერთი წესი მოითხოვდა: „არ ითამაშო ბავშვთან, თუ არ გსურს, რომ მოზრდილმა არ გაგამწაროს შენ" [76, გვ. 12] გიორგი მთაწმინდელის ეპოქაში ქართული ქრისტიანულ-მართლმადიდებლური პედაგოგიკის

აღზრდის იდეალად სიბრძნე და გონიერებაა მიჩნეული. მოწაფე კი „გულს-მოდგინე, მოსწრაფე და გონება მახვილი“ უნდა იყოს. მოწაფე მოვალეა აღასრულოს მოძღვრის ნება. მოძღვარი ცალდებულია მოსწავლეს „არა სიტყვით ასწავლოს, არამედ საქმით უჩვენოს“. ვფიქრობთ, რომ გიორგი მთაწმინდელის პედაგოგიკური შეხედულებანი განსაკუთრებულ საფეხურს წარმოადგენს სქოლასტიკურ-დოგმატიკურ სასწავლო-პედაგოგიურ პრაქტიკაში.

ქართული ქრისტიანული-მართლმადიდებლური პედაგოგიკის განვითარებასა და მისი საეკლესიო საფუძვლების ჩამოყალიბებაში ათონის აკადემიასთან ერთად დიდი წვლილი შეიტანა პეტრიწონის სემინარიაში. მან ჩვენში შემოიტანა ელინოფილური მიმართულება და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო დოგმატიკური და ფილოსოფიური ხასიათის თხზულებათა დამუშავებას. სემინარიაში, ლვთისმტყველების გარდა, ისწავლებოდა ფილოსოფია, გრამატიკა, ასტრონომია, არითმეტიკა, გეომეტრია, მუსიკა, ე.ი. ის საგნები, რომელთა სწავლება საერთოდ მიღებული იყო მაშინდელ განათლებულ ქვეყნებში. მონასტრის წესდებით, სკოლა (სემინარია) ახალგაზრდებს იღებდა აღსაზრდელად და განსასწავლად. სკოლის ხელმძღვანელად დანიშნული იყო მოხუცი ბერი, აღსავსე სიკეთითა და ცოდნით. ის ასწავლიდა საღვთო წიგნს და მღვდელმსახურებას. მასწავლებელს ეძლეოდა ჯამაგირი, საკვები და სხვა. ბერს მუდმივად მიბარებული უნდა ჰყოლოდა არანაკლებ ექვსი მოსწავლე. სწავლება სემინარიაში ჯგუფური იყო. იქ მოსწავლეები სრული კურსის დასრულებამდე რჩებოდნენ. წარჩინებით კურსდამთავრებული მონასტრის მღვდლებად ინიშნებოდნენ. მეცადინეობა სემინარიაში ქართულად მიღიოდა. წესდებით, ბერძნების შემოსვლა მონასტრში სასტიკად იყრძალებოდა.

ამრიგად, IV-XI საუკუნეებში თანდათანობით ვითარდება ქართული ქრისტიანული-მართლმადიდებლური კულტურა, განათლება და პედაგოგიკური აზროვნება. მიგვაჩინა, რომ საქართველოში სწავლა-აღზრდის განვითარებას მძლავრი ბიძგი მისცა ქრისტიანულმა რელიგიამ. ქართული პედაგოგიკური აზროვნება ქრისტიანობამ მოაქცია მართლმადიდებლურ სააზროვნო სფეროში, რითაც იგი ეზიარა დასავლური და აღმოსავლური კულტურის მიღწევებს. ამასთან განავრცია ქართული ენა და გააღვივა ეროვნული სულისკვეთება.

განსაკუთრებული ძალით გაიშალა მუშაობა გელათის აკადემიაში. დღიდან დაარსებისა, (1106წ.), გელათი შუა საუკუნეების საქართველოს კულტურის უმნიშვნელოვანები ცენტრი, ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ-

ჰედაგოგიური და კულტურულ-საგანმანათლებლო კერა იყო. თავისი  
დროის უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე, სწავლული მეფე დავით  
აღმაშენებელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სწავლა-განათლებას  
ქვეყნის აღორძინებისა და აყვავებისათვის. თვით მას კარგად  
ჰქონდა შესწავლილი საერო და სასულიერო მეცნიერებანი. დავით  
აღმაშენებელმა გელათის აკადემიაში თავი მოუყარა ქართველ  
სწავლულებს, რომ ლებიც წარმატებით ახორციელებდნენ  
განსაკუთრებულ სასწავლო სამეცნიერო მუშაობას. როგორც ცნობილი,  
1114 წელს გელათის აკადემიაში, მეფე დავით აღმაშენებლის მიწვევით,  
პეტრიონის სემინარიიდან ჩამოვიდნენ ქართველი სწავლული,  
მოღვაწენი - ოახან პეტრინი და არსენ ვაჩქესქე შემდეგში იყალთოელად  
წოდებული. მემატიანის ცნობით, დავით IV „მუნვე შემოკრიბნა კაცნი  
პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა, არა  
თვისთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქვეყნისა კიდეთათ,  
სადაცა ესმა ვისთმე სიწმინდე, სიკეთე და სისრულე, სულიერითა და  
ხორციელითა სათნოებითა აღსავსეობა, იძინა და კეთილად გამოიძინა,  
მოიყვანა და დაამკიდრა მას „შინა“ [160, გვ. 330]. გელათში საფუძველი  
ჩაეყარა არა მარტო საკულტო დაწესებულებას, არამედ რელიგიურ-  
საგანმანათლებლო და სასწავლო-სამეცნიერო შემოქმედების დიდ  
ცენტრს. მართლაც გელათი სულ მალე იქცა „მეორედ იერუსალიმად,  
სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღვრად სწავლებისად; სხუად  
ათინად, ფრიად უაღრეს მისსა საღმრთოთა შინა წესთა, დიაკონად  
ყოვლისა საეკლესიოსა შუენიერებისად“ [160, გვ. 300]. მემატიანის ეს  
ცნობა გვაძლევს იმის საფუძველს, რომ გელათი მივიჩნიოთ, როგორც  
საერო-ფილოსოფიური მეცნიერების (ათენი), ისე სასულიერო-  
საეკლესიო (იერუსალიმი) მართლმადიდებლური განათლების  
თვალსაჩინო ცენტრად. ინტერეს-მოკლებული არ არის ის ფაქტიც,  
რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გელათს ათენზე მაღლაც  
აყენებს.

ადრექტისტიანული აზროვნების ისტორიაში ქრისტიანული  
დოგმატების ჩამოყალიბების პერიოდი ლათინურ თეოლოგიურ  
ლიტერატურაში აღმოჩნდილი იყო ტერტულიანეს სიმბოლური  
სიტყვებით - „რა არის საერთო ათენსა და იერუსალიმს შორის?“,  
რაც ცოდნასა და რწმენას უპირისპირებდა ერთმანეთს. იგი მოითხოვდა,  
რომ ლოგიკურ აზროვნებას ადგილი დაეთმო რწმენისათვის, რადგანაც  
სწორედ დიალექტიკური მსჯელობების გზაზე იბადებოდა  
მწვალებლური აზრები და ერეტიკული მიმდინარეობანი. ხოლო ის

ეპოქა, რომელშიც ჩამოყალიბდა და მუშაობა დაიწყო გელათის საღვთის მეტყველო-მართლმა დიდებლურ პედაგოგიური ურ-ლიტერატურულმა სკოლამ, ხასიათდება სრულიად საპირისპირო ტენდენციებით, რაც სიმბოლურად სწორედ ათენისა და იერუსალიმის (ანუ ცოდნისა და რწმენის) ერთიანობაში გამოიხატებოდა. ამ მხრივ, გელათის მართლმადიდებლურ-პედაგოგიური სკოლა ქრისტიანული აზრის ისტორიაში აგრძელებს აღმოსავლური თეოლოგიის ალექსანდრიული სკოლისა და კაბადოკიური პატრისტიკის ხაზს: კლიმენტი ალექსანდრიელისა, რომელმაც ქრისტიანული აზრის ისტორიაში პირველმა ჩამოყალიბა ცნობილი პრინციპი რწმენისა და ცოდნის ჰარმონიისა; კაბადოკიელებისა, რომლებიც ნეოპლატონიზმის ქრისტიანიზაციის გზაზე იდგნენ; არეოპაგეტიკისა, რომელმაც არაჩვეულებრივი სიფაქიზით და ოსტატობით შეასრულა ნეოპლატონიზმისა და ქრისტიანობის სინთეზი. ამდენად, დავითის ისტორიკოსის მიერ ორი ქალაქის - ათენისა და იერუსალიმის, ანტიკური ფილოსოფიისა და ქრისტიანული რწმენის ამ ორი სიმბოლოს დაკავშირებას საფუძვლად უდევს შუა საუკუნეების ქრისტიანული სამყაროსათვის დამახასიათებელი პრინციპი რწმენისა და ცოდნის ერთიანობისა.

გელათის ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ-პედაგოგიური სკოლის შესანიშნავი და მთავარი წარმომადგენელია იოანე პეტრინი. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს იოანე პეტრინის კამენტარები, ანუ „განმარტება“, რომელიც მან დაურთო ათენის პლატონური აკადემიის დიადოხოსის, პროკლეს ტრაქტატის - „ლვთის მეტყველებითი ელემენტები“ - თარგმანს. ცნობილია, რომ ამ განმარტებებში იგი ანტიკური და ბიზანტიური ხანის ფილოსოფოსთა ნააზრევის გადამუშავებასა და ინტერპრეტაციებს იძლევა გვიანდელი ნეოპლატონიზმისა და ქრისტიანული მსოფლმხედველობიდან ამოსვლით. პროკლე მას აინტერესებდა, როგორც ტრიადული დიალექტიკის დიდოსტატი, მისი ონტოლოგიური სტრუქტურის ძირითადი პრინციპი - არსის სამი ძირითადი საფეხურის: ერთი - გონება - სული, როგორც ქრისტიანული სამების ანალოგის და პროკლეს განთქმული სწავლება გება-წარმოება-უკუქცევაზე მას ესაჭირობოდა, როგორც დასტური იმისა, რომ პროკლეს ფილოსოფია არის ლვთის მეტყველების (თეოლოგიის) საფუძვლები და რომ თეოლოგია არის უმაღლესი ფილოსოფია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ლვთაებრივი ჭრის მარიტების, არსის საიდუმლოს მიწვდომა. მოსე გოგიბერიძის

თქმით, „იოანე პეტრიწმა ბერების ხიდზე გაიტანა ეს სახიფათო პრობლემა და დაასაბუთა, რომ ყველაფერი რაც არსებობს, არსებობს სამებისა და ერთარსების სახით: ე.ი. არსება ერთია, ხოლო არსობა მისი არის სამება“ [61, გვ. 191]. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იოანე პეტრიწმი წინ აღუდგა უაზრო ზეპირობასა და გონების დამაჩლუნებელ ზუთხვას და მან მართლმადიდებლურ პედაგოგიკაში შემოიტანა თანმიმდევრულობის პრინციპის სიკეთე. იგი ახალგაზრდობის გონებრივ განათლებასთან ერთად მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა მათ ფიზიკურ გაჯანსაღებას, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას. საეკლესიო ოფიციალურ პედაგოგიურ მოძღვრებას იცავდა ქრისტიანული დოგმატიზმის ისეთი ბუმბერაზი ავტორიტეტის სიტყვებით, როგორიც იყო გრიგოლ ღვთისმეტკველი ნაზიანზელი. იოანე პეტრიწმი თავის შრომებში იძლეოდა სწავლას გარკვეულ ზნეობრივ ღირებულებათა შესახებ. მას მიაჩნდა, რომ ადამიანი ბუნებით არც კეთილია და არც ბოროტი. იგი წერდა: „ხედავ, თუ ვითარ არა არს ბუნებით ბოროტი, ვითარ იგი კეთილობა? რამეთუ რომელი სხვისა მიმართ იყო ცოდვა, სხვისად იქნება სათნოება“ [86, გვ. 214]. კომენტარის ბოლოსიტყვას პეტრიწმი იწყებს ლოცვის სიკეთზე საუბრით და ქრისტესთან პარალელურად საუბრობს ორფეოსზე და მის სულიერ სიკეთზე: „ვინაი ან ამის სულითისა ორლანოსთათა თქუას სიტყუამან, ვითარმედ შეწყობა ორფეოსა წიგნისა, სიკეთენი რაულ რავდენ ვინ გარდასცნეს მოსახვასა, ვითარრაი ზესთა მძლისანი“ [42, გვ. 191]; შემდგომ ამისა პეტრიწმი გადადის ღვთისა და სულის მიერ იქ्�ს ძის დავითის არჩევაზე, მის მიერ დავითის შექმნაზე: „და ამას შორის კაცა და მეფესა შეძრა სამოსთა თვისთა ძალები მისახვად წიგნსა ამას შორის გზასა სულთასა სულთა მამისა მიმართ“, აქვე ნახსენებია „ზენაი სიბრძნე აბრაამისა, ქალდეველთა და ბოლოს „ეკლესისა ჩუენისა მემონდურე“ პაცლე მოციქულზე, რომელიც ქადაგებდა „სიბრძნესა ღვთისასა საიუდმლოდ დაფარულსა მას, რომელი იგი პირველადვე განაჩინა ღმერთმან უწინარეს საუკუნეთა სადიდებლად ჩუენდა, რომელი იგი არავინ მთავართაგან ამის სოფლისათა იცნა“. [42, გვ. 191]. ამრიგად, იოანე პეტრიწმა განავითარა იმ ეპოქის სქოლასტიკურ-დოგმატიკური სწავლების ტრადიციული სისტემა და ქრისტიანულ-მართლმადიდებლური პედაგოგიკის ლირსეულ ნარმობადგენლად იქცა. აქვდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ მისი ეთიკურ-მართლმადიდებლური მოძღვრება დაფუძნებულია იმის რწმენაზე, რომ, ვისაც არა აქვს ცხოველი სარწმუნოება, იმას არც წმინდა ზნეობა ექნება.

გელათის მართლმადიდებლურ-პედაგოგიური სკოლა მნიშვნელოვანი ეტაპია ქართული ფილოსოფიური და პედაგოგიური აზროვნების განვითარების ისტორიაში. გელათის აკადემიის მუშაობაში სწავლების პროცესს ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი ეკავა. ამას ადასტურებს ამ სასწავლებელში შემოლებული მოძღვართმოძღვრის თანამდებობა. აკად. კ. კეკელიძე წერს, რომ „სწავლა-განათლებისა და მწერლობის საქმის წინ წარმატებას უეჭველია ხელს უწყობდა მოძღვართმოძღვრის ინსტიტუტი... მოძღვართ-მოძღვარი სასულიერო პირი იყო. კარის გარიგების წარჩინებულ და დიდხარისხოვან მონაზონთა ოთხეულში მას პირველი ადგილი უკავია“ [97, გვ. 84]. უსაზღვრო პატივისცემა და ყურადღება, რო მე ლიც დამსახურებული ჰქონ და მოძღვართმოძღვარს თავისი თანამდებობის ძალით, იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოში მართლმადიდებლურ სწავლა-განათლებასა და სასკოლო საქმეს დიდად აფასებდნენ. მოძღვართმოძღვრის გარდა, იყო „მოძღვრის“ თანამდებობაც. იგი მოძღვართმოძღვარს ექვემდებარებოდა და პრაქტიკულ პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა. ივანე ჯავახიშვილის შეხედულებით, „მოძღვარი“ არის მეცნიერი ბერი, რომელსაც მოსწავლეები ჰყავდა. ის მოწაფეს სულიერ-სარწმუნოებრივ ხელმძღვანელობასაც უწევდა, მწერლობას, მეცნიერებას და ხელოვნების რომელიმე დარგსაც აუფლებდა.

გელათის ისტორიაში იყო აღმავლობისა და დაქვეითების წლები. დაცემის პერიოდი, განსაკუთრებით შეინიშნება XV საუკუნიდან, რასაც ხელი შეუწიო თურქების მიერ ბიზანტიის დედაქალაქ კონსტანტინოპოლის აღებამ 1453 წელს. სწორედ, ამ ისტორიული მოვლენის შემდეგ საქართველო მოწყდა კულტურულ დასავლეთს, რამაც დიდი გავლენა იქონია მთელ მის მომდევნო ცხოვრებაზე. კერძოდ, XVI საუკუნის 20-იანი წლებიდან გელათის აკადემიის კულტურულ-საგანმანათლებლო შემოქმედებითი ცხოვრება შენელდა, მოძღვართმოძღვრის ინსტიტუტი გაუქმდა, ტაძარი, საეპისკოპოსო კათედრალად იქცა, მოძღვართმოძღვარი ეპისკოპოსმა შეცვალა. აკადემიის შენობამ პირველი მნიშვნელობა დაკარგა, ის ბერთა სატრაპეზოდ გადაკეთდა. მიუხედავად გელათის, როგორც უმაღლესი სასწავლებელის, ძველი მნიშვნელობის დაკარგვისა, მიგვაჩნია, რომ ის მაინც დარჩა ქართული ქრისტიანული-მართლმადიდებლური პედაგოგიკისა და ლიტერატურულ-შემოქმედებითი საქმიანობის ცენტრად, ვინაიდან საქართველოში არსებულ თითქმის ყველა საეპისკოპოსო კათედრასა და ეკლესიასთან არსებობდა საეკლესიო-

სამრევლო სკოლა, რომელიც ქართული ქრისტიანული-მართლმადიდებლური პედაგოგიკის დასაყრდენს წარმოადგენდა, სწორედ ამ პერიოდშია დაწერილი საყურადღებო საისტორიული და საქრისტიანო წყარო „გელათური ქორონიკონი”, „სამართალი კათალიკოსისა”. აფხაზეთის კათოლიკოს ევდემონ ჩხეტიძის დავალებით დამზადდა რამდენიმე სხვა თხზულების ხელნაწერი: იამბიკონი, იოანე დამასკელის წიგნი, ცხოვრება თეოდორესი, ათთა ბერძენთა წამებულთა წიგნი, განგებულებით ღვთისმეტყველება და სხვ.

მე-11 მე-12 საუკუნეებიდან მოყოლებული, ქრისტიანული განათლების ერთ-ერთ კერას ქვემო იმერეთში წარმოადგენდა ხონი, კერძოდ, ხონის წმინდა გიორგის ეკლესია. აქ თავს იყრიდნენ მთარგმნელები, კალიგრაფები, მხატვრები, ოქრომჭედლები, სამკინაძა საქმის ოსტატები, რომლებიც სასულიერო და საერო პრაქტიკაში გამოსაყენებელი წიგნების შედგენაზე, გაფორმებასა და გამრავლებაზე მუშაობდნენ. ხონის წმინდა გიორგის ეკლესიას კარგად ორგანიზებული საეკლესიო სასწავლებელი ჰქონდა. აქ ისწავლებოდა ისეთი დისციპლინები, როგორიცაა: ა) საღვთო წერილი (რაც გულისხმობს: წერა-კითხვას, ღვთისმეტყველებას, გრამატიკას, ლექსთა წყობას და სხვ.); ბ) მათემატიკა; გ) ძირითად საგნად ითვლებოდა აგრეთვე საეკლესიო გალობა; დ) კალიგრაფია. უნდა აღვინიშვნოთ ისიც, რომ სასწავლებელში ისწავლებოდა ასტრონომია. ხონის წმინდა გიორგის ეკლესიასთან არსებულ სასწავლებელთან სპეციალურად აგებული იყო შენობა, რომელსაც სასაპყრო ეწოდებოდა. ამ შენობაში ფიზიკურად დაავადებულებს ათავსებდნენ. საპყარო პატარაობიდანვე წვრთნიდნენ მართლმადიდებლური ქრისტიანული სულის კვეთებით და განსაკუთრებით ასწავლიდნენ წერა-კითხვას. მათგან საუკეთესო კალიგრაფისტები, გადამწერები გამოდიოდნენ. ჩვენი აზრით, ეკლესია, ამ შემთხვევაში ეკონომიკური მოსაზრებითაც სარგებლობდა. ყოველი წიგნის გადაწერა, განსაკუთრებით საეკლესიო, ძალზე ხანგრძლივ და დაუცხრომელ შრომას მოითხოვდა, საამისოდ ყველაზე უფრო სწორედ საპყარო, უმოძრაონი გამოდგებოდნენ. ვფიქრობთ, რომ ასეთი სასაპყრო შენობის აგება დღესაც შესაძლებელია სასულიერო სემინარიებთან და სასწავლებლებთან. რადგან საქართველოს მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ბევრი სოციალურად დაუცველი ბავშვია დარჩენილი ქუჩაში და მათი აღზრდა მართლმადიდებლური ქრისტიანული სულისკვეთებით გადაუდებელ საქმედ მიგვაჩნია. ხონის სასწავლებელში მოღვაწეობდა ცნობილი

კალიგრაფი მიტროფანე გრიგოლაშვილი, რომელმაც პირველმა საქართველოში შეადგინა ქრისტიანული პედაგოგიკისათვის საჭირო და მნიშვნელოვანი, მეთოდური ხასიათის სახელმძღვანელო „სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“ (კითხვა-შეგებით წარმოდგენილი). აღნიშვნულ სახელმძღვანელოში პირველად არის მოცემული ქრისტიანული აღზრდისა და სწავლების გზები, ხერხები და საშუალებები დოგმატიკური თვალსაზრისიდან გამომდინარე.

ქართული ქრისტიანული-მართლმადიდებლური პედაგოგიკის მიერ დასახული მიზნის მიღწევა, ქრისტიანის აღზრდა, არ არის მხოლოდ პედაგოგიური ამოცანა, არამედ არის „ეკლესიის საქმის გამოვლინება დედამიწაზე“. აյ ჩნდება ერთიანობა იდეალისა და მიზნის, ბერმონაზნური და შინაგანი ცხოვრების სულიერებისაკენტრიზებისა. ადამიანის სულის ლვთაებრივი გასხივოსნება წარმოადგენს საიდუმლო გადასვლას თეორიული ქრისტიანობიდან ეკლესიურ, შთაგონებულ მართლმადიდებლურ ცხოვრებაზე, გადასვლას აღზრდიდან სულიერებამდე, სულზე მზრუნველობამდე. შთაგონების მომენტი მხოლოდ ადამიანის ნებაზე არ არის დამოკიდებული, არამედ უფლის ნებას ემორჩილება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ პედაგოგიური ძალისხმევა ზედმეტია, აღზრდის შედეგების პროგნოზირება, პედაგოგიური მეთოდების გამოყენება სულიერი ცხოვრების მიმართ შეუძლებელია, რამეთუ სულიერი ცხოვრება მთლიანად ჩვენზე არ არის დამოკიდებული. პირდაპირი მიზეზობრივი კავშირის არარსებობა პედაგოგიური ზემოქმედებისა და აღმზრდელობითი საქმიანობის შედეგს შორის აღამაღლებს პედაგოგიკას უანგარო მსახურების დონეზე.

დიდმიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართული ეკლესიის ცხოვრებაში რუის-ურბნისის ცნობილი საეკლესიო კრება. ეს იყო დიდი გამარჯვება იმ პროგრესული ძალებისა, რომლებიც აღმავალი ქართული ფეოდალური საზოგადოების წიაღში არსებობდნენ და მისი კულტურისა და განათლების წინსვლასა და პროგრესულობას ემსახურებოდნენ. „ქართული ეკლესიის დემოკრატიზაცია იმის წინაპირობა იყო, რომ ქართველი სამღვდელოება არ ყოფილიყო უკიდურესად რეაქციული ეპოქის მიერ მოტანილი ახალი აზროვნების მიმართ“ (197, გვ. 316). საქართველოს გაერთიანებამდე საეკლესიო საქმეებში არა თუ რომელიმე ვაზირი, თვით მეფეც კი ვერ ჩაერეოდა, რადგან იმ დროს ქართული ეკლესია დამოუკიდებელ ძალას წარმოადგენდა და სასულიერო ხელისუფლება გაცილებით უფრო

დიდი გავლენით სარგებლობდა სახელმწიფოში, ვიდრე საერო. საერო ხელისუფლებამ მხოლოდ დავით აღმაშენებლის დროს მოახერხა სასულიერო მამათა ძალა-უფლების ნაწილობრივი შეზღუდვა, რის შედეგადაც მეფეს საეკლესიო საქმეებში ჩარევის უფლება შეიცა. მაგრამ ჩარევა ხდებოდა არა ისე, ვისაც როგორ მოესურვებოდა, არამედ მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელის მეშვეობითა და უშუალო მონაწილეობით.

როგორც ვხედავთ, შუა საუკუნეების ქართულ ეკლესიაში, ისევე როგორც ევროპის სხვა ქვეყნების ეკლესიებში, საჭირო შინაბრძოლები იყო გაჩაღებული. ამ ბრძოლებში მეფის მოწინააღმდეგე საერო პირთა გვერდით ის ბერ-მონაზენებიც არიან, რომლებიც დაუპირისპირდნენ თავისივე ეკლესიის მსახურთ, მათ ვინც შექმნეს... მეფის უფლების ღმრთისმიერობის თეორია... როგორი პოზიცია უნდა სჭეროდა ასეთ დროს ისეთ ადამიანს, როგორიც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი იყო? მიგვაჩინია, რომ, მიუხედავად იმ წინააღმდეგობებისა, რომელიც „ვეფხისტყაოსანმა“ განიცადა ეკლესიის მესვეურებისაგან, მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული ქრისტიანული პედაგოგიკის განვითარებაში. მკვლევარი ო. ლოლაშვილი ამ თვალსაზრისის ძირითად არსს შემდეგნაირად გადმოგვცემს: „რუსთაველის ნააზრევი კლასიკური ხანის ქართული ქრისტიანული ფილოსოფიური თეოლოგიური აზროვნების ნაყოფია; ის არის ქრისტიანი და მისი მსოფლმხედველობის საწყისებიც წმინდა ეროვნულია“ [104, გვ. 57].

მაგრამ როგორ და რანაირად გახდა შესაძლებელი შოთა რუსთაველის ახალი, ჰუმანისტური იდეების შეთავსება შუა საუკუნეების ქრისტიანობის მოძღვრებასთან? ქრისტიანობამ თავის განვითარებაში დაკარგა ადრინდელი იერარქიული ხასიათი და ხელისუფლების სამსახურში ჩადგა, მაგრამ მის შიგნით არასოდეს შეწყვეტილა ბრძოლა სხვადასხვა მიმართულებათა შორის, რაც დაპირისპირებულ მსარეთათვის მუდმივი წინააღმდეგობის გამოხატულება იყო. „ამ ბრძოლაში ოპოზიციური ელემენტები ძალიან ხშირად იყენებდნენ ქრისტიანობის ადრინდელ დემოკრატიულ პრინციპებს, რომლებმაც კვალი ბიბლიაშიც დატოვეს. მაშასადამე ეკლესიის რეაქციულ-კლერიკალური მიმართულების წინააღმდეგ ბრძოლისა და ახალი ჰუმანისტური პრინციპების აღმოცენება-დამკვიდრებისათვის სრულიადაც არ იყო აუცილებელი საერთოდ ქრისტიანობის უარყოფა, ამისათვის საკმარისი იყო თვით ქრისტიანობის შიგნით არსებული, უმთავრესად

ადრინდელი პროგრესულ-დემოკრატიული პრინციპებისა და აგრეთვე შემდგომი დროის მოწინავე ქრისტიან ფილოსოფოსთა შეხედულებების გამოცოცხლება და მათი შემდგომი განვითარება. ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ გენიალური რუსთაველი სწორედ ამ მიმართულებით მიღიოდა" [134, გვ.108-109]. აქვე გვინდა გავიხსენოთ აკად. კ. კეკელიძის შემდეგი საგულისხმო სიტყვები: „როდესაც ჩვენ რუსთაველის ქრისტიანობის შესახებ ვლაპარაკობთ, შემდეგი გარემოება უნდა გვახსოვდეს, რუსთაველი ემყარება ქრისტიანიზმის პირველწყაროს, ბიბლიას, „საღმრთო წერილს", ამ მხრივ, ის წარმომადგენელია ე.წ. „ბიბლიური თეოლოგიისა". მისთვის უცხოა დოგმატურ-ეკლესიური ქრისტიანობა, რომელიც აღმოცენდა მსოფლიო კრებათა და შემდეგი დროის სქოლასტიკურ-მისტიკურ გონებრივ აკრობატიკაზე. მისთვის უცხოა მთელი ის ბალასტიკ, რომელიც ქრისტიანობას შეეზარდა შემდეგ საუკუნეთა განმავლობაში და რომელთა წინააღმდეგ დასავლეთ ევროპაში გაძედული ხმა პირველად რეფორმაციის წინამორბედებმა XV საუკუნეში ამოიღეს. ამიტომაა ის მოწინავე და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი რელიგიურ სფეროშიაც კი. აქ უნდა ვეძიოთ მიზეზი იმისა, რომ, თუ მას მომდევნო საუკუნეებში გარკვეული წრები რელიგიურ ნიადაგზედაც სდევნიდნენ, სდევნიდნენ არა იმიტომ, რომ ის საზოგადოდ ქრისტიანი არ იყო, არამედ იმიტომ, რომ ის არ იყო მიმდევარი და მოტრფიალე დოგმატური ქრისტიანობისა" [97, გვ. 147].

უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსთაველს ბრალად ედებოდა:

1. მრუშობისა და სიძვის აპოლოგია;
  2. ლექსისა და შაირის დოგმების დარღვევა;
  3. უღმერთობა;
  4. და კიდევ ერთი არანაკლები მძიმე ბრალდება - ნაცვლად იმისა, რომ ნაწარმოები ყოფილიყო ქებათა-ქება თამარისა და დავითისა, არს უცხო ამბავი, რომელ შიც თამარი და დავითი არათუ ხოტბაშესხმული (ვგულისხმობთ თვით პოემას), არამედ ნახსენებიც კი არ არიან. სწორედ ამ ოთხმა ბრალდებამ, როგორც ჩანს, განაპირობა ის, რომ პოემა აკრძალული და დევნილი იყო სამღვდელოებისაგან.
- ვფიქრობთ, რომ „ვეფხისტყაოსანი" არის იგავი სოფლის შექმნის, ადამიანის ცოდვით დაცემისა და კვლავ აღდგომის შესახებ. პოემაში უხვად გვხვდება მხატვრულად გააზრებული ბიბლიური ციტატები. საინტერესო ქრისტიანული ახსნა პოემისა მოგვცა ზვიად გამსახურდიამ.

პოემის შესავალი იწყება ღვთაებისადმი მიმართვით: „რომელმან

შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა". რელიგიური წარმოდგენით, ადამიანის უმთავრესი მოწოდება ამქვეყნად არის ის, რომ მუდმივად ესწრაფვოდეს ღვთაების მიმსგავსებას. სწორედ ამგვარი სწრაფვაა პიროვნების სრულქმნილების საფუძველი. ქრისტიანული მოძღვრება ასე ქადაგებს: „იყვენით თქუენ სრულ, ვითარცა მამა თქუენი ზეცათა სრულ არს". (მათე, 5, 48). როგორც ზ. გამსახურდია აღნიშნავს: „პროლოგში მოცემულია რუსთაველისუული გაგება ღვთისმეტყველებისა და მხატვრული ლიტერატურის ურთიერთმიმართების შესახებ:

„შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი, საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი, კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი; გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად ვარგი".

რუსთაველისათვის შაირობა, პოეზია, საღვთო ინტერპრეტაციის ობიექტია. „გასაგონი" ნიშნავს შესამეცნებელს. ვისი გასაგონია შაირობა? უნინარეს ყოვლისა, ესენი არიან სასულიერო პირი, ღვთისმეტყველნი. „კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი „ვარგი", „აქაცა" ესე იგი საერო საზოგადოებაში შაირობა რა თვალსაზრისით უნდა იყოს „მარგი"? „საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი" შაირობა, უნინარეს ყოვლისა, რელიგიური სულის ცხოვნების ხსნის თვალსაზრისით; ჭეშმარიტი საღმრთო პოეზია იმდენადვეა „მარგი" სულისათვის, როგორც ღვთისმეტყველება, ჰაგიოგრაფია ან ჰიმნოგრაფია; საერო პოეზის, ლიტერატურის დანიშნულების ამგვარი გაგება საყოველთაოდ ეკლესის მამათა თხზულებებში (ბასილი დიდი და ანტონ კათალიკოსი)" [44, გვ. 36-38].

მიგვაჩნია, რომ „ვეფხისტყაოსანი" მხატვრული პირობითობის ენაზე ასახავს ღვთაებრივი სიბრძნის ძირითად იდეებს ქართული საღვთისმეტყველო აზროვნებისათვის დამახასიათებელი ოდნავ გადახრილი არატრადიციული ფორმით. მაგრამ რუსთაველის მიზანია კაცობრიობის სულიერი განვითარების სხვადასხვა გზების შეჯამება ქრისტიანული მოძღვრების საფუძველზე. ქრისტიანული სწავლების მიხედვით, კაცობრიობისათვის ღმერთი დაფარულია მას შემდეგ, რაც ცოდვით დაცემის შედევგად ადამიანმა დაკარგა სამოთხე, ღვთის ჭვრეტის უნარი. ამიტომ ღვთის არსი მიუწვდომელია, მისი ძიება მრავალ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. „ადამიანისათვის „ვეფხისტყაოსანშიც" თავად ღვთის არსება გამხდარა საძებნელი, სანატრელია მისი კვლავ ხილვა, „აზლად ჩენა". შოთა რუსთაველის ქრისტიანული სწავლების მიხედვით ამ ქვეყნად არსი მხოლოდ სიკეთეს

აქვს, რადგან ის იბადება მარადიული ღვთისაგან. ის არის თავად ღვთაება. ბოროტება ღმერთს არ შეუქმნია „და ბოროტსა არ დაბადებს”, ამიტომ მას არსი არა აქვს. სიკეთე მარადიულია, ხოლო ბოროტება დროში შეზღუდულია. სიკეთე ყოველთვის დაამარცხებს მცირე ხნით აღზევებულ ბოროტებას - ეს გარდაუგალია. ყოველივე, რაც კი ხდება, უფლის ნებით ხდება. ამდენად, შოთა რუსთაველის ქრისტიანული პედაგოგიკის არსი ასეთია: უკიდურესი განდგომა, სოფლის მოძულება, თვით იმ უზენაეს მიზანსაც აშორებს ადამიანს, რომლისკენაც იგი მიიღოს (ე.ი. ღმერთს). უზენაეს ღვთაებასთან ზიარება შესაძლებელია არა ამქვეყნიური ცხოვრების უარყოფით, არამედ მისი გაღვთიურებით ფილოსოფოსთა იდეების პრაქტიკული ასლრულებით.

თამარის ეპოქის შემდეგ, მონალოლთა ბატონობის ეპოქაში არ შექმნილა ისეთი პედაგოგიური ხასიათის მხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც გააგრძელებდნენ ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანული პედაგოგიკის მიერ დასახული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას. მიუხედავად, ამისა ქართული ეკლესია - მონასტრები, ქართველი სამღვდელოება იყო ის კარიბჭე, რომელიც ცდილობდა უზარმაზარი ენთუზიაზმით შეესრულებინა ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანული პედაგოგიკის მიერ დასახული მისია.

ზარისა და კვნესის ხმა ისევ გადაწვნია ერთმანეთს, მაგრამ იმედიც არსებობს ერის გადარჩენისა, ზნეობრივი სრულყოფისა. მღვდელ თევდორეს გმირობა და თავგანწირვა მე- 17 საუკუნის დასაწყისში იყო პასუხი იმისა, თუ "ვინ უნდა განამტკიცოს სული ჩვენი, ვინ გვიჩინამძღვროს?!" თევდორე იყო ის მღვდელი გლოვის სანაცვლოდ ქორწინებას რომ აღასრულებს. " ორივე მოვალეობაა, აუცილებლად აღასასრულებელი - გლოვაც და ქორწილიც. ორივეს თავის რიგი აქვს მოწესრიგებულ სახელმწიფოში, მაგრამ როდესაც ქვეყანა არეულა, ნუთისოფლის ტრაგიზმი ძალაუნებურად იწვევს მათ ერთგვარ დაპირისპირებას და არჩევანის წინაშე აყენებს სულიერ მოძღვარსაც. და თევდორეს ასე გაურიგებია, რომ დრო არ ყოფნის ქვეყანას გლოვისათვის, გადაუდგმელად უნდა ირწეოდეს აკვნები და ვაჟკაცები ამოდიოდნენ იმ აკვნებიდან, მიწის ერთი გოჯიც რომ აღარავის წარატაცებინონ.“(209, გვ.139 -140).

ჩვენი აზრით, თევდორეს ქრისტიანული პედაგოგიკის არსი მდგომარეობს, იმაში რომ იგი არის ნიმუში თვითშენირვისა, ეროვნული სულის სიძლიერისა, როგორც იესო ქრისტეს სულის ანასხლეტმა და

მის კვალზე მაგალმა უნდა გადაარჩინოს ერი ფიზიკური და ზნეობრივი თვალსაზრისით, სამშობლო კი არ უნდა შევიწიროთ, არამედ მას უნდა შევენიროთ. "და ტოვებს სახელსა და მაგალითს მიწისათვის თავგანწირვისა, ტოვებს დიდ რწმენას, მარადიულს, უძლეველსა და შეულახველს. ამოიკეტება მისი კარი, არავინ დარჩება, ველაც მის გვარს მოიხსენიებს ვინმე, მაგრამ ტაძარში ლოცულობენ და აღავლენენ სახელს – თედორე!.."(209, გვ.142 ).

სულიერი ცხოვრების გალვიძება, სულის ამაღლება და მისთვის პირობების შექმნა წარმოადგენს პედაგოგიური მოღვაწეობის მიზანს. სწორედ ამ მიზნის განხორციელებას ემსახურება XVII- XVIII საუკუნის ქართველი მწერლისა და საეკლესიო მოღვაწის სულხან-საბაორბელიანის მართლმადიდებლური პედაგოგიკის ეთიკურ-ზნეობრივი ნორმები. მან, ჯერ კიდევ, ბერად შედგომამდე დაწერა პედაგოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი თხზულება „სიბრძნე სიცრუისა“. „სიბრძნე სიცრუისა“ არის კლასიკური ფორმის სიუკუტიანი ნაწარმოები, რომელშიც ასახულია უფლისწულის აღზრდის პროცესი. სულხან საბაო მოითხოვს, რომ აღსაზრდელმა რეალისტურად შეიცნოს ცხოვრება, ისწავლოს ის, რაც ცხოვრების სინამდვილეს ახასიათებს. ამ ნაწარმოებით მან გარკვეული წვლილი შეიტანა სწავლა-აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში. ეს ნაწარმოები მან სპეციალურად შექმნა, როგორც „ყრმათათვის ამაღლ საკითხავი და მრავალგან სასარგებლოდ გამოსადეგი წიგნი“. მისივე სიტყვებით, ეს წიგნი ბავშვთათვის შესათვისებელი ცოდნის წყარო იქნებოდა.

XVIII საუკუნეში სკოლა უმეტესად ეკლესია-მონასტრების კედლებში, მღვდლის, დიაკვნის ან სხვა ვინმე „წიგნის მცოდნის“ ოჯახში იყო მოთავსებული. ანბანის ამოსალებ და საკითხავ წიგნად იხმარებოდა „დავითნი“. ეს წიგნი ძირითადად საეკლესიო ხასიათს ატარებდა. „სიბრძნე სიცრუისა“ არის ის ნაწარმოები, რომელშიც მოცემულია პედაგოგიურ შეხედულებათა სისტემა და ემყარება, როგორც აღორძინების ხანაში შემუშავებულ ძველ ქართულ ტრადიციებს, ისე სწავლა-აღზრდის მოწინავე ეკროპულ იდეებს.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, უნდა ითქვას, რომ თვით „სიბრძნე სიცრუისას“ შეგონებით – პედაგოგიური ხასიათი საუცხოოდ ეხამება მასში გადმოცემული მასალის შინაარსსაც იმ მხრივ, რომ ზნეობრივი დარიგების გარდა, მოცემულია უამრავი ცოცხალი მასალა ბავშვის გონებრივი ძალების განვითარების თვალსაზრისით. ეს წიგნი ზნეობის

სავალდებულო სასწავლო- სახელმძღვანელო იყო ქველ ქართულ ოჯახში თვით XIX საუკუნის | ნახევრამდე. „ვეფხისტყაოსანთან“ და „დავითიანთან“ ერთად საბას ენციკლოპედიური წიგნის ცოდნა აუცილებლად ითვლებოდა.

მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კრებულს „სწავლანი და მოძღვრებანი“, რომელიც 46 ქადაგებისაგან შედგება. „სწავლანი“ დიდაქტიკური ხასიათის ნაწარმოებია. ავტორს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების გამოსწორებისათვის აუცილებელ პირობად ამორალური მოვლენების აღმოფხვრა, ზნეობის განმტკიცება, პიროვნების სულის გასპეტაკება მიაჩნია და ყოველივე ამაში ქრისტიანულ სარწმუნოებას ანიჭებს გადამწყვეტ როლს. ამ ქმნილებას სრულიადაც არ დაუკარგავს თავისი ღირებულება და თითქოს დღევანდელობასაც კი ეხმიანება. სულხანის დროინდელი დაშლილი, დაუცმაცებული საქართველო, ადამიანთა ურთიერთგაუტანლობა და შუღლი თითქოს თანამედროვე საქართველოს სურათს წარმოადგენს. მასში ხშირად გვხვდება ბიბლიური ტექსტების ციტირება, ახსნა-განმარტება, რითაც ავტორი მცითხველს ქრისტიანული მორალის განმტკიცებისაკენ მოუწოდებს. ამით სულხან-საბა ორბელიანი მიზნად ისახავდა საზოგადოების განკურნებას მანვიერი მხარეებისაგან, სულიერ განწმენდა-ამაღლებას, მორალურ გაფაქიზებას და სხვ.

„სწავლანი“ - ს ქრისტიანული პედაგოგიკა გაულენთილია მორალურ - ზნეობრივი ქადაგებებით. ამ მხრივ საყურადღებოა მის ჰომილია „სწავლა სიყვარულისთვის“ რომელშიც მოყვანილია ციტატები მოსე წინას-წარმეტყველის, პეტრე მოციქულისა და სხვა წმინდანთან შრომებიდან. სულხან - საბა ორბელიანი ქადაგებს, რომ: „შეურეველად, შეუორგლებლად, სიწმინდით გიყვარდნენ ყოველნი კაცნი, არა მხოლოდ ნათესავნი და მოყვა-რენი, არამედ უცხონიცა და მტერნიცა, ვითარ იქსუმ შეგვიყვარნა ჩვენ, არა მხოლოდ მოყვარენი მისინი, არამედ განდგომილნიცა და უარისმყოფელ-ნი მისინი ერთბაშად, რომლისთვის იტყვის მახარებელი მათე“( 2, 89). ამ შემთხვევაში მქადაგებელი მოითხოვს მთავარი მცნების „გიყვარდეს მოყვა-სი შენის“ განხორციელებას და დაცვას.

საბას მიაჩნია, რომ პიროვნებას ბავშვობიდანვე უნდა ჩაუნერგოთ მოყვა-სის სიყვარული, რომ ყოველი ქონება და მონაგები არარაობა და მოუხმა-რებელია. ადამიანისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სიყვა-რულის გრძნობის განვითარებას. მისთვის სიყვარული ეს არის ღმერ-

თის, ქვეყნის, ოჯახის, მოყვასის და ა.შ. „დიდი არს სიყვარული ყოვლიან სათნობისა უაღრესი და ყოველთა მაღლთა უდიდებულესი და ყოველთა კეთილთა უკეთესი და ყოველთა პატიოსნებათა უწარჩინებული”(210, გვ. 319).

უდავოა, რომ „სწავლანი“ სულხან – საბა ორბელიანმა შექმნა ადამიანთა ქრისტიანული შეგონებისათვის, მათი სრულყოფისა და პიროვნული თვისებების შექმნისათვის. იგი ყველას ზომიერებისაკენ მოუწოდებს. ადამიანისათვის დამახასიათებელ ნაკლოვან თვისებათა შორის სულხანი გამოჰყოფს ამპარტავნობას. „ამპარტავნებისაგან დაიბადების მოუსმინარობა, თავდაჯერებულება და ცუდდიდობა და ამათ მიერ იქმნება მიღება ცნობისა დატევება სჯულისა“ (211, გვ. 353). ამპარტავანნი „სწავლაში“ უგვანო და უსმინარ ცხოველსაა შედარებული და განქიქებული. „ძალლი მდიდრისა მსუქანი არა განლაღდების არცა ამპარტავანი იქმნების, არცა უარის-მთქმელ, ვითარცა ურჩინი კაცნი, არამედ წარყვებიან უფალთა თვისთა ნადირობად“ (212, გვ. 114 – 115).

თავის ქრისტიანულ პედაგოგიკაში სულხანი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს „მრისსანებას“. „სწავლაში“ მან სრულად წარმოაჩინა „მრისსანების“ მანვიერი მხარეები. „ამა ქვეყნის მრისსანე უფალი“ არ იამანაგება, არ იმეგობრება, უხიფათოოდ მასთან ვერ გაივლი, ვერ ისაუბრებ, გვერდში ვერ მიუჯდები, ყველგან და ყველაფერზე ცოფიანივით იკიბინება.....“ მრისსანესა კაცსა ვერ შეაგონებს ერთგული, ვერა შემართებს კადნიერი, ვერასა უმჯობესსა ეტყვის თანაგამზრახი“ (213, გვ. 269).

სულხან – საბას ქრისტიანულ პედაგოგიკაში სიმშვიდე ადამიანთა არ-სებობის უმთავრესი პირობაა. მხოლოდ მშვიდობიანი ცხოვრება აძლევს პიროვნებას საშუალებას თავის შესაძლებლობების სრული გამოვლინებისათვის და საამისოდ მან ყველაფერი უნდა გააკეთოსსხვისი ადგილების წამგლევანი და დამკავებელნი ცარიელი რჩებიან, ხოლო „ოქროს-მოთვალულთ სავარძელთა ზედამჯდომელნი მიწასა ზედა წოლათა დასჯერდებიან“ (214, გვ. 345). მისი ქრისტიანული შექედულებანი თანაბრად ეხება მანვიერებით დამძიმებულ ყველა ფენის წარმომადგენელს. „პატიოსანნო და საყვარელნო, ქრისტიანენო, ან შეკრებულ ხართ მრავალნი ერნი ეკლესიასა ამას ღმერთისასა, წარმოტოლილნი სოფლისა ამისღელვისაგან, და შემოსრულ ხართ კიდობანსა ამას, არა ნოესსა, არამედ მაცხოვრისა ჩვენისა იესუ ქრისტესსა, და მარადის გესმით სწავლა, აღმოკითხვა საღმრთო წერილთა და ოქვენ გაქვთ გულისხმის – ყოფა და მეცნიერება კეთილთა და ბოროტა“ (212, გვ. 31).

დაბალი რიგის მოთხოვნილებათა დაოკება და მაღალი რიგის მოთხოვნილებათა აღზრდა სულხან-საბა ორბელიანის ქრისტიანული პედაგოგიკის უმთავრესი ამოცანაა. რაც უფრო ინტენსიურად არის განვითარებული პიროვნებაში სოციალურად აღმოცენებული მაღალი მოთხოვნილებანი, მაღალი ინტერესები და რაც უფრო მეტ როლს თამაშობს ისინი პიროვნებაში, მით უფრო ძლიერია მისი ქულების მოტივები. ამდენად, საბა გრძნობის, ვნების, გონებით წარმართვაზე იდგა. „სწავლანში“ დაუკინებით ირწმუნება „ნუ დაითვრებით ლვინით და ნუცალდ დაითვრებით ულვინიდ, რამეთუ ულვინოდ სიმთვრალე უძვირეს არს ლვინოთა სიმთვრალისა. ლვინისა სიმთვრალე - იქმნების ექვს უამს ოდენ, ხოლო ბოროტ ტრიფიალებისა სიმთვრალე - მარადის დღე და ლამე“ (212, გვ. 198).

სულხანს მიაჩნია, რომ ნებისმიერი სიმთვრალე ადამიანს აკარგვინებს წონასწორობას, მისთვის შეუფერებელ საქციელს ჩაადენინებს. ყოველივე ზემოთთქმული თვით მეფეებისთვისაც არ არის უცხო, რისი შედეგიც კიდევ უფრო სავალალოა.

გულმოწყალება და გლახაკთა დახმარება იქადაგა სულხან-საბამ ჰომილიაში „სწავლა გლახაკთა მოწყალებისათვის“. იგი მრევლს ასწავლის მოყვასის სიყვარულს და მოწყალების უხვად გაცემას. ის აფრთხილებს საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელს და თან მოუწოდებს, რომ არ განასხვავონ ერთმანეთისაგან მდიდარი და ლარიბი, ერთნაირად სცენ პატივი და მიუჩინონ ადგილი „დასაჯდომელი“. ამ შემთხვევაში, ჩვენი შეხედულებით, მისი ქრისტიანული პედაგოგიკის სწავლების არსი ასეთია: თუ გლახაქს არ შეუძლია შენთან მოსვლა, უძვიობესია თვითონ მიხვიდე მასთან და განიკითხო „თვით შენითა ხელითა მიართვა რა იგი გაქვს“. დიდი პედაგოგის აზრით, ლარიბთა განვითხვა და მოწყალების გაცემა ერთ - ერთი უდიდესი სიმდიდრეა ლვისაკენ მიმავალ გზაზე.

საბას ქრისტიანულ პედაგოგიკაში ნათლად კაცობრიობის სიყვარული. ამ თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, განსაკუთრებულ უზრადლებას იპყრობს ქადაგება, „უცხოთა მოყვარებისათვის და ვნებისათვის უფლისა“, რომელშიც დიდაქტიკურს მოჰყავს შესაფერისი ადგილები მათე მახარებლის „სახარებიდან“. იგი მრევლს უქადაგებს ქრისტეს სიყვარულს და მოუწოდებს მათ, რომ სტუმრად მოსული გლახაკები შეიწყნარონ, რადგან არავინ უწყის, თუ რა წამს მოადგება უცხოდ მოსული უფალი იესო ქრისტე თითოეული ჩვენთაგანის კარს.

საბას ქრისტიანულ პედაგოგიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა მივაკუთვნოთ ქადაგება - მოძღვრებას „სწავლა სტუმრთომყვარეობისათვის უამსა ელიაობისასა“. ამ ქადაგებაში იგი საუბრობს ქართველი ხალხის

მაღალმორალურ თვისებებზე - სტუმართმოყვარეობაზე. სწავლებაში მოყვანილია მაგალითები „სახარების“ პერსონაჟთა მიერ უცხო ადამიანის შეწყნარებისა და გამასპინძლების შესახებ. სიდონიაში სტუმართმოყვარეობა გამოიჩინა და შესანიშნავი მასპინძლობა გაუწია ელია წინასწარმეტყველს. აქ სულხან - საბა მრევლის ყურადღებას მიაქცევს იმაზე, რომ ლარიბი ელია წინასწარმეტყველი ეწვია არა მეფეს ან რომელიმე მდიდარს, არამედ ლარიბ - ლატაკ ქვრივ დედაკაცს, რომელმაც თავისი და თავისშვილების ლუკმა გაუყო უცხო სტუმარს.

სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანი“ მორალურ - ზნეობრივ დარიგებასაც შეიცავს. მქადაგებელი მრევლის წინაშე გმობს მავნე ზნე-ჩვეულებებს და ქრისტიანებს გამოსწორებისაკენ მოუწოდებს. საყურადღებოა მისი პომილია „სწავლა ვერცხლისმოყვარეობისათვის“, რომელშიც მიუთითებს, რომ „ვერცხლისმოყვარეობა არის უბოროტესი ყოვლისა ცოდვისაო“. მას მოსდევს მზაკვრობა, ავაზაკობა, მომხვეჭელობა, სხვათა მოტყუება და სხვა მრავალი ბოროტი საქციელი.

დიდი პედაგოგი თავის ქრისტიანულ პედაგოგიკაში ზნეობრივ თემებზე მსჯელობასთან ერთად სარწმუნოებრივ საკითხებსაც ესრბა. ის ხალხს განუმარტავდა რთულ ადგილებს ძველი ალთქმიდან და სახარებიდან, მოციქულთა და წინასწარმეტყველთა წერილებიდან და ამით ეხმარებოდა ქართველ მორწმუნებს ქრისტიანული სარწმუნოების სწორად აღქმასა და გაცნობიერებაში.

„სწავლანში“ სულხანი სპეციალურ ქადაგებასაც კი უძლვის ჯოჯოხეთის საკითხებს, სხვა ქადაგებებში საუპროპს ჯოჯოხეთის სატანჯველთა შესახებ, მაგრამ არსად გაკვრითაც კი არ მოიხსენებს სალხინებლის დოგმატს, მისი შეხედულებები ამ მხრივ მთლიანად მართლმადიდებლურ მრწამსაც ყერდნობა: „ჯოჯოხეთი ერთი ადგილი არს, რომელ დიდმან ღმერთმან, სიმართლითა ცოდვილთა ზედან განრისხებულ-მან, მათ ზედა ბოროტი ძალ - უც და ღირსად უყოფს. ამისთვის საწყალობელნი და უბადრუკნი სულნი ჯოჯოხეთისა მას შინა არიან, სა-დაცა არცა ერთი მცირე შვება, ლხენა და განსცენება არა არს და არცა იქნების, და მას სატანჯველსა შინა დაემკვიდრების უკუნითი უკუნი-სამდე“. მისთვის ავტორიტეტები ქრისტიანული თეოლოგის სფეროში არიან ორთოდოქსული ეკლესიის წარმომადგენლები: ბასილი დიდი, გრიგოლ ნი-სელი, გრიგოლ ნაზიანზელი, იოანე ოქროპირი, იოანე ოქროპირი, იოანე სინე-ლიდასხვებისულხან-საბა ორბელიანისშირად იმოწმებს ქადაგებაში მათთბზულებებს, იზიარებს მათ მსოფლმხედველობას, რითაც გამოხატავს თავის დამოკიდებულებას მართმადიდებლური მრწამსისადმი.

მან თავის ქრისტიანულ მოძღვრებაში განსაკუთრებული ადგილი მიუჩინა ეკლესის მსახურებს. პროფესორ კორნელი კუკელიძის აზრით: „ქრისტიანობა საბას მიაჩინა პოლიტიკური სოციალური და კულტურული ცხოვრების ურყევ საფუძვლად, ქრისტიანობის ღალატი, მისი უარყოფა და გამაპმადიანება სამშობლოს მტრობააო" (25, 477). ამიტომ იგი მოუწოდებდა ეკლესის მსახურთ, ყველაფერი საუკეთესო ეკეთებინათ თავიანთი სამწყსოსათვის. მწყემსა არ უნდა ჰქონდეს მოსვენება და ხშირად მზად უნდა იყოს თუნდაც ერთი დაკარგული ცხვრისათვის თავგანწირვაზე იბრძოლოს.

აქედან გამომდინარე სულხან - საბა ორბელიანის ქრისტიანული პედაგოგიკის მოთხოვნა-არსი შემდეგში მდგომარეობს: ვისაც ქრისტიანული სარწმუნოების სადარაჯოზე ყოფნა ევალება, ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რათა შეინარჩუნოს და გაამრავლოს სამწყსო და რამე საშველი მისცეს ქვეყანას.

ღვთისმსახურება, თავისთავად, დიდი მადლია, მაგრამ ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორც საქართველოა, ჩვენი შექედულებით, სულიერ მოძღვარს, უპირველესად, ეროვნული იდეალების სწორად წარმართვა და საკუთარ საფიქრალ - სადარდებელზე გადაგებულ თანამემამულეთა გაერთიანება - შეკავშირება ევალება. ამ მხრივ, სულხან - საბა ორბელიანის საზოგადოებრივი და პედაგოგიური მოღვაწეობა ნათელ მაგალითს მისცემს ჩვენს საეკლესიო მოღვაწეებსა და სულიერების მასწავლებლებს.

ამრიგად, „სწავლანი“ დიდაქტიკური ხასიათის ნაწარმოებია. ხოლო მის ავტორს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების გამოსწორებისათვის აუცილებელ პირობად ამორალური მოვლენების აღმოფხვრა, ზნეობის ამაღლება - განმტკიცება, სამშობლოსა და მოყვასის სიყვარული, გლახაკთა განკითხვა, სტუმართმოყვარეობა და უცხო ადამიანთა პატივისცემა, მოთმინება და სიმშვიდე, მრისხანებისაგან თავის დაღწევა პიროვნების სულის გასპერტაკება მიაჩინა და ყოველივე ამაში ქრისტიანულ სარწმუნოებას ანიჭებს გადამწყვეტ მნიშვნელობას. ამ ქწილაბას დღესაც არ დაუკარგავს თავისი ღირებულება და დღევანდელობასაც კი ეხმიანება. სულხანის დროინდელი დაშლილი, დაქუცმაცებული საქართველო, ადამიანთა ურთიერთგაუტანლობა და შუღლი თითქოს თანამედროვე საქართველოს სურათს წარმოადგენს. მასში ხშირად გახვდება ბიბლიური ტექსტების ციტირება, ახსნა - განმარტება, რითაც ავტორი გვითხველს ქრისტიანული მორალის განმტკიცებისაკენ მოუწოდებს. ამით სულხან - საბა ორბელიანის ქრისტიანული პედაგოგიკა მიზნად ისახავდა და საზოგადოების განკურნებას მანვიერი მხარეებისაგან, სულიერ გან-

წმინდა - ამაღლებას, მორალურ გაფაქიზებას და სხვა. მიგვაჩინია, რომ „სწავლანის“ ზოგიერთი ქადაგება „სწავლა გიორგობის დღისუ და ქართველების თათრობისათვის“, „სწავლა გლახავთა მოწყალებისათვის“, „სწავლა სიმთვრალისათვის“, „სწავლა ვერცხლისმოყვარეობისათვის“, „სწავლა სტუმართმოყვარეობისათვის ჟამსა ელიაობისასა“, „უცხოთა მოყვარეობისათვის და ვნებისათვის უფლისა“ დასხვ. უსაიულოდ შეტანილი უნდა იქნეს სასკოლო პროგრამებში, რადგან დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობის, სარწმუნოების, ზნეობის, ჰუმანიზმისა და პატრიოტიზმისკენ მომწოდებელი შეგონებანი ჩვენი მოსწავლეებისათვის აუცილებელი სულიერი საზრდო იქნება. მითუმეტეს დღეს, როდესაც თანამედროვე სკოლაში, შექმნილი სოციალური და პოლიტიკური მდგრადრეობიდან გამომდინარე საერთდ ჩაშლილია აღმზრდელობითი მუშაობა. რაც განპირობებს იმას, რომ ჩვენს ქვეყანას სჭირდება მართლმადიდებლურ ჟედაგოგიური იდეებით ცხოვრება.

ამდენად სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიკა ქრისტიანულ თვალ-თახედვას ეფუძნება. მისი ზნეობა სახარების მოძღვრებაზეა დაფუძნებული, სახარების ზნეობრივი იდეალი კი მოყვასისადმი უანგარო სიყვარულია.

საინტერესოა ისიც, რომ საბა ამ თხზულებით კიდევ ერთხელ გვევლინება უდიდეს ჰუმანისტად და კაცომოყვარეობის მქადაგებლად.

სასულიერო-მართლმადიდებლური შინაარსისაა, აგრეთვე, საბას „საქრისტიანო მოძღვრება ანუ პირველად სასწავლო ყრმათათვის, რომელსა ენოდების სამოთხის კარი“. ეს თხზულება თეოლოგიის შესანიშნავი სახელმძღვანელოა „უსწავლელ ბერთა და ყრმათათვის“. იგი დაწერილია კითხვა-პასუხის ფორმით, სადაც მასწავლებელი-მოძღვარი მოწაფეებს საუბრის ან კითხვა-პასუხების მეოთხით ასწავლის ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებსა და ლევონისმათურებას.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის, რომ ქართველი მწერლის არჩილის ზნეობრივ შეგონებებს მართლმადიდებლობა ახლავს და ყველაზე მნიშვნელოვანი მისითვის „საღმრთო ზნეობაა“. რადგან არჩილისითვის მართლმადიდებლობის განმტკიცება ქართული ეროვნული სახის განმტკიცებასაც ნიშნავდა. მის მიერ ქართულ ენაზე დაბეჭდილი საეკლესიო და საერთო შინაარსის მრავალი წიგნი ირან-ოსმალეთის გარემოცვის პირობებში ეროვნული მთლიანობის შენარჩუნების უძლიერეს საშუალებას წარმოადგენდა. ცხადია, ამ საქმეს წმინდა ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ-საგანმანათლებლო მნიშვნელობაც ჰქონდა.

არჩილის პედაგოგიურ შეხედულებებში, აგრეთვე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სრული განათლების კონცეფციას მისი თვალსაზრისით, სრულია პიროვნების განათლება, თუ იგრ თანაბრად ფლობს, როგორც საერო, ისე სასულიერო ცოდნას.

ქრისტიანულ მართლმადიდებლური პედაგოგიის იდეებს აგრძელებს დავით გურამიშვილი. საბჭოთა პერიოდის კრიტიკოსები ხელოვნურად ცდილობდნენ დავით გურამიშვილისეული წუთისოფლის გმობა პირადი ან თუ დაც მხოლოდ ერის ტრაგედიით აეხსნათ. იგი, პირველ რიგში, სულის, რწმენის პოეტია, მისტიკოსია. წუთისოფლის მისეული შეფასება მარადიული საძყაროს თვალთახედვით ხდება. პიროვნული თვითხსნის, ხორციელი ვნებების (ამპარტავნობა, შური, ავხორცობა, პირის ურცხვად გატეხვა, სხვისი უბედურებით ფუფუნების შექმნა) დათრგუნვის გარეშე შეუძლებელია ოჯახის, ერის, კაცობრიობის გადარჩენა წარწყმედისაგან.

დავით გურამიშვილისთვის სახარებასთან თანაზიარობა იყო არსებობის ფორმა. მისი აზროვნების არსი და სიცოცხლისეული მიზანსწრაფვა დიღნილად განპირობებული იყო ქრისტიანული მოძღვრებით. ქრისტიანულ მოძღვრებაში ის ნახულობდა არა მარტო ინტელექტუალურ საზრდოსა და ზნეობრივ თვითდახვენებას, არამედ პიროვნული სრულყოფისა და ეროვნული ხსნის გარდაუვალ გზებს. ამ ურთულეს სისტემაში მრავალ პრობლემათა შორის ერთ-ერთი არსებითია ლოცვაში ჩაქსოვილი პოეტის სარწმუნოებრივი არსი. ამიტომაცაა, რომ „დავითიანი“ არის ერთი გაბმული ლოცვა, რომლის ძალაშიც პოეტი ხედავს ქვეყნის ხსნის ერთ-ერთ გზას, მასში გატარებული ქრისტიანული მრნამსით, ისე ფორ მის ნაირფერადოვნებით. „დავითის „ლოცვას“ თავიდან ბოლომდე აკროსტიქად გასდევს სახარების საკმაოდ ვრცელი ტექსტი: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა...“ თითეული სტრიქონი იწყება სახარების ტექსტის ერთი მონაკვეთით, რომელიც დავითისეულ იტერპეტაციაში ძირითადი პოსტულატია და ეს პოსტულატი გავრცობილ სახეს იღებს. მასში იშვიათი ზომიერებითაა ჩაქსოვილი ქრისტიანული მოძღვრების არსი და პოეტის სულიერი განწყობილება. წარმოთქვას რა: „მამაო...“ იქვე იძლევა მის განსაზღვრებას, მის ატრიბუციას:

„ყოვლისა მპყრობელო, ღმერთო მოწყალეო!“

მეორე სიტყვაას: „ჩვენო... კვლავ ერთვის ღვთაების დახასიათება ადამიანებთან მიმართებაში“

„განმტკიცებულო, შემქნელ, დამჩადეო“!

ასე იშლება პოეტის ეს შსანიშნავი ლირიკული ამონაკვნესი, რომელშიც სახარების ტექსტზე აგებითა და მისი გავრცელებით გადმოცემულია პოეტის სულიერი, შინაგანი განწმედისა და ღვთაებრისადმი თანაზიარობის განცდათა სიმძლავრე და დაუღვებული ლტოლვა. აქვე მომხიბვლელი ზომიერებითაა მინიშნებული ამქვეყნიური, ადამიანური ტკიცილები და კვლავ და კვლავ ულერს ძირითადი მელოდია-ცოდვათა მონანიების სავედროებელი". [15, გვ. 87].

ამრიგად, დავით გურამიშვილი საზოგადოების ეთიკური ნორმების დამკვიდრების სათავეს ქრისტიანული მორალში ხედავს, ხოლო მისტიკურ ლტოლვაში ჩაქსოვილია უზნეაქსისადმი ზიარების სიღიადის განცდა.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, როგორ შეერწყა ერთმანეთს ღრმადმორნებუნე ქრისტიანი და განმანათლებელი. საქმე ისაა, რომ, ჯერ ერთი, მაპმადიანური გარესამყაროთი მოცული ჩვენი მწერლებისათვის ქრისტიანობა თვითდაცვისა და ეროვნული კონცეფციის გამოვლენის ფორმად იქცა, ხოლო, მეორე მხრივ, XVIII საუკუნის ქართველი მწერლები თვით ქრისტიანობაში ხედავდნენ ჰუმანისტური მსოფლგაგებისა და განმანათლებლობის ნინაპირობას.

სწორედ ქრისტეს ეს მარადი სსოფნა, მასთან მარადი თანაარსებობის სურვილი გამუდმებული სულიერი მოთხოვნილებაა არჩილის, სულხან-საბასა და დავით გურამიშვილის შემოქმედებისათვის. ამიტომაც არის, რომ მათი ქრისტიანული მართლმადიდებლური პედაგოგიკა გამსჭვალულია ქრისტიანული მსოფლმხედველობით და ყოველი მათი თხზულებიდან გამოსაჭვივის ღრმადმორნებუნე ადამიანის სულიერი განწყობილება და მისწრაფებები.

XVI საუკუნიდან საქართველოში კათოლიკე მისიონერებიც აარსებენ სკოლებს. მათი ქრისტიანული მოძღვრების მიზანი იყო კათოლიკობის პროპაგანდა და რომის კათოლიკურ ეკლესიასთან ქართული მართლმადიდებლური ეკლესის შეერთებისათვის ნიადაგის მომზადება. ამასთან დაკავშირებით, პადრი კლემენტე გალანის მოხსენებაში ვკითხულობთ, რომ მისიონერებმა გურიის პროვინციაში „დააარსეს სკოლა, ბავშვები ზოგი თვით მთავარმა აჩუქა, ზოგი ბატონებმა მისცეს და ზოგიც თვით გამოართვეს მშობლებს, რომლებსაც ბავშვების აღზრდა არ შეეძლოთ" [83, გვ. 155].

მისიონერთა სკოლებში ასწავლიდნენ წერა-კითხვას, თეოლოგიას. იმ ბავშვებს, რომლებიც სწავლაში ნიჭს გამოიჩინდნენ, რომში

აგ ზავნიდნენ უმაღლესი ცოდნის მისაღებად. ანალოგიური  
 მდგომარეობაა აღწერილი სამეგრელოს შესახებ, კერძოდ, პატრი  
 ძამპი აცხადებს, რომ კოლხიდის მთავარმა ბევრი კეთილმობილი  
 ყმანვილი მიაპარა გასაწვრთნელად და სარწმუნოების პირველ  
 დასაწყისის ცოდნის სასწავლებლად. არქანჯელო ლამბერტის ცონბით,  
 კათოლიკე მისიონერმა ანტონ აროდინიმ (მას კარგად ცოდნია  
 ქართული ენა) „გურიაში გახსნა სკოლა, შეადგინა ქართული გრამატიკა  
 და დააწყებინა ყმანვილებს მისი შესწავლა. ბავშვები ჩქარა  
 დაწინაურდნენ სკოლაში და ყველასათვის გასაოცარი შეიქნენ...  
 მისიონერები მტრებს მოერიდნენ, იქნებ ხალხში ხმა გაავრცელონ და  
 სიკვან, რომ პატრებმა ყმანვილები თათრებს მიჰყიდესო, ამის გამო  
 ყმანვილები ევროპაში აღარ გააგზავნეს" [105, გვ. 13]. აქვე უნდა  
 აღვნიშნოთ, რომ საკულესიო კოლეგიაში სწავლის გაგრძელების  
 სურვილს მრავალი ქართველი გამოთქვამდა. პროფ. სვ. გამსახურდია  
 წერს: „XVIII საუკუნის 30-იან წლებში ერთ-ერთ ქართველ ახალგაზრდას  
 ისეთი დიდი სურვილი ჰქონია რომში სწავლის მიღებისა, რომ  
 საკუთარი ცხენი გაუყიდია, დანარჩენი თანხის მიცემას დედამისი  
 (ალბათ, შეძლებული) დაპირებია და საკუთარი ინიციატივით  
 გამგზავრებული რომში" [45, გვ. 92]. კათოლიკე მღვდელსა და  
 ეკლესიას სოფელი ინახავდა. მღვდელი ბავშვებს დაწყებით განათლებას  
 აძლევდა. ასწავლიდა წერა-კითხვას, მშობლიურ ენას, გრამატიკასა  
 და თეოლოგიას. „ქალაქის სკოლებში მასწავლებელთა რიცხვი მეტი  
 იყო, მაგრამ ზოგად 25 ბავშვს მხოლოდ ერთი მღვდელი ასწავლიდა.  
 მაგალითად, 1766 წლისათვის ახალციხის სკოლაში, სადაც 70 მოსწავლე  
 სწავლობდა, განათლებასაც აძლევდნენ და მშობლიური ენის,  
 გრამატიკისა და თეოლოგიის გარდა ლათინურ ენასა და  
 ფილოსოფიასაც ასწავლიდნენ" [45, გვ. 93]. სამწუხაროდ, არ არის  
 შემორჩენილი დოკუმენტური მასალები, რომლის მიხედვითაც შეიძლება  
 ვრმსჯელოთ, თუ როგორი იყო ამ სკოლების სტრუქტურა და  
 პროგრამები.

იტალიელ მისიონერებთან ერთად საქართველოში თავისი გავლენის  
 გავრცელებას ცდილობდნენ, აგრეთვე, ფრანგებიც. მათ, თავიანთი  
 პოლიტიკური და სარწმუნოებრივი გავლენის მოპოვების მიზნით,  
 სურდათ სკოლების დაარსება და ელემენტარული სწავლა-განათლების  
 შემოტანა. უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ მოღვაწეობას, მიუხედავად  
 პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ზრახვებისა, მაინც ჰქონდა  
 დადებითი მნიშვნელობა იმ მხრივ, რომ აქ ისწავლებოდა ქართული

წერა-კითხვა, ასევე ლათინური, იტალიური, ფრანგული ენები და  
მეცნიერების სხვადასხვა დარგი. ქართველი ახალგაზრდობა ეცნობოდა  
იმ კულტურულ-საგანმანათლებლო, სააღმზრდელო-სარწმუნოებრივ  
მოძრაობას, რომელიც მაშინდელ ევროპაში იგრძნობოდა.

XVII საუკუნიდან საქართველოში კულტურისა და განათლების  
საქმის გამოცოცხლება იგრძნობოდა. ამ მხრივ, პირველ რიგში,  
აღსანიშნავია გარეჯის მონასტრების მუშაობა. გარეჯის უძველესი  
საგანმანათლებლო კერების აღდგენა-განმტკიცებაში აქტიური  
მონასტრების მიუღია მეფე არჩილს, ხოლო ძირეული გარადტეხა ამ  
მონასტრების ცხოვრებაში 1690 წელს დაწყებულა, როდესაც მეფე  
ერეკლე I-ის მიერ მოწვეულმა საეკლესიო კრებამ გარეჯის მონასტრების  
წინამდებრად ნიჭიერი და შრომის მოყვარე ონოფრე მაჯუტაძე დანიშნა.  
აღნიშნულ მონასტრებში მომრავლდნენ მწერლები, კალიგრაფები და  
გარეჯი უდიდეს ქრისტიანულ მართლმადიდებლურ-პედაგოგიურ კერად  
იქცა. სწორედ გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრებში დაწერა სულხან-  
საბა თრბელინანა (1698-1710 წე.) თავის ქადაგებათა კრებული  
„სწავლანი“, სახელმძღვანელო „საქრისტიანო მოძღვრება პირველად  
სასწავლო ყრმათათვის, რომელსა ეწოდების სამოთხის კარი“.

ქართული ქრისტიანული-მართლმადიდებლური სკოლისა და  
პედაგოგიური აზროვნების კვლავ გამოცოცხლება, განსაკუთრებით,  
თვალსაჩინო გახდა XVIII საუკუნეში. კერძოდ, ერეკლე მეორისა და  
სოლომონ პირველის მმართველობისა და მის მომდევნო პერიოდში,  
რასაც მოწმობენ „საეკლესიო გუჯრები“. „ისინი დაბეჯითებით  
ამტკიცებენ იმ ფაქტის საფუძვლიანობას, რომ ყოველი ეპისკოპოსი  
თავის კურთხევის დროს კათალიკოსს აძლევდა აღთქმას, რომ ყოველი  
შემწეობა აღმოჩენა სკოლებისათვის, გაეხსნა ისინი ყველა ეკლესისთან,  
ყოველ მონასტრებში და ეზრუნა მათ წარმატებაზე. აი, ამით აისხნება  
ის ყველასგან ცნობილი მოვლენა, რომ წარსული საუკუნის დამლევს  
სკოლები იყვნენ დაარსებულნი არა მხოლოდ ეპისკოპოსთა საკათედრო  
დაბა-ქალაქებში, რომელთა რიცხვი წარსული საუკუნის დამლევს  
მთელს საქართველოში აღწევდა ორმაოცდაათს, არამედ ყველა  
თვალსაჩინო ეკლესიებთანაც კი. თავის კვალობაზედ, მღვდლის  
ცოლებიც ვალდებული იყვნენ, გამართული ჰქონდათ შინაური  
სკოლები წერა-კითხვის გასავრცელებლად მოზარდს ქალებში.  
სამოქალაქო მთავრობაც დიდ ყურადღებას აქცევდა ამ სკოლების  
გამრავლებას და ერთგულად ზრუნავდა მის წარმატებაზედ... ყველა  
ამის შემდეგ თამამად შეგვიძლიან დავერწმუნოთ იმ მომსწრე პირთა,

რომელიც ამბობენ, რომ ამ საუკუნის დამდეგს გლეხვაცობის ვარგა  
დადგმა ნაწილმა იცოდა წერა-კითხვა" [51, გვ. 247].

სამღვდელოება იყო ამ სკოლების მთავარი მოჭირნახულე და რა  
თქმა უნდა, სასულიერო პირებად აღსაზრდელთა ქრისტიანულის-  
წავლა-განათლება სწორედ ამ სასწავლებლებში მიღიოდა.  
მასწავლებლები - მღვდლები და დიაკვნები ან ადგილობრივ ეპარქიულ  
სასწავლებლებში იყვნენ აღზრილდი, ან მართლმადიდებლურ-  
საგანმანათლებლო საქმიანობაში ამ სკოლებთან ახლოს მდგომნი.

ამასთან, სასულიერო აღზრდა-განათლების სისტემაში დიდი  
ყურადღება ექცეოდა მოსწავლის რელიგიურ, ზნეობრივ და ფიზიკურ  
ნირთობას. წერა-კითხვასა და მეცნიერების საფუძვლებთან ერთად  
ბავშვებს აცნობდნენ ყოფა-ცხოვრების რელიგიურ-ზნეობრივ ნორმებს,  
უნერგავდნენ კაცთმოყარეობას, რწმენას, უფლის სიყვარულს,  
ზრდილობას, პატიოსნებას, თავმდაბლობას, მაგრამ ოჯახი მაინც  
დიდ როლს ასრულებდა პიროვნების ჩამოყალიბებაში. ტრადიციული  
ქართული მართლმადიდებლური საოჯახო ქრისტიანული წესები,  
მასწავლებლისა და მშობლის პირადი მაგალითი მძლავრ  
აღმზრდელობით საშუალებას წარმოადგენდა.

ამრიგად რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამდე მეტად ფართო  
გასაქანს პოულობენ ჩვენში საეკლესიო სამონასტრო სკოლები. ეს  
სკოლები, მხოლოდ ელემენტარულ სწავლა-განათლებას იძლეოდნენ,  
მაგრამ მათთან ერთად ეპარქიის ცენტრებში, საკათედრო ტაძრებთან  
არსებობდა საშუალო ტიპის სკოლები და სასწავლებლები, რომელშიც  
გარდა წერა-კითხვისა, შეისწავლიდნენ მეცნიერების სხვადასხვა  
დარგებსა და საფუძვლებს. ჩვენი აზრით, საქართველოში საეკლესიო-  
საგანმანათლებლო კერძებს მთავარი წვლილი მიუძღვით სახალხო  
განათლებისა და ქრისტიანული პედაგოგიკური აზროვნების  
განვითარების საქმეში.

მეთვრამეტე საუკუნის ქართული პედაგოგიკური აზროვნების  
ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა საეკლესიო მოღვაწემ,  
ფილოსოფოსმა, პედაგოგმა და ენათმეცნიერმა ანტონ კათალიკოსმა.  
მიაი შემოქმედებითი აზროვნება ემსახურებოდა კულტურული  
ცხოვრების ყველა უბანს: კანონიკას, პაგიოგრაფიასა და პიმნოგრაფიას,  
სასკოლო საქმეს, პოლიტიკასა და დიპლომატიას. მან ტრადიციულ  
ქრისტიანულ პედაგოგიკასთან ერთად განავითარა ანალიზი და  
შემცნება, კვლევა-ძიების ევროპული დონე. აკადემიკოს კორნელი  
კეკელიძის თქმით, „მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საეკლესიო

მწერლობას უნდა ეწოდოს ანტონ კათალიკოსის ეპოქა, ისე დღიდა  
მისი ლვანლი და დამსახურება ამ მწერლობის ისტორიაში".ჩვენ კუ  
მიგვაჩნია, რომ, გარდა საკულესიო მწერლობის განვითარებისა, მას  
განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართული ქრისტიანული  
პედაგოგიკური აზრისა და სასკოლო საქმის განვითარებაში. მისი  
პედაგოგიკური მოღვაწეობა და იდეები ნაკლებად არის შესწავლილი,  
გაშუქებული და იგი, ჩვენი აზრით, სპეციალური შესწავლის საგანს  
წარმოადგენს. ანტონი, ერობაში თეიმურაზი, იყო ვაჟი იქსე მეფისა.  
დაიბადა 1720 წლის 17 ოქტომბერს. სწავლა-განათლება მიიღო დავით-  
გარეჯის მონასტერში. 1735 წელს თბილისში ლაპერით შემოსულმა  
თამაზ-ხანმა (ნადირ-შაჰი) მას საცოლე წაჰვარა. ამ ამბით  
თავზარდაცემული თეიმურაზი იმერეთში გადავიდა და 1738 წელს  
გელათის მონასტერში ბერად აღიკვეცა ანტონის სახელით. 1739  
წელს ანტონმა გელათის წინამძღვრობა მიიღო, 1740 წელს  
მიტროპოლიტი გახდა. 1741 წელს კახეთში დაპრუნდა. 1744 წელს  
არჩეული იქნა საქართველოს კათალიკოსად. ანტონ პირველის  
საგანმანათლებლო მოღვაწეობა და პედაგოგიკური იდეები  
დაკავშირებულია მის სოციალურ და პოლიტიკურ შეხედულებებთან.  
მისი მსოფლმხედველობის ნაყოფია ანტონის მიერ შემუშავებული  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური თეორია - "სულისა ერთობრიობით".  
ამ თეორიის ძირითად არსეს წარმოადგენდა „გამოხსნა“ და „ალდგომა“.  
ანტონის მსოფლმხედველობა დასაბუთებულია ისეთ შრომებში,  
როგორიცაა: „მზამეტყველება“, „წყობილსიტყვაობა“, „სპეკალი“.  
პირველად საქართველოში ანტონმა აღორძინების ხანაში „ფსიქოლოგია-  
მოძღვრება სულისა და სულიერი ძალების“ შესახებ წარმოადგინა,  
როგორც ფილოსოფიური ცოდნის დამოუკიდებელი დარგი. იგი  
სპეციალური გამოკვლევის საგნად ხდის ფსიქოლოგიურ  
ტერმინოლოგიას. კომენტარებში ანტონი მოძღვრებას „ფსიქიკას“  
(ფსიხის) შესახებ „პსიხოლოგიას“ უწოდებს. ფსიქოლოგია, ანტონის  
გაგებით, არის „ცნობა მშვინივრსათვის“. ადამიანის ფსიქიკის ძირითად  
ძალებად ანტონს მიაჩნია: გულისხმისყოფა (შემეცნება ფართო გაგებით)  
და ნებელობა. აღზრდა-განათლების ზოგად მიზნად ანტონ კათალიკოსს  
მიაჩნდა, ადამიანის მომზადება საზოგადოებრივი და იმქვეყნიური  
ცხოვრებისათვის. მან ამ საქმის განსახორციელებლად საქმეში ჩართო  
არა მარტო სასულიერო წრის წარმომადგენლები, არამედ საერო  
ხელისუფალნიც. 1755 წელს გახსნა თბილისის სასულიერო  
სასწავლებელი, 1782 წელს თელავის სასულიერო სემინარია, 1758

წელს თელავის საფილოსოფოსო-საღვთისმეტყველო სკოლა, ამასთან, ეკლესია-მონასტრებთან დაარსდა დაბალი ეპარქიული სასწავლებლები და საეკლესიო სკოლები. ამ სემინარითა დირექტორს და პრორექტორს, გაიოზ რექტორის სიტყვით წარმოადგენდა „მუნებურთა გნოსისთა დიდასკალოსი, კათალიკოსი ანტონ პირველი“. ისტორიკოს პლატონ იოსელიანის ცნობით, ამ დროს აქ ასწავლიდნენ არა მარტო წერა-კითხვასა და არითმეტიკას, არამედ გალობას, კატეხიზმოს ანტონ კათალიკოსის სისტემით, ძველი სამეფოების ისტორიას, ფილოსოფიას, რიტორიკას, ღვთისმეტყველებას და სხვ.

ამრიგად, XVIII საუკუნის ქართულ საეკლესიო სასწავლებლებში, ანტონ I მოთხოვნით, ქართული ქრისტიანული ჰედაგოგიკური აზროვნების მიერ უმეტესად გავრცელებული იყო „კითხვა-მიგების“ (კითხვა-პასუხის) მეთოდი, რაც ლოგიკურ მსჯელობას მოითხოვდა. გარდა ამისა, პაექტორა-დისპუტებზე დასწრება თავისუფალი ყოფილა და მას ის მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ, გარდა მოსწავლეებისა, დამსწრე საზოგადოებაშიც (არამოსწავლეებში) აღვიძებდა ინტერესს ცოდნისა და მეცნიერებისადმი.

ანტონ პირველის ჸედაგოგიკურ-დიდაქტიკური და მეთოდიკური შეხედულებანი ძარითადად წარმოდგენილია მის ორიგინალურ თხზულებებსა და თარგმნილი ლიტერატურის წინასიტყვაობაში. მაგრამ ანტონ კათალიკოსის ქრისტიანულ-ჸედაგოგიკურ შეხედულებათა ძირითადი არსია განსაზღვრა მხოლოდ მისი ორიგინალური ნაწარმოებების განხილვით სწორი არ იქნება, რადგან უცხო ენებიდან ნათარგმნ სამეცნიერო და ლიტერატურულ ძეგლებში ვრცლად არის ასახული ქრისტიანული აღზრდისა და სწავლა-განათლებისადმი მიძღვნილი საკითხები, ამასთან, ის პრაქტიკულ-ჸედაგოგიკურ და მეთოდიკურ მუშაობასაც ეწეოდა.

ახალი ფილოსოფიის სისტემატური კურსის წინასიტყვაობაში ანტონ პირველი იმაზედ მიუთითებს, რომ „სწავლა“ იმას უნდა ედოს საფუძვლად, რომ ადამიანი „აღირჩევდეს უმჯობესსა“. ცოდნის (სიბრძნის) გარკვევის საკითხში ანტონ პირველი იზიარებს ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის შეხედულებებს და ასეთ აზრს აყალიბებს: „სიბრძნე უკვდავია და ნათელი, ყოველი გონება მისგან შეიქმნა და მისივე ხატად გამოხატა... ღვთისქმილ ტომთაგან, ვინც სიბრძნეს ეძიებს, ეზიარება კიდეც მას. ოღონდ სწავლის გარეშე სიბრძნეს ვერა და ვერ შევიგონებთ“. ამდენად, ანტონი ორთოდოქსი თეოლოგია და ეპირდნობა საეკლესიო ავტორიტეტებს. ანტონი იცავს

იმ აზრს, რომ ყოველ არსებათა დასაბამი ღვთაებაა: „საუკუნეთაგან აქუნდეს ღია თვის შ-ს გამოხატვისამებრ მის მ-რ მოგონებულნი“. როგორც პროფ. თ. კუკავა წერს - „ანტონის აზრით ღმერთი „უცვლელია და უძრავი. ის არ ექვემდებარება ცვალებადობისა და მოძრაობის პროცესს. მისი თვისებებისა და რაობის შეცნობა შესაძლებელია მინიერი მოვლენების საშუალებით, რომლებიც მის გამოვლენას წარმოადგენებ“ [101, გვ. 10]. ანტონის აზრით, ყოველგვარ ცოდნაზე მაღალი არის ღმერთის არსებობისა და ყოვლის შემძლების თანდაყოლილი რწმენა. ისტორიის მამოძრავებლად, კი ის თვლიდა ზნეობას, ზნეობის განმსაზღვრელად - ღვთაებას. შ. წუცუბიძე წერს: „ანტონ ბაგრატიონის პროგრამის მიხედვით მთელი მისი ფილოსოფიური გარემოცვა და მომდევნო თაობა ქმნიდა ფილოსოფიური აზროვნების იმ ნაერთს, რომელშიც ძველი და ახალი ისე იყო შეერთებული, რომ აზროვნება ვერ ახერხებდა თეოლოგიური სალტერნაციას და იშვიათად ახერხებდა ძველში დაცული რომელიმე მოწინავე აზრის შეთვისებასა და განვითარებას“ [124, გვ. 436].

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გავრცელებას იწყებს ფილოსოფიურ ძეგლებთან დაკავშირებული, ახალი პრობლემატიკის მიხედვით ჩამოყალიბებული ფსიქოლოგიური ცოდნა. აღსანიშნავია ისიც, რომ ანტონ კათალიკოსის თაოსნობით, ამ პერიოდში შემოღებული იქნა ქართულ სემინარიებში ფსიქოლოგიის, როგორც სისტემატური ცოდნის დარგის სწავლება. ჩვენში, პირველად, ამ პერიოდიდან იწყებს არსებობას ფსიქოლოგია, როგორც „საგანმანათლებლო“, პედაგოგიური ხასიათის მქონე დამოუკიდებელი დარგი ცოდნისა.

ანტონს ფსიქოლოგიური ცოდნა განათლების შინაარსად აქვს წარმოდგენილი და მიაჩნია „სწავლის“, ე.ი., სარწმუნო მეთოდის გზით მოპოვებულად. ანტონ პირველის ნაწერებში შეიძლება რამდენიმე „ფსიქოლოგია“ განვასხვავოთ, რომლებიც სხვადასხვა პრინციპებიდან გამომდინარე მეთოდების საფუძველზეა აგებული.

ერთია - ფსიქოლოგია, რომელიც წარმოდგენილია ბაუმაისტერის „დასაბამი ფილოსოფიისა ახლისა“ ნაწილად, კერძოდ, მეტაფიზიკის ნაწილად. როგორც ჩანს, მის ხელთ არსებული წყაროებიდან განათლებისათვის შესაფერის სისტემატური ხასიათის მქონე სახელმძღვანელოდ, სწორედ ეს სახელმძღვანელო მიუწინებია. ასე რომ, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ სემინარიებში „მეტაფიზიკის“

დარგში მიღებული ცოდნის უდიდეს ნაწილს ფსიქოლოგია წარმოადგენდა.

მეორე - ანტონის კომენტარები. კომენტარები დართული აქვს ყველა მის თარგმნილ შრომას, და კერძოდ, ბაუმაისტერის „მეტაფიზიკის“ ფსიქოლოგიურ ნაწილს, „ფსიქიას“, რიტორიკას და სხვა. ანტონი ამ კომენტარებს, სწორედ თავისი შეხედულებების მაჩვენებლად მიიჩნევს და მისი დამოუკიდებელი მუშაობის შედეგს წარმოადგენს. კომენტარების ფსიქოლოგია ემპირიული ფსიქოლოგია, რომელიც არსებითად წარმოადგენს ახალი მეთოდების საფუძველზე იმ შეხედულებათა განვითარებას, რომელიც გამოიქმნელი ჰქონდა ანტონს „სპეკალში“.

მესამეა ფსიქიკის ფსიქოლოგია. მასში მოცემულია ჩანასახი მეცნიერული ფსიქოლოგიისა, რომელიც ბუნებისმეტყველების წიაღში ვითარდებოდა.

ამრიგად, არსებითად ანტონის ნაწერებში ორი ფსიქოლოგია გვხვდება: ერთი ფსიქოლოგია, რომელიც ფიზიკის ნაწილად არის წარმოდგენილი, ეს ნამდვილად მეცნიერული ფსიქოლოგიის ჩანასახია; მეორეა მეტაფიზიკის ფსიქოლოგია, ფილოსოფიური ფსიქოლოგია.

ანტონმა, პირველად საქართველოში, აღორძინების ხანაში, ფსიქოლოგია-მოძღვრება სულისა და სულიერი ძალების შესახებ - წარმოადგინა როგორც ფილოსოფიური ცოდნის დამოუკიდებელი დარგი; ფილოსოფია კი გაგებულია, როგორც ამოსავალი საფუძველი ცოდნის ყველა სხვა დარგებისათვის” [151, გვ. 199].

ანტონი სპეციალური გამოკვლევის საგნად ხდის ფსიქოლოგიურ ტერმინოლოგიას. კომენტარებში ანტონი მოძღვრებას „ფსიკის“ (პსიხის) შესახებ „პსიხოლოგიას“ გვხვდება, ქართულ ფილოსოფიურ მწერლობაში ტერმინი „ფსიქოლოგია“. ფსიქოლოგია, ანტონის განმარტებით, არსის „ცნობა მშვინვიერისათვის“. საზოგადოდ, ესე იგი ენოსის არა არსებისა მარტივისა-გულისხმისყოფითა და ნებინა ნიჭებულისა“ [151, გვ. 315]. ადამიანის ფსიქიკის ძირითად ძალებად ანტონს მიაჩნია: გულისხმისყოფა (შემცნება ფართო გაგებით) და ნებელობა. ფიზიკაში კი ანტონი გვევლინება, როგორც მეტაფიზიკურ-ნაციონალისტური ფსიქოლოგიის ფუძემდებელი საქართველოში. აქ იგი წარმოადგენს ცოდნას, შეგრძნებების ფიზიოლოგიას და სხვ.

ანტონის ფილოსოფიურ-რაციონალისტური მსოფლგაგებით, „ახალი ქვეყნის“ წარმოქმნა შეუძლებელია საზოგადოების განვითარების, განათლების საქმის მაღლა დაყენების გარეშე.

ცნობილია, რომ სწავლა-აღზრდა ქართულ სემინარიებში კლერიკალურ-სკოლასტიკურ პრინციპებს ემყარებოდა, სადაც წამყვანი როლს საგრამატიკო დისციპლინები ასრულებდა. ამაგვე აზრის იზიარებდა ანტონი, მაგრამ სემინარიის მოსწავლეებს სანამ საგრამატიკო დისციპლინების ღრმა და რეგულარულ შესწავლაზე გადაიყვანდნენ, მანამ მას საფუძვლიანად ასწავლიდნენ მშობლიურ ენასა და წერა-კითხვას: „დაისწავლეს ზეპირ უნინარეს დაწყებისა ღრამატიკასა დახელოვნებისათვის მხედრულსა კითხვისა და წერისა" [115, გვ. 113]. თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ანტონი । საგრამატიკო დისციპლინების შესწავლას სემინარიაში, ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ყოველ საზეიმო შეკრებაზე ყურადღება განსაკუთრებით იყო გამახვილებული მისი, როგორც ერთ-ერთი ძირითადი საგნის, სწავლებასა და როლზე. ანტონი, როგორც სემინარიის რექტორი და დიდასკალოსი მყაცრად მოითხოვდა საგრამატიკო სწავლების საჭიროებას და კატეგორიულად მიუთითებდა, რომ „კუალად, ოდეს ვასწავებთ მოწაფეთა ღრამატიკასა, მაშინ სიმკაცრეი მაქუნდა ფრიადი განსჯისად, რა არა ელმად მივეცმცა" [5, გვ. 1-2].

ანტონი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სემინარიაში საგრამატიკო დისციპლინების შემდეგ ფილოსოფიის სწავლებას. მისთვის ფილოსოფიის ცნება მრიცავდა ლოგიკას, ფიქტოლოგიასა და ფიზიკას. ანტონი ცდილობს ბუნებისმეტყველების ცოდნის შემოტანას ქართულ სემინარიებში. ცოდნის განათლების გარეშე მას ვერ წარმოუდგენია ადამიანის ცხოვრება. ამაზე მიუთითებს ანტონი მრავალგზის, განსაკუთრებით თავის წინასიტყვაობაში ბაუმაისტერის წიგნისა - „დასაბამი ფილოსოფიისა ახლსა" და „ფისიკისადმი". ამ წინასიტყვაობათა ძირითად ამოცანად ანტონი ამ დებულების დამტკიცებას ისახავს მიზნად, რომ „თვინიერ სწავლისა ვერვინ ჰ პოვოს, სიბრძნი". ის პირდაპირ ამბობს, რომ ფიზიკის ცოდნის გარეშე ადამიანი ბრმა არის ბუნების მოვლენათა მიმართ. ჭეშმარიტი ცოდნის წყაროდ ანტონი დაკვირვებასა და ცდას აღიარებს. მაგრამ „სიბრძნის" (ცოდნის) „სწავლულებით" მოპოვების გზა, ანტონის აზრით, არა მხოლოდ ბუნების სფეროშია კანონიერი, იგივე უნდა აღვნიშნოთ ცოდნის ყველა სხვა დარგის შესახებაც.

მაგრამ ფილოსოფიურ და მეცნიერულ „სწავლას", ანტონის აზრით, მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ მხრივ, რომ იგი არსებულის ახსნას იძლევა, არამედ იმ მხრივაც, რომ იგი საფუძვლიანად უნდა დაედოს

ადამიანთა პრაქტიკულ მოქმედებას და მათი ცხოვრების გაუმჯობესებას. ახალი ფილოსოფიის სისტემატური კურსის წინასიტყვაობაში ანტონ პირველი იმაზედ მიუთითებს, რომ „სწავლა“ იმას უნდა ედოს საფუძვლად, რომ ადამიანი „ალირჩევდეს უმჯობესსა“ [151, გვ. 301]. ცოდნის (სიბრძნის) გარკვევის საკითხში ანტონ I იზიარებს ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის იოანე პეტრინის შეხედულებას და ასეთ აზრს აყალიბებს: „სიბრძნე უკვდავია და ნათელი; ყოველი გონება მისგან შეიქმნა და მისივე ხატად გამოიხატა... თუ გაიღვიძებს კითხვა, ვით ძალგვიძს სიბრძნის შეცნობა, გაუწყებთ, კაცთაგან ფრიად ადვილად შეიცნობა იგი, როგორც ეს თქვა ქართველთა შორის დიდმა ღვთისმეტყველმა იოანე პეტრინმა: ღვთის ქმნილ ტომთაგან ვიც სიბრძნეს ეძიებს, ეზიარება კიდეც მას. ოლონდ სწავლის გარეშე სიბრძნეს ვერა და ვერ შევიგონებთ“ [140, გვ. 7-8].

აღმრღდა-განათლების ზოგად მიზნად ანტონ კათალიკოსს მიაჩნდა ადამიანის მომზადება საზოგადოებრივი და იმქვეყნიური ცხოვრებისათვის. მისი შეიარაღება იმ ცოდნით, რომელიც მას მისცემს საშუალებას ბუნების ძალთა გამოყენებისა და ცხოვრებაში გარკვევის უნარს.

ანტონის აზრით, განათლება (ცოდნა) ძალაა, რომლის გარეშე არ არსებობს სათნოება, სიკეთე, ურთიერთპატივისცემა. ანტონი მომხრეა საერო და სასულიერო განათლების ერთიანობისა, როგორც კომენსკი იტყვოდა „სულისა და გონების“ განათლებისა.

სიბრძნის შესწავლაში ანტონი ცოდნის დაუფლებას, გონებრივ განათლებას, აღმრღდას ხედაეს. გონებრივი აღმრღდა, პირველ რიგში, ბავშვსა და მოზარდში შემოქმედებითი აზროვნების ჩამოყალიბებას და მის ნიადაგზე, რაც შეიძლება მეტი მეცნიერული ცოდნის შექმნას გულისხმობს და შემდეგი ძირითადი ამოცანებისგადაწყვეტას მოითხოვს. ეს ამოცანებია: მეცნიერული ცოდნის შეგნებულად დაუფლება, შემოქმედებითი აზროვნების განვითარება, მეცნიერული მსოფლმედველობისა გამომუშავება, გონებრივი შრომის უნარ-ჩვევების დაუფლება და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის ჩამოყალიბება.

ცოდნა ანტონა მიაჩნია გზად, საშუალებად, რომლითაც შეიძლება ადამიანმა უმაღლეს მიზანს მიაღწიოს და იმდენად უნდა დაფასდეს იგი, რამდენადაც ეხმარება ადამიანს ამ მიზნის მიღწევაში. სწავლა კი უნდა შეძენილ იქნეს და ეს არის სწორედ გონებრივი განათლება. ამრიგად, ა. ფრანგიშვილის აზრით, - „იმისთვის, რომ „სწავლა“

პრაქტიკას დაედოს საფუძვლად, იმისთვის, რომ მეცნიერული და ფილოსოფიური ცოდნა განათლების შინაარსი გახდეს, აუცილებელია იგი სწორ მეთოდოლოგიურ პრინციპებზე იყოს აგებული" [51, გვ. 301], რაც ანტონს შემდეგნაირად ესმოდა; სქოლასტიკის ტრადიციების დაცვა, მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთობის მოგვარება.

ანტონის აზრით, ცოდნა „სწავლულებით მოიგების“. მისთვის ცნობილია ვოლფის სკოლის შეხედულება ცოდნის სამი სახის შესახებ: 1. ცნობა ისტორიკოსებრი 2. ცნობა ფილოსოფოსებრი, 3. ცნობა მათემატიკოსებრი.

ცნობა ისტორიკოსებრი არის ემპირიული ცოდნა ფაქტების, აღწერითი ცოდნა. ცოდნა ფილოსოფოსებრი არის ცნობად რიზეზი ნივთთა მათ, ე.ი., მათი საფუძვლების ცოდნა. ცოდნა მათემატიკოსებრი არის ცნობა რაოდენობისა ნივთთა. ანტონის აზრით, ცოდნა, სწავლა არის საფუძველი შეგნებული, ბედნიერი ცხოვრებისა. მას შეგნებული ჰქონდა სიბრძნის - მეცნიერების როლი და მნიშვნელობა გონიერი აღზრდის სისტემაში. მისი მოღვაწეობის პერიოდი დამთხვევა XVIII საუკუნის ცნობილ განმანათლებლთა ფილოსოფიური და მეცნიერული იდეების ფართოდ გავრცელების ეპოქას, რომელიც საქართველოში საქმაო სიძლიერით გამოვლინდა. ანტონმა, როგორც ფილოსოფიურად მოაზროვნე ადამიანმა, იცოდა, რომ მეცნიერებას, მის იდეებს, ვერაფერი ვერ შეაჩერებდა, წინ ვერ დაუდგებოდა.

ანტონ პირველი თავის „ნინასიტყვაობა ფილოსოფიისა-ში“ მსჯელობს ქრისტიანული სწავლის დიდი მნიშვნელობის შესახებ საზოგადოებისათვის, ასაბუთებს ამას მეცნიერებაზე დაყრდნობითა და საღმრთო წერილების მოშველიერი დასკვნის: „მაშმადმე, თვითი სწავლის ვრფინ პლოვის სიბრძნე. ქმა არს შურითა შეუქმედოა და სიმართლის-მოყუარეთა მიმართ სიბრძნისა სწავლულებით მოვებისათვის მტკიცედ დამტკიცებანი ჩემნი ზემო-თქმულნიო".

ანტონს მიაჩნია, რომ ადამიანი ცხოველს არ უნდა დაემსგავსოს, რადგან მისი გონება ცხოველისაგან დიდად განსხვავდება. ქვეყნისა და მშობლისათვის უმჯობესია განათლებული, მცოდნე შვილის ყოლა, რადგან „ყოველი მიდრევა ანუ ზედმი, ვითარ ცეცხლისა, ანუ ქუედმი, ვითარ ქუეყნისა და ნელისა, ანუ იმრ და იმრ, ვითარ რა იგურდივ, ვითარცა და იგი ცხოველთ" შორის არის" [135, გვ. 16].

ქრისტიანული აღზრდა, ანტონის გაგებით, ის ძალაა, რომლითაც ყალიბდება პიროვნება, ვითარდება ინდივიდი. თუ ბავშვი ბატარაობიდანვე სისასტიკისა და სიძულვილის პირობებში იზრდება,

მაშინ მისგან ვერ მივიღებთ საზოგადოებისათვის სასარგებლო  
პიროვნებას. ამიტომაც ბავშვის ქრისტიანულ აღზრდას პატარაობიდანვე  
უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურალდება. ბავშვი, როგორც  
ადამიანი, ბუნების პირმშოა, პიროვნებას კი საზოგადოება ქმნის  
აღზრდის მეშვეობით. ანტონის შეხედულებით, აღსაზრდელი სიყრმის  
ასაკიდანვე უნდა შეეჩინოს აღმზრდელის ზემოქმედებას.

ანტონი, როგორც ჩანს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მშობლის  
როლს შვილის, ქრისტიანულად სწორად აღზრდის საქმეში, რადგან  
ძირითადი კავშირი შვილს მშობელთან აქვს. ანტონი სამშობლოსა  
და ერის უდიდეს სიყვარულს უკავშირებდა მოზარდი თაობის  
აღზრდისა და სწავლის საკითხს, მიაჩნდა რა ის ამ დიდი სიყვარულის  
განუყოფელ ნაწილად.

თუ ყურადღებით განვიხილავთ ანტონის შრომებს, მათში ნათლად  
დავინახავთ, რომ როგორც ღვთის მსახური და თეოლოგი,  
„მეცნიერისადმი მინიჭებულ ყოველგვარ ლირსებას ღმერთს მიაწერს.  
აქედან გამომდინარე, შეიძლება დაგასკვნათ, რომ ანტონის აზრით,  
მეცნიერი ვალდებულია თავისი შეხედულებებისდა მიუხედავად  
ემსახურებოდეს ღმერთს.

როგორც აღნიშნეთ, ანტონი მოზარდის ქრისტიანული აღზრდის  
საქმეში აუცილებელ კერად ოჯახს თვლიდა. მაგრამ ის არ მიაჩნდა-  
საკმაო საშუალებად, რადგან, ანტონის აზრით, ოჯახს არ შეუძლია  
მისცეს ადამიანს ცოდნის ის სისტემა, რომელიც მას სჭირდება  
საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად. ასეთი დიდი  
მისიის შესასრულებლად ანტონის ოჯახთან ერთად სკოლა მიაჩნდა.  
ის დიდ ყურადღებას აქცევდა სასკოლო მუშაობის ორგანიზაციას,  
მოსწავლეთა დაყოფას კლასებად, კლასში ერთი და იგივე ასაკის  
მოსწავლეთა გაერთიანებას, აღსაზრდელებისადმი მეთვალყურეობის  
გაძლიერებას და სხვ.

ანტონმა განსაზღვრა თბილისის სემინარიის თითოეული კლასის  
სასწავლო-აღმზრდებულობითი ამოცანა. როგორც ცნობილია, სემინარიაში  
დაწყებითი კლასების ამოცანას შეადგენდა კითხვის, წერისა და  
ანგარიშის სწავლება ქართულ ენაზე. შემდგომ კლასებში იწყებოდა  
გრამატიკის, სინტაქსის, პიტიკის, რიტორიკის, ფილოსოფიისა და  
ლეთისმეტყველების სწავლება.

რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ ანტონ I თავის თანამოაზრებთან  
ერთად ამუშავებს თელავის სასულიერო სემინარიის ორგანიზაციის

პროექტს. უპირველეს ყოვლისა, ადგენს სასწავლო გეგმას. როგორც ჩანს, მას ხელთ ჰქონდა მოსკოვის სასულიერო აკადემიისა და მოსკოვის სლავურ-ბერძნულ-ლათინური აკადემიის სასწავლო გეგმები. მათში სწავლება მიმდინარეობდა ჯერ ბერძნულ, ხოლო შემდეგ ლათინურ ენებზე. სასწავლო კურსის საფუძველს წარმოადგენდა შვიდი თავისუფალი ხელოვნება და საერთო საგნების სწავლება ლვობისმეტყველების ინტერესს ემსახურებოდა.

თელავის სასულიერო სემინარიის სასწავლო გეგმით, რომელიც ანტონ კათალიკოსის ხელმძღვანელობით იყო შედგენილი, შემდეგი საგნები ისწავლებოდა: ქართული ენა, ბერძნული ენა, ლათინური ენა, გრამატიკა, რიტორიკა, კატეხიზისი, ფიზიკა, ფილოსოფია, მათემატიკა, ისტორია, გეორგაფია, იურისპრუდენცია, თეოლოგია. სასწავლო გეგმით ყველა საგანი ისწავლებოდა ქართულ ენაზე.

თავის დიდაქტიკურ შეხედულებებში ანტონ I მინიჭნელოვან როლს უთმობდა სახელმძღვანელო წიგნებს. ანტონის აზრით, სახელმძღვანელო წიგნების შინაარსი წარმოადგენს აზრისა და გონიერების წყაროს, ანტონს მიაჩნდა, რომ სასწავლო-სააღმზრდელო პრიცესი მაშინ იქნებოდა სათანადო სიმაღლეზე დაყენებული იმ შემოხვევაში, თუ იქნებოდა მოწესრიგებული პედაგოგიური გარემო და კარგი, მეცნიერულად გამართული სახელმძღვანელო წიგნები. ამიტომ იყო, რომ ანტონი თავისი პედაგოგიური თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის მანძილზე ცდილობდა ქართულ ენაზე გადმოედო იავთი სახელმძღვანელო წიგნები, რომელთა გაცნობის შემდეგ მოსწავლები ჩამოყალიბდებოდა ჯანსაღი სული, დადებითი მომენტები. ამიტომ ცდილობდა ანტონი დიდი რაოდენობით და ემზადებინა სახელმძღვანელოები. მან „შეკრიბა საუკეთესო მნერალნი და მოკარნახეს ხელქვეით ოცი და ოცდათი ცალი ერთსა და იმავე დროს ინერებოდა და ვრცელდებოდნენ სახელმძღვანელო წიგნები“ [90, გვ. 152].

ანტონი, როგორც აღვნიშნეთ, თვითონვე ეწეოდა პრაქტიკულ პედაგოგიურ მოღვაწეობას. ამ სემინარიების „დირექტორსა და პრორექტორს“, გაიოზ რექტორის სიტყვით, წარმოადგენდა ანტონ პირველი. ამიტომაც, როგორც ინიციატორი და სელმძღვანელი ამ საქმისა და სასწავლო სახელმძღვანელოების შემქმნელი პედაგოგი, ერევლე ॥ თანხმობით, ანტონს თვითონ უნდა ეკისრა დირექტორის. თავიდანვე ეს დირსეული საქმე ანტონმა ლირსეულად იტვირთა და ატარა მთელი ცხოვრების მანძილზე. იგი თვითონაც მასწავლებლობდა

თბილისის სასულიერო სემინარიაში. გაიოზ რექტორი, რომელსაც დაუმთავრებია თბილისის სასულიერო სემინარია, აღნიშნავს, რომ მაა ასწავლიდა ანტონ I და ჩამოთვლის იმ საგნებს, რომელიც ასწავლიდა მათ: 1. ლრამატიკა, 2. პიიტიკასა და ხელოვნებასა შინა გამომიცდიეს; 3. რიტორიკა, 4. ლოღიკაი ბაჟმაისტერისა, 5. ქვექმულებანი (კატეგორიები) ძველისა სხოლასტიკისა არისტოტელესი, 6. მეტაფიზიკა ბაჟმაისტერისავე, 7. ფისიკა სხვადასხვა ფილოსოფოსთა ქმნილი, 8. ფილოსოფია, მორალი მისივე ბაჟმაისტერისა. ამ სიიდან ჩანს არა მარტო ის საგნები, რომელთაც ასწავლიდა ანტონ კათალიკოზი თავის მოწაფეებს თბილისის სასულიერო სემინარიაში, არამედ უმეტესად მის მიერ შექმნილი საკუთარი ან ნათარგმნი ის ნაწარმოებებიც, რომლებიც სახელმძღვანელოდ გამხდარა სემინარისტებისთვის. ზემოთქმულს ადასტურებს ანტონ პირველისავე წერილი, იმერეთის კათოლიკოსს ბესარიონთან მიწერილი, რომელიც შეუქმნია მას დახალოებით 1865 წელს.

ჩვენ არ ვიცით, თავისი მეტად დატვირთულობის გამო სისტემატურად და სანგრძლივად უშუალოდ მასწავლებლობდა თუ არა ანტონი თბილისის სასულიერო სემინარიაში, მაგრამ ფაქტია ის, რომ მის მრავალრიცხვოან მოწაფეთაგან ნაწილს მაიც უშუალოდ მისგანვე ამ სემინარიაში მოუსმენია ზემოხსენებული საგნები და არა მარტო უსწავლია მისი წიგნებიდან.

ანტონის მოღვაწეობა, მისი საქმიანობის თითოეული მონაკვეთი გამსჭვალულია ეროვნულობის პრინციპით. სახელმწიფო და მისი სასიცოცხლო ინტერესები, ანტონის აზრით, განსაზღვრავენ აღზრდა-განათლებს მიზნებს და ამოცანებს, მის შინაარსს და მეთოდებს. ჩვენი აზრით, ანტონ I საქართველოში ქრისტიანული სწავლა-აღზრდის სისტემის მოწყობას ცდილობდა შემდეგი მოთხოვნების შესაბამისად: 1. აღზრდა-განათლება და სწავლება მიმართული უნდა იყოს მაღალზნეობრივი რელიგიური სულისკვეთებით ადამიანის ფორმირება-ჩამოყალიბებისაკენ; 2. განათლებას უნდა ჰქონდეს საყოველთაო ქრისტიანული ხასიათი; 3. აღზრდამ უნდა მოამზადოს ადამიანი იმქვენიური ცხოვრებისათვის; 4. მშობლიურ ენაზე სწავლება და მისი განვითარება განათლების საფუძველს უნდა წარმოადგენდეს. ეს მოთხოვნები ეფუძნება ტერიტორიულ მთლიანობას, მშობლიურ ენას, ხალხის თავისებურებების შესაბამისად მოწყობილ განათლების სისტემასა და ეკლესიას.

ანტონის წარმოდგენით, „სიბრძნე“ (ცოდნა, განათლება) არის „თანად მიუვრ მიკრომანი მაღალთაცა და მდაბალთა და წვმა მართალთაცა ზედდა და ცოდვილთა“ [135, გვ. 17]. ამრიგად, ანტონის აზრით, ცოდნა-განათლება ყველასათვის არის საჭირო, მიუხედავად გვარიშვილობისა, სიმდიდრისა თუ ლარიბობისა და სხვათა, და იგი უნდა ეფინებოდეს ყველას. სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, ყველა სოციალური წრის წარმომადგენელთა განათლება - ეს იყო მიზანი ანტონ I და ერეკლე II. მაგრამ ერთი პირობით, სემინარიაში მიეღოთ მხოლოდ გამორჩეული ნიჭის მქონე დაბალი სოციალური წრის წამომადგენლები. 1770 წლის 21 სექტემბრის ბრძანებულებით, „მოძღვართ-მოძღვრის მოხელეებისადმი მეფე ერეკლეს ნათქვამი აქვს: „დავით რექტორს შეგირდები... თქვენის ეკლესიის „ყმიდამაც უნდა მიებაროსო“. უეჭველია, აქ იგულისხმება დაბალი სოციალური წრის (ფერის) წარმომადგენლები.

სახელმწიფო და საეკლესიო საქმეებით დატვირთული ანტონ I და ერეკლე II გამონახავდნენ დროს სკოლების მოსანასულებლად. „მასისა თვესა მეფე მობრძანდა კალოუბანსა და იხილა მოწაფენი ეფრეძე მღვდლის კალოუბნელისა“ [85, გვ. 179]. ერეკლესა და ანტონს ყოველთვის აინტერესებდა, თუ როგორ მიმდინარეობად სასწავლებლის მშენებლობა, ან როგორ ცოდნას ამჟღავნებდა მოსწავლეები: „ზაქარია დიაკონი განამტკიცეთ, მაგ საქმეზედ ბეჯითად იყოს, სხვა გულში ნუღარა უძევს რა. იცოდეს მაგისი დაძვრა არ იქნება, სკოლის საქმე ან სწავლა ვისგანმე მომატებული - ყველა გვაუწყე მტკიცედ იყავ მაგ საქმეზედ. ჩემი საამო ის არის, რასაც ბეჯითად იქნები“ [135, გვ. 163] - წერდა ერეკლე მეორე დოსითეოზ ნეკრესელს.

„ანტონ პირველის სიტყვით ისე შეუძლებელია წარმოიშვას და განხორციელდეს საზოგადოებაში „ყოვლის მეცნიერებისა თავს შორის მოგებისა ტრფიალებისა“ და „გნოსისნი აზნაურთა და თავისუფალთა ცნობათანი“ - ეს ფართოდ გავრცელების გარეშე, რომელიცა უსარგებლეს არს მოქალაქეობასა შინა მსოფლიოსა“ [135, გვ. 19].

ამრიგად, ანტონი მომხრეა ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ხასიათის ცოდნის საზოგადოების ყველა ფერისათვის მიწოდების, სემინარიების და სახალხო განათლების სხვა დაწესებულებების საშუალებით - ეს, ჩვენი აზრით, იყო სახალხო განათლების დარგში ერეკლე II და ანტონ პირველის ძირითადი პრინციპი.

ანტონის ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ მოძღვრებაში

მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მშობლიურ ენაზე სწავლების მოთხოვნას. მაშინდელ ეპოქულ სასულიერო სკოლებში გაძლიერებული იყო ლათინურ ენაზე სწავლება, ანტონმა კი ქართულ სასულიერო სასწავლებელში გააბატონა მხოლოდ ქართული ენა.

სწავლების წარმატების პირობად, გარდა დიდაქტიკური პრინციპებისა, ანტონი მიიჩინევდა ფსიქოლოგიურ ფაქტორებს: ინტერესს, ყურადღებას, მესსერებას, აზროვნებასა და ნებისყოფას. ამ ფაქტორთა როლისა და ადგილის დასაბუთება გაფანტულია მის მრავალრიცხოვან შრომებში.

ანტონს ანგარიშგასანევი შეხედულებანი აქვს სწავლების მეთოდების შესახებ. იგი სწავლების მეთოდის შერჩევისას გამოდიოდა სწავლების მიზნებიდან, მოსწავლეთა განვითარების დონიდან, საგნის სპეციფიკიდან.

ანტონ კათალიკოსის მითითებით სემინარიაში იყენებდნენ სასწავლო დისციპლინების გადაცემის ლექციურ მეთოდს. მისივე ცნობით, ის მოსწავლებს ლექციებს უკითხავდა; მე მამისმენიეს მაგისდა - ამას უნდა ნიშნავდეს. ანტონისეული ლექციური მეთოდი ძალაში დარჩა გაიოზისა და დავით რექტორის დორსაც. როგორც მ. დარჩია აღნიშნავს, „ამას მოწმობს ერეკლე მეორეს ბრძანება დავით რექტორისადმი: „მოწაფეთ შემომიკრებთ და ფილოსოფია უნდა მოასმენოთ“ [65, გვ. 162].

სასულიერო სემინარიაში დანერგილ ლექციურ მეთოდს, ჩვენი აზრით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ზეპირმეტყველების დანერგვისა და განვითარებისათვის. ანტონი მოსწავლეთა ცოდნის დონეს ამჟღავნებდა საჯარო პაექტონბებზე, დისპუტებსა და შეკრებებზე, რომლებიც თბილისისა და თელავის სემინარიებში ხშირად იმართებოდა.

ანტონი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქართულ ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ-პედაგოგიკაში საჯარო დისპუტების მეთოდის გამოყენებას და ასაბუთებს მის საჭიროებას, ღვთისმეტყველების განყოფილების მსმენელები ადგნიდნენ ქადაგებას და ფილოსოფის-რიტორების თანდასწრებით წარმოთქვამდნენ მას ზეპირად. თავის მხრიც, ფილოსოფიის (ფაკულტეტის) განყოფილების მსმენელები წარმოთქვამდნენ მათ მიერ ქართულ და ლათინურ ენაზე შედგენილი სიტყვის ტექსტს თეოლოგებისა და რიტორების თანდასწრებით. ამ მიზნით რიტორიკის მასწავლებელი ასწავლიდა ორივე განყოფილების მსმენელებს სიტყვებისა და ქადაგების ტექსტების შედგენას, ამ ტექსტების გაზეპირებას.

ანტონი დიდ ყურადღებას უთმობდა, აგრეთვე საზეიმო შეკრებების მეთოდის გამოყენებას. ეს მეთოდი შემდეგში უცრო დახვეწა და სრულყოფილი გახადა გაიოზ რექტორმა, სადაც სემინარისტები დისპუტებსა და პაექტობებში მონაწილეობდნენ. ეს ღონისძიებანი, როგორც წესი, სასწავლო წლის ბოლოს ტარდებოდა. საზეიმო შეკრებებს ესწრებოდა ფართო საზოგადოებრიობა და სამეფო კარის წარმომადგენლები. ასეთი დისპუტებისა და პაექტობების ძირითადი მიზანი იყო სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარებული მუშაობის შეჯამება-შემოწმება, რომელიც ეწყობოდა ამა თუ იმ საგნის სრული კურსის მოსმენის შემდეგ.

თელავის სემინარის საზეიმო შეკრებების შესახებ საინტერესო ცნობაა, შემონახული: „იქნა შემოკრება აქაურთა ჩინებულთა სემინარად, უთქვამთ გალობით მეუფეო ზეცისაო”, რის შედეგადაც „წვრილთა სემინარისტთაგან ითქვა სიტყვა განცვიფრებით”, ... ხოლო რექტორის გამოსვლის შემდეგ კვლავ „ითქვნენ საუბრით სემინარისტთაგან ურთიერთისადმი ჰაზრი, სტიხით, იამბეკურათ ქმნილნი” [115, გვ. 110]. ასეთ საზეიმო შეკრებებში უშუალო მონაწილეობას იღებდნენ ერეკლე მეორე და საქართველოს ეკლესის საჭეომპყრობელი ანტონ პირველი.

თელავის სემინარიაში სტუმრად მისულ სამეფო კარის წარმომადგენლებს, რექტორის რჩევით, იამბიკოთი მიმართავდნენ სწავლაში წარჩინებული სემინარისტები. ჩვენამდე მოლწეულია საინტერესო ცნობები სტუმრისადმი იამბიკოს მიძღვნის შესახებ: „როდესაც ლრამატიკას ვპკითხულობდი და პატარაც ვიყავ და მაშინ დიდმა კათალიკოსმან მეფის იქსეს ძემან ანტონი მიბრძანა მისი სიმაღლის ირაკლის ქება, იამბიკოთი პსთქვიო და მაშინ ვსთქვი” [135, გვ. 199]. როგორც ჩანს, ანტონმა ფართოდ დაამკვიდრა ქართულ ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ პედაგოგიკაში იამბიკოების წარმოთქმის წესი, რაც სათანადო ცოდნის შექნის საშუალებას წარმოადგენდა. ამასთან, იგი ყოველი მსმენელისაგან მოითხოვდა დამოუკიდებელი მუშაობის წარმართვას და, რაც მთავარია, ხელს უწყობდა დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას.

მიგვაჩნია, რომ საჯარო დისპუტების, საზეიმო შეკრებების მეთოდი გამოყენებული იყო თითქმის ყველა სასწავლო საგანში. მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასებას ახდენდნენ იმის მიხედვით, თუ რამდენად მაღალხარისხოვანი შინაარსის ქადაგებას ან სიტყვას წარმოთქვამდა მოსწავლე, როგორ შეძლებდა წამოყენებული დებულების დამტკიცებას,

ოპონენტის დამარცხებასა და ყოველი ფრაზის მჭერმეტყველურად გამოთქმას.

ჩვენ მიერ აღნიშნული მეთოდების გამოყენების საქმეში მსმენელებს დიდ დახმარებას უწევდა ამ დროისათვის უკვე გამოქვეყნებული წიგნები, როგორიც იყო: ანტონ პირველის „ქართული ენის გრამატიკა”, ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს ისტორია და გეოგრაფია”, მისივე „გეოგრაფიის მოკლე კურსი”, არისტოტელს „კატეგორიები”, ბაჟმაისტერის „ლოგიკა”, „მეტაფიზიკა”, ანტონ პირველის „საქართველოს ისტორიის მოკლე კურსი”, მისივე „ლვისმეტყველების” ოთხტომეული, „სპეცალი” და სხვ.

მიგვაჩინია, რომ მარტო საჯარო დისპუტებსა და საზეიმო შეკრებებზე არ მუდავნდებოდა მოსწავლეთა ცოდნის დონე.

ანტონ კათალიკესი აწარმოებდა თავის მოსწავლეთა გამოცდასაც. ერთგან იგი წერდა: „პილტიკასა შინა გამომიცდის”. მოსწავლეთა ცოდნის შეფასების ეს მეთოდი დარჩა გაიოზ რექტორისა და დავით რექტორის დროსაც. ოლონდ მათ, უფრო სრულყოფილი ფორმა მისცეს. გარდა ჩვეულებრივი გამოცდებისა, შემოიღეს მოსწავლეთა შეფასება შეკრებებზე, რაც უფრო ამაღლებდა მომთხოვნელობას, როგორიც მასწავლებელთა, ისე სემინარისტთა მიმართ. მაშინდელი პროგრესულად მოაზროვნე ქართველობის დიდი ნაწილი, რომელიც რესერვი ეზიარა სწავლა-განათლებას, იწონებდა ცოდნის შემოწმება-შეფასების საგამოცდო სისტემას. ჯერ კიდევ იოანე ბატონიშვილი წერდა: „მე მოსკვების სკოლებში ვუყურე, რომ მოსწავლეთ ასწავლიდნენ ფიზიკას და ეგზაცენიაც უყვეს” [18, გვ. 79]. ამდენად, მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საგამოცდო სისტემა, რომელიც ანტონ პირველმა შემოიტანა ქართულ სკოლებში და შემდგებში გაიოზ და დავით რექტორებმა დანერგეს, მონონებული იქნა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში.

საქართველოს სასწავლებლებში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მოსწავლეთა წახალისების სხვადასხვა ფორმა იყო გამოყენებული. თელავისა და თბილისის სემინარიებში, ეს იყო სემინარისტების გამოსვლები საჯარო პაექტობებსა და დისპუტებში. წარჩინებული მოსწავლეები, პირველ რიგში, იღებდნენ მონაწილეობას სამეცო გვარის წარმომადგენლებთან შეხვედრაში, რომლებიც, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, სემინარის ხშირი სტუმრები იყვნენ. სემინარის მოსწავლეები, რომლებიც გამოიჩინდნენ თავს სტუმრის წინაშე,

განსაკუთრებით ერეკლე II, ანტონ I და სამეფო კარის სახლეულობის წინაშე, რექტორის საჯარო შექებასა და ჯილდოს იმსახურებდნენ.

პიროვნების ფორმირებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა ანტონი აღმზრდელის პირად მაგალითს, რომელიც ეყრდნობოდა მასწავლებლის ავტორიტეტს. ანტონის შეხედულებით, თუ აღმზრდელი უწყინარი, თავდადებული, შრომისმოყვარე, გულისხმიერი, თავშეკავებული, მტკიცე ხასიათის, სამართლიანი და პარდაპირია თავის საქმიანობაში, მაშინ მისი პირადი მაგალითი აღსაზრდელზე უფრო მეტ გავლენას ახდენს, ვიდრე მისი ორატორული ხელოვნება და ზნეობრივი დარიგებანი.

ჩვენი შეხედულებით, ანტონ პირველი, ალბათ, ხშირად მიმართავდა გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებასა და საქმიანობას. იგი ხშირად მოუთხრობდა მრევლს იქსო ქრისტეს, პეტრე მოციქულისა და სხვათა ცხოვრებისეულ მაგალითებს, რომლითაც დიდ ზეგავლენას ახდენდა პიროვნების სულიერ და ზნეობრივ განვითარებაზე.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთში არსებულ სემინარიაში დანერგილი იყო აღმზრდის მეცნირი მეთოდი. კერძოდ, მოსხავლეთა ფიზიკური დასჯა. ეს მეთოდი ჯერ კიდევ ანტონ I შემოიტანა რუსული სკოლებიდან და შემდეგში ჩვენში დანერგა გაიოზ რექტორმა. ფაქტორურად, ისინი გვევლინებიან ფიზიკური დასჯის მომხრეებად. სემინარიაში არსებული ფიზიკური დასჯის მეთოდზე მიგვანიშნებს იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში“, სადაც აღნიერილია, თუ როგორ სჯიდა ქურდობისათვის დავით რექტორი კატას, რომლის დამნახავი იოანე ხელაშვილი იტყვის: „გმადლობ შენ უფალო, ჩვენი ფეხები მოწაფეობის დროს ამ ყოფაში იყვნენ, და ახლა ეს საბრალო კატა დამოწაფებია, და ნეტარ გავსცნა, თუ რაისა სწავლისათვის ასე უწყალოდ სტანჯავს“ [18, გვ. 68].

მიუხედავად იმისა, რომ გავრცელებული იყო მოსწავლეთა ფიზიკური დასჯა, ჩვენ ვიზიარებთ პროფ. გ. ჯავახიშვილის აზრს, რომ „როგორც არ უნდა ყოფილიყო მართლაც სასტიკი აღმზრდის მეთოდი, გამეცებული თელავის სემინარიაში, მაინც მაშინ მარტო ის სასწავლებელი იყო, საიდგანაც გამოდიოდა ცოტად თუ მეტად ნასწავლი ხალხი“ [192, გვ. 91].

ანტონისავე დამსახურებაა მოძღვართ-მოძღვრის ინსტიტუტის დაარსება გელათის აკადემიის მსგავსად. მაგრამ ამ თანამდებობაზე მყოფი პიროვნება არ ასრულებდა იგივე როლს, რასაც გელათის

აკადემიის მოძღვართ-მოძღვარი. ამ საკითხებს ფართოდ შექმნენ თავის გამოკვლევებში: ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, კ. კეცელიძე, გ. თავზიშვილი და სხვა. მიგვაჩინია, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში „მოძღვართ-მოძღვარი“ იყო მონასტერთა წინამძღვართა და მამასახლისთა ზემოთმდგომი, მათი საერთო ხელმძღვანელი. „მოძღვართ-მოძღვრის“ ინსტიტუტის ფუნქციებში შედიოდა არა მარტო მონასტრებისა საყოფაცხოვრებო საქმეთა და შინაგანაწესის შესრულების შეთვალყურეობა, არამედ განსაკუთრებით სამღვდელო პირთა სწავლება მონასტრებთან არსებულ სკოლებსა, მგალობელთა წრეებსა და კალიგრაფთა ჯგუფებში, აგრეთვე მღვდელმსახურების პრაქტიკის გადაცემა მოსწავლეებისადმი და სხვ. მიგვაჩინია, რომ ეს თანამდებობა თავის მოღვაწეობის დასაწყისში ანტონ I ეჭირა და შეტად ნაყოფიერედაც იღვაწა ერისა და ქვეყნის სასარგებლოდ. ამდენად, ანტონის საგანმანათლებლო მოღვაწეობამ და მისმა პედაგოგიურმა იდეებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მე-18 საუკუნის საქართველოში ქრისტიანულ, საგანმანათლებლო კერძებისა და გართული ქრისტიანულ-მართლმადიდებლური აზრის განვითარების საქმეში.

როგორც ჩანს, სათანადო ყურადღება ექცეოდა ქალთა განათლებასაც. ერეკლე I-ის ასულ მარიამს თავისი დროისათვის სოლიდური განათლება მიუღია. მასვე შეუსწავლია უცხო ენები, კარგად ყოფილა განაფული ბერძნულ ში. მარიამი ქართული კულტურისა და განათლების თავდადებულ მუშაკად ითვლებოდა და სხვებაც მოუწოდებდა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისაკენ.

საგანმანათლებლო-პედაგოგიური საქმიანობა გრძელდებოდა ჯრუჭის მონასტერშიც. დაიკონ-მონაზონ მაქსიმეს (1785 წ.). გადაუწერია იოანე ოქროპირის (IV სს) ბიზანტიიელი მოღვაწისა და მჭვერმეტყველის, „სწავლანი“, ხოლო 1788 წ. გაბაშვილის „სათნოებათა ყვავილი“ და „მამათა სწავლანი“.

სხვადასხვა ისტორიული, სასულიერო და საერო ლიტერატურული ძეგლის შესწავლის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს სასულიერო სასწავლო საგანმანათლებლო კერძებში სწავლება არა მარტო კერძალურად, არამედ უფრო მეტად - თვალსაჩინოდ მიმდანარეობდა. ვინაიდან კარგად იცნობდნენ, რომ თვალსაჩინოება ხელს უწყობს ცოდნის შეგნებულად და გააზრებულად ათვისებას. როგორც ჩანს, ისინი ითვალისწინებდნენ, რომ

ახალგაზრდობა სააქაო ცხოვრებისათვის, მოქმედებისათვის უნდა მოემზადებინათ და არა მხოლოდ სამუდამო სასუფევლისათვის, ამიტომ მასწავლებელს ცხოვრებაში სამოქმედოდ სასარგებლო ცოდნა უნდა მიეცა მოსწავლისათვის. განსაკუთრებული ყურადღება ექცევიდა თანმიმდევრობის პრინციპს, რაც განაპირობებდა ცოდნის მარტივიდან რთულზე გადასვლის გზით, მტკიცედ, ღრმად და გააზრებულად შეთვისებას. წინა პლანზე წამოვიდა აღზრდისა და აღმზრდელის განმსაზღვრელი როლი პიროვნების ქრისტიანული სულისკვეთებით ფორმირების საქმეში.

მიგვაჩინია, რომ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისთანავე ქრისტიანობა იყო ის სულიერი საზრდო, რომელიც ხელს უწყობდა ხალხის სწავლა-განათლებას, მის შემდგომ განვითარებას. წარმართულ რელიგიასთან შედარებით ქრისტიანობა ადამიანთა სულიერ ცხოვრებაში წინგადადგმული ნაბიჯი იყო. იგი არ მოსულა ყოველგვარი წარმართული წესჩერებების ნვრევით, არამედ, როგორც გ. ქიქოძე შენიშვნავს: „ქრისტიანობას რომ თავისი ისტორიული მისა წარმართული ხელოფნების და მწერლობის ქელების სრული განადგურებით დაეწყო, იგი ვიწრო ებრაულ სექტად დარჩებოდა და ვერასოდეს მსოფლიო რელიგიად ვერ გადაიქცეოდა. ქრისტიანობამ წარმართული კულტურა კი არ მოსპო, არამედ გადალახა, ე.ი., ამ კულტურიდან უკუაგდო რაც მისთვის მიუღებელი ჩანდა და აითვისა, რაც მისთვის აუცილებლად საჭირო იყო“ [158, გვ. 13]. ქართულმა ქრისტიანულმა ეკლესიამ აღმაღლა რა ავტორიტეტი, დააკანონა თავისი მაღალი უფლებები, უდიდესი ამაგი დასდო ქართული ენის, ლიტერატურის, მართლმადიდებლური პედაგოგიური აზროვნების საქმეს. ეკლესია-მონასტრები ქართული განათლების, მწიგნობრობისა და პედაგოგიკური აზროვნების კერებს წარმოადგენდა. ქართული ქრისტიანულ-მართლმადიდებლური პედაგოგიკა ქართველ ახალგაზრდებს ცოდნას უმთავრესად ამ კერებში აზიარებდა. წინა პლანზე წამოვიდა ქრისტიანული აღზრდისა და აღმზრდელის როლი. ახორციელებდა რა თავის მიზანს, ქართული ქრისტიანულ-მართლმადიდებლური პედაგოგიკა ახალგაზრდობას ამზადებდა იქვეყნიური ცხოვრებისათვის, ამასთანავე, ცდილობდა მათს ზნეობრივ სრულყოფას. სწავლების პროცესში მასწავლებელს უნდა ეზრუნა მოსწავლის ზნეობრივ აღზრდაზეც, მასში ქრისტიანული თვისებების ჩამოყალიბებაზე და ეს ზრუნვა მას გამოემულავნებინა

არა მარტო სიტყვიერი ქადაგებით, არამედ პირადი ცხოვრების მაგალითითაც. მასწავლებელს არ ჰქონდა უფლება, აღეზარდა სხვა, თუ თვით არ იყო სანიმუშო ქცევის, ე.ი., გარდა იმისა, რომ მის უნდა სცოდნოდა ის, რასაც ასწავლიდა, თვითონ უნდა ყოფილიყო სამაგალითო და შეძლებოდა ქრისტიანული ჭეშმარიტებით ბავშვის აღზრდა. მასწავლებელს ევალებოდა შეეცნო მოსწავლის სულიერი სამყარო, მისი ჭირ-გარამი, დაერიგებინა და აღეზარდა იგი, ემხილებინა და აღმოეფხვრა მასში სიზარმაცე და მანკიერებანი, ესწავლებინა მისთვის კაცთმოყვარეობა, ზრდილობა, პატიოსნება, პირდაპირობა, თავმდაბლობა და სხვ. განსაკუთრებით, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ სასწავლო პროცესიდან გამორიცხული იყო მოსწავლის ფიზიკური დასჯა. თუ მოწაფე გულმოდგინებას არ იჩენდა, მას ფიზიკურად კი არ სჯიდნენ, არამედ ამხელდნენ, მრავალგზის დაარიგებდნენ, ასწავლიდნენ, მზრუნველობას გაუწევდნენ და მასწავლებელსაც სასწავლო-სააღმზრდელო საქმის ხელმძღვანელნი სთხოვდნენ, კარგად მოქცეოდა აღსაზრდელს და გასაჭირში არ ჩაეგდო ბავშვი. მტკიცედ იყო განსაზღვრული მოსწავლისა და მასწავლებლის დამოკიდებულება. მოწაფეს არ შეეძლო თვითონებურად მასწავლებლის მიტოვება და მასწავლებელსაც არ ჰქონდა უფლება, მისთვის ფიზიკური ტკივილი მიეყნებინა. ერთი სოტყვით, სამღვდელოება იყო ამ სკოლების მთავარი მოქირნახულე და, რა თქმა უნდა, სასულიერო პირებად და ქრისტიანული პედაგოგიკური იდეებით აღსაზრდელთა სწავლა-განათლება სწორედ ამ სასწავლებლებში მიღიოდა. მასწავლებლები მღვდლები და დიაკვნები ან ადგილობრივ ეპარქიულ სასწავლებლებში იყვნენ აღზრდილნი, ან საგანმანათლებლო საქმიანობაში ამ სკოლებთან ახლოს მდგომნი. ქართული ქრისტიანული მართლმადიდებლური პედაგოგიკის საუკეთესო წარმომადგენლები საეკლესიო-სამრევლო სკოლებში და სასულიერო სასწავლებლებში ამკვიდრებდნენ სწავლების ისეთ მეთოდებს, როგორებიც არის: ლექციური მეთოდი, საჯარო პაექტობა, საჯარო დისპუტები, საზეიმო შეკრებები, იამბიკოები, მაგალითი გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებიდან, საქმიანობიდან და სხვა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ საეკლესიო-სამონასტრო სკოლებში ჩვენში XIX საუკუნის დამდეგამდე გარკვეული, და მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ცოდნის გავრცელების საქმეში.

1801 წელს რუსეთმა დაიპყრო საქართველო, ჩვენში არსებული

ქართული სასწავლებლები თითქმის მთლიანად დაიხურა და დაიწყო რუსული სკოლების დაარსება. შემდეგში რუსულმა მმართველობამ დააარსა სასულიერო სასწავლებლები და საეკლესიო-სამრევლო სკოლები, ცხადია, შეზღუდული რაოდენობით. საეკლესიო-სასულიერო განათლების საქმეს იმპერიაში „წმინდა სინოდი“ ხელმძღვანელობდა, საქართველოში კი ეგზარქატი. საქართველოს ეგზარქატის სათავეში რუსი მოხელეები იდგნენ და ისინი გარუსების პოლიტიკას ახორციელებდნენ.

საეკლესიო-სამონასტრო სკოლების ერთი ნაწილი, რომლებიც მე-18 საუკუნეში არსებობდა, კვლავ აგრძელებდა მუშაობას მე-19 საუკუნის დასაწყისშიც. საეკლესიო-სამონასტრო სკოლების რიცხვი შემცირდა, მაგრამ ერთი ნაწილი კვლავ ფუნქციონირებდა. პირველ რიგში, უნდა მოვიხსენიოთ ნეკრესის, ახტალის, ალავერდის, იოანე ნათლისმცემლის, გარეჯის, ბოდბის საეკლესიო-სამონასტრო სკოლები. დასავლეთ საქართველოში არსებობდა გელათის, ხონის (სვიმონ კუტის), ჭყონდიდის, მარტვილის, ბიჭვინთის, ნიკორწმინდის, ჯრუჭის, ხობის, ცაგერის, ცაიშის, ჯუმათის, შემოქმედის, უბისისა და სხვა სკოლები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საეკლესიო სკოლები იყო ქალთა მონასტრებთან. კერძოდ, ბოდბის, მცხეთის, თევლათის, საჩხერის, მღვიმის და სხვა მონასტრებთან. საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სამრევლო სკოლებში სასწავლო გეგმით გათვალისწინებული იყო: სალვოთ სვეული, რუსული და ქართული წერა-კითხვა (რუსული წერა-კითხვა ზოგიერთ სკოლაში ისწავლებოდა) და არითმეტიკა (ოთხი მოქმედება). მასწავლებლობა დავალებული ჰქონდა სოფლის ადგილობრივ მღვდელს, ვინაიდან მე-19 საუკუნის I ნახევარში საქართველოში არ ყოფილა არც ერთი სპეციალური სასწავლებელი დაწყებითი და საშუალო სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებლად. მოგვიანებით, 1817 წელს გაიხსნა თბილისის სასულიერო სემინარია. შემდეგში ასეთი სასწავლებლები დაარსდა ქუთაისში (1821წ.), ოზურგეთში (1829წ.), მარტვილში (1830წ.). მათი ქსელი უფრო სწრაფად იწყებს ზრდას XIX საუკუნის მეორე ნახევარში. რადგან ისინი უკეთ ახორციელებდნენ ღვთისა და ტახტის ერთგული ახალგაზრდობის აღზრდას. შემუშავდა საეკლესიო-სამრევლო სკოლების ახალი წესდება და სასწავლო გეგმები. საქართველოში ეგზარქატის რუსი მოხელეები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ამ სასწავლებლებში სასტიკად ჩაეხშოთ ყოველგვარი ეროვნული და, პირველ რიგში, ქართულ

ენაზე სწავლება. რუსული ქრისტიანული პედაგოგიკის, სინოდის წარმომადგენლები საქართველოში არსებულ სასულიერო სასწავლებლებში ცდილობდნენ გაებატონებინათ სწავლების სქოლასტიკური მეთოდები, ზეპირობა, მექანიკური განმეორება და მოსწავლეთა გონებრივი დამაჩილუნგებელი სწავლების სხვა ხერხები. წესრიგის დასაცავად აღმინისტრაცია ხშირად მიმართავდა როზგს, კარცერსა და მოსწავლეთა დასჯის სხვა სასტიკ ზომებს. ასეთი მეთოდები კი დამახასიათებელი არ იყო ტრადიციული ქართული ქრისტიანული მართლმადიდებლური პედაგოგიკისათვის.

ქრისტიანული სწავლა-აღზრდის იდეების პროპაგანდით დაინტერესებული იყო „პავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება“, რომელიც 1860 წელს დაარსდა. ამ მიზნით, ამ საზოგადოების წარმომადგენლები აარსებდნენ დაწყებით სკოლებს, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც ადრე ქრისტიანული მოსახლეობა ცხოვრობდა და თურქეთის დიდი ხნის ბატონობის შემდეგ მუსლიმანური სარწმუნოება მიიღო. ასეთი ადგილები იყო აჭარა, საინგილი, სამხრეთ საქართველო, მაგრამ რუსი მისიონერები იქ ისე მოქმედებდნენ, თითქოს ეს რეგიონები საქართველოს, მისი კულტურისა და ეკლესიის შემადგენელი ნაწილი არ ყოფილიყოს. რუსეთის ეკლესიის მესაფერები ქართულ ეკლესია-მონასტრებში საგულდაგულოდ ფხეკდნენ ქართულ ფრესკებსა და წარწერებს, ქართულ ხატებს ცვლიდნენ რუსულით, ეკლესიის კედლებს კირით ათეთოებდნენ, ქართულ ეკლესია-მონასტრებთან აარსებდნენ რუს ბერთა სადგომებს, რათა მოსახლეობაში ქართული ქრისტიანული სული ჩაეკლათ. „ქართველი ხალხის ასიმილაციასა და გარუსებას ისახავდა მიზნად „საზოგადოების“ ენ: კულტურტრეგულული მისია – „კერძოდ, მისი ცდა მეგრელების, სვანებისა და აფხაზებისათვის „აზბუკების“ შემუშავება რუსული ანბანის მიხედვით, აგრეთვე, ქრისტიანული რწმენის „აღდგენა-განმტკიცება“ რუსული ლვითისმსახურების შემოღების გზით“ [183, გვ. 4]. მაგრამ რუსმა დამპყრობლებმა ვერ შეძლეს თავისი მიზნის განხორციელება - ქართველის გარუსება. ამაში გარკვეული როლი შეასრულა „საზოგადოებაში“ მოღვაწე ქართველმა სამღვდელოებამ. ქართველი მისიონერები მკაცრი რეგლამენტაციისა და ზედამხედველობის პირობებშიც ახერხებდნენ ქართული საქმის კეთებას, სერიოზულად უშლიდნენ ხელს ცარიზმის ვერაგული გეგმის განხორციელებას.

ჩვენ მიერ შესწავლილი მასალების თანახმად, შეიძლება დავასკვნათ, რომ საეკლესიო-სამრევლო სკოლების უმეტესობა მე-19 საუკუნის საქართველოში მუშაობდა ორგანიზებულად, სასწავლო გვეგმებისა და პროგრამების მიხედვით. ამიტომ მათი საშუალებით ჩვენ შეგვიძლია გვერდებს გარკვეული ნარმოდგენა, რომ საქართველოში დიდ მონასტრებსა და ეკლესიებთან აქტიური ქრისტიანული საგანმანათლებლო მუშაობა მიმდინარეობდა. უეჭველია მათ არანაკლები, ღვაწლი მიუძღვით ჩვენში მაშინდელი სახალხო განათლების განვითარებისა და ამაღლების საქმეში, ვიდრე სხვა სახის სასწავლებლებს. ვინაიდან ეს სკოლები ჯერ კიდევ არ იყო ეროვნულ ნიადაგს მოწყვეტილი, ისინი აღმოჩნდა ერთადერთი, სადაც გასაგებ, მშობლიურ ენაზე, მიმდინარეობდა სწავლება. XIX საუკუნეში ქართული მართლმადიდებლური და ქრისტიანული პედაგოგიკის წარმომადგენლებმა შეძლეს პრაქტიკულად განეხორციელებინათ აღზრდის პრობლემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა: „ცოცხალი კავშირი ეკლესიას, ოჯახსა და სკოლას შორის“.

ამდენად, სამრევლო სკოლები და სასულიერო სასწავლებლები უმეტეს შემთხვევაში საუკეთესო საშუალებას ნარმოადგენდნენ იმისათვის, რომ ახალგაზრდობას სარწმუნოების ჭეშმარიტი მარცვალი მიეღო. ისინი ლოცვებსა და საგალობლებს შეისწავლიდნენ არა მხოლოდ გონებით, არამედ გულით, ლვთისადმი კრძალვით. მათში კარგად მოწყობილი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, ასაკობრივი დიფერენციაციის დაცვა დადებით შედეგს იძლევიდა. სწავლა სკოლით არ მთავრდებოდა, იგი ვრცელდებოდა ადამიანის მთელ შემდგომ ცხოვრებაში.

რუსი მოხელეები მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში ცდილობდნენ ქართული ქრისტიანულ-მართლმადიდებლური პედაგოგიკური აზრის ჩაკვლას და სასულიერო სასწავლებლებსა და საეკლესიო სკოლებს მიზნად უსახავდნენ, რომ ქართველი ახალგაზრდები აღეზარდათ რუსული სულისკვეთებით, მეფის ხელისუფლებისადმი ერთგულებით. მიუხედავად ამისა, საეკლესიო-სამრევლო სკოლების უმრავლესობა, ჯერ კიდევ არ იყო მოწყვეტილი ეროვნულ ნიადაგს და ისინი აღმოჩნდნენ ერთადერთი საგანმანათლებლო დაწესებულებები, სადაც კვლავ სულდგმულობდა მართლმადიდებლური პედაგოგიკური აზრი. ქართველთა ძლიერება, რომ ქრისტიანობისა და ეროვნულობის ერთიანობაში მდგომარეობდა, ეს შესანიშნავად იცოდა ჩვენი ერის

მტრებმა - შინაურმა თუ გარეულმა, ამიტომ ცდილობდნენ მუდამ აღმოეფხვრათ მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოება, მათ წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ედგა ქართული ინტელიგენციის ისეთი წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, გაბრიელ ეპისკოპოსი, დ. ლამბაშიძე, დ. მაჭავარიანი, მ. ჩიგოვაძე, ეპისკოპოსი კირიონი, სიმონ მჭედლიძე, კალისტრატე ცინცაძე და სხვ.

ილია ჭავჭავაძე მოშერეა ქართველი ერის მართლმადიდებლური სწავლების მიხედვით აღზრდისა. მისი აზრით, ადამიანი ემზადება როგორც ამქვეყნიური, ისე იმქვეყნიური ცხოვრებისათვის. მაგრამ, ილიას მიხედვით, ასკეტიზმი, მონაზონობა სრულიად არ გულისხმობს პასიურ ცხოვრებას. მართალია, ასკეტიზმი ღმერთის უსაზღვრო რწმენაა, გარნა, იაკობ მოციქულის სიტყვების თანახმად, „საქმეთაგან განმარტლდების კაცი და არა სარწმუნოებისაგან ხოლო“, უფრო მეტიც: ვითარცა ხორცი თვინიერ სულისა მკუდარ არიან, ეგრეთვე სარწმუნოებაი თვინიერ საქმეთასა მკუდარ არს“ (იაკობი, 2,24-26) რწმენა და საქმე ერთანი და განუყოფელია. ქრისტიანული რელიგიის კანონების მიხედვით, ბერობა, კერძო განდეგილობა ნებაყოფლობითი აქტია. „დიდი რჯულის კანონი“ ამბობს, რომ მონასტერში შესვლა შეუძლია ყოველ ადამიანს, ვისაც ათი წელი შეუსრულდა, მაგრამ აღთქმის მიცემის უფლება აქვს მხოლოდ მონიფულ კაცს ან ქალს, ვინც იცის, რას აკეთებს და რატომ. მონაზონობის უფრო მკაცრი ფორმა განდეგილობა კი დამატებითი მოთხოვნილების დაკმაყოფილებასაც საჭიროებს. ეს წესი საყოველთაო და სავალდებულოა. კი მაგრამ, რატომ ირჩევს ადამიანი ნებაყოფლობით არსებობის ასეთ ფორმას? რატომ ეპრძვის ხორცს და სულს ეტრფიალება? აქ აუცილებლად უნდა განვმარტოთ, რას გულისხმობს ცნებები ხორცი და სული. პავლე მოციქულის განმარტებით, ხორცის საქმეა სიძვა, მრუშობა, მტრობა, შური, წვალება, შფოთი, კაცისკვლა, მოვრალობა, ლირნება და ამდაგვარნი. მაშასადამე, ხორცი ბოროტებაა. სულის ნაყოფია სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სიტყვბოება, რწმენა, მყუდროება, მოთმინება და ამდაგვარნი, მაშასადამე, სული სიკეთეა (გალატელთა მიმართ ეპისტოლე, 5,12-20-21-22).

„ადამიანის მიწიერი არსებობის მიზანია გათავისუფლდეს ბოროტებისაგან (ცოდვებისაგან) და განმენდილი მიემსგავსოს პირველ სახეს, რაკი ღმერთმა ადამიანი შექმნა ხატად თვისად. პირველი

ხატად თვისად შექმნილი კაცი ადამია და ვიდრე იგი ცოდვით დაეცემოდა, იყო ღმრთის სახლი, ტაძარი ღმრთისა. მასში იყო სიტყვა (ე.ი. ღმერთი) და სიტყვა იფარავდა ადამს. ამდენად, ადამი თავისუფლად იყო ცოდვისაგან, ბოროტებისაგან, მაგრამ ადამის არსში შეიჩარა ცოდვა და შეაჩერა ადამიანის ლტოლვა ღმერთმისგავსებულობისაკენ" [17, გვ. 80].

ცოდვისაგან კაცობრიობის სახსნელად ამქვეყნად ღმერთმა გამოგზავნა მისი მხოლოდშობილი ძე: „რამეთუ არა მოავლინა ღმერთმან ძე თვისი სოფლად, რაითა დასავლოს სოფელი, არამედ რაითა აცხოვნოს სოფელი მის მიერ" (იოანე, 3,17). ქრისტემ იტვირთა კაცობრიობის ცოდვა, გოლგოთის გზა გაიარა და ჯვარს ეცება. ჯვარცმის პროცესის შინაარსი ასე გამოიხატება ბორცის (ბოროტება) დასჯა და სულის (სიკეთის გათავისუფლება: „ხოლო ქრისტესთა მათ ხორცი თვისი ჯუარს-აცუნეს ვნებითურთ და გულის თქუმით (ეპისტოლე გალატელთა მიმართ, 5,24). ამდენად, ქრისტიანობა არის ადამიანის შინაგანი ბრძოლა გარდასაკემნელად, ქრისტეს მისამაგავსებლად. ქრისტეს მისამაგავსება კი უფლის წიაღში დაბრუნებას ნიშნავს, რამეთუ იქსო იყო უხილავი ხატი, მოსული ქვეყნად.

თავისუფლადი ნებით ადამიანი იმიტომ ირჩევდა განდეგილობას, რომ ტანჯვის გზის განმეორებით დაეგმო ხორცი (ბოროტება) და სულით (სიკეთით) ამაღლებული მისამაგავსებლოდა უზენაეს ღვთაებას. ადამიანის ბუნებამ რომ იდეალური სახე მიიღოს, აუცილებელია ღმერთის დახმარება. დამოუკიდებლად კი ამის გაკეთება ადამიანს არ შეუძლია. ამიტომ ადამიანი პირველხატს რომ მიემსავსოს, ორი ფაქტორია საჭირო - თავისუფლალი არჩევანი და ღვთაების დახმარება. ილიას განდეგილიც თავისუფლალი არჩევანით და ღვთაების დახმარებით მისწრაფვოდა უმაღლესი იდეალისაკენ.

საბჭოურმა ლიტერატურულმა კრიტიკამ ტენდენციურად შაფასა პოემის იდეა და ათეისტურ საბურველში გაახვია იგი. განდეგილი ბერის დაღუპვა მწერლის მიერ განდეგილობისათვის გამოტანილ სასჯელად მიიჩნია და განდეგილობა საზგადოებისათვის მავნე მოვლენად აღიარა. პოემის დედააზრის ახსნისათვის საინტერესო მინიშნებას აკეთებს თვით ილია პუბლიცისტურ წერილში: „აკაკი წერეთელი და ვეფხისტყაოსანი“: „ სვიმონ მესვეტე სვეტზე ავიდა და იქ მიეცა გახრმნილებას სულის საოხად, და ნუთუ ეს სიზარმაცით მოუვიდა და ქვეყანას იმიტომ მოერიდა, რომ ქვეყანა ხელ-ფეხის

მოძრაობას, გარჯას და მუშაობას ჰეთხოულობდა და სვეტზედ უძრავად შეეძლო დებულიყო. ამისთანა ამბავს სხვა მიზეზი აქვს, რომელიც ოავს იმაღლას ადამიანის მრავალფეროვან ბუნებაში და, რამოდენად ეს ფარული მიზეზი შორს არიან უბრალო სიკვდილის შეილთა თვალთათვის, იმოდენად მათი პოვნა და მიგნება ხევდრია მარტი იმისთანა კაცებისა, როგორიც რუსთაველია და სხვანი"(214, გვ.105). ილიას ქრისტიანული პედაგოგიკა სიკეთის ქადაგებაა, იმის შეგონებაა, რომ სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მღერად გიჩნდეთო, - და თვითონ ამ რუსთაველური სიბრძნით ცხოვრობს. „გლახის ნაამბობში“ კაბრიელისათვის მღვდელი საბოლოოდ დარჩება იდეალურ არსებად. ათას ჭირვარამს გამოცდის მაგრამ მღვდლის სახებას მის თვალში არაფერი მოაკლდება.

ჩვენი აზრით, ილიამ ასე ჩამოაყალიბა ქართული ქრისტიანულ-მართლმადიდებლური პედაგოგიკის არსი. მინიურ ცხოვრებაში ადამიანი უნდა ეცადოს სრულყოფილებას, ღმერთთან მიახლოებას, მაგრამ უნდა იცოდეს, რომ სანამ ღვთიური სული ხორციელ ჭურჭელშია, ღვთაებასთან სრული შერწყმა შეუძლებელია. ეს განდეგილმაც ვერ შეძლო, თუმცა, როგორც ზნეობრივმა გმირმა, „ხორცი დათმო სულისათვის“. სსნა ყველგან არის. მთავარია, ბოლომდე უერთგულო ღვთიურ იდეალებს: იპოვო გზა, რომელიც ზნეობრივ-ეროვნულ უსასრულო მდინარებას ემატება, მდინარებას, რომელიც ღვთიური მაღლის სახით უკანვე უბრუნდება კაცობრიობას. წარწყმედისაგან კაცთა, ზოგადად ქვეყნიერების, სსნა ლოცვითაც შეიძლება და საერო მოღვაწეობითაც. „განდეგილში“ ილია გურამიშვილის ხაზს აგრძელებს: „პიროვნული თვითხსნის - ხორციელი ვნებების (ამპარტავნობა, ავხორციობა, მუცელმერთობა, სხვისი უბედურებით ფუფუნების შექმნა) დათრგუნვის გარეშე შეუძლებელია ოჯახის, ერის, კაცობრიობის გადარჩენა წარწყმედისაგან“ [152, გვ. 2]. „ზოგიერთ უმეცარს პერია, რომ რელიგიურობა მხოლოდ ბრმადმორჩმუნეობას გულისხმობს. უპირველეს ყოვლისა, რელიგიურობა მაღალ ზნეობრიობას ნიშნავს, ურომლისოდაც მწერლობა არ არსებობს. ნიშნავს იმ ეთიკური მრნამსის გაცნობიერებულ აღიარებას, რომელიც მოხეიზმია და ქრისტიანობაშ ათი მცნებით გამოხატა - არა კაც ჰელა, არა იბარო, არა ცილისწამო, არა იმრუშო, არა ქმნა თავისი შენისა კერპი, პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა და ა.შ.“ [17, გვ. 90]. ამ ზნეობრივ პრიციპებს კაცობრიობამ ჯერჯერობით ვერაფერი მიუმატა, ვერც რომელიმე საზოგადოება, მათ შორის სოციალისტურიც, ვერ უარყოფს მას. ამ

მორალურ-ეთიკური თვალსაზრისით არსებობს ქრისტიანობა ილიას შემოქმედებაში.

XIX საუკუნის საქართველოში, სარწმუნოებრივი თვალსაზრისი შემდეგმა გარემოებამ შექმნა. ეკლესიიდან ქართული ენის განდევნამ და რუსული წირვა-ლოცვის გავრცელებამ გამოიწვია რწმენის დაქვეითება ხალხში. რუსული ენის უცოდინარ ჯართველს აღარ ესმოდა, რას უქადაგებდნენ მას, რითი მოძღვრავდნენ და თანდათანობით მოსწყინდა გაუგებარის მოსმენა. ქართველი გულგრილი გახდა ეკლესის მიმართ და ზურგი შეაქცია მას.

ამიტომ იყო, რომ აკაკი წერეთელი პოეზიის საშუალებით ებრძოდა ამ პროცესს. მისი აზრით, ქართველი ხალხი რომ საყდარში სიარულს აღარ დაინტერესობოდა და საქრისტიანო მოძღვრებას მოკლებული იქნება, მაშინ ნელ-ნელა დაივიწყებს რჯულს, დაჰყარგავს სარწმუნოებას, ზნეობრივად დაეცემა და, ამნაირად, სულით მკვდარი ხალხი აღვილად მოსათოვი იქნება. ძნელი მისახვედრი არ არის, რატომ ეჭირა აკაკის შემოქმედებაში ქრისტიანულ რელიგიას ესოდენ დიდი ადგილი. მას ხომ სარწმუნოებისა და ზნეობის განმტკიცება მიაჩნდა საქართველოს აღმრძინების საზინდრად. აკაკის აოცებდა თავად სახე იქსო ქრისტესი: ძე ღმრთისა, ხორციელად ამ ხოფლად შობილი, ადამიანთა ცოდვის გამოსასყიდად ამქვეყნად მოვლინებული, ჯვარცმული, მკვდრეთათ აღმდგარი და ამაღლებული. იგი რაღაც შორეულ ნათესაურ ნიშანს ხედავდა პრომეტესა და ამირანის მითში. ამიტომ, ამირანი საქართველოს სიმბოლოდ წარმოიდგინა: კლდეს მიჯაჭვული, მრავალტანჯული, მაგრამ მაინც ცოცხალი და განთავისუფლების მომლოდინენ.

იაკობ გოგებაშვილი სამღვდელოებას მიიჩნევს მოციქულთა საქმიანობის მემკვიდრედ და მათ მოვალეობად თვლის, შეუწყვეტლივ მოპეინონ ხალხში „ნათელი სახარებისა“, გააკრცელონ მაცხოვრის ჭეშმარიტი ისტორია. მისი აზრით, რაც უფრო წმინდაა ხალხის რელიგიური მსოფლეობრეტა, და რაც უფრო მტკიცებული იცავს ხალხი წმინდა ქრისტიანული ზნეობის წესებს, მით უფრო მტკი იქნება წესიერება და რეგულირება მის ცხოვრებაში და მით უფრო მაღლა უნდა იდგეს მისი მატერიალური კეთილდღეობა. ამ წმინდა და მაღალი დანიშნულების შესასრულებლად, იაკობის აზრით, სამღვდელოებას აქვს ოთხი მთავარი საშუალება: საეკლესიო კათედრა, სკოლა, სასულიერო მწიგნობრობა, სასულიერო ლიტერატურა.

იაკობ გოგებაშვილი მოზარდთა აღზრულის საქმეში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ძველი აღთქმის მოთხოვნებს. მას

გამორჩეულად მოსწონდა იოსებისა და მოსეს ცხოვრების ამსახველი მოთხრობები, რომელთა ცხოვრებაში „რელიგიური, ხალხური და პიროვანი სათნოებანი ისე კაშკაშებენ, როგორც მოწმენდილ ცაზე ვარსკვლავნი". ამ აზრით გამსტკალულმა პედაგოგმა შედგონა „საღმრთო ისტორია", რომელშიც ბიბლიური ამბები ბავშვებისათვის გასაგებ ენაზე გადმოცემული და ხალისით იკითხება. როდესაც იაკობ გოგებაშვილს უსაყვედურეს „ანგელოზის" შინაარსს ბავშვი ვერ გაიგებს და სახელმძღვანელოში არ უნდა შეგეტანაო, მან საპასუხო წერილში „შენიშვნები შენიშვნებზე" თავისი პოზიცია იმით გაამართლა, რომ შესაძლოა შვიდი-რვა წლის ყმანვილი მართლაც ვერ ჩაწვდეს გონებით მიმზიდველ, პოეტურ ზნეობრივ სწავლას ანგელოზზე, მაგრამ გული კარგად იგრძნობს იმ დაუფასებელ მნიშვნელობას, რაც მას გააჩნია სპეტაკი ზნის აღზრდისათვის.

იაკობ გოგებაშვილი კარგად ხედავდა, რომ რუსეთის იმპერია, საქართველოს საეგზარქატოს სახით, ანტიქართულ პოლიტიკას ატარებდა. იაკობ გოგებაშვილი შენატროდა მე-18 საუკუნის საქართველოს ქრისტიანული ცოდნის კერძებს, საიდანაც გამოდიოდნენ შესანიშავი სწავლული ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანული პედაგოგიკისა. ამიტომ იყო, რომ იაკობი ახალი ტიპის ქართველის აღზრდას ესწრაფოდა. მისი შეხედულებით არსებითი გარდაქმნა უნდა მომხდარიყო ადამიანის ბუნებაში, რათა ახალი საქართველო – ლვთის წყალობით მოულოდნელად ამომზევებული – თავზე არ დაგვმხობოდა. ახალი ტიპის ქართველის აღზრდაში ზნეობრივი საწყისი, ფესვი, ძარღვი მართლმადიდებლურ ქრისტიანული უნდა ყოფილიყო.

XIX საუკუნის ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანული პედაგოგიკის გვირგვინს წარმოადგენს საეკლესიო მოღვაწე გაბრიელ ეპისკოპოსი. მას წარმოუდგენლად მიაჩნდა სარწმუნოება, ანუ ლვთის სჯული, არ ჰქონდეს კაცს და ზნეობით, ანუ ყოფაქცევით, წმინდა და სათნო იყოს. ამის დამადასტურებელ მაგალითებს იგი, პირველ ყოვლისა, ბიბლიურ წიგნებში პოულობდა. სარწმუნოება გაბრიელ ეპისკოპოსას მიაჩნდა იმ ძალად, რომელიც ადამიანს ზნეობრივად სრულყოფს და ცოდვათაგან განწმენდს. ის კარგად იცნობდა ადამიანის შინაგან სამყაროს, იცოდა, რომ „ბუნება მისი არს ფრიად მიღწეული ცოდვისადმი", ამიტომაც თვლიდა, რომ ცოდვა ყველა კაცისათვის უჭრია ადვილი მისაწვდომია, ვიდრე სარწმუნოება, რომლის მისაღწევად სულიერი ძალისმევა და დიდი რწმენაა საჭირო.

გაბრიელი თავის ქადაგებებში ცდილობს გააღვივოს რწმენა მოყვასისადმი სიყვარულისა და დათრგუნოს ადამიანის არსებაში ფესვგადგმული უკეთურების მაცდუნებელი გრძნობა. „ამ ლცოლებრივი მიზნისკენ მიისწრაფვოდა იგი დარწმუნების, შთაგონების მეშვეობით. მისთვის მთავარი იყო მოყვასს დახმარებოდა კეთილი გზის ძიებაში. გაბრიელ ეპისკოპოსის ნალვანი ეს არის ქრისტიანულ ზნეობასთან ზიარების ქადაგება, რომელიც ადამიანის შინაგანი ბუნებისა და ცხოვრებისეული რეალობის ღრმა მეცნიერული ცოდნის საფუძველზე აღმოცენებული" [51, გვ. 29]. იგი წერდა: „სარწმუნოებას აქვს აურაცხელი სასწაულმოქმედი ძალა ყოველთა საქმეთა შინა, დიდთა და მცირეთა. სარწმუნოება არის უდიდესი და უმთავრესი ზნეობითი ძალი და სიმტკიცე კაცობრივის ბუნებისა, გარეშე სარწმუნოებისა, არ შეიძლება წარმატება არც ერთსა საქმესა შინა. როდესაც გული და ღონე კაცისა არის განმწვევებული და განდვიძებული ძალისა სარწმუნოებითა, მა შინ ადვილად სძლევს იგი ყოველ თა დამაბრკოლებელთა და წინააღმდეგია მიზეზთა და მოიპოვებს წარმატებას ყოველთა საქმეთა შინა" [36, გვ. 76].

ქრისტიანული აღზრდა – განათლების ზოგად მიზნად გ. ქიქოძეს მიაჩნდა ადამიანის მომზადება საზოგადოებრივი და იმქვეყნიური ცხოვრებისათვის, მისი შეიარაღება იმ ცოდნით, რომელიც მას მის-ცემს ბუნების ძალთა გამოყენების საშუალებას, ცხოვრებაში გარკვე-ვის უნარს.

გაბრიელ ეპისკოპოსი არ მიუთითებს აღზრდის მთლიანი პროცე-სის ცალკე ნაწილებად დაყოფაზე, მაგრამ აღზრდის მისეული მიზ-ნებისა და ამოცანების გარკვევისას, ყველა შემთხვევაში, ნათლად მოჩანს, რომ იგი აღზრდა განათლების მიზანში გულისხმობს არა ხუთ შემაღებენელ ნაწილს, არამედ ექვსს: გონებრივს, ზნეობრივს, ესთეტიკურს, რელიგიურს, ფიზიკურსა და შრომით აღზრდას.

ქრისტიანული აღზრდა – განათლების მიზნების მიხედვით გაბრილ ეპისკოპოსი განსაზღვრავდა აღზრდის პროცესს, მის შინაარს. მისი აზრით, განათლება ძალაა, რომლის გარეშე არ არსებობს სათნოება, სიკეთე, ალერსი, ურთიერთპატივისცემა და ა.შ. გაბრიელი რომელი საერო და სასულიერო განათლების ერთიანობისა, როგორც კომენ-სკი იტყოდა, "სულისა და გონების" განათლებისა. სრულია ადამია-ნის განათლება, თუ ის ნასაზრდობია, როგორც საერო, ისე სასული-ერო კულტურის მონაპოვრებით.

გ. ქიქოძეს "სრული განათლების" ერთ-ერთ ძირითად მიზნად გონებრივი აღზრდა მიაჩნია. იგი კონკრეტულად არ გამოთქვამს თავის შეხედულებებს გონებრივი აღზრდის საკითხებზე, მაგრამ სა-დაც კი საუბრობს შემეცნების, ცოდნის, განათლების შესახებ, ჩვენი აზრით, იქ გულისხმობს გონებრივ განათლებას, გონებრივ აღზრდას. ის არაერთხელ აღნიშნავს თავის "ქადაგებებში", "ცდისეული ფი-ქოლოგის საფუძლებში", სწავლებისა და ცოდნის დიდ მნიშვნე-ლობას.

ცოდნა მღვდელმთავარს მიაჩნია გზად, საშუალებად, რომლითაც შეიძლება ადამიანმა უმაღლეს მიზანს მიაღწიოს და იმდენად უნდა დაფასდეს იგი, რამდენადაც ადამიანს ამ მიზნის მიღწევაში ეხმა-რება. გაბრიელის აზრით, სწავლა-განათლება უნდა ცვლიდეს "სრუ-ლებით საუკეთესოდ კაცის მთელ ბუნებას, როგორც ზნეობრივ ისე გონებრივ".

გაბრიელ ეპისკოპოსისათვის ზნეობრივი აღზრდა ახალგაზრდობის ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარების სისტემაში ერთ – ერთი არსებითი და მთავრიად იგი მოზარდი თაობის ზნეობრივი აღზრდის სამ მთავარ ამოცანას ისახავს მიზნად: 1.ზნეობრივი შეგნების ჩა-მოყალიბება - სრულყოფა; 2. ზნეობრივ გრძნობათა აღზრდა და 3. ზნეობრივი ქცევების შესწავლა-ჩამოყალიბება.

გერასიმე ქიქოძე თავის ქრისტიანულ მოძღვრებაში განიხილავს ადამიანთა საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ისეთ ეთიკურ და არა ეთიკურ ნორმებს, როგორებიცაა: ვერცხლისმოყვარეობა, სიკე-თე, ბოროტება, მაღლი, ფარისევლობა, ქურდობა, პატიოსნება, სიყვა-რული, შური, იმედი, სასოწარკვეთილება, პატივმოყვარეობა, ანგა-რება, ამპარტავნობა და ა.შ.

გაბრიელის ღვთისმსახურება, ამ შემთხვევაში, მიზნად ისახავს მარადიულ ზნეობრივ ღირებულებათა განმტკიცებას; გზების ძიებას, თუ როგორ უნდა მივაღწიოთ პიროვნებაში ღვთაებრივი სათონების განმტკიცებას.

გაბრიელ ეპისკოპოსის ქრისტიანულ პედაგოგიკაში ვრცლად არის ნარმოდგენილი ზნეობრივი აღზრდის ფაქტორის საკითხი. მისი შეხედუ-ლებით მოზარდი თაობის ზნეობრივი აღზრდის მთავარ ფაქტორებს ნარმოადგენს სკოლა, ოჯახი, ეკლესია, და საზოგადოება. გაბრიელს მიაჩნია, რომ სწავლებაც აღზრდა უნდა იყოს. ის აღიარებს, ცოდნი-სა და ზნეობის ერთიანობის პრინციპს და ამ ერთიანობას ზნეობრი-

ვად სრულყოფილი ადამიანის ჩამოყალიბების მთავარ პირობად თვლის. ზნეობრივ აღზრდაში გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს აღზრდის მეთოდებს, ხერხებსა და საშუალებებს და პრაქტიკაში იყენებს ზნეობრივი აღზრდის ისეთ უმთავრეს მეთოდებს, როგორიცაა: პირადი მაგალითი, დარწმუნება და შთ აგონება. იგი, ამ მხრივ, განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს აღმზრდელს, მასწავლებელს, სულიერ მოძღვარს.

მოსწავლეთა ზნეობრივ აღზრდაში გაბრიელ ეპისკოპოსი მიმართავდა გამოჩენილ პირთა ცხოვრებასა და საქმიანობას. იგი ხშირად მოუთხრობდა მრევლს იქსო ქრისტეს, პეტრე მოციქულისა და სხვათა ცხოვრებისეულ მაგალითებზე, რითაც დიდ ზეგავლენას ახდენდა პიროვნების სულიერ და ზნეობრივ განვითარებაზე. ამ გზით, იმერეთის ეპისკოპოსი აცნობიერებდა თავის სამწყსოს, საფუძვლიანად აცნობდა მრევლს ქრისტიანობის არსს, ზნეობრივ პრინციპებს, აძლიერებდა ხალხში რწმენისადმი თაყვანისცემას, თავგანწირვას. სულის აღზრდა გაბრიელ ეპისკოპოსს მიაჩნდა აღმზრდელობითი მუშაობის უპირველეს ამოცანად, ხოლო პიროვნების ზნეობრივბარელიგიურად აღზრდილობის, რწმენის სიმტკიცის დონის მაჩვენებლად. რელიგიური აღზრდის ხაბოლოო მიზნად იგი თვლიდა დავთაებრივი სათნოების აღზრდას, იმქვეყნიური ცხოვრებისათვის მომზადებას.

გერასიმე ქიქოძე რელიგიური აღზრდის ხუთ საშუალებას – ფიქრს, რწმენას, ლოცვას, ზიარებასა და აღსარებას ცნობს და ერთმანეთთან ადარებს სარწმუნოების მიღებისა და შეთვისების ორ გზას. ერთი არის გონებით შეთვისებული რწმენა, მეორე კი – გულით შეცნობილი სარწმუნოებაა.

გაბრიელის შრომებში განხილულია რელიგიური კრძნობების თითქმის ყველა კატეგორია: რელიგიური სიყვარული, რელიგიური სიარული, რელიგიური მწუხარება, (სინდისის ქეჯნა, სინანული, გულის აჩვილება), ლოცვის გრძნობა, გულმოწყალება, ქრისტიანული ეჭვიანობა, სულის შინაგანი ბრძოლა და ა.შ.

გაბრიელ ეპისკოპოსის ქრისტიანული პედაგოგიკა გამსჭვალულია ეროვნული მსოფლმხედველობით, რომლის საფუძველია რწმენა იმისა, რომ ხალხის "ინდივიდუალობის უმთავრესი ელემენტი არის ენა". მან თავისი კრიტიკული დამოკიდებულება გამოხატა გიორგი მუხრან – ბატონის წინააღმდეგ, რომელიც ამტკიცებდა დიდი ერის მიერ პატარა ერების და მათი ენების გაქრობა-გათქვეფის გარდაუვა-

ლობას. გაბრიელმა მშობლიური ენის უფლებათა დაცვა დაუკავშირა ქართულ ენაზე სწავლების აუცილებლობის მოთხოვნას. მისი ამოსავალი დებულებაა, რომ მხოლოდ ის ერი შეიძლება დაბადეს პროგრესის გზას, რომელიც აზროვნებს და მეტყველებს შშობლიურ ენაზე. ამ დებულების ხორცებს გაბრიელ ეპისკოპოსმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მოახმარა. მისი მოღვაწეობა წარიმართა პრინციპით: ერთგულება მეფის ტახტისადმი და თავდადებული საქართველო ქართველი ხალხისადმი.

გაბრიელ ეპისკოპოსის ქრისტიანული მოძღვრების ერთ – ერთ ძირითად ნაწილს წარმოადგენს დიდაქტიკა. მისი სწავლების თეორია განიმობებულია აღზრდა – განათლების მიზნებით, სწავლების პედაგოგიურ – ფსიქოლოგიური საფუძვლებით, დიდაქტიკური პრინციპების კონკრეტული ხერხებით, სწავლების მეთოდებით და სხვა.

გ.ქიქოძეს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის სახელმძღვანელოების შექმნის საქმეში. მისი წიგნი "ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები" პედაგოგიურ – ფსიქოლოგიური ხასიათისაა. ჩვენი აზრით, ამ წიგნში ერთი მთავარი პრობლემაა წინა პლანზე წამონეული: რა არის ადამიანი და როგორ აღვზარდოთ იგი? თავისი ძირითადი შეხედულებანი გაბრიელმა პირველად მოგვცა დასრულებული სახით სწორედ ამ წიგნში. იგი დაიწერა 1856 წელს, გამოიცა პეტერბურგში 1858 წელს.

მიგვაჩნია, რომ გაბრიელ ეპისკოპოსმა, საქართველოსათვის ურთულეს პერიოდში, სწორად განსაზღვრა ერის წარმოჩნდისა და განვითარების დაძლევის გზები. მისმა შეხედულებებმა დასავლეთ საქართველოში მრავალი პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობა შექმნა: ქართულ ენაზე სწავლების დამკვიდრების, სასკოლო ქსელის გაფართოების, პედაგოგიური კადრების მოზადების, ქალთა განათლების განვითარების, მოსწავლეთა ზნეობრივი, გონებრივი, ესთეტიკური, რელიგიური, ფიზიკური, შრომითი აღზრდის, დიდაქტიკის, განათლების მიზნების და შინაარსის, მასწავლებლისადმი დამოკიდებულების ფორმირებისა და სხვათა მხრივ. ამ თვალსაზრისით, გაბრიელ ეპისკოპოსის პედაგოგიკურ მემკვიდრეობას დღესაც აქტუალობა და ცხოველმყოფელობა გააჩნია და მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია თანამედროვე განათლების სისტემის რეფორმის განხორციელების საქმეში.

ამრიგად, მე-19 საუკუნის ქართული მართლმადიდებლური-ქრისტიანული პედაგოგიკური აზროვნების სრულყოფილი შესწავლა

შეუძლებელია იმ წვლილის გაუთვალისწინებლად, რომელიც ამ საქმეში გაბრიელ ეპისკოპოსს მიუძღვის. აღნიშნულ პრობლემას ჩვენ დაწვრილებით არ შევეხებით, რადგან ჯერ კიდევ 2000 წელს ჩვენი ავტორობით გამოიცა მონოგრაფია "გაბრიელ ეპისკოპოსის(გერასიმე ქიქოზის) ქრისტიანული პედაგოგიკა", სადაც ვრცლად არის განხილული მისი როლი ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანული პედაგოგიკის განვითარების საქმეში.

XIX საუკუნის II ნახევარში ქართული ქრისტიანული მართლმადიდებლური პედაგოგიკის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ცნობილ საეკლესიო მოღვაწეს დავით ლამბაშიძეს. მან დაარსა სასულიერო ორგანო უურნალი „მწყემსი“. უურნალი გამოდიოდა 1885-1910 წწ. დაბა ყვირილაში (ახლანდელი ზესტაფიონი). იგი პირველად თვეში ორჯერ გამოდიოდა, ხოლო 1886-1887 წლებში თვეში 5-ჯერ. უურნალი სასულიერო შინაარსის ორგანო იყო. „მწყემსი“ ფურცლებზე იძეჭდებოდა სტატიები საეკლესიო-სამრევლო სკოლების, სასულიერო სასწავლებლებისა და სასულიერო სემინარების როლზე ქართველი ხალხის ქართული ქრისტიანული მართლმადიდებლური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

უურნალი „მწყემსი“ პირველ რიგში, კი რელიგიურ-ზნეობრივი აღზრდის ამოცანებით იყო დაინტერსებული. იგი ქართველ მოსახლეობას მოუწოდებდა დაეპრუნებინა ის მამაპაპისეული სულიერება, რამაც ათასწლეულები გამოატარებინა ერს. უურნალი ვედრებით შესთხოვს უზენაეს ქართველ ერს შთაუნერგოს სულერძელობა, პატივიბის ნიჭი, ღმერთის სიყვარული. „უმეტეს ყოვლისა მაშინ გამოჩდება, რომ გიყვარს ღმერთი, ოდეს შენ გიყვარს მოყვააი შენი. ღმერთს შენ ვერ იხილავ, ხოლო მოყვასი შენი ყოველთვის შენს ნინაშე არს, ვითარცა ხატი და მსგავსება ღვთისა“. [35 გვ. 289-290].

XIX საუკუნის სამოციანო-თხმოციან წლებში ქართული ქრისტიანული მართლმადიდებლური პედაგოგიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დეკანოზმა დავით მაჭავარიანმა. 1850 წელს საქართველოს ეგზარქოსმა მღვდლად, სამურზაყანოს ბლაღოჩინად დაიშნა დ. მაჭავარიანი. მან დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია და იმ დროისათვის განათლებული ადამიანი იყო. თავის საქმიანობა დეკანოზმა იმით დაიწყო, რომ შეისწავლა ადგილობრივ მკვიდრთა ენა და წეს-ჩვეულებანი. ყოველივე ამან მას დიდი

პოპულარობა და სიყვარული მოუტანა მოსახლეობის ყველა ფენაში მისმა საქმიანობამ სულ მალე შედეგი გამოიღო. 10-15 წლისადში შერყეული ქრისტეს სჯული სრულად აღსდგა მთელ სამურზაყანოში. განახლდა და კეთილმოენყო ეკლესიები; მისი უშუალო ინიციატივით გაიხსნა სასულიერო სასწავლებლები. დევანოზის პედაგოგიურ მოღვაწეობას ხელს უწყობდა გაბრიელ ეპისკოპოსი, რადგან 1869-1885 წლებში აფხაზეთის ეპარქია იმერეთის ეპისკოპოსს ემორჩილებოდა. დავით მაჭავარიანს საგანმანათლებლო-პედაგოგიურ მოღვაწეობაში დიდ დახმარებას უწევდნენ, აგრეთვე საკულტურის თანამოღვაწეები: იერომონაზონები ბესარიონ დგებუა და ათანასე უორდანია.

XIX საუკუნისა და XX საუკუნის ათიან წლებში მოღვაწეობდა ცნობილი ქართველი სასულიერო მოღვაწე სიმონ მჭედლიძე. იგი ერთხან მასწავლებლობდა ძველი სენაკის სასწავლებელში. დაოჯახების შემდეგ ეკურთხა მღვდლად და სწორედ აქედან დაიწყო მისი სასულიერო და საგანმომცემლო-განმანათლებლური მოღვაწეობა. იგი 1908-1916 წლებში ქალაქ ქუთაისში გამოცემდა გაზეთს „შინაური საქმეები“. გაზეთის ძირითადი მასალა ქრისტიანული რელიგიის და ეკლესიის საკითხებს ქებოდა. რუბრიკა „სახარება, როგორც ცხოვრების საფუძველი“, ფართო მეითხველს სათავზობდა მთელ სერიას ბიბლიური მოთხრობებისა, ზოგჯერ ალეგორია-სიმბოლოების განმარტებითურთ.

გაზეთის თემატიკაში გამოკვეთილია ლრმა, პედაგოგიური ხსიათის მასალა (მაგ. საღვთო სკულის სწავლების შესახებ პირველდაწყებით სკოლებში), სადაც გარკვეული პროპაგანდა აქვს განეული ქრისტიანული მართლმადიდებლური პედაგოგიკის როლს, ქართველი ახალგაზრდობის ზნეობრივ-რელიგიური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

სიმონ მჭედლიძე ფართო საზოგადოებრივ-საქველმოქმედო და განმანათლებლურ მოღვაწეობას ეწეოდა: მის სახლში, ქ. ქუთაისში, საბურთალო-კაზაკოვის შესახვევში იყო პროგიმნაზია და მოსამზადებელი კურსები სასულიერო სასწავლებლებში შემსვლელ ახალგაზრდათვის. მის მიერ სოფელ ლაშეში აშენებული და დაარსებული სკოლა დღესაც ემსახურება ამ სოფლის მოსწავლეებს.

1921 წელს საბჭოთა რუსეთმა მოახდინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია. საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. დაიწყო მართლმადიდებლური რიტუალების შემოკლება, დამახინჯება, ეკლესია - მონასტრების ნგრევა, მოქალაქე-

თა დეწინფორმირება ეკლესიის ნამდვილ მდგომარეობასთან დაკავშირებით. საბჭოური ქრისტიანული პედაგოგიკის არსი მდგომარეობდა ეკლესიის შინაგან გახრენაში, წითელი სამღვდელოების ფორმირებაში, მათ აღვირახსნილობასა და ზნეობრივ გარყვნაში, რათა ამით ანტიპათია გამოეწვიათ ეკლესიაში მომსვლელი ხალხისა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების თვალში და ამით სახელი გაუტეხათ რელიგიისათვის. ჭეშმარიტად აღასრულებდნენ კომუნისტები საბჭოეთის ბელადის, ლენინის გეგმას: "რელიგიის რადიკალური განადგურებისათვის აუცილებელია შიგნიდან შევუტიოთ მას, გამოვიწვიოთ შინაომი, შუღლი და განდგომილება თავად მორჩმუნებს ჭორის. აუცილებელია შფოთვისა და და ეჭვის დათესვა, რაც რწმენის განეარვებასა და სარწმუნოებიდან განდგომას გამოიწვევს." (209 გვ. 224).

ასეთმა სამოცდაათნოლიანმა სიბრელემაც ვერ ჩააქრო საბოლოოდ ქართული სულის ნათელი. ძირძველ ქრისტიანებში ვერ მოახერხეს ჩაეკლათ სარწმუნოებრივი თვითშეგნება. და, აი, მიუხედავად ამისა, მოელი მეოცე საუკუნის მანძილზე ჩვენ გონიერაში მართლმადიდებლური სიბრძნისა და ზნეობრივი შეგონებების ქადაგებები ისმოდა კირიონ II, ამბროსი ხელაისა, მღვდელ-მონაზონ ალექსის, კალისტრატე ცინცაძის ღვთიურ ბაგეთაგან.

მეოცე საუკუნის 90 – იანი წლებიდან ზვიად გამსახურდიას შემდეგ ხელისუფლებაში მოსულმა კოსმოპოლიტებმაც, ენ. "სამყაროს მოქალაქეებმა", საკუთარი სამშობლო რომ ეპატარავებათ გააფთორებული შეტევა განახორციელეს ეროვნული და ტრადიციული ღირებულებების, მართლმადიდებლური სარწმუნოების მიმართ. ამ საყოველთაო გლობალიზაციის პროცესში ქართული მართლმადიდებლური ეკლესია და მისი მღვდელმთავარნი თურმე ქართულ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას უშლიან ხელს.

და, მაინც საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია გადაურჩა საყოველების გამოცდას და 1977 წლის 25 დეკემბერს კათოლიკოს-პატრიარქის ტახტზე აბრძანდა ცხუმ – აფხაზეთის ეპისკოპოსი ილია ჭიოლაშვილი. მან თავის აღსაყდრების დღეს ასეთი სიტყვები წარმოთქვა: "საოცრებამდე უსაზღვროა განგება ღვთისა, არც მის მოწყვალებას აქვს საზღვარი. ჭეშმარიტად, ამ განგებამ და მოწყვალებამ დააყენა თქვენს ნინაშე ჩემი სიმდაბლე, როგორც საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მამამთავრისა. მე შეგნებული მაქვს ის უმძიმესი და, ამავე დროს საპატიო მოვალეობა, რომელიც დღეს, ღვთის

ამ წმინდა ტაძრის თაღებქვეშ დამაკისრა მაღალმა ღმერთმა...შევთხოვოთ ლმერთს, რომ წარგვიძლვეს წინ... რომ ქართული ეკლესიაზე ზარების რეკვა, წინანდებურად ომისა და უბედურებისა მაცნე კი არ ყოფილიყოს ჩვენი ერისათვის, არამედ სარწმუნოების, სასოების, სიყვარულის, შრომისა და სიკეთის ზეიმისა.“

სწორედ დღეს, ერის სულიერი გადარჩენისათვის ქრისტიანული პედაგოგიკის სწავლების აუცილებლობას ქადაგებს თავის ეპისტოლებში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II. მისი აზრით, ახალგაზრდობის სწორი ზნეობრივი აღზრდა დღეს იმ პრობლემათაგანია, რომელიც სწრაფად მოგვარებას მოითხოვს. იგი რელიგიური შინაარსის ტექსტების სწავლების საკითხს უმჯობესად მიიჩნევს, რომ ბავშვებს ადრეულ ასაკში ვასწავლოთ სიკეთის ქმნა, სინანულის, მოწყალების, ქრისტიანული იდეებით ცხოვრების წესი. ჩვენ ვიზიარებთ აღნიშნულ მოსაზრებას და მიგვაჩნია, რომ ადამიანში მთავარია გულწრფელი სწრაფვა იმისკენ, რაოდ წარმართოს ცხოვრება ქრისტიანული სულით. თავდაპირველად საჭიროა აღიძრას ჩვენს არსებაში სურვილი ცხოვრების ქრისტიანულად მოწყობისა და მხოლოდ მაშინა შესაძლებელი რელიგიური სწავლებისა და აღზრდის განხორციელება.

ზნეობრივ გრძნობათა აღზრდაში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II გულისხმობს ზნეობრივი პრინციპებისადმი დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. მისი აზრით, საჭიროა არა მარტო ზნეობის შინაარსის, მისი პრინციპების ცოდნა, არამედ მისი შინაგანი განცდაც, თანამედროვე საზოგადოებისათვის შესაფერისი ზნეობრივი ქცევების გამომჟღავნებაც.

უწმინდესი და უნეტარესი ილია II თავის ქადაგებებში წარმოგვიდგენს ადამიანის ჰარმონიული განვითარებისათვის, მისი აღზრდისათვის საჭირო მიმართულებების ძირითად მახასიათებლებს, რომელთაც საფუძვლად მორალური მოქმედების უმაღლესი პრინციპი – "მე ვარ ადამიანი" –უდევს.

მისი შეხედულებით, ადამიანის სულს შეუძლია ზნეობრივი თვალსაზრისით განუწყვეტლივ გახდეს უფრო უკეთესი და ამაღლებული. "ადამიანი ეს არის დიდი საოცრება: მოკვდავი ხორცი და უკვდავი სული. მას შეუძლია ჩავიდეს ჯოჯოხეთამდე და ამაღლდეს ღმერთამდე". {215, გვ.3 } მიწიერი ცხოვრების მიზანია, რომ გონიერი, კეთილსინდისიერი ადამიანი გააზრებულად ასრულებდეს თავის მოვა-

ლეობებს ლვთის, საკუთარი თავის და მოყვასის წინაშე. "ბედნიერია ის ადამიანი, - ქადავებს უწმინდესი და უნეტარესი ილია ||, - რომელი მაც მოახერხა თავისი "მეს" უარყოფა და თავისი ნება დაუმორჩილა ღმერთა, ასეთ ადამიანს გაუადვილდება ჯვრის ტარება: მთავარია, ბოლომდე ატაროს" [215, გვ. 3]. ამ მოვალეობის გაგებასა და აღსრულებაში ვლინდება ადამიანის ქრისტიანული გრძნობები და ზნეობრივი სრულყოფა, რომლისკენაც იგი მუდმივად უნდა მიისწრაფოდეს, ვიდრე არ მიაღწევს იმას, რომ ყოველი სიავე სიძულვილი გახდეს, ხოლო სათნოება ბედნიერება.

ილია || -ს მიაჩნია, რომ სრულყოფილებისაკენ საკალ გზაზე ადამიანს, შინაგანი და გარეგანი პირობებიდან გამომდინარე, უამრავი წინააღმდეგობა ხვდება. "ადამიანის ცხოვრება ე სარის შინაგანი ბრძოლა კეთილისა და ბოროტისა. ადვილია თქმა იმისა, რომ კეთილი უნდა ავირჩიოთ, მაგრამ იმისათვის, რომ დაეძლია საკუთარი თავი, ჰიო მლვიმელი მლვიმეში ჩავიდა, წმინდა მამები კი უდაბნოში გავიდნენ. ასეთი მძიმეა საკუთარ თავთან ბრძოლა" [215, გვ. 5]. ბრძოლაში მტკიცდება ადამიანის ნება, მწიფდება სული, სათნოება სასიამოვნო ხდება, ხოლო ბოროტება საძულველი. ამიტომ ადამიანმა უნდა ისწავლოს აზროვნება, რომ გაარჩიოს, სად არის კეთილი და სად არის ბოროტი. "მე მახსენდება იაპონური პოეზიიდან: "მოვიდა გაზაფხული, აყვავდა ალუბალი, მაგრამ მოვიდა თოვლი და მე ვეღარ ვარჩევ, სად არის ყვავილი და სად არის თოვლი. ჩვენ ხშირად ვერ ვარჩევთ, სად არის კეთილი და სად არის ბოროტი, რადგან "მოვიდა თოვლი". [215, გვ. 4].

უწმინდესისა და უნეტარესის ქადა ებებში ნაჩვენებია სიკეთისა და ბოროტის ჭილადი. მისი აზრით, ბოროტებისათვის საკმარისი არ არის მარტო ცოდვას ჩამოშორდეს, მისი მოქმედება უნდა გახდეს სრულყოფილი და კეთილი ქრისტიანულ სათნოებასთან მიმართებაში. კეთილი მოქმედება კი ის არის, რაც მოსწონია ლვთისათვის და სასარგებლოა მოვასისათვის. ბევრს არ შესწევს შინაგანი ძალა უზენაესისათვის მოსაწონი საქმე გააკეთოს და დააღწიოს მინიერ აძაოებათა ტყვეობას თავი. მისთვის მთავარი ადამიანში სიკეთის ჩანერგვაა. ეს უკვე ადამიანის ზნეობრივი სრულყოფა და იმქვეყნიური სასუფეველის დამკვიდრებაა.

ბოროტებისგან ადამიანის განწმენდის საქმეში უწმინდესი და უნეტარესი, კათოლიკოს – პატრიარქი ილია || დიდ მნიშვნელობას

ანიჭებს მადლს, რომელიც ნიშნავს იმ ვნებათა განდევნას, რომელ-ნიც, კაცის ხელში შემოდის. "მადლი არის ყოველივე კეთილი თუ ცოდვებს დაუტევებათ, შეცოდება- ნაკლისაგან განვიწმინდებით! მადლის გზას შევუდგებით. უმადლო ადამიანი მონაა, ცოდვაა" [2, გვ.54]. დიახ, ჩვენ უნდა შევძლოთ ყველა ადამიანში დავინახოთ ძმა, მამა, მეგობარი და შვილი. "ჩვენი წინაპრები მადლით სავსენი იყვნენ, სუფევდა ღვთის რწმენა, ურთიერთშეწყალება, მოკრძალება, ცოდვილთა სიბრალული, ქვრივ – ობლებებ ზრუნვა", -გვასწავლის საქართველოს სულიერი მოძღვარი. "სადაც არის მადლი, იქ არის სიხარული და ბეჭინიერება".

სრულიად სამართლიანად სვამს კითხვას "რა არის საჭირო, ჩვენც რომ სიხარულსა და ბეჭინიერებაში ვცხოვრობდეთ?" ჩვენ რომ გადავხედოთ ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს წარსულს, თუნდაც დღევანდელ დღეს, მიხვდებით, რომ ყოველი ჩვენგანი არის უძლები შვილი, ყოველი ჩვენგანი უნდა დაბრუნდეს მამაზეციერთან, ყოველ ჩვენგანში უნდა გაჩნდეს სინანულის გრძნობა. სინანულის გარეშე არაფერი გამოდის სულიერ ცხოვრებაში. ადამიანს უნდა შეეძლოს "განცდაი თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩემისა" [216, გვ.6]. დაე, ყოველი ჩვენგანი, როგორც უძლები შვილი, დაუბრუნდეს მამაზეციერს, რათა იყოს ერთი სამწყსო და უფალი ჩვენი იესო ქრისტე იყოს მწყემსი ჩვენი.

ყველაზე დიდი მადლი, ილია II-ის აზრით, ეს არის მოწყალება. ადამიანი უნდა ხედავდეს სხვის გაჭირვებას. მან თავისი ცხოვრებით ჯვარი უნდა შექმნას. "სულიერი ჯვრის ვერტიკალური ძელი არის სწრაფვა ღვთისაკვნ, ხოლო ჰორიზონტალური კავშირი ადამიანებთან". ადამიანის ცხოვრება ეს არის გამოცდა. ეს არის განსაცდელი და იგი ღირსეულად უნდა გავიაროთ. ჩვენი წინაპრები ასე ლოცვავდნენ ერთმანეთს: "იხარეთ ორთავ სოფელაა შინა". ბეჭინიერია ის ადამიანი, რომელიც ხარობს ორთავე სოფელში.

ძალიან რთულია ადამიანის ბუნება. იგი როცა სიკეთეს ვერ აკეთებს, ცდილობს თავი გაიმართლოს. მაგალითად, გვერდს ჩაუვლის ლოტს ან მათხოვარს და გონებაში გაიელვებს: "რატომ უნდა მივცე ფული, რომ უფრო მეტი დალიოს?". მინდა ერთი მაგალითი მოგიყვანოთ მოწყალების გაცემასთან დაკავშირებით – ქადაგებს ერთ – ერთ საკვირაო ქადაგებაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქი ილია II- "ერთმა ადამიანმა მიამბო: ვდგავარ ეკლესი-

აში და უხილავი ხმა მეუბნება, წადი და, აი, იმ ქალბატონს დაეხმარეო. ის ქალბატონი, ვიზეც უხილავმა ხმამ მიუთითა, არახოდეს თხოულობდა, მე პირადად ვიცნობდი მას. მაგრამ უხილულად ვგრძნობ თავს, რადგან სულ სამი მანეთი მქონდა. ვფიქრობდი, ვაი, თუ უარი მითხრასო. იმ დროს სამი მანეთით მხოლოდ პურს თუ იყიდდი. ბოლოს მაიც მივედი იმ ქალბატონთან და ვუთხარი: ბოდიშს ვიხდი, მინდა მოგართვათ სამი მანეთი. მოხუცს პირჯვარი გადაუწერია და უთქვამს: ახლა მე ერთი კაპიკიც არ მქონდა და უფალს ვევედრებოდი დახმარებას. აი, თქვენც მოხვედით და პურის ფული მომიტანეთო. და იგი მადლობას სწირავდა ღმერთს. დააკვირდით, ასკვნის ილია II, - როგორი სულიერი სამკუთხედი შეიქმნა: ადამიანი-ღმერთი-და ისევ ადამიანი. ადამიანი ვევედრება უფალს დახმარებას. უფალი უპრძნებს სხვა ადამიანს, რომ დაეხმაროს მას და იგი აღასრულებს ღვთის ნებას“.[217, გვ.5]. ილია II –ის აზრით, ეს არის საოცარი სულიერი სამკუთხედი და ბედნიერია ის ადამიანი, ვინც თავის ცხოვრებაზი ქმნის ამგვარ სამკუთხედს. ეს არის საოცარი მაგალითი ჩვენთვის. ჩვენ ამგვარ სამკუთხედში უნდა გავიაროთ, რომ შევიდეთ სასუფეველში. ადამიანმა თავისი ცხოვრებით ზნეობრივი ჯვარი უნდა შეიქმნას, რაშიც იგულისხმება სულიერი სწრაფვა ღვთი-საკუნ.

რელიგია ყოველთვის ინახავდა რწმენისა და ზნეობრიობის სიწმინდეს. ეს სიწმინდე ღმერთის სახელით მოქმედებდა. ასე იყო ყველა რილიგიასა და ხალხში. ამას განსაკუთრებით კარგად აცნობიერებდნენ ძველი ბერძენი ფილოსოფოსები - სოკრატე და პლატონი. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ბოლომდე არ იზიარებდნენ ბერძნულ მრავალმერთოვან სარწმუნოებას, რელიგიას არ წყდებოდნენ და არც თავიანთ მოწაფებს მოუწოდებდნენ ამისკენ. პირიქით, ხაზ-სუსვამდნენ რწმენის, რელიგიურობის აუცილებლობას პიროვნების ზნეობრივ სრულყოფაში. „სოკრატე, მისი ერთ-ერთი მოწაფის გად მო ცე მით, თავი ისი საუბრებით აჩვევ და ცოდვი ლი მიდრეკილებებისგან თავშეკავებას არა მარტო სხვის დასახად, არამედ მაშინაც, როდესაც მარტო იმყოფებოდნენ წინაშე ყოვლისმეცნიერი ღმრთისა, რომლის თვალთაგან არაფერი დაითარება.

ამასთან ერთად მიგვაჩნია, რომ რელიგიამ რელიგიურ-ზნეობრივ კანონებთან ერთად ცოდვათა ხსნის გზაც უნდა განიხილოს. ამით დაცული იქნება ადამიანის რელიგიურ-ზნეობრივი მრწამსი, რათა მიეცეს მას საშუალება სინანულით განიწმინდოს, ეპატიოს და


განთავისუფლდეს ჩადენილი ცოდვების სიმძიმისაგან. ამ საკითხთან დაკავშირებით რელიგიები განსხვავდებიან ეროვნულთისაგან. ტუდოზმი საერთოდ უარყოფს მიტევებას. იუდაიზმში კი მიტევების წესაქება არაფერია თქმული. ისლამი მოუწოდებს მორქმუნებს, რომ მიენდონ უზენაესის წყალობას, მაგრამ არ ამბობს, თუ რა მსხვერპლი უნდა გაიღოს ადამიანმა, რომ შეძლოს ცოდვის გამოსყიდვა.

ამ მხრივ ქრისტიანობა უნიკალური რელიგიაა. ის ადამიანს სიკუთითა და სიყვარულით ცხოვრებას ასწავლის. ამასთან, მისი დედაარსი ისაა, რომ მსაჯულმა ღმერთმა მის მიერვე დანქსებული კანონებისა და საზოგადოებრივი სამართლიანობის დასაცავად მსხვერპლად გაიღო თავისივე ძე და კაცობრიობას ცოდვები მიუტევა. აჩვენა გზა, რომელიც ადამიანს ღვთის პატივებას მოუპოვებს და დაამშვიდებს. ეს გზა ცოდვათა შეცნობა და სინანულია.

ამრიგად, ქრისტიანული პედაგოგიკა გადამწყვეტ როლს ასრულებს ადამიანის რელიგიურ-ზნეობრივი მოთხოვნილებების ფორმირებაში. შეფასება ქმედებისა, თუ რამდენად რელიგიური და ზნეობრივია ის, პირდაპირ კავშირშია ადამიანის მსოფლმხედველობასთან, მის შეხედულებებთან სამყაროზე.

ამდენად, პირველი პარაგრაფის ასოციაციური რუკა ასე წარმოგვიდგება:

ქართული მართლმადიდებლური  
ქრისტიანული პედაგოგიკის ეპლესიური  
საუკუმენები



## §2. ქართული ხართლამილების კონკრეტური

### ქრისტიანული პატაგონიას გათოლოლოგია საფუძვლები, საგანი და ძირითადი ცნებები

აუცილებლობად მიგვაჩინია განვიხილოთ, თუ როგორ იდგა აღზრდის პრობლემა ებრაელ ხალხში. უფლის რჩეული ხალხის ძირითად ნიშნებს წარმოადგენს ზნეობრივი შეხედულებები, ადამიანის ლირსებისა და ადამიანის მაღალი დანიშნულების აღიარება, რელიგიური გრძნობისა და რელიგიური შემეცნების სიღრმე და გულწრფელობა. რამდენადაც ეს შემეცნება მინიჭებულია ძველაღთქმისეული გამოცხადებით ქრისტეს შობამდე. მთელი ცხოვრება, მათმორის აღზრდაც, გამსჭვალული იყო რელიგიური საწყისებით და აგებული იყო ღვთაებრივი მცნებების მიხედვით. კანონი, მინიჭებული ღმერთის მიერ თავისი ხალხისადმი, განსაზღვრავდა მთელ მის ყოფას და ამ კანონის მიღმა არ შეიძლებოდა ყოფილიყო სხვა აღმზრდელობითი მოთხოვნები. ისევე, როგორც ღმერთი ზრდიდა კანონის დაცვის სულისკვეთებით თავის რჩეულ ხალხს, ასევე ზრდიდა მამა თავის შვილს; ცდილობდა ჩაენერგა მისთვის ღმერთისან მონიჭებული კანონი, მასთან ერთად უპირობო მორჩილება, შიში და ღმერთისადმი სრული ერთგულება. ბავშვს მუდამ შეახსენებდნენ ამ ვალდებულებების შესახებ, ხოლო კანონის დაცვის მაგალითს იგი საკუთარ ოჯახში ხედავდა.

ებრაელებში ბავშვის აღზრდის ვალდებულება მშობელს ეკისრებოდა. ბავშვი ითვლებოდა უფლის წმინდა საჩუქრად, უფლის წყალობად. ბიბლიაში არსებობს მრავალი მაგალითი, თუ როგორ ევედრებოდნენ მშობლები ღმერთს, მიეცა მათთვის შვილები, და როგორ შეჰაროდნენ ისინი შვილებს, როცა სედავდნენ მათში უფლის წყალობას. მეფსალმუნე ამბობს: „ნეტარ არს ყოველი უფლის მოშიში, მავალი მისი გზებით! შენ შეჭამ შენი ხელების შრომით; ნეტარ ხარ შენ; და სიკეთე შენ! ცოლი შენი, ვითარცა ნაყოფიერი ვაზია შენს სახლში; შვილნი შენი, ვით ზეთის ხილის რტოები, შენი ტრაპეზის გარშემო. კურთხეულ იყოს ღვთისმოშინი კაცი!" (ფს. 127, 1-4). ასეთი შთაგონებით გამოხატა მეფსალმუნე აზრი იმის შესახებ, რომ შვილები წარმოადგენენ მშობლების მიღრეკილებათა მემკვიდრეებს. უფალი განახორციელებს თავის წყალობას ათასობით შობის დროს, მაგრამ დაუსჯელს არ

ტოვებს მამების ცოდვებს და სჯის შვილებს მამების ცოდვების გამო მესამე და მეოთხე თაობებამდე.

მიგვაჩნია, რომ ებრაელ ხალხში აღზრდა მკაფიო შესაბამისობაში იყო ლვთიურ გამოცხადებასთან, სადაც ადამიანი გაიგებოდა, როგორც „უფლის ხატი და ამავდროულად „ცოდვის თესლის“ მატარებელი. ადამიანები ბავშვებს ღმერთის სიყვარულით და ღმერთისთვის ზრდიდნენ. აღზრდის ძირითადი პრინციპი შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული: „სიბრძნის დასაბამია შიში უფლისა“. აღზრდას ლვთიური გამოცხადების შესწავლის გზით უნდა განესაზღვრა ადამიანის მოვალეობები, რათა ადამიანი ისეთივე წმინდა იყოს, როგორც უფალია. მეორე მხრივ, ბავშვებში აღზრდის პროცესში უნდა მოქმორებინათ ის ცოდვითი მიღრეულებანი, რომლებიც ადამიანში ადრეული წლებიდანვე ვლიდნება.

ა.ღ.ზრდა ებრაელებთან, როგორც აღვნიშნეთ, ოჯახში მიმდინარეობდა. ამიტომ ოჯახური ურთიერთობები ემსგავსებოდა ღმერთის დამოკიდებულებას თავისი ხალხის მიმართ და ბავშვებისგან მოითხოვდნენ პატივისცემას მშობლების მიმართ. „პატივი ეცი მამას და დედას, რათა დღეგრძელი იყო მიწაზე, რომელიც უფალს, შენს ღმერთს მოუცია შენთვის“. ბავშვი ადრეული ასაკიდან ითვისებდა ამ მცნებას. მის ცნობიერებაში მბობლები იკავებდნენ ისეთ ადგილს, როგორიც ღმერთს უკავია თავისი ხალხის წინაშე. მშობლების პატივისცემა ერწყიოდა შიშა და მოწილებას ღმერთის წინაშე. ადამიანს, რომელიც მამის ახ დედის მიმართ სალანდავს იტყოდა, ყველა წყველიდა და იგი სიკუდილით ისჯებოდა. ასეოთვე განაჩენი გამოჰქონდათ მისთვის ვინც ხელს აღმართავდა მამაზუ ან დედაზე. შვილების პატივისცემა და შიში მშობლების მიმართ უმცროს სების უფროსებთან დამოკიდებულებაზეც ვრცელ იდებოდა: ჭაღარას წა მოუდექი ფეხზე, პატივი მიაგვე მოხუცს და გეშანოდეს ლვთისა.

სწავლების მთავარ ამოცანას შეადგენდა კანონის შესწავლა, იმ სიკეთის შემცნება, რაც ღმერთს გაუკეთებია თავისი სალხისათვის და, რომლის შესახებაც მოგონიერები ისტორიაშ ცენტრინახა. თავდაპირველად შვილზე ზრუნვა, უედას ევალებოდა. შემდეგ კი მამას მიჰყავდა ბავშვის გრძნობა ღყოთიური სავეხურებით. ბავშვებს აცნობდნენ აბრაამს - მტკიცეს და შეუპოვარს, შემდეგ მშობლებს წინაშე მორჩილ ისააკს, რომელიც მშვიდი ერთგულებით, უფლის ნებით, შეჰყურებდა საკუთარ სიკვდილს. აცის შემდეგ ასწავლიდნენ

წმინდა და მტკიცე რწმენის გამტარებლებს: იაკობი, იოსები, მოსე და მრავალი სხვა. ღრმა კვალს ტოვებდა ბავშვის გულში ისააკის იოსების, მოსეს, სამუელის, დავითის ბავშვობის თვისებები. აღზრდა, სწავლება, ცხოვრების წესი ერთი იდეის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა: ყველაფერი ღმერთის სადიდებლად. ებრაელი ბავშვისთვის ძალიან ძვირფასი იყო მისი უფლება, თორმეტი წლის ასაკიდან მისულიყო ტაძარში და უფროსებთან ერთად მონაწილეობა მიეღო უფლის მსახურებაში. მამის მთავარი საზრუნავი იყო ვაჟიშვილში გაეღვივებინა რელიგიური გრძნობა და პატივისცემა რელიგიური წეს-ჩვეულებებისადმი. ძველაღთქმისული აღზრდა იმავდროულად სწავლებაც იყო. აბასთან, აღზრდა იძნდა ეროვნულ-ისტორიულ ხასიათს. აღზრდაში არ დაიშვებოდა არც ფუფუნება და არც ტკბობა-ნეტარება. განსაკუთრებით მოითხოვდნენ ზომიერებასა და წესრიგიანობას.

საზოგადოებრივი სკოლები ებრაელებს დიდი ხნის მანძილზე არ ჰქონდათ. უმაღლეს განათლებას, რომელიც შედგებოდა წერის ხელოვნების, პოეტეკია, მედიცინის, ფილოსოფიის საწყისებისა და კანონების ღრმა შესწავლისაგან, ღებულობდნენ დიდებული გვარის წარმომადგენლები, სასულიერო პირებისაგან ან განსაკუთრებული შინა მასწავლებლისგა. ხოლო წინასწარმეტყველთა და სასულიერო პირთა შევილები - განსაკუთრებულ სკოლებში. სამუელის დროს სკოლები არსებობდა მრავალ ქალაქში. მაგალითად, რამაში, ბეთლემში, იერისონში. ამ სკოლებში ყმაწვილები, და ხშირად მოზრდილებიც, მასწავლებლთა ზედამხედველობის ქვეშ ცხოვრობდნენ. მოსწავლეთა რაოდენობა რამდენიმე ასეულს აღნიერდა. ზოგიერთ მათგანს საზოგადოებრივი ხარჯებით ეძლეოდა განათლება. მთავარ საგანს კანონი წარმოადგენდა. სკოლაში, აგრეთვე ისწავლებოდა მუსიკა და პოეზია, რაც მათი რელიგიური მსოფლმჭვრეტელობიდან გამომდინარეობდა. ვეიქრობთ, რომ ყოველივე ამის მიზანი იყო ის, რომ მიეჩვიათ ყმაწვილი ყურადღებით ეფიქრა, ემსჯელა წმინდა წერილის თაობაზე, ლოცვისა და ღმერთის განდიდებაზე, თავშეკავებულობასა და რელიგიურ განწყობაზე.

განსაკუთრებულ აყვავებას რელიგიურმა სკოლებმა მიაღწია დავითის დროს. ძირითადში სკოლები კერძო ხასიათს ატარებდა. დავითი თავისი ცხოვრებით, საკუთარი მაგალითით უჩვენებდა, რომ ცხოვრების ძელინერება და სიხარული დამოკიდებულია ადამიანის სულიერ

მდგომარეობაზე, მის ზნეობრივ სიძლიერებზე. იგი შეახსენებდა, რომ ცხოვრება არის გამუდმებული ბრძოლა ცოდვასთან, რომელიც თითოეული უნდა უფრთხოდეს სულით დაცემას.

კაცობრიობის, მათ შორის ებრაელი ხალხის ისტორია, მოსეს დროიდან ქრისტეს შობამდე, წარმოადგენს უფლის განცხადებების, წინასწარმტკიცველებებისა და უფლის სხვა წარმოგზავნილთა განსაკუთრებულ ჯაჭვს. ადამიანთა აღ ზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებას წარმოადგენდა ზნეობრივი კანონი, რომელიც უფლის მიერ იყო მოცემული მოსეს მეშვეობით და გადმოცემული ათი მცნების სახით. თავის წარმოშობით კანონმდებლობა, მოცემული მოსეს მეშვეობით სინაზე, განეკუთვნებოდა ისტორიის განსაკუთრებულ მოვლენებს, როდესაც უფალი წარმოაჩენდა საკუთარ თავს უშუალო ურთიერთობით კაცობრიობასთან. მოსე ამის შესახებ ამბობს: „იცოდეთ მე გასწავლეთ თქვენ წესი და სამართალი, როგორც მიპრანა უფალმა, ჩემმა ღმერთმა, რომ სწორად მოიქცეთ იმ ქვეყანაში, რომლის დასამკვიდრებლად მიდიხართ“ (მეორე რჯული, 4,5). სინას მთაზე მოზდა საზეიმო მოწოდება ხალხის მიმართ, იყვნენ მსოფლიო-ისტორიული განვითარების დიადი ჭეშმარიტების მატარებლები. ამიერიდან თქვა მაშინ უფალმა, - ჩემს საკუთრებად გამოგარჩევთ ყველა ხალხისგან,... მღვდელთა საწეფოდ და წმინდა ერად მეყოლებით. რომ ამ ხალხს, მიუხედავად გაბატონებული ცოდვისა, უნდა შეენარჩუნებინა საკუთარ თავში ჯანსაღი, მართებული მარცვალი. მათში უნდა განხორციელებულიყო ყოველივე წმინდა, სამართლიანი, ადამიანური. კერპთაყვანისმცემლური სამყაროს უხეში პრინციპების მიუხედავად, აյ სულიერი საწყისი უნდა ყოფილიყო უპირატესი. უსაზღვრო ეგოიზმი დებულობდა შეზღუდვას და ხდებოდა აღიარება სხვა პირის თანასწორობისა. უსამართლობამ ადგილი დაუუთმო ღვთიური სიმართლის უმაღლეს კანონს ზნეობრივ და სულიერ სრულყოფილებას. ისინი მოცემულია სინაის კანონმდებლობაში, როგორც გამოხატულება თავისუფალი კავშირისა ღმერთსა და ადამიანებს შორის. მიგვაჩნია, რომ სინაის კანონმდებლობა ატარებს სრულყოფილების იმ მაღალ ხარისხს, რომელიც საერთოდ გამოარჩევს უფლის საქმეებს ადამიანის საქმეებისაგან. მოსეს მცნებები ხასიათდება მაღალი ზნეობრივი ღირსებით, სიწმინდითა და სისუფთავით. ამ კანონების მიზანს არ წარმოადგენდა რჩეული ხალხის გარეგნული კეთილდღეობა. მისი ცხოვრება უფრო მაღალ მიზანს ისახავდა. მოსეს

კანონები ძირითადად იქმაზეა მიმართული, რომ აღზარდოს ებრაელები, როგორც წმინდა ხალხი, წმინდა მარცვალი მთელი კაცობრიობის განსაწმენდად. ვფიქრობთ, რომ მოსეს კანონის მთელი პირი მის აღმზრდელობით წნიშვნელობაში მდგომარეობს. ათი მცნება სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის სინდისის ნორმების გარკვეული და ობიექტური გადმოცემა.

პედაგოგიკის თვალსაზრისით, სინას კანონ მდებლობის სულისკვეთებით პიროვნების აღზრდა ორ ძირითად პრაქტიკულ პრობლემას წარმოშობდა. ეს პრობლემებია: ცხოვრება და კანონი, განვითარება და კანონი. სწორედ ამ კუთხით განიხილებოდა პიროვნების ჩამოყალიბებაზე ბუნების, აღზრდისა და ღმერთის გავლენა. „ისრაელის უდიდესი ლვანწლი იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მან ერთიანი ღმერთი იქადაგა, ის, რომელიც დასაბამიცაა და დასასრულიც ყოველივესი, არამედ იმაში, რომ მან უჩვენა, მართლაც შეიძლება მიმართო მას და უთხრა „შენ, იდგე მის წინაშე. ისრაელი პირველი მიხვდა ამას და, რაც გაცილებით მეტია, მთელი ცხოვრება, მის მიერ განვლილი, იყო დაიალოგი ადამიანსა და ღმერთს შორის“ [95, გვ. 120]. ამიტომ იმ დროის პედაგოგიური ამოცანა შემდგომში მდგომარეობდა შეთანხმებულობა უფლის ნებასა და ადამიანის ნებას შორის. უფლის კავშირი ნოეს, აბრაამსა და მოსესთან გულისხმობდა უფლის ბატონობას თავის რჩეულ ხალხზე, რათა აღსარულებინა ცხოვრების კანონი, რაც მხოლოდ ღმერთს შეეძლო.

განსხვავებით ძეგლადთქმისული პედაგოგიური ამოცანისა, ქრისტეს მიერ კაცობრიობის ცოდვის საკუთარ თავზე აღება, უფრო ფართო გაგებით კი - სიტყვის განხორციელება, აღსრულება უკავშირდება საბოლოო მიზანს, რომელიც დგას ადამიანის წინაშე: ეს არის ღმერთთან შეერთება. მიგვაჩნია, რომ ღმერთთან შეერთება - ეს არის თითოეული ადამიანის მთავარი დანიშნულება - „მაშ, იყავით თქვენ სრულქმილნი, როგორც სრულქმილია მამა თქვენი ზეციერი“ (მათე, 5,48). ქრისტიანული სწავლების ამ ჭეშმარიტებაში მოცემულია თითოეული ადამიანის უსაზღვრო ლირსების აღიარება და გამართლება.

ქრისტიანული პედაგოგიკა, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის მიახლოვებას ღმერთთან, იყენებს ყველაფერს, რაც საუკეთესოა მეცნიერებასა და ხელოვნებაში, ბუნებასა და საზოგადოებაში. ამით იგი ცდილობს ბავშვის სხეულებრივ-სულიერ ორგანიზმში გამოიწვიოს კველა ძალისა და მონაცემების გაღვივება ისე, რომ მისი აზროვნება

მიმართული იყოს ჭეშმარიტებისაკენ, ხოლო წება - თავისუფლებისა და სიკეთისაკენ, გონების მუდმივი მონაწილეობით. მაგრამ ვიდრე ადამიანი შეიმეცნებდეს ჭეშმარიტებასა და უფლს, უიდრე სრულყოფილი გახდებოდეს და ღმერთამდე ამაღლდებოდეს, უნდა-გაიცნობიეროს საკუთარი თავი თავის ცოდვილიანობაში. ამიტომ ქრისტიანული პედაგოგიკის მიხედვით, ადამიანს ჯერ უნდა უარეყო გრძნობითი სამყარო და რწმენით ამაღლებულიყო ზეცამდე და მინაზე მოეტანა ყოველივე ზეციური, ჭეშმარიტი და სრულყოფილი. ამდენად, ქრისტიანობა პედაგოგიკის წინაშე რთულ ამოცანას აყენებს - აღიზარდოს ბავშვი ქრისტიანული სულისკვეთებით, მინიერი ცხოვრებისათვის და ამავე დროს არ იქნას შეჩერებული მისი მზადება მარადიული ცხოვრებისაკენ.

იქნა ქრისტემ აღზრდის მარადიული იდეალი გვიბოძა: თითოეული მართლმადიდებელი ქრისტიანი თანდაყოლილი მონაცემების გათვალისწინებით უნდა ცდილობდეს დაემსვავსოს ქრისტეს, ანუ დაძლიოს საკუთარ თავში თვითანგარებიანი ბუნება და შექმნას საკუთარი თავისაგან თავისუფალი პიროვნება, რომელიც გონივრულ მიმართებაში იქნება ღმერთთან, ადამიანებთან და ბუნებასთან. სწორედ ეს მოთხოვნა განახორციელა ქრისტემ თავის ცხოვრებაში და დაამკვიდრა მაგალითით, როგორც ჭეშმარიტმა მასწავლებელმა და აღმზრდელმა. მან აუსწავს სამყაროს, რომ ღმერთი არის ყოვლისშემძლე, რომელსაც აუცილებლად უნდა სცე თაყვანი სულითა და გონებით; ამასთან, იგი ცხოვრობს ადამიანში იმისდა მიხედვით, თუ რამდენად არის თანხმობაში მისი ნება უფლის ნებასთან. ამრიგად, იქნა ქრისტეს მოძღვრებაში მოცემული ქრისტიანული პედაგოგიკის ყველა მარადიული საფუძველი, რომელიც ჩვენ უნდა განვავითაროთ და გამოვიყენოთ პრაქტიკივაში.

ხედავდა რა თავის დანიშნულებას არა კანონის მოსპობაში, არამედ მის სრულყოფაში, ქრისტემ განამტკიცა ქორწინება-ზნეობრივი ცხოვრებისა და აღზრდის საფუძველი. „მიატოვებს კაცი თავის დედ-მამას და შეერთვის თავის ცოლს, და იქნებიან ორივენი ერთ ხორც“ (მათე 19, 5). ხოლო შვილებისადმი იგი მოითხოვს პატივისცემას და მათი პიროვნული ღირსების აღიარებას. „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვინც ბავშვივით არ მიიღებს ღმერთის სასუფეველს, ვერ შევა მასში. მოეხვია, ხელი დაადლო მათ და დაღოცა ისინი“ (მარკ. 10, 15.16). და მან თქვა: „და ვინც აცთუნებს თუნდაც ერთ ამ მცირეთაგანს,

რომელთაც მე ვწამეართ, უჯობს წისქვილის დოლაბი დაჰკიდონ ყელზე და ზღვაში დანთქან" (მარკ. 9,42). ბავშვები თავიანთი ერთგულებით, მორჩილებით, სისადავით, სუფთა გულით და სიყვარულით, მშვენიერებისა და ღვთაებრიობის აღქმის უნართ ქრისტეს თვალში წარმოადგენენ უმაღლესი სრულყოფილების ნიმუშს, რომლის მიღწევაც მოზრდილ ადამიანს მხოლოდ შეგნებულად შეუძლია მაშინ, როდესაც ბავშვს ეს უნარი გაუცნობიერებლად გააჩინა. ამიტომ იქნა მოუნოდებს თავის მონაფებს, რათა ისევ ბავშვებივით იქცნენ განთავისუფლდნენ ყოველგვარი პატივმოყვარეობისაგან. კითხვაზე, თუ ვინ იქნება მათ შორის უფრო დიდი უფლის სასუფეველში, იგი უპასუხებს: „ვინც დაიმდაბლებს თავს, როგორც ეს ბავშვი, ის არის უდიდესი ცათა სასუფეველში (მათე, 18,4).

ქრისტე აღიარებს ბავშვის სხეულისა და სულის აღზრდის მნიშვნელობას: „მაგრამ სულის აღზრდა მისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხეულისა. „რას გამორჩება კაცი, თუ მოიგებს მთელს ქვეყანას, და სულს კი წაგებს? (მათეს სახ. 16,26). „ნუ იუნჯებთ თქვენს საუნჯეს, სადაც უანგი და მღილი ღრღნის მას, და სადაც მპარავნი თხრიან და იპარავებ; არამედ დაიუნჯეთ თქვენი საუნჯე ზეცად, სადაც ვერც უანგი და მღილი ვერა ღრღნის მას, და სადაც მპარავნი ვერ თხრიან და ვერ იპარავენ; ვინაიდან სადაც არის საუნჯე თქვენი, იქვე იქნება გული თქვენი" (მათე, 6, 19-21). ამ მსოფლმხედველობაზე დაადგინა მაცხოვარმა მარად ჭეშმარიტი ცნება ქრისტიანული სწავლებისა და აღზრდის შესახებ. რადგან პიროვნების ჩამოყალიბება სახარებისეული სულისკვეთებით წარმოადგენს მის ამაღლებას მიწიერიდან ღვთაებრივ სრულყოფილებამდე. მშობლების სახარებისეული გარდაქმნა სული წმინდის მეშვეობით აძლევდა მათ საშუალებას მიეკვანათ თავიანთი შვილები ნეტარების მემკვიდრეობაში - ეკლესიაში, სადაც მონათვლის გზით ეკლესიამ განახორციელა ქრისტიანული აღზრდის უდიდესი აქტი. ამდენად, ბავშვი იმყოფებოდა არა მარტო ქრისტიანული სარწმუნოების ზედამხედველობის ქვეშ, არამედ მათზე გადმოდიოდა სულიწმინდის მადლი, რომელიც საიდუმლო მფარველობას უწევდა ჩვილთა სულებს, იცავდა ბოროტებისგან, განამტკიცებდა მათ სიმართლეს, მშვიდობისა და სიხარულის საწყისებზე უფლის სადიდებლად.

თუ გავანალიზებთ ჩვენში გავრცელებული რელიგიურ-აღზრდელობითი ხასიათის კრებულებსა და ნაშრომებს, მივალო

დასკვნამდე, რომ ქართული მართლმადიდებლური პედაგოგიკა ეფუძნებოდა ძველაღთქმისეული და სახარებისეული აღზრდის იდეალს. ამ დასკვნის საფუძველს წარმოადგენს ის, რომ აშ ნაშრომებში პრაქტიკულად ყველა მოსაზრება აღზრდის სფეროდან აღებულია სოლომონის იგავებიდან, იოანე ოქროპირის დარიგებებიდან, მათესა და მარკოზის სახარებიდან. ამას აღბათ ისიც ადასტურებს, რომ საქართველოში ყველაზე პოპულარული წიგნი, რომელსაც ყველაზე ხშირად და სიყვარულით კითხულობდნენ, იყო ბიბლია. ვფიქრობთ, რომ ქართულმა ქრისტიანულმა პედაგოგიურმა აზრმა ბიბლიაში ჰ პოვა არსი იმისა, რომ ბავშვი, პიროვნება დაცვა ბოროტებისაგან, რომელიც გარდაუვლად არის ჩვენში პირველცოდვის გამო.

მიგვაჩინია, რომ, გარდა „ძველი აღთქმისა“ და „ახალი აღთქმისა“, ქართული მართლმადიდებლური პედაგოგიკის შეთოლოლოგიურ და თეორიულ წყაროს წარმოადგენს წმინდა მოციქულთა, წმინდა მამათა და მასწავლებელთა შეხედულებანი ქრისტიანული აღზრდისა და სწავლების საკითხებზე. ჩვენ შევეცდებით წარმოვადგინოთ რამდენიმე მათგანის შეხედულებანი აღზრდის პრობლემებზე. რომელთაც დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქრისტიანული პედაგოგიკის განვითარების საქმეში.

სწავლება ქრისტიანულ აღზრდაზე უძველესი დროიდან იღებს სათავეს. ყველა მართლმადიდებლისათვის ჭეშმარიტად სარწმუნო სახელებს წარმოადგენს უდიდესი საეკლესიო მოღვაწენი და მასწავლებლები: იუსტინე ფილოსოფოსი, ეგნატე ლმერთშემოსილი, ათანასე დიდი, ბასილი დიდი, გრიგოლ ნისელი, გრიგოლ ლვთისმეტყველი, იოანე ოქროპირი, მაქსიმე აღმსარებელი, იოანე დამასკელი, სვიმონ ახალი ლვთისმეტყველი, გრიგოლ პალამა და სხვ. მათ ნაშრომებში მოცემულია სწავლანი სარწმუნოებაზე, ზეობაზე, ბავშვთა აღზრდაზე ოჯახში, სინანულზე, მოწყალებაზე, სიკეთეზე და სხვა სათნოებათა შესახებ.

ძნელი მისახვედრი არ არის, თუ ეკლესიის წმინდა მამებისა და მოძღვრების შეხედულებით, ვის უნდა ეკისრებოდეს ბავშვთა აღზრდის უმნიშვნელოვანესი მოვალეობა - რაღა თქმა უნდა, იმათ, ვისგანაც სიცოცხლე ენიჭებათ ბავშვებს. ე.ი., მათ ხორციელ შშობლებს. წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს: „ლმერთმა იმისათვის შთაუნერგა შშობლებს შვილთა სიყვარული, რომ მათი სახით ბავშვებს სათნოებათა მასწავლებლები ჰყოლოდათ. მარტო ხორციელი ზობა როდი ხდის

ადამიანს მამად, არამედ - კარგი განათლებაც; და მარტო ბავშვის მუკლად ტარება კი არ შექმნის ადამიანს დედად, არამედ კეთილი აღზრდაც" [186, გვ. 58]. მაშ, რა შეიძლება ვიფიქროთ იმ მშობლებზე, რომელიც ან ნაკლებად ზრუნავენ თავიანთ შვილებზე, ანდა სულაც ბედის ანაბრად მიაგდებენ ხოლმე მათ? - იოანე ოქროპირს მიაჩინა, რომ ასეთი მშობლები თვით ბუნებას ეწინააღმდეგებიან, რომლებიც „გარეულ მხეცებზეც კი მეუფებს, ისე, რომ ბევრ მათგანს, რომელთა დაჭერა სხვა დროს ძალზე ძნელია, ადვილად მოიხელთვებენ ხოლმე იმ დღეებში, როცა მათ ახალგაჩენილი შვილები ჰყავთ და ამის გამო საკუთარ უსაფრთხოებაზე აღარ ზრუნავენ. და არ არსებობის ისეთი პირუტყვი, თუნდაც ყველაზე სუსტი, რომელიც თავგანწირვით არ დაიცავს თავის ნაწირთ" [186, გვ. 100].

წმინდა მამებს ცრიად საჭიროდ მიაჩინდათ საღმრთო წერილში გადმოცემული ზნეობის ერის კაცებისათვის, განსაკუთრებით, ბავშვებისათვის სწავლება. იგივე იოანე ოქროპირი უგნურ საქციელად მიიჩნევს ბავშვს ასწავლო ხელოვნების ყველა დარგი, სკოლაში ატარო, არაფერი დაიშურო მისი განსწავლისათვის და უფლის მოძღვრებით განათლებაზე სრულიად არ იზრუნო. ამიტომაც იმკიან მშობლები ასეთი გაზრდის ნაყოფად შვილების თავხედობას, კადნიერებას, სიჯიუტესა და გარყვნილებას.

საღმრთო წერილი და ეკლესის წმინდა მამები მეცნიერებენ მშობლებს მათ მოვალეობას - ჯეროვნად აღზარდონ შვილები. წმინდა პავლე მოციქული გვასწავლის: „მამანი ნუ განარისხებთ შვილთა თქვენთა, არამედ განზარდენით იგინი სწავლითა და მოძღვრებითა უფლისაითა" (ეფეს. 6,4). კვალად, როცა ეპისკოპოსის თვისებებს განსაზღვრავს, იგი ამბობს, რომ ამ წოდების ღირსი მხოლოდ ის ადამიანია, ვინც სხვა ღირსებთან ერთად, არს „თვისისა სახლისა კეთილად განმგებელ" და ვისაც „შვილინიმცა უსძნებამორჩილებულნი ყოვლითა ღირსებითა" (ჭომ. 3,4). მოციქულის ასეთი მზრუნველობა ბავშვების აღზრდაზე, მისი გულმოდგინება მშობელთა შეგონებაში, როგორც ზემოთ ალვნიშნეთ, ეკლესის დიდმა მდვდელმთავრებმა და მოძღვრებმაც გაიზიარეს. „ლანგარის ადგილობრივი საეკლესიო კრების მე-15 კანონი ბრძანებს: „თუ ვინმე მიატოვებს თავის შვილებს და არც გამოჰკვებავს მათ და არც შეძლებისდაგვარად ჯეროვან კეთილმასტურებამდე მიიყვანს, არამედ განდეგილობის საბაპით არ ზრუნავს მათზე, ესევითარნი, დაე, შეჩვენებულ იყოს". [69, გვ. 11].

სალმრთო წერილისა და ეკლესიის წმინდა მავათა და მოძღვაოთა სწავლებით, მხოლოდ მშობელი მამები როდი ზრუნავდნენ შვილების აღზრდაზე, არამედ დედებს გაცილებით უფრო მეტად ეჭუთვინით ეს მოვალეობა და შეუძლიათ კიდეც მისი შესრულება. „დედაა“ - პირველი სიტყვა, რომელსაც ბავშვი წარმოთქვამს, დედას აჯილდოებს ბავშვი უმანვო ღიმილით. ამიტომ დედა ვალდებულია ზრუნავდეს შვილის სწორად აღზრდაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს: „ქმრები იძულებული არიან გავიდნენ სახლიდან მოგზაურობების, სამსჯავროების და სხვა სამოქალაქო საქმეების გამო, ცოლებისათვის კი, რომელნიც თავისუფალნი არიან ყველა ამ საზრუნავთაგან, უფრო მოსახერხებელია ბავშვების მოვლა, რადგან ისინი მოცალენი არიან“ [186, გვ. 109]. გარდა ამისა, წმინდა იოანე ოქროპირს მიაჩნდა, რომ ქალის კიდევ ერთი უპირატესობა ის არის მამაკაცის ნინაშე, რომ მისი გული უფრო ნაზი და მგრძნობიარეა, ამიტომ დედას შესწევს ძალა გავლენა მოახდინოს ძავშვის რელიგიურზეობრივი სულისკვეთებით აღზრდაზე.

ქრისტეს ეკლესიის მანათობელნი კანდელნი - ბასილ დიდი, გრიგოლ ლმრთისმეტყველი, იოანე ოქროპირი და მრავალი სხვა, რომელთაც მსოფლიო განაკვირნეს თავიანთი სიქველითა და სიბრძნით, დიდად იყვნენ დავალებულნი თავიანთი მშობელი დედებისაგან. წმინდა ბასილი თავად გვიმოწმებს: „ერთი რამით გაბედულად ძალმის ვიქადო უფლისა მიერ, რომ არასდროს არ მქონია არაწმიდა აზრები ღმრთის შესახებ, ანდა თუკი თავიდან სხვაგვარად ვიაზრებდი მას, შემდგომში შევიცვალე. ყოველთვის ვიმარხავდი გულში იმ გაგებას ლმრთისას, რომელიც ყრმობაში მიმილია ჩემი ნეტარი აღმზრდელებისაგან - დედაჩემსა და ბებიაჩემსაგან, და არასდროს არ გამიცვლია ეს გაგება სხვაგვარზე: როცა სრული გულისხმა და გონიერება შევიძინე, მხოლოდ სრულყვავი ის დასაბამნი, რაც მათ შთამინერგეს“ [64, გვ. 12].

ჩვენ შეიძლება შემოგვედაონ, რომ ბავშვი ვერ გაიგებს რა წერია სალმრთო წერილში, რელიგიის ისტორიაში, მაგრამ ამ კითხვის-დამსმელს გვინდა ვუძასუხოთ წმინდა იოანე ოქროპირის სიტყვებით: „ხშირად მარტო დანახვაც კი ამ წიგნისა გვიკარგავს ცოდვის ჩადენის სურვილს, ხოლო მისი წაკითხვით დიდ კურთხევას ვიღებთ ზეგარდმო. სალმრთო წერილის გულმოდგინე კითხვით ადამიანის სული თითქოსდა წმიდათა წმიდა საკურთხევლის წიაღში შედის, განიწმინდება და უმჯობესი ხდება, რადგან ამ წიგნებით თვით უფალი ღმერთი გვესაუბრება“ [186, გვ. 106].

ბუნებრივად მიგვაჩინია ასეთი კითხვის დასმა, როდიდან უნდა დავიწყოთ ბავშვთა აღზრდა რელიგიურ-ზნეობრივი კუთხით? ვფიქრობთ, რომ ბავშვების ქრისტიანული აღზრდა იმთავითვე უნდა დავიწყოთ, როდესაც ისინი ამ ქვეყანას ევლინებიან. ეკლესიის მამები და მოძღვრები როდესაც ადრეული ასაკიდანვე ბავშვის აღზრდის აუცილებლობას ამტკიცებენ, ეყრდნობიან იმ უდავო ჭეშმარიტებას, რომ პირველი შთაბეჭდილებანი თითქმის წარუშლელ კვალს სტოვებს ბავშვის სულში მთელი შემდგომი ცხოვრების განმავლობაში, მაგრამ როგორ აღვიზარდოთ ჩვილი, როცა ის ჯერ კიდევ ვერ არჩევს ავსა და კარგს? როგორ ჩავაგონოთ მას სარწმუნოების ჭეშმარიტება და მაღალ ზნეობრივი წესები? შეიცნობს კი ბავშვი მოციქულთა ღრმააზროვან შეგონებებს?

ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაშიც ეკლესიის წმინდა მამები და მოძღვრები არ გვტოვებენ თავიანთი სწავლა-დარიგების გარეშე. მათი შეხედულებით რაკი ყრმა ჯერ ძალზე ბატარაა, პირველ ჯერზე სულ მცირედით უნდა დავკმაყოფილდეთ, ყველაზე აუცილებლით. პირველ რიგში, ბავშვის თვალსა და გულს უნდა მოვაშოროთ ის ცუდი მანკიერი მხარეები, რაც ლაქას დააჩენს მის უმანკობას. უნდა ვეცადოთ, რომ მის ირგვლივ შევქმნათ რელიგიურ-ზნეობრივი ატმოსფერო. თუკი ბავშვი მშობლების ჩაღრმავებული ლოცვით მდგომარეობას შეამჩნევს, მის გულში ადვილად ალიქმება, თუ როგორ უნდა ესაუბროს ზეციერ მამას. „ცოლის თავი - ქმარია, ქმრის შემწე - ცოლი, - ამბობს წმიდა იოანე ოქროპირი, - მაშ, დაე, ნურც თავი გაბედავს სხეულის გარეშე გადააბიჯოს ეკლესიის ზღურბლს, და ნურც სხეული ნუ შეეალს იქ თავის გარეშე, არამედ, დაე, სრული ოჯახი შემოვიდეს აქ და თან ბავშვებიც მოიყვანონ. როგორც ვება ხის ძირას აღმოცენებული ახალნერგია საამო საანახავად, ასევე, და ბევრად კიდევ უფრო მეტად საამოა იმ ადამიანის ხილვა, რომელსაც გვერდით ბავშვი უდგას, ვითარცა ახალნერგი, ამოსული მის ფეხსთაგან, და არათუ საამოა, არამედ დიდად სასარგებლოც“ [69, გვ. 41].

ამდენად, წმინდა მამათა მიხედვით, ბავშვისთვის შეიძლება გაუგებარი იყოს ქრისტიანული მოძღვრების დოგმატური ნაწილი, ხოლო ზნეობრივი სწავლანი, როგორც აღვნიშნეთ, სავსებით მისაწვდომია ბავშვებისათვის. მაშ, დაე, გამოცდილი მართლმადიდებელი ხელმძღვანელის მეთვალყურეობით ყველაფერი ის აითვისონ, რაც მათ ძალ-ლონესა და საშუალებებს არ აღემატება.

საეკლესიო მამები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ რელიგიური განათლების აუცილებლობას. მათ მიაჩნდათ, რომ პიროვნებას უნდა ვასწავლოთ ის, რაც ყველაზე სარწმუნოდ და სანდოდ უზრუნველყოფს მის სარწმუნოებრივ-ზნეობრივ განვითარებას. მათი შეხედულებით, საგანმანათლებლო საგანთა შორის პირველი ადგილი უნდა დაეთმოს საღმრთო წერილის სწავლებას. ხოლო ყველა სხვა დანარჩენი საგანი უნდა ისწავლებოდეს ღმრთის სიტყვის შუქზე ყველა ასაკის მოსწავლის მიერ. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება სწავლა-განათლება წარმატებული იყოს და სწორი გზით მიემართებოდეს, რადგან ყველა სხვა შემთხვევაში მეცნიერებათა შესწავლისაგან ადამიანს, და, აქედან გამომდინარე, მთელ საზოგადოებასაც, ნამდვილი სარგებლობა არ ექნება.

ამრიგად, საეკლესიო მოღვაწენი მიიჩნევენ, რომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვისწავლოთ ცხოვრება ღმერთში და ყოფნა ადამიანთა გარემოცვაში. კაცი იმიტომ კი არ უნდა იყოს მორწმუნე. რომ ტრადიციულად მის ოჯახში ყველა ქრისტიანია, არამედ თვითონ უნდა სჯეროდეს ქრისტიანობის ჭეშმარიტებისა, უნდა აღიარებდეს და იცავ დეს იმ წეს-ჩვე ულებებს, რაც დად გენილია მართლმადიდებლური ეკლესის მიერ. მიგვაჩნია, რომ დღეს უფრო მეტი ყურადღება არის მიქცეული ხალხში სარწმუნოებრივი და ზნეობრივი სწავლის გავრცელებაზე, ამიტომ აუცილებელია საამისო სწორი გზის ჩვენება, მისაწვდომი და გასაგები მასალების მათვეს მინოდება.

✓ ამრიგად, ქართული მართლმადიდებლური პედაგოგიკის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს წარმოადგენს ძველი აღთქმა, ახალი აღთქმა და წმინდა მამათა სწავლა-მოძღვრება ქრისტიანული აღზრდისა და სწავლების საკითხებზე.

ვფიქრობთ, რომ პედაგოგიკისთვის ქრისტიანული საზრისის მინიჭება წარმოადგენს არა მარტო კაცობრიობის, არამედ ადამიანის პიროვნული გადარჩენის გზას. ქრისტიანობამ - ვ.ვ. ზენკოვსკის სიტყვებით, მეტი იცის ადამიანზე, უფრო მეტად სწამს მისი, უფრო ღრმად ესმის მისი, ვიდრე განმანათლებლობის ფილოსოფიას. სხვადასხვა ქრისტიანულ მიმდინარეობაში პედაგოგიკის პრობლემების გადაწყვეტა განსხვავებულად ხდება. მართლმადიდებლური პედაგოგიკა, პირველ რიგში, ონთოლოგიურია (არსებული მოძღვრება). მთელი კაცობრიობა იმყოფება ორ ონთოლოგიურ საზღვარს - შექმნასა და გაღმერთებას

შორის. შექმნა - ეს არის საწყისი, გაღმერთება - დასასრულო. იმისათვის, რომ იქნას მიღწეული დასასრული, კაცობრიობის ისტორიაში ჩაერთვის ეკლესია. შექმნა დასრულებულია, ამჟამად მიმდინარეობს სამყაროს გაღვთივოსნება. ქრისტეს ეკლესია - ახალი ნოეს კიდობანია. თუკი ძველაღთქმისეულ კიდობანში მოხდა ყველა ქმნილების სიცოცხლის გადარჩენა, ამ ახალ ნოეს კიდობანში - ქრისტეს ეკლესიაში, ხდება მათი საიდუმლო გაღვთივოსნება. შედის მგელი, ხოლო გამოდის კრავი.

მიგანია, რომ ვიდრე ჩვენ განვიხილავთ ქართული ქრისტიანული მართლმადიდებლური პედაგოგიკის საგანს და ძირითად ცნებებს, უნდა განვიხილოთ რელიგიის მნიშვნელობა და მისი ძირითადი ნიშნები. სიტყვა „რელიგია“ ლათინური წარმოშობისაა და მომდინარეობს სიტყვიდან "religio", რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „ხელახალ კავშირს“, ხოლო უფრო ფართო გაგებით, „კავშირს ადამიანთა შორის“. ღვთისმეტყველთა მიხედვით - „სჯული“ - რელიგია არის სულიერი კავშირი ღმერთსა და კაცთა შორის. ერთი მხრივ, კაცი ევედრება ღმერთს თავის საჭიროებისათვის, მეორე მხრივ, ღმერთი აძლევს კაცს თავის წყალობას. ამ ურთიერთობას ღმერთსა და კაცს შორის აქვს ღრმა საფუძველი თვით კაცის არსებაში, მის სულსა და გონებაში. რელიგია დაფუძნებული რწმენაზე, ნდობაზე, იმედზე, მოთმინებასა და მორჩილებაზე, არა თუ თრგუნავს კაცის სულსა და გონებას, პირიქით - მოთმინებით, ნდობით, მორჩილებით, სასოებით აღჭურვავს მას, უბიძგებს გამოუკვლეველისა და მიუწვდომელისაკენ, ამ გზაზე ფარხმალის დაუყრელობისაკენ, „იძულებისა“ და „მიტაცებისაკენ“ (მათე, 11, 12).

ამდენად, რელიგიური განცდა ადამიანის შინაგანი ბუნების ნაწილია, მისი ადგილი ცხოვრებაში - თვალსაჩინო და საპატიოა, ხოლო ამ ადგილის მართებული გააზრება და კვალიფიკაცია ქრისტიანულ პედაგოგიკასთან ზიარების აუცილებელი პირობაა.

რელიგიის პირველ და მთავარ ნიშანს წარმოადგენს პირადი, სულიერი საწყისის -ღმერთის აღიარება, რომელიც წარმოადგენს ყოველივე არსებულის, მათ შორის ადამიანის ყოფიერების წყაროს. ქრისტიანული სწავლების მიხედვით ღმერთი-სამებაა, იგი არის სიყვარული და ჩვენ მისით ვცოცხლობთ და ვმოძრაობთ და ვარსებობთ. ღმერთი არის ადამიანის სულიერ მისწრაფებათა საბოლოო მიზანი. ამ აღიარებით ქრისტიანული რელიგია პრინციპულად განსხვავდება

იმ მსოფლმხედველობათაგან, რომლებშიც უმაღლესი იდეალი არ არსებობს, არამედ წარმოადგენებ გონების, მისი იცნებებისა და იმედების თეორიულ მოდელს, პროდუქტს და მეტს არაფერს.

ქრისტიანული პედაგოგიკისათვის უმნიშვნელოვანეს დამახასიათებელ ელემენტს წარმოადგენს რწმენა იმისა, რომ ადამიანს გააჩნია ღმერთთან სულიერი ერთობის უნარი. ეს ერთობა ხორციელდება რწმენის მეშვეობით, რომლის ქვეშაც იგულისხმება არა მარტო ღმერთის არსებობაში დარწმუნებულობა, არამედ მორწმუნე ადამიანის მთელი ცხოვრების განსაკუთრებული ხასიათი, რომელიც შეესაბამება მოცემული რელიგიის დოგმატებსა და მცნებებს.

აღნიშვნული ელემენტი რელიგიაში განუყრელია მისი მოძღვრებისაგან, რომ ადამიანი პრინციპულად განსხვავდება ყველა სხვა ქმნილებისაგან, რომ იგი უბრალოდ ბიოლოგიური არსება კი არ არის, არამედ, პირველ რიგში, სულიერი არსებაა და გააჩნია არა მარტო სხეული, არამედ სულიც - პიროვნების, მისი ჭუუს, გულის, ნების მატარებელი. აქედან მომდინარეობს რელიგიაში მოძღვრება ადამიანის არამქეყნიური არსებობის შესახებ. ქრისტიანულ მოძღვრებაში გაცილებით მეტსაც ვნახულობთ - სწავლებას საყოველთაო სხეულებრივი აღდგომისა და მარადიული ცხოვრების შესახებ, რაც ადამიანის მიზნები ცხოვრებას სრულფასოვან მნიშვნელობას ანიჭება. სწორედ საბოლოო მიზნისა და სიცოცხლის არსებ გადაწყვეტაში ვლინდება მთელი სიცხადით ადამიანის სულიერი ორიენტაცია: აირჩიოს ღვთისა და მარადიული ცხოვრებისადმი, სიმართლის, ჭეშმარიტებისა და სიკეთისადმი რწმენა. აქედან გამომდინარე, იკისროს ზნეობრივი პასუხისმგებლობა ყველა თავისქმედებათა ვამო, თუ ირწმუნოს სიკვდილის საბოლოო და აბსოლუტური კანონი.

რელიგიის მნიშვნელოვან ნიმანს, აგერთვე წარმოადგენს ადამიანისათვის სულიერი და ზნეობრივი ფასეულობების უპირატესობის აღიარება მატერიალურ ფასეულობებთან შედარებით.

ამდენად, რელიგია არა მარტო უპასუხებს კითხვას ცხოვრების არსის შესახებ, არამედ საოცარი ძალით წარმოაჩნეს ამ არსს ყოველი ადამიანის სულში, რომელიც სრულად შეაბიჯებს ცხოვრების რელიგიურ გზაზე. სწორედ ეს გადმოსცა პავლე მოციქულმა სიტყვებით: „არ უნახავს თვალს, არ სმენია ყურს და არ მოსვლია გულზე იგი ადამიანს, რაც მოუმზადა ღმერთმა მის მოყვარულთ“ (1 კორინ. 2,9).

პედაგოგიკა ტრადიციულად განიხილება, როგორც აღზრდის, სწავლებისა და განათლების პრაქტიკა. ბოლო ორი საფუკუნის განმავლობაში მის განსაკუთრებულ თვისებას წარმოადგენს ისეთი ორიგინალური, თვითმყოფადი პედაგოგიკური სისტემების ძიება, რომლებიც აგებულია ფილოსოფიურ ვარაუდებზე ან კონკრეტული ისტორიული დროის პრაქტიკულ მოთხოვნებზე. ისინი მიმართულნი არიან მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის პიროვნებისაკენ, რომლის წინაშეც გახსნილია განუსაზღვრელი რაოდენობა ცხოვრებისეული გზებისა. ეს მართლაც ასეა, ადამიანის ცხოვრებაში უამრავი გზა და შესაძლებლობაა, მაგრამ ყველა მათგანს როდი მივყავართ ხსნამდე.

სხვადასხვა პედაგოგიკურ მიმართულებას საფუძვლად უდევს პიროვნების სულიერ-ზნეობრივი ზრდის წყაროს ძიება. ვფიქრობთ, რომ ეს წყარო ვერ განისაზღვრება თეორიული მოსაზრების საფუძველზე, იგი განისაზღვრება ადამიანისათვის მინიჭებული თავისუფლებით - აღიაროს ან უარყოს ღმერთი. იმის სურვილი, რომ იცხოვრო ღვთის გარეშე, დაუმალო ღმერთს ან თავი აარიდო მასთან შეხვედრას, ვლინდება სხვადასხვა ფორმით. ყველაზე მიწიერ ფორმას, რომელიც გამოცდის ხოლმე პედაგოგიკური აზროვნების შთაგონებას, წარმოადგენს ნატურალიზმი. ნატურალიზმი ახდენს მეცნიერული ცოდნის აბსოლუტიზაციას პედაგოგიკაში, ხოლო სულიერი ცხოვრების ყველა გამოვლინება დაპყავს ფსიქოლოგიზმამდე. ფსიქოლოგიურად წყვეტს, აგრეთვე, პიროვნული უკვდავების-პრობლემას. ინდივიდის არსებობა გრძელდება სხვა ადამიანებში. „თუკი ადამიანის პიროვნება არ დაიყვანება იქამდე, რომ იგი წარმოდგენილია სხეულის მქონე სუბიექტში, არამედ გრძელდება სხვა ადამიანებში, მაშინ ინდივიდის გარდაცვალებით პიროვნება „მთლიანად“ არ კვდება - წერს სხვადასხვა თეორიის ანალიზისას ა.ვ. პეტროვსკი, - ინდივიდი, როგორც პიროვნების მატარებელი, მიდის ცხოვრებიდან, მაგრამ სხვა ადამიანებში პერსონალიზებული, იგი გრძელდება, იწვევს მათში მძიმე განცდებს, რომლებიც აიხსნება კავშირის ტრაგიკული განვეტით ინდივიდის იდეალურ არსებობასა და მის მატერიალურ გაქრობას შორის. სიტყვებში „იგი ცოცხლობს ჩვენში სიკვდილის შემდეგაც“ არც მისტიკა და არც წმინდა მეტაფორულობა - ეს არის მთლიანი ფსიქოლოგიური სტრუქტურის დარღვევის ფაქტი ერთ-ერთი მისი რელიგიური შენარჩუნებისას” [130, გვ. 235]. რელიგიური თვალსაზრისით, ეს მიდგომა იწვევს პანთეიზმს - ბუნების გაღმერთებას, ღმერთის შეცვლას მისი ქმნილებით.

პედაგოგიკის პრობლემები ნატურალიზმის ჩარჩოებიდან გამოჰყავს „ტრანსცენდენტალიზმს”, რომელიც პიროვნების „საკუთარ თავზე” ამაღლების მიზეზს ხსნის არა მარტო ბუნების ძლევითა და შესაძლებლობებით, არამედ უმაღლესი საწყისის არსებობით. მაგრამ ტრანსცენდენტალიზმი არ აღიარებს ღმერთს, როგორც ერთადერთ უმაღლეს საწყისს. იგი არაფერს ამბობს დემონური ძალების არსებობის შესახებ, რითაც პედაგოგიკას ვერ ანიჭებს გარკვეულობას მიზნებისა და მათი მიღწევის საშუალებათა შესახებ, ხოლო, რელიგიური თვალსაზრისით მივყავართ მისტიციზმისა და ოკულტიზმის ააშიში სამყაროსაკენ.

ამდენად, სხვადასხვა პედაგოგიკურ სისტემათა გაცნობას ადრე თუ გვიან მივყავართ იმის აღიარებამდე, რომ არსებობს რელიგიური და არარელიგიური პედაგოგიკა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ერთნაირი ღირებულებისანი არიან. ეს უბრალოდ ფაქტის კონსტატირებაა (აღიარებაა).

პასუხი კითხვაზე, თუ რას წარმოადგენს მართლმადიდებლური პედაგოგიკა, შეიძლება მივიღოთ მაშინ, თუ განვსაზღვრავთ მართლმადიდებლური აღზრდის, სწავლებისა და განათლების მიზანს: ჩვენ ნათლად უნდა წარმოვიდგინოთ, თუ რა ეჭვემდებარება აღზრდას და რა იქმნება მხოლოდ ღვთის მადლით. მართლმადიდებელიადამიანის ცხოვრების მიზანი მდგომარეობს ღმერთთან სულიერ ერთობაში, საკუთარი ცხოვრების ღვთიური გზით. გაეკლესიურება არის ცხოვრების გასულიერება, ცხოვრების შეცვლა სულიერი მინდის ძალით. მართლმადიდებლურ პედაგოგიკას საფუძვლად უდევს იმის გაგება, რომ ეკლესის მიღმა, საეკლესიო ცხოვრების გარეშე, აღზრდისა და ცხოვრების მიზნის მიღწევა შეუძლებელია. აღზრდა-განათლების ძირითადი მიზანი მიიღწევა არა ეკლესის ძალაუფლებით ადამიანზე, არა მედ ცხოვრების წესით, რომელიც გამსჭვალულია, მართლად დიდებული რი სულის კვე თებით. ცხოვრების მართლმადიდებლური წესი წარმოადგენს ღვთაებრივი ჭეშმარიტების შეცნობის საშუალებას. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს არის ერთადერთი შექმნებული, უტყუარი და, რაც მთავარია, უსაფრთხო მეთოდი ადამიანისათვის.

თუკი გავიაზრებთ მართლმადიდებლური აღზრდის მიზანს, შესაძლებელი ხდება იმის გარკვევა, თუ რას წარმოადგენს „მართლმადიდებლური პედაგოგიკა”. მართლმადიდებლური პედაგოგიკა

არის გალვოტივოსნების პედაგოგიკის გალვოტივოსნება ნიშნავს პედაგოგიკის, როგორც თეორიისა და პრაქტიკის, შევსებას ქრისტიანული მართლმადიდებლური იდეებით. კერძოდ კი გალვოტივოსნების პედაგოგიკა - არის პედაგოგიკა, რომელიც მიმართულია ადამიანში ღვთის ხატის გამოკვეთაზე, ღმერთის გამოცხადებაზე სამყაროსათვის ადამიანის სულიერ-ზნეობრივი სრულყოფის გზით. ამრიგად, პიროვნების მიერ გადამრჩენი, ზნეობრივად აუკილებელი სულიერი გამოცდილების შეძენის პროცესი წარმოადგენს ქრისტიანული მართლმადიდებლური პედაგოგიკის საგანს, რასაც ემსახურება სამი ძირითადი სფერო: ეკლესია, ოჯახი და სკოლა, რომელთაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა გააჩნიათ ადამიანის სულიერი ჩამოყალიბებისათვის. ეს სფეროები კი ერთმანეთზე არის დამოკიდებული. ეკლესიური სულისკვეთება გამსჭვალავს მართლმადიდებელი ადამიანის ოჯახურ ცხოვრებას და ხელს უწყობს მის ზნეობრივ თვითგამორკვევას. სკოლას, რომელიც ზეგავლენას ახდენს ადამიანის მსოფლმხედველობაზე, შეუძლია ხელი შეუწყოს პიროვნების სულიერ სრულყოფას, თუკი სკოლის სულისკვეთება ჭეშმარიტებისა და სიმართლის სულისკვეთებაა. ის შეიძლება კონფლიქტების წყაროდაც იქცეს - როგორც შინაგანი, ისე გარე კონფლიქტებისაც, თუკი სკოლა ცდილობს არაკვალიფიციურად შეიქრას სულიერი ყოფიერების სფეროში. ეს ხშირად ხდება მის გამო, რომ სკოლა ცდილობს ცოდნისა და სოციალურ-კულტურული გამოცდილების გარდა, მოსწავლეებს სულიერი გამოცდილებაც მისცეს. უნდა გვახსოვდეს, რომ ყველანაირი სულიერი გამოცდილება არ არის სულის გადამრჩენი და აუცილებელი ადამიანისათვის ისევე, როგორც ყველანაირი ცოდნა თუ სოციალურ-კულტურული გამოცდილება არ არის სოციალურად მისაღები და სასარგებლო.

ქრისტიანულ-მართლმადიდებლური პედაგოგიკის გზა არის გზა აზროვნებიდან ჭვრეტამდე, შემეცნებიდან გამოცდილებამდე. იგი აღიარებს ადამიანის სულიერი საფუძვლის რეალობას და სულიერ სამყაროს. მართლმადიდებლური აღზრდის გამოცდილება უჩვენებს, რომ შეუძლებელია ადამიანში სულიერი ცხოვრების „ორგანიზება“ მხოლოდ მისი ფსიქო-ფიზიკური ფუნქციების განვითარების გზით. სიკეთისა და ბოროტების ცნება საერო პედაგოგიკაში შედარებით ხასიათს ატარებს. მართლმადიდებლურ პედაგოგიკაში ისინი აბსოლუტური ცნებებია. ბოროტების გამართლება შეუძლებელია, დაუშვებელია მისი ესთეტიზირება.

ქრისტიანულ-მართლმადიდებლური პედაგოგიკის ძირითად ცნებას აღზრდა წარმოადგენს. ქრისტიანული აღზრდა შეიძლება, სწორად იყოს წარმართული, როდესაც მას გავაიგივებთ ხანასათან. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იძენს იგი აზრს, როგორც მარადიული ცხოვრებისათვის მზადება. მართლმადიდებლურ მსოფლმხედველობას საფუძვლად უდევს აზრი იმისა, რომ გადარჩენა, ხსნა შეუძლებელია ეკლესის მიღმა. პიროვნების ეკლესიაში მოსვლას მოჰყვება მისი ხსნა. სწორედ ეს წარმოადგენს ძირითად პედაგოგიკურ პრობლემას. აღზრდა განისაზღვრება, როგორც პიროვნების გაღვთივოსნება ჩვენ გვესმის უფრო ფართოდ, ვიდრე რელიგიური აღზრდა. გაღვთივოსნება ნიშნავს რწმენის შუქით ადამიანის პრაქტიკული ცხოვრების გაშუქებას, როდესაც ცხოვრების საფუძველს წარმოადგენს არა პიროვნების განვითარების, არამედ ადამიანის სულის გადარჩენის მიზანი. გადარჩენა არ უარყოფს განვითარებას. მის გარეშე განვითარება გაიგება, როგორც თვითრეალიზაცია, რომელიც, როგორც წესი, წარმოშობს ვნებებს და ასაზრდოებს ადამიანურ სიამაყეს. გადარჩენის საზღვრები განვითარების რეალიზება ხდება მსახურებისა და თავდადების ფორმებში. გაღვთივოსნება (ქრისტიანულად აღზრდა) ნიშნავს არა მარტო იმას, რომ ვასწავლოთ ქრისტიანულად ცხოვრება, არამედ ვასწავლოთ ქრისტიანულად აზროვნება, ეს ნიშნავს წინააღმდეგობის დაძლევას აზრსა და გრძნობას, სხეულსა და სულს, ცოდნასა და რწმენას შორის.

მართლმადიდებლურ პედაგოგიკაში ცნება „განათლებას“ საფუძვლად უდევს სიტყვა „ხატი“, „ნათელი“. წმინდა წერილი მონაშობს ღმერთის მიერ ადამიანის შექმნას საკუთარი ხატისა და მსგავსების მიხედვით. ბიბლიაში ზუსტად არის ნათელამი, რაში მდგომარეობს უფლის ხატი და მსგავსება ადამიანში. წმინდა მამების აზრით, უფლის ხატი უბრიატესად ადამიანის სულიერ სამყაროში ვლინდება, რომ დაძლიოს გრძნობითი ბუნება, ამაღლდეს მატერიალური სამყაროს კანონებზე, მიაღწიოს უკვდავებას, მის გონიერებაში, თავისუფლებაში, სინდისში. მართლმადიდებლურ ტრადიციაში ჩვენ ესაუბრობით, ძირითადად, სულიერ განათლებაზე - განათლებაზე სულიწმინდით. სულიერი განათლება - ეს არის მონანიების, მორჩილების, ზნეობრივი განწმენდის გზა ცოცხალი სულისა და ცოცხალი ღმერთია მუდმივი დიალოგის პროცესში. საღვთისმეტყველო განათლება, ჩვენი აზრით, მაშინ იძენს

ღრიღებულებას, თუკი იგი წარმოადგენს სულიერი განათლების ნაწილს, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში აქვს მას აზრი და მნიშვნელობა.

რელიგიური განათლების განხორციელება საჭიროა ერთოვანული და სოციალური, საგანმანათლებლო და აღმზრდელითი, სარწმუნოებრივი, ფილოსოფიური, მორალური და ესთეტიკური ასპექტების გათვალისწინებით.

ეროვნული და სოციალური ასპექტით რელიგიური განათლება საჭიროა, რათა აღსაზრდელებმა შეძლონ ურთიერთშორის ურთიერთობების დარეგულირება, ესმოდეთ ეკლესის მნიშვნელობა, წარმოდგენა პქნონდეთ ბერძონაზვნობაზე, მართლმადიდებლობის როლზე ქართული პედაგოგიკური აზროვნების განვითარების ისტორიაში.

საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი თვალსაზრისით, რელიგიური განათლება ბავშვებს ანიჭებს სწრაფვას სულიერი შემოქმედებისა და სულიერი ძიებისაკენ, რათა გააცნობიერონ რელიგიურისულიერება, როგორც ადამიანის შინაგანი სამყაროს განუყოფელი ნაწილი.

სარწმუნოებრივი ასპექტით, რელიგიური განათლება მოსწავლეებს აძლევს ინფორმაციას ღმერთის, სულის და მარადიულობის შესახებ. ამასთან, შეძლონ თვითდაკვირვების გზით თვითშემეცნება ღვთის შემცნების საბოლოო მიზნის მისაღწევად.

მორალურ-ესთეტიკური თვალსაზრისით, რელიგიური განათლება ბავშვებისათვის საჭიროა, რათა მათ შეეძლოთ რელიგიაში მოაზრებული ზნეობრივი ნორმებისა და სულიერი შეზღუდვების გაცნობიერება და ისეთი ელემენტარული ნორმების დაცვა და გამომუშავება, როგორიცაა თავაზიანობა, ყურადღებიანობა, კეთილგანწყობიანობა, პატიოსნება, დელიკატურობა, ტაქტიანობა და სხვ. ქრისტიანული სწავლების დროს საჭიროა გავითვალისწინოთ: 1) რეგიონის სულიერ-ზნეობრივი და ისტორიულ-კულტურული ტრადიციები (საუბარია იმ ტრადიციებზე, რომელიც განვითარდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიული განვითარებების პირობებში); ბ) რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების წესის ისტორიულ-ეროვნული თავისებურებები, როგორც მისი მოქალაქეობრივი თვითშეგნების გამოვლინების ფორმა; გ) რეგიონის რელიგიურ-ზნეობრივი, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ლეგალური ასახვა, მისი შემდგომი განვითარების ამოცანები; დ) რეგიონის, როგორც საქართველოს ფედერალური (გეოპოლიტიკური) შინაარსი.


მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მეცნიერული ამოცანების გადაწყვეტა, პირველ რიგში, უნდა მოვახდინოთ სასულიერო საგანმანათლებლო დაწესებულებებში. შემდეგ კი შესაძლებელია მათი თანდათანობითი დანერგვა სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ქართული ქრისტიანული-მართლმადიდებლური პედაგოგიკის გაგებით, სწავლების არს წარმოადგენს პედაგოგიური მხარდაჭერა ადამიანის თანდაყოლილი მოთხოვნილებისა, რათა შეიმეცნოს ჭეშმარიტება და დაუახლოვდეს უფალს. თუ ბავშვობიდან ადამიანის შინაგან მოთხოვნილებებს დავიყვანთ მიწიერაძღვე, თუკი მასწავლებლები და მშობლები ბავშვებს გადასცემენ ადამიანური თვითსაკმარისობის გრძნობას, მაშინ სწავლება წყდება და იცვლება სოციალიზაციისა და პროფესიონალიზაციის პროცესით. მას მართლმადიდებლური პედაგოგიკა სწავლებას კი არ უწოდებს, არამედ შეგუებას, მორიგებას. შეგუების პროცესში არ ხდება სულიერი გამოცდილების შეცვლა, რაც ნიშნავს იმას, გავარკვიოთ, მიმდინარეობს სწავლების პროცესი თუ არა. ასეთი შეცვლის მართლმადიდებლური არსი განისაზღვრება სიტყვით „მონანიება“. ამრიგად, მართლმადიდებლური პედაგოგიკა სწავლებას განიხილავს, იმდენად, რამდენადაც ადამიანი აცნობიერებს თავის არასრულყოფილებას, ამასთან, ისწრაფვის იქითვენ, რომ შეცვალოს საკუთარი თავი. სწავლებისადმი მართლმადიდებლურ მიდგომას საფუძვლად უდევს იმის გაგება, რომ ცოდნის შეძენა ხდება სწავლების პროცესში, როდესაც ის მიმართულია ადამიანის მზადყოფნისაც უნდა იყოს. პიროვნება ცდილობს, შეიმეცნოს, გააცნობიეროს ლვთის მიერ ბოძებული ცოდნა, როდესაც ერუდიციას ეძატება ინტუიცია, ლმერთთან ურთიერთობის ცოცხალი გამოცდილება.

ამდენად, ქართული მართლმადიდებლური პედაგოგიკის საგანმანათლოადგენს პიროვნების გაღვთივოსნება, ხოლო ძირითად ცნებება:

1. ქრისტიანული აღზრდა
2. ქრისტიანული სწავლება
3. ქრისტიანული განათლება

ქართული მართლმადიდებლური  
ქრისტიანული პედაგოგიკის  
მეთოდოლოგიური საფუძვლები,  
საგანი და ძირითადი ცნებები



### §3. ქართული მართლებრივი გადაწყვეტილებური ქრისტიანული პატივობრივი მიზანი, ამოცანები, პრინციპები, აღმზრდაშოთი ზომები, მათი ხასიათი და ფრთხოები

ღმერთმა ყოველივე არსებულზე იმით აგვამაღლა, რომ შეგვქმნა თავის ხატად და მსგავსად - ღვთისადარ არსებად. მოგვანიჭა უკვდავი სული, გონება და თავისუფალი ნება, არჩევანის შესაძლებლობა, - ვიაროთ ან საღმრთო გზით, რომელსაც ცხოვრებისა და სასუფევლისაკენ მივყავართ, ან ღვთის საწინააღმდეგო გზით, რომელიც წარწყმედისა და მარადიული სატანჯველისაკენ გვიხსნის კარს. ღვთისაგან ადამიანს ეძლევა სჯული, რომლის მეოხებით ხორციელდება „სულიერი კავშირი ღმერთსა და კაცს შორის“. სჯული, ანუ აღთქმა შემოქმედსა და ქმნილებას შორის, რის პირველ-სახესაც ვხვდებით „დაბადების“ წიგნში (დაბადება II. 15-17), - წარმოადგენს საღვთო კანონიდებლობას, რომლის მიხედვით, სულიერად მზარდმა ადამიანმა უნდა მოაწესრიგოს და წარმართოს თავისი ცხოვრება, რათა არ დასცილდეს ღვთაებრივ ხატებას“ (დაბადება II. 26.27) და მიაღწიოს თავის სანუკვარ ღმრთივ-განსაზღვრულ მიზანს - ადამიანურ სრულყოფილებას, ანუ ღმერთთან მიახლოებას (მათე.V.48); „შემაკის ამოცანას“ კი წარმოადგენს ცნობიერებით შერყვნას და დაამახინჯოს ღვთის მიერ ადამიანისათვის მიღებული სჯული, რათა კაცი ღმერთთან სულიერი კავშირისაგან განაყენოს, დააცილოს მის ღვთაებრივ სახებას და ძას მიმსგავსებული თავის მსახურებაში ჩაიყენოს. ქრისტე წარმოადგენს თითოეული ადამიანის პიროვნების მეტაფიზიკურ საფუძველს. ღვთის შეილმა თავისი განსხვაულებითა და აღდგომით წარმოაჩინა ადამიანის ცველაზე ღრმა და ფუნდამენტური საფუძველი - ადამიანისა, რომელიც მან შექმნა მარადიული ცხოვრებისა და ყოფიერების იდეალურ სისრულესთან დაახლოების მიზნით. სწორედ ქრისტეში გაიხსნა და გაცოცხლდა პირველად დაუზიანებელი, ღვთის მსგავსი ადამიანის პიროვნება. მის მიერ ადამიანთა ცოდვების გამოსყიდვამ გზა გაუხსნა ადამიანებს სინ მინდისაკენ, ღმერთთან მიახლოვებისა კენ. მართლმადიდებლური აღზრდა არის მიყვანა ქრისტესთან და მის ეკლესიასთან, მუდმივ საზრდოობამდე იმ კურთხეული მადლით, რაც ეკლესიაში სუფევს. მართლმადიდებლური აღზრდის დროს ხდება ადამიანის მთელი ცხოვრების გასპეტაკება ქრისტეს სახით.

ჩენი საზოგადოების დღევანდელი ვითარება რაღაცნაირად გვაძლევს შეშფოთების საშუალებას, მაგრამ სასოება მაინც არ უნდა დავკარგოთ რადგან ბიბლიური, ლვთაებრივი სწავლებიდან გამომდინარე - ვინც განსაცდელში ჩავარდება და გაიმარჯვებს, იგი დიდების გვირგვინის ღირსია: „ნეტარ იყვნეთ თქვენ, რაუას გყველრიდენ და გდევნიდენ და თქვან ყოველი სიტყვა ბოროტი თქვენდა მომართ სიცრუით ჩემთვის: გიხაროდენ და მხიარულ იყვნით, რამეთუ სასყიდელი თქვენი ფრიად არს ჭათა შინა”, - გვამხნევებს უფალი (მთ. 5.11-12; პეტ. 4.12-15).

ამ შემთხვევაში, განსაკუთრებული წვლილი მიუძლვის ქრისტიანულ პედაგოგიკას, მის კულტურულ მნიშვნელობას ქვეყნისათვის. მართლმადიდებლური ქრისტიანული პედაგოგიკის მიხედვით განათლების მიზანია: დაეხმაროს ბავშვს შეიცნოს ლვთის სახება საკუთარ თავში და დაანახოს ამ საქმეში არსებული წინააღმდეგობები. მართლმადიდებლური ქრისტიანული პედაგოგიკის საქმიანობა მიმართულია, ადამიანში ჩამოვაყალიბოთ შინაგანი სამყარო, რათა მასში გახსნას ღვთისსატება. სწორედ ამიტომ არის საჭირო, ბავშვის ქრისტიანული აღზრდა. რადგან ყველაზე დიდი, გლობალური პრობლემა დღევანდელი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ორიმტრიალში მყოფი კაცობრიობისათვს არის თვითფლობა: „შეძლებს თუ არა დაიმოჩილოს თავისი თავი და მის მიერ შექმნილი ტექნიკა. აღმოჩნდება თუ არა დაგროვილი ტექნიკა ადამიანისათვის საბოლოოდ კეთილდღეობის მომცემი. ამავე დროს, უნდა ვაღიაროთ, რომ მეცნიერულად დასაბუთებულმა ტექნიკამ მოგვცა არნახული ძალაუფლება ბუნების ასათვისებლად და ეს ძალაუფლება უნდა იყოს გამოყენებული არა ადამიანის სულიერი დაუძლეურების, არამედ მისი კეთილდღეობისათვის” [84, გვ. 25]. დღევანდელ ეპოქაში, სკოლას, გარკვეულ წილად, უხდება ადაპტირება არსებულ გარემოში და აღზრდის მეთოდების შეთვისება ცივილიზაციის მოთხოვნებთან, რაც ხშირად, შორსაა ქრისტიანული იდეალებისაგან. ქრისტიანული პედაგოგიკის აქცენტი მიმართულია ადამიანის შინაგანი სამყაროს ჩამოყალიბებისაკენ, მასწილების სახების გახსნისაკენ. თუ ბავშვი არ განიცდის აღზრდის ზეგავლენას, შესაძლებელია თავისუფლებით სარგებლობამ მიგვიყვანოს გამოუსწორებელ შეცდომამდე. ამიტომ თანამედროვე ეტაპზე ქართული მართლმადიდებლურ-ქრისტიანულ პედაგოგიურ სისტემაში აღზრდის მიზნის პრობლემა წარმოადგენს

მთავარს. არ შეიძლება აღზარდო მიზნის გაუაზრებლად. ქრისტიანული პედაგოგიკის მიზნის განხორციელების გზაზე გარკვეული ამოცანების გადაწყვეტაა საჭირო. ესენია: 1. ბავშვის მომზადება მარატიული ცხოვრებისათვის; 2. ბავშვის მომზადება ამქვეყნიური ცხოვრებისათვის; 3. ბავშვის თავისუფლება აღზრდაში და 4. აღზრდა ადამიანის ორარქიული პრინციპის გათვალისწინებით.

თუ ბავშვი არ განიცდის აღზრდის ზეგავლენას, თავისუფლებით სარებლობა უაზრობაა, შეიძლება საკუთარი ცხოვრების მოწყობაში დაშვებულ იქნას გამოუსწორებელი შეცდომები. ბავშვის ცხოვრებაში ჩარევის ასეთი მიდგომით ჩვენ ნინაშე ჩნდება ამოცანა - ბავშვის მომზადება მარატიული ცხოვრებისათვის, ცხოვრება ღმერთში და ღმერთთან, რომ მიწიერი დღეები არ დაიკარგოს უსარგებლოდ, რომ სიკვდილი არ იყოს სულიერი კატასტროფა. „მიწიერი ცხოვრებისას საჭიროა ადამიანი გადაარჩინო დაცემისაგან და განავითარო მასში ის, რაც არ დაიკარგება მარატიულობაში. ამაშია აღზრდის ერთი მხარე, ამიტომ ადამიანის შინაგანი სულიერების (სხვა ტერმინით გულის კულტურის) განვითარება-მთავარი გზაა პედაგოგიურ საქმიანობაში“ [76, გვ. 45]. ხოლო, რაც შეეხება ღვთის ხატად და მსგავსად ბავშვის თვითშემეცნების პროცესის დაწყებას, ეს აუცილებლად ოჯახსა და სკოლაში უნდა მოხდეს. „ამიათვის მეცნიერული ფსიქოლოგიისა და პრაქტიკული პედაგოგიკის მიერ უნდა იქნას აღიარებული ერთი მარტივი ქუმარიტება, რომ სული არსებობს. ქრისტიანული ანთროპოლოგიის მიხედვით, უმაღლესი და უზენაესი სული არის ღმერთი, რომელიც არის არსებით ერთი და სამპიროვანი. სრული სული შერწყმულია სრულ სხეულთან... ისაა სწორედ მომქმედი, ენერგიული ნაწილი ადამიანისა“ [114, გვ. 51]. ქრისტიანული პედაგოგიკის მიხედვით, ცათა სასუფეველი სულის მდგომარეობაა. ეს არის სახარების მცნებათა დაცვით სულის განწმენდა ყოველგვარი ბოროტებისაგან. მაცხოვრის თქმით: „ღვთის სასუფეველი არ მოვა თვალსაჩინოდ. არც იტვეუან: აგერ აქ არის, ან აგერ იქ არისო. ვინაიდან, აპა „ეგერა სასუფეველი ღმრთისაი შორის თქუენსა არს““ (ლუკა, 17, 20-21).

ამდენად, ბავშვის მომზადება მარატიული ცხოვრებისათვის მოიცავს შემდეგ აუცილებელ თავისებურებებს: ა) შევაგრძნობინოთ სულის არსებობა; ბ) შინაგანი სულიერების განვითარება; გ) დავანახოთ მიწიერი ცხოვრება და გადავარჩინოთ ადამიანი დაცემისაგან; დ)

განვულებითაროთ მას აღმშენებლობითი უნარი; გ) შევამეცნებინოთ ადამიანის ცხოვრების ღვთის განგებით წარმართვა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვის მომზადება ამქვეყნებური ცხოვრებისათვის. თვით ცხოვრება გვაძლევს შესაძლებლობას არა მარტო მოიპოვო მარადიული ცხოვრება, არამედ კიდეც დაპკარგო იგი. ამქვეყნიური ცხოვრება არის საფეხური სულიერი ცხოვრებისაკენ, მარადიულობაში. სწორედ ამიტომ საჭიროა გათავისუფლება ცხოვრებისეული წერილმანებისაგან, არაარსებითისაგან. მთავარია არ ჩავაქროთ სული. ბავშვმა იმთავითვე უნდა გააცნობიეროს, რა არის მთავარი და მეორეხარისხოვანი, ძირითადი და არსებითი. აღზრდის დროს არ შეიძლება ყურადღება მხოლოდ მარადიული ცხოვრებისათვის მომზადებას მივაქციოთ. პედაგოგიზაციისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებებისა და უნარების გახსნაზე, გამოვლინებაზე. ვინაიდნან, თუ ჩვენ ყურადღებას მხოლოდ მარადიული ცხოვრებისათვის მომზადებას მივაქცევთ, შესაძლებელია მრავალი ინდივიდუალური ტალანტი, ნიჭიერი ბავშვი დარჩეს გაუხსნელი. ადამიანი იმით განსხვავდება სხვა სულიერი არსებისაგან, რომ ის ეკუთვნის არა მარტო მიწას, არამედ მაღლდება მასზე, ცხოვრობს სხვა სამყაროში. ქრისტიანული პედაგოგიკის ამოცანა უნდა იყოს წუთისოფელში არსებული ბოროტებისაგან და არა თვით წუთისოფლისაგან განდგომა. ქრისტიანული პედაგოგიკა მატერიალური ნივთებისა და გრძნობად-სხეულებრივი ცხოვრების ნაცვლად უპირატესობას ანიჭებს სულიერ და გონიერ ცხოვრებას, ადამიანის ცხოვრების ღვთის განგებით წარმართვის შეცნობას.

ამრიგად, ქართული მართლმადიდებლური-ქრისტიანული პედაგოგიკის ამოცანა მარადიული და მიწიერი ცხოვრებისათვის მომზადება უნდა იყოს სწორად შეთანაწყობილი და უნდა შეიქმნას აღზრდის ერთიანი, მიზნობრივი ამოცანა. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქრისტიანული აღზრდა ეს არის მომზადება თავისუფლებისათვის ღმერთში. თავისუფლება არის უფლის საჩუქარი და ვრცელდება მოელ სამყაროზე. ქრისტიანული თავისუფლების ფლობა ძალზე რთულია, რადგან თავისუფლება ფასეული და ძირითადია. მართლმადიდებლურმა პედაგოგიკამ სხვა აღმსარებლობათა შორის ყველაზე უფრო მეტად შეინარჩუნა კეთილგანწყობა, თავისუფლება ეპლესისთვის და ეკლესიის მეშვეობით. ამდენად, ბავშვის მომზადება

ამქევეყნიური ცხოვრებისათვის ნიშნავს: ა) ამასოფლის მშვენიერების შეგრძნებას; ბ) ნიჭისა და უნარის მიხედვით ორიენტირებას; გ) ადამიანის ცხოვრების ღვთის ნებით წარმართვის შეცნობას.

ჩვენ წინაშე ისმის კითხვა, რას ნიშნავს აღზრდა თავისუფლებაში? თავისუფლებაში აღზრდის ამოცანა დასმული იყო ჯერ კიდევ სამოთხეში - კეთილისა და ბოროტების შემცნებისას. ადამი და ევა ლმერთმა უცოდველი, უბინო და თავისუფალი შექმნა და ასწავლა, როგორ უნდა ესარგებლათ ამ საბოძერით. სამწუხარიდ, ჩვენი პირველი მშობლები ნებით დაემორჩილნენ ეშმაკის საცდურს და შეგნებულად დაარღვევს ღვთის მცნება, რის შემდგომაც თავისუფალი ნება კაცისა ბოროტებისაკენ მიიღორივა, რაც არცოდნით კი არა, ღვთისადმი ურჩობითა და შეუნანებლობით იყო გამოწვეული.

შეცოდებამდე თავისუფლება იყო მთლიანად ღია, მაგრამ პირველმა ადამიანებმა არ იცოდნენ მისი გამოყენება „ლმერთს არ შეეძლო მის მიერ შექმნილი თავისუფალი არსების იძულებით, თავის უფლების წაგვრით გამოხსნა. ამიტომ უფალმა იტვირთა საკაცობრიო ცოდვები, აღადგინა დაცემული ადამიანური ბუნება ჯვარცმით, სიკედლით, აღდგომით და ამაღლდა ზეცად. ამით ის მოგვევლინა, როგორც ახალი კაცობრიობის მამამთავარი, მეორე ადამი (I კორინთ. 15, 47). ჩვენი აზრით, ერთადერთი და მნიშვნელოვანი გადაწყვეტა ამ საკითხისა მოცემულია იქსო ქრისტეს სიტყვებში: „სცანით ჭეშმარიტება და ჭეშმარიტებამ განგათავისუფლოს თქვენ“. მიგვაჩინია, რომ აღზრდის სისტემა თავისუფლებაზე არის მიახლოება ჭეშმარიტებასთან. აქედან გამომდინარე, ქართული მართლმადიდებლური პელაგოგიკის მთავარი საზრუნავია: ა) სიკეთისა და ნებისყოფის აღზრდა; 1) იმ სიკეთის გააზრება, რასაც სამყაროსა და ადამიანის შექმნის სიკეთის გააზრება ჰქვია; გ) ვასწავლოთ ბავშვებს სიკეთის კეთება; დ) შევქმნათ კეთილი საქმის ჩადენის პირობები. ამდენად, აღზრდა თავისუფლებაში უნდა დავა კავშიროთ ბავშვის ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. მართლმადიდებლური ქრისტიანული პედაგოგიკის მიხედვით, ჩვენ მხოლე მაშინ ვართ თავისუფალი, როცა ვუსმენთ ეკლესიას და ვცხოვრობთ მასში. ღვთის წინაშე დგომის გზა - არის გზა თავისთავში შინაგანი თავისუფლების აღზრდისა.

ახლა მივმართოთ პედაგოგიკურ სისტემაში მეოთხე მნიშვნელოვან პუნქტს. ესაა პედაგოგიურ პრაქტიკისა დამაიანის იერარქიული აგებულების პრინციპის გათვალისწინება. აღზრდა, იერარქიული

აგებულების პრინციპის გათვალისწინებით, ამოდის ქრისტიანული ანთროპოლოგიიდან. ადამიანი აგებულია იერარქიულად მის ძალასა და შესაძლებლობასთან შეთანხმებით. ადამიანისათვის მიცემული უმთავრესი სჯულიც ღვთისა და კაცთაშორის სიყვარულს გამოხატავს (მათ. 22, 37-40). ქრისტიანული პედაგოგიკის ეს ამოცანა კავშირშია ამცემულიური ცხოვრებისათვის მომზადებასთან. მაგრამ ღვთის მიერ დაზგენილი იერარქია დარღვეული იქნა შეცოდებით და ადამიანის განვითარება არის აღდგენა ნორმალური იერარქიული ძალისა. ქრისტიანული აღზრდის როლი მდგომარეობს, რომ მივიყვანოთ ბავშვი შინაგან ცხოვრებასთან, თავისთავზე მუშაობასთან, მოცემული თავისუფლების შეოვისებასთან.

„ქრისტიანული პედაგოგიზაცია გამოკვეთავს სამშვინველისა და სულის სუბინდინაციის საკითხს. სამშვინელი (ფსიქე) ადამიანის ორგანიზმის სასიცოცხლო ძალაა. სული (პნევმა) კი ადამიანის უმაღლესი დანიშნულების აღსასრულებლადაა მოწოდებული. ადამი იყო სამშვინელის კაცი, მაცხოვარი კი მოგვევლინა სულის კაცად (I კორინ. 15, 45-46). ქრისტიანული ანთროპოლოგიის მიხედვით, სამშვინელი და სული შეიძლება „გარეგან კაცად“ და „შინაგან კაცად“ წარმოჩინდეს. ამათგან უმთავრესია „შინაგანი კაცი“, რომელიც სულიერი დაბადებით იხსნება ადამიანში ნათლისდების საშუალებით. გაზრდილი და განსრულებული სული, რომელიც საფშვინელს ფლობს, ხდება თანაზიარი ღმერთისა“ (114, გვ. 55). ქრისტეს მთელი სული დგას ჯვარსახოვანი სიყვარულის მცნებაზე. ერთი მათგანი მიმართულია ღვთისაკენ, ხოლო მყორე მოყვასისაკენ. ამდენად, ქართული მართლმადიდებლურ-ქრისტიანული პედაგოგიკის მიხედვით, ბავშვის იერარქიული აღზრდის ქვეშ მოიაზრება: ა) შინაგანი და გარეგანი კაცის აღზრდა; ბ) ღვთისა და მოყვასის სიყვარულის აღზრდა; გ) ეკლესიური ერთიანობის და მთლიანობის აღზრდა. ამდენად, ქრისტიანული მართლმადიდებლური პედაგოგიკა წინა პლაზე აყენებს ადამიანის ფაქტორს. მას განიხილავს, როგორც ხატებასა და შეგავსებას ღვთისას, ხოლო განათლების მთავარ დანიშნულებად მიაჩნია ხელი შეუწყოს ბავშვში ღვთით ბოძებული შესაძლებლობების განვითარებას. ბავშვის აღზრდა უნდა წარიმართოს სულიერი ძალების გამოსაწრობად, ძლიერი ხასიათისა და ნების აღსაზრდელად. აქედან გამომდინარე, ქრისტიანული პედაგოგიკის მიზანი და ამოცანები ასე წარმოგვიდგება: მომზადება ამქვეყნიური ცხოვრებისათვის, მარადიული

ცხოვრებისათვის, ბაშვის აღზრდა თავისუფლებაში, აღზრდა ადამიანის იერარქიული აგებულების პრინციპის გათვალისწინებით.

ეკლესიაში მისვლის, ლრმა ლიტურგიული ცხოვრების გარეშე შეუძლებელია ნამდვილი ქრისტიანულ-მართლმადიდებლური აღზრდა-განათლება. პედაგოგიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია არა მარტო ინდივიდუალური დაახლოება ეკლესის კურთხეულ ძალებთან, არამედ საეკლესიო გარემოსათანაც. ჩვენი სოციალური და ოჯახური ცხოვრება მხოლოდ ეკლესიაში და ეკლესის მეშვეობით ღებულობს თავის კურთხევასა და გახსნას.

ეკლესიასთან დაახლოების პროცესში სკოლაც უნდა გარდაქმნას „მცირე ეკლესიად“. საეკლესიო გარემოს მნიშვნელობა, როგორც პირველხარისხოვანი ფაქტორისა, მდგომარეობს პავშების სულიერ მომწიფებაში. ბავშვის სული სულიერად ცხოვრობს იმ სიმდიდრით, რომელიც მოცემულია ღვთის სახეში, მაგრამ იგი სულიერად ვითარდება არა იზოლაციაში სხვა ბავშვებისაგან, არამედ ეკლესიასთან სკოლის დაახლოებისა და ორგანიზების გზით.

თანამედროვე საერო სკოლა და საზოგადოება ნაკლებად ავითარებს ბავშვები ცოდვის შეგნებას, თვით წარმოდგენას სიკეთესა და ბოროტებაზე. ცოდვის გრძნობა ბევრ ისეთ ადამიანსაც უმსუბუქდება, რომელიც თავს მართლმადიდებლად თვლის. აი, რატომ არის აუცილებელი გან ვუვითაროთ ბავშვს ბოროტებისათვის წინააღმდეგობის განვევის უნარი; განსაკუთრებით იმ ბოროტებისათვის, რო მე ლიც სა კუ თარ „მე ში ა“ მო კა ლა თებული. მართლმადიდებლობისათვის ჭეშმარიტი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენს მისი მოწყობა ქრისტიანული სრულყოფილების მოთხოვნით. მართლმადიდებელთათვის წმინდანთა ცხოვრება წარმოადგენს ცხოვრების ნიმუშს, საიდანაც მომდინარეობს მართლმადიდებლობის ზნეობრივი ასკეტიზმი. ბერმონაზენური წყობა, ლოცვა, მარხვა, რაც გულისსმობს აღმასვლას.

თანამედროვე გლობალიზაციის პროცესში საერო ცხოვრების სულისკვეთებას, შეზღუდულ მატერიალისტურ მსოფლმხედველობას, აღვირახსნილობას, ცბიერებას უნდა დავუპირის პიროთ მართლმადიდებლობის ზნეობრივი ასპექტები, როგორც ჩვენი აღზრდა-განათლების საფუძველი. არამარტო საქართველოს, არამედ მთელი სამყაროს ხვალინდელი დღე წარმოუდგენელია ადამიანის დაბრუნების გარეშე სულიერი სისუფთავისა და თვითშეზღუდვის იდეალებთან.

მაგრამ ყველაზე ასკუტური ცხოვრებაც კი შეიძლება იქცეს ფანატიზმად, თუკი არ არსებობს სიყვარული, ქრისტეს მცნებებისადმი ერთგულება - მათი არსი მოკლედ გადმოსცა უფალმა, როცა თქვა: გიყვარდეს უფალი ღმერთი, შენი მთელი სულით და მთელი შენი გულით და მთელი შენი გონებით. ეს არის პირველი და მთავარი მცნება ან გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი. „ამ ორ მცნებაზეა დამოკიდებული მთელი რჯული ნინასნარმეტყველთა“ (მათ. 22, 37-40).

მიგვაჩინა, რომ ქრისტიანული-მართლმადიდებლური პედაგოგიკის მიზნებიდან, ამოცანებიდან და პრინციპებიდან გამომდინარე, დღეს, მთავარია, გავითავისოთ მშობლიური მხარის მემკვიდრეობის ათვისების ცნება. იგი ერთდროულად მისტიკურიცაა და მშობლიურიც. „და ნათელი ბნელში ნათობს (ინ. 1,5). სინათლე ქრისტესი - სინათლე ქვეყნიერებისა, რწმენისა და ჭეშმარიტებისა, იმედისა და სიყვარულად ჩაუქრობელი აღმოჩნდა, რადგან „ბნელმა იგი ვერ მოიცვა“ (ინ. 1,5).

მსოფლმხედველობა, რომელზეც საუკუნეთა მანძილზე ჩვენი ერის სულიერ-კულტურული და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრება შენდებოდა, ასეთი მოკლე ფორმულით შეიძლება განვსაზღვროთ: ქრისტიანული პატრიოტიზმი. „სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში პატრიოტული გრძნობებისა და ეროვნული ცნობიერების გამოღიძებას, ეროვნული მოძრაობის აღორძინებას პარალელურად მოჰყვა ასეთივე ძალითა და ინტენსივობით ქრისტიანული ცხოვრების აღორძინება, ამიტომ მივიღეთ პატრიოტიზმი ქრისტიანობის გარეშე. ეროვნული სული ქრისტიანული, ლითაებრივი სულის გარეშე, თუმცა ეროვნულმა მოძრაობამ განსაკუთრებული, გამოჩერეული როლი ითამაშა ერის გარკვეული ნაწილის მართლმადიდებელი ქრისტიანული იდეალებით სულიერ-სარწმუნოებრივ ცხოვრებასთან დაბრუნებისათვის“ [113, გვ. 5]. ქრისტიანობა - ქრისტეს მოძღვრების გარდა - ჩვენში ნიშნავდა მთელი საქართველოს მიწა-წყალს, ნიშნავდა ქართველობას. დღესაც მთელს ამიერკავკასიაში ქართველი და ქრისტიანი ერთსა და იმავე მნიშვნელობის სიტყვები არიან. გაქრისტიანების მაგიერ იტყვაან გაქართველდა.

ქართველთა ცლიერება რომ ქრისტიანობისა და ეროვნულობის ერთიანობაში მდგომარეობდა, ეს შესანიშნავად იცოდა ჩვენი ერის ყველა მტერმა - შინაურმა თუ გარეულმა, ამიტომ ცდილობდნენ მუდამ და დღესაც არ აკლებენ ცდასა და მონდომებას, ქართველი ერის საბოლოოდ დასამონებლად და გასანადგურებლად, ჩვენი

სულიდან მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოების აღმოფხვრას, ქართული ეროვნული იდეალების ამოძირვას დღეს ხშირად გვესმის, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანული მოძღვრება გამორიცხავს თანამემამულის, სამშობლოს ხრისტიანულს და მხოლოდ ზოგადადამიანურ, კოსმოპოლიტურ სიყვარულს ითვალისწინებს. ვნახოთ, ასეთ მცდარ შეხედულებას როგორ ამხელს ქრისტეს სწავლება: „დიდია ჩემი მწუხარება და დაუცხრომელია ტკივილი ჩემი გულისა. ასე რომ, ვისურვებდი თავად ვყოფილიყავ შეჩვენებული ქრისტეს მიერ ჩემი ძმების, ჩემი სისხლისა და ხორცის გამო” (რომ. 9:2-3). სახარების შესაბამისად იქსო ქრისტეს არ გაუყვითა ერთმანეთისაგან სარწმუნოება, ერი და ზნეობა. ის იმასაც გვასწავლიდა, თუ როგორ უნდა გვწამდეს ღმერთი და იმასაც, როგორ ვიცხოვროთ სარწმუნოების თანახმად. ერი, სარწმუნოება და ზნეობა განუყრელია ერთმანეთისგან. თუ გვწამს, რომ ის ღვისა მოვიდა ჩვენი სიკვდილისა დაწყევისაგან გამოსახსნელად და თავი დასდო ჩვენთვის, უნდა აღვასრულოთ მისი მცნებანი. თუ გვწამს და გვჯერა, რომ ძმები ვართ, როგორც ადამისაგან წარმომდარი და ვუყვარვართ ღმერთს, როგორც შვილები, უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი და დამოკიდებულება ხალხებს შორის კეთილგანწყობილი უნდა იყოს. რისთვისაც, ჩვენი აზრით, საჭიროა გარკვეული პრინციპი. ეს პრინციპია ზნეობითი სჯული ღვთისა, რომელიც, როგორც წინა პარაგრაფებში აღნიშნეთ, მოცემულია ბიბლიაში და იყოფა ძველი აღთქმის, ანუ მოსეს სჯულად და ახალი აღთქმის, ანუ სახარების სჯულად.

მოსეს სჯული შედგება იმ ბრძანებისა და ათი მცნებისაგან, რომელიც ღმერთმა მისცა ეპრაცელებს მოსეს მეშვეობით. უძთავრესი შინაარსი მოსეს სჯულისა ათ მცნებაშია განთავსებული. ამ სჯულის ზნეობითი კანონები და მცნებები სავალდებულო ქრისტიანთათვის, რადგანაც ქრისტემ მიიღო და შეავსო ისინი.

სჯული სახარებისა ანუ ახალ აღთქმისა, ეწოდება ქრისტეს მიერ მოცემულ სჯულს, რომელიც გაავრცელეს ქვეყანაზე მისმა მოციქულებმა. სჯული სახარებისა არის სრული და ჭეშმარიტი, დამაკმაყოფილებელი ყველა ერის (მათ შორის ქართველი ერის), დროისა და მდგომარეობის მოთხოვნილებებისა, ყველასათვის გასაგები და ადვილად აღსასრულებელი.

ამდენად, სახარების მოძღვრება ყველა მართლმადიდებელი ქართველისათვის სავალდებულო ზნეობრივი კანონია. მკაფიოდ და

მოკლედ სჯული ქრისტესი ჩამოყალიბებულია ცხრა ნეტარების სახით წარმონათქვამში, რომელიც სათნოებად მიჩნევს სიმდაბლეს, მიზევებას, სიმშეიდეს, სიმართლეს, სარწმუნოების დაცვას. მიგვაჩნია, რომ ქრისტიანული სარწმუნოების მთავარი მიზანი ადამიანის ამაღლებაა. აქედან გამომდინარე, იგი ჭეშმარიტად ემსახურება ქართველი ხალხის სრულყოფასა და ეროვნული სულისკვეთებით აღზრდას.

ნმიდა ილია მართალი ბრძანებს: „ქრისტე ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვეუც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადაუდეველეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი, და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი. გავწყდით, გავიუღიტეთ, თავი გავიწირეთ, ცოლ-შვილი გავწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისათვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა „შევინახეთ“ [141, გვ. 35].

ტოტალური რეჟიმის მიერ დანატოვარი ანტირელიგიური და არტიტულური აღზრდა-განათლების სისტემის ძირეული რეფორმირება ვერ მოხდება ტრადიციული პრინციპებისა და სულიერი ფასეულობების აღდგენა-დაბრუნების ვარეშე. ამას კი დიდი დრო, და, რაც მთავარია, დიდი სულიერი გამოცდილება სჭირდება. ზოგისთვის ტრადიცია განყენებულ კატეგორიებში მოაზრებული ცხოვრების მოქმედი წესია, სადაც ყველაფერი სტერეოტიპების მიხედვით ხორციელდება. რეალურად კი ეს ცოცხალი შემოქმედებითი ცხოვრებაა, რომლის სულიერ დერძს ჩვენთვის საუკუნეების მანძილზე ეკლესია წარმოადგენდა. ეკლესია, რომელიც აცოცხლებდა და ხელმძღვანელობდა ისეთ უმნიშვნელოვანეს საქმეს, როგორიც მომავალი თაობის აღზრდა-განათლებაა. ამდენად, ბავშვების სწორი აღზრდა-განათლება ყველაზე მტკიცე, უტყუარი საწინდარია ერთა და სახელმწიფოთა აყვავებისა. ცუდად აღზრდილი ადამიანი კი, პირიქით, სახელმწიფოს, ერის უსარგებლო წევრია, რომელსაც მხოლოდ ზიანის მოტანა თუ შეუძლია, რამეთუ საღმრთო წერილის სიტყვით, „კურთხევითა წრფელითაითა აღემართოს ქალაქი, ხოლო პირითა უღმრთოთა-დაიქცეს“ (იგავ. 11,11). ხოლო, ვისაც არ შეუძლია ამქვეყნიურ სახელმწიფოში იყოს კარგი მოქალაქე, ის ვერც ზეციურში - ღმრთის სასუფეველში, იქნება ღირსეული მკვიდრი. ამიტომ ბავშვთა მართლმადიდებლური ქრისტიანული პედაგოგიკის სულისკვეთებით აღზრდა-განათლება ყოველთვის უმნიშვნელოვანეს საკითხად მიგვაჩნდა და მიგვაჩნია.

ილია ჭავჭავაძეს ბავშვის პირველ აღმზრდელად სწორედ მშობლები მიაჩნდა, ხოლო აღმზრდელობითი ზეგავლენის ყველაზე მთავარ ფაქტორად - ოჯახი. „საჭიროა ვიცოდეთ, - წერდა ილია, - რომ შვილის გაზრდა, შვილის კაცად გამოყვანა უწინდესი და უდიდესი ვალია მშობლებისა... გაზრდა შვილის ისეთი მოვალეობაა, რომ სხვა ყველაფერი ამას უნდა შევწიროთ, ამას უნდა შევალიოთ, სხვაგან და სხვაში უნდა დავიკლოთ და ყოველივე ნაწვაც-ნადაგი, ყოველივე ამაგი და უფრო მეტი დრო ამას უნდა მოვამაროთ" [202, გვ. 262].

ოჯახთან ერთად, ქრისტიანულ პედაგოგიკაში აღმზრდელობითი ზეგავლენის ფორმას წარმოადგენს სკოლა. მაგრამ მას არ შეუძლია ოჯახის შეცვლა ან ოჯახად გახდომა. დღეს სკოლა და ოჯახი, ფაქტობრივად, ჩამოშორებულია ერთმანეთს და ეს მაშინ, როდესაც ოჯახისა და სკოლის ურთიერთყვავშირს, ნაწილობრივ მაინც, შეუძლია იმ სირთულეების დაძლევა, რომლებზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. აქ მათი ურთიერთვავშირის აღდგენის საქმეში ქრისტიანული პედაგოგიკის თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეკლესიას და რელიგიის ისტორიის სწავლების შემოღებას სკოლაში. მითუმეტეს, რომ, თანამედროვე დემოკრატიზაციის პროცესში, საქართველოში შეიქმნა მრავალი სასულიერო სასწავლებელი, გრმნაზია, აკადემია და სხვა.

ისტორიული ქარტეხილების დროს ყოველთვის ხდება ადამიანის პოტენციის მაქსიმალური გამოვლენა სხვადასხვა სფეროში, მათ შორის სულიერში. ხშირად ვხვდებით დაპირისპირებულ მოვლენებს ახალგაზრდობაში, ერთი მხრივ, გამძაფრებულ რელიგიურობასა და, მეორე მხრივ, სრულ უზნეობას შორის. ასეთ სიტუაციაში, ვფიქრობთ, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სკოლაში რელიგიისა და რელიგიის ისტორიის სწავლებას, მოსწავლეებთან მუშაობის პედაგოგიურ-ფიქოლოგიურ მხარეს. გადავარჩინოთ მოზარდის სული, მივცეთ მის განვითარებას სწორი მიმართულება, განვამტკიცოთ მასში ქრისტიანული ნორმებისადმი სიყვარული, ხელი შევუწყოთ პიროვნების ჩამოყალიბებას, - ეს არის დღევანდელ ეტაპზე ოჯახთან ერთად სკოლის, როგორც სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულების, უპირველესი მოვალეობა. მართლაცდა, დღეს მოზარდს აკლია „რელიგიური განათლება“, „რელიგიური ცოდნა“. გამომდინარე აქედან, მოსწავლეთა, ქრისტიანული პედაგოგიკის თვალსაზრისით, აღმზრდა დღეს ერთ-ერთ უმწვავეს და აქტუალურ პრობლემად გვესახება. XX

საუკუნის 90-იან წლებში საერთო სკოლებში შემოვიდა ახალი საგანი „რელიგია და კულტურა“, „სალვო სჯული“, უმაღლეს სასწავლებლებში ისწავლება „რელიგიის ისტორიის“ ან „რელიგიათმცოდნეობის“ კურსები. დღევანდელი განათლების სამინისტოს მქონეურებმა კი საგანი „რელიგია და კულტურა“, „სალვო სჯული“ გააუქმის, რაც, გარკვეულ წილად ხელს შეუშლის სკოლაში ქრისტიანული აღზრდის დანერგვას. მიგვაჩნია, რომ სკოლის პუმანიზაციის პროცესში საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება რელიგიურ ღირებულებათა წვდომის, რელიგიური რწმენის ფორმირებას მოზარდის პიროვნებაში. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ განათლების ეროვნული სისტემის მიზანი უნდა იყოს განათლებული, მცოდნე და იმავდროულად მორწმუნე და მაღალი ზეობის მქონე მონაცალი თაობის აღზრდა, ცხოვრების ქრისტიანული წესის დანერგვა. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ აღსაზრდელებში მეცნიერულ მსოფლმხედველობასთან ერთად, რელიგიური მსოფლმხედველობის ფორმირებას, ცოდნისა და რწმენის სინთეზის საკითხს.

აქედან გამომდინარე, კარგია რომ სკოლაში კვლავ აღდგეს საგანი „რელიგია და კულტურა“, „რელიგიის ისტორია“, „საქართველოს ეკლესიის ისტორია“; პუმანიტარულ საგნებში შეიძლება ჩავრთოთ ბიბლიური მოთხრობები, რადგან ისინი გვაუწყებენ განსაკდელის უამს ღვთის შენევნაზე, გვამცნობენ იმას, რომ ღმერთი უშვებდა ადამიანთა ვნებას გარკვეული ხნის განმავლობაში, მაგრამ ყოველთვის ახაოვდა ისინი და მათს ტანჯვას მათსავე სასიკეთოდ მიმართავდა. უმცროს სასკოლო ასაკში ბავშვებს აინტერესებთ მომხდარის მიზეზი და შედეგები; როდესაც ისმენენ ბიბლიურ მოთხრობებს, ისინი სკამენ კითხვას, რა სურს ღმერთს სამყაროს გაუკეთოს. ასეთი ბავშვები უკვე მზად არიან იმისათვის, რომ მიიღონ უმარტივესი განმარტება სწავლებათა ნების თავისუფლების შესახებ. ბავშვებს შეიძლება მივაწოდოთ დოგმატების ისეთი ახსნა-განმარტება, რომელიც აკმაყოფილებს მათ მისწრაფებას უმარტივესი ლოგიკური სქემებისადმი, მაგ. სამების დოგმატის ახსნა (ცნობილი შედარება მზის დისკოსა, სინათლესა და სიოპოსთან). ჩვენი მიზანია - გავაღვიძოთ ბავშვები შეგრძება იმისა, რომ ღმერთი რეალურად არსებობს, თანამყოფობს ჩვენთან, მონაწილეობს ჩვენს ცხოვრებაში და ჩვენ მასთან ცოცხალი კავშირი გვაქვს. ბიბლიური მოთხრობები სწორედ ამ რეალობაზე, ღმერთთან შეხვედრის რეალობაზე მეტყველებს. მასწავლებლის ამოცანაა ამგვარი მოთხრობისა თუ მოვლენის არსი ისე ახსნას, რომ

ის ბავშვებისათვის უფრო გასაგები მათი საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების შუქზე გახდეს. ბუნებრივია, ისმის კითხვა, შეიძლებან ცხრა წლის ასაკამდე ბავშვს სარწმუნოების როვორი საფუქვლები, ღვთისადმი ადამიანის დამოკიდებულების შესახებ არსებული რომელი წარმოდგენები და ცნობები შეიძლება მივაწოდოთ? ბავშვებს უკვე შეუძლიათ აღიქვან ღმერთი ვითარცა სამყაროს შემოქმედი. ეს იდეა რელიგიურ მნიშვნელობას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ ბავშვებს სამყაროს მშვენიერება და არაჩვეულებრივობა უკვე რამდენადმე აღქმული აქვთ. ძალზედ მნიშვნელოვანია ბავშვებს ვასწავლოთ ბუნებრივი მოვლენებით გაოცება. მაგალითად, პიპლის სიტყვები: „და თქუ ღმერთმან: ქუეყანამან აღმოიღედ მწვანეილი თვისა, მთესველი თესლისა ნათესავობისამებრი და მსგავსებისამებრი და ეს ნაყოფიერი, მყოფელი ნათესაობისა" (დაბ. 1,11), რაც ბავშვებისათვის გაცილებით დიდ მნიშვნელობას იმ შემთხვევაში შეიძენს, თუ ჩვენ მათ ამ პროცესებს ვაჩვენებთ. კლასში შეიძლება ჩავატაროთ მარტივი ცდები, ვაჩვენოთ ფილტი მცენარეების ზრდის შესახებ და სხვა. ასევე, შესაძლებელია შესაქმეს სხვა ასპექტების ილუსტრირებაც. პირველ რიგში ბავშვებს უნდა ვასწავლოთ ლოცვა. სწორედ ამიტომ იყო, რომ იაკობმა თავის უკვდავ „დედა-ენაში“ მოათავსა რამდენიმე მოკლე და მარტივი ლოცვა: „უფალო შეგვიწყალე“, „მოგვმადლე უფალო“, „მამაო ჩვენო“ და სხვ., რომელთა დასწავლას ყველა ქრისტიანი ბავშვისთვის ის საყალდებულოდ მიიჩნევდა. ამასთან, იაკობი მასწავლებლებს მოუწოდებდა, რომ დიდი სიფრთხილე გამოეჩინათ ლოცვების დასწავლის დროს. ვინაიდან, „ისე არაფერი ამახინჯებს, აშრობს და ჰყლავს კაცის გულში რელიგიურ გრძნობასა, როგორც უაზროდ, გაუგებრად, თუთიყუშივით გაზეპირება ლოცვებისა სიპატარავის დროს. გონებით ვნება ამ პედაგოგის წინააღმდეგი ჩვეულებისა ხომ კიდევ მომატებულია“. გოგებაშვილი მოზარდთა ქრისტიანული აღზრდის საქმეში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ძველი აღთქმის მოთხრობებს. მას გამოჩეულად მოსწონდა იოსებისა და მოსეს ცხოვრების ამსახველი მოთხრობები. ერთხელ, 1896 წელს, როცა იაკობს უსაყვედურეს, „ანგელოზის“ შინარსს ბავშვი ვერ გაიგებს და სახელმძღვანელოში არ უნდა შეგეტანაო, მან საპასუხო წერილში - „შენიშვნები შენიშვნებზე“ - თავისი პოზიცია იძიოთ გაამართდა, რომ შესაძლოა, შვიდი-რვა წლის ყმაწვილი, მართლაც, ვერ ჩაწვდება გონებით „მეტად მიმზიდველს, პოეტურს, ნაზსა და ზნეობრივს სწავლას

ანგელოზზე, მაგრამ გულით ხომ კარგად იგრძნობს და ამისთანა გრძნობას დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს სპეციალისტის აღზრდისათვისო" [52, გვ. 443].

მიგვაჩინია, რომ თანამედროვე სკოლაში რელიგიის სწავლების ძირითად ამოცანას წარმოადგენს მოსწავლის ინფორმირება რელიგიების ძირითადად ქრისტიანული რელიგიის შესახებ ცოდნით, რათა მათ შეძლონ საკუთარი შემეცნების საფუძველზე შეიქმნან შესაფერისი აზრი. ამასთანავე, გადამწყვეტია, რომ რელიგიის სწავლების შინაარსი შევუფარდოთ მის ამოცანას, საფუძველს - სწავლებას სულის შესახებ. ამდენად, ქრისტიანული პედაგოგიკის თვალთახედვით, სკოლაში რელიგიის სწავლება აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს. თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში არის კიდევ ერთი, გლობალური ასპექტი, რომელიც რელიგიური განათლების საჭიროებას განსაზღვრავს, ეს არის საშიშროება დაკარგოთ ეროვნული თვითმყოფადობა. ამ საქმეში კი რელიგიურ განათლებასა და სწავლებას, რელიგიურ აღზრდას, ჩვენი აზრით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ჩვენთვის ეროვნულობა და მართლმადიდებლობა ერთიანი ლირებულებაა და სწორედ მართლმადიდებლობამ გადაგვარჩინა უცხოელთა შემოსევებისაგან და იმავე მართლმადიდებლობამ შეგვიქმნა ის დიდი, თავისთავადი კულტურა, რომლითაც ჩვენ ვარსებობთ და ვამაყობთ. ასე რომ, ამ ზერელე, წამხედურმა გლობალიზაციამ სკოლის ფაქტორიც შეგვირყია.

ვფიქრიბო, რომ ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანული პედაგოგიკის მიზნის განსახორციელებლად, მოსწავლეთა რელიგიური კუთხით აღზრდის საქმეში განსაკუთრებული როლი ენიჭება სკოლის მასწავლებელს. ჩვენი აზრით, სარჩმუნოებისა და რელიგიის მაწავლებელს უნდა ახასიათებდეს შემდეგი თავისებურებებს:

- მასწავლებელი ლვთის სიტყვას – ისეთი მტკიცე რწმენით, ისეთი სიყვარულით უნდა ასწავლიდეს, რომ მოსწავლეებში იბუდებდეს რწმენა იმისა, რომ ქრისტეა ერთადერთი და, არა ერთ-ერთი, გზა ცხოვრებისა, გადარჩინისა;

- მასწავლებელს უნდა სწამდეს, რომ ბიბლია ჭეშმარიტად ლვთის სიტყვაა;

- მასწავლებელმა უნდა აღასრულოს ყოველგვარი სიმართლე, ანუ უფლისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, "უდიდესი თქვენს შორის იყოს მსახური" (მთ. 23,13).

- მასწავლებელმა სხვა იქსო ქრისტე და სხვა სახარება კი არ უნდა ასწავლოს, არამედ მხოლოდ ის ქრისტე და ის სახარება რომელიც მოციქულთა პირით გვითხრა უფალმა;

- მასწავლებელი უნდა აღიარებდეს მართლმადიდებლურ ქრისტი-ანულ სარწმუნოებას და თავად იყოს ეთიკურად და ზნეობრივად სრულყოფილი პიროვნება;

- მასწავლებელი უნდა ფლობდეს საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებს. კერძოდ საქმიანობის ორგანიზაციას, საკუთარი ქცევის ორგანიზაციას, ბავშვთა საქმიანობის ორგანიზაციას და დროის მართვის უნარს.

ჩვენი შესწავლის საგანი გახდა, ქუთაისის სკოლებში, ჩაგვეტა-რებინა გამოკითხვა საჭიროა თუ არა ისწავლებოდეს სკოლაში რე-ლიგიის ისტორია? კვლევის პროცესში გავითვალისწინეთ, რომ ქართველი მართლმადიდებელი მოსწავლეები ერთმანეთისაგან განსხვავ-დებიან სიღრმის თვალსაზრისით – ზოგიერთი მათგანი ყველა რე-ლიგიურ რიტუალს იცავს, ხოლო სხვები უფრო ტრადიციის გამო მისდევენ რელიგიას. ჩვენ ისინი დავაჯდუფეთ ორ ტიპად: მორწმუნე-ნი შინაგანი და გარეგანი ტიპის მიხედვით. ჩვენი კვლევა ჩატარდა ეტაპების მიხედვით. სულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო V – XI კლასის ცდის 1500 პირმა. ირველ ეტაპზე მოვახდინეთ რესპონდენ-ტების ჯგუფში განაწილება. 1500 რესპონდენტს დაურიგდა კითხვარი, რათა ისინი დაგვეყყო ორ ჯგუფად. 570 მათგანი აღმოჩნდა შინაგანი ტიპის მორწმუნე, ხოლო 930 – გარეგანი ტიპის მორწმუნე.

მეორე ეტაპზე შევიმუშავეთ ინსტრუქცია-კითხვარი საჭიროა თუ არა ისწავლებოდეს სკოლაში "საღვთო სჯული" და "რელიგიის ისტორია"?! ჩვენი კვლევის შედეგად მივიღეთ, რომ გამოკითხულთა აზრით, საჯარო სკოლაში უნდა ისწავლებოდეს "რელიგიის ისტო-რია", ხოლო "საღვთო სჯული" სასულიერო სასწავლებლებში. მათი აზრით სკოლა არ არის დაყოფილი რელიგიური ნიშნის მიხედვით.

მიგვაჩინა, რომ თანამედროვე პირობებში საჭიროა საჯარო სკო-ლაში "რელიგიის ისტორიის" სწავლება. კვლევის შედეგებიდან გა-მომდინარე, ამ ეტაპზე გვინდა წარმოგიდგინოთ ჩვენი პედაგოგიური გამოცდილება( 14 ნელი ვმუშაობვდი რელიგიის ისტორიის მასწავ-ლებლად ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტის საბაზო-სკოლა გიმნაზიაში). ამ ხნის განმავლობაში ჩა-მოგვიყალიბდა აზრი, რომ რელიგიის ისტორიის სწავლებას ქრის-ტიანობის პრიმატით დადებითი მუხტი შეაქვს მოსწავლეთა ქრისტი-

ანული და პატრიოტული სულისკვეთებით აღმრდის საქმეში. კარგად მოგეხსენებათ, რომ შეიქმნა მრავალი წიგნი, დაიბეჭდა პროგრამა მაგრამ მათ ვერ მოიკიდეს ფეხი თანამედროვე სკოლაში. რა მოდენიმე წელია სულ გაუქმდა რელიგიის სწავლება სკოლაში. ჩვენ გთავაზობთ ჩვენს მიერ შემუშავებულ პროგრამას "რელიგიის ისტორიაში", რომელსაც, ვფიქრობთ, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში შეუძლია ქართველი ახალგაზრდობა აღზარდოს რელიგიურ-ზნეობრივი და ეროვნული სულისკვეთებით.

რელიგიის ისტორია

(პროგრამა)

1. რელიგიის ისტორიის საგანი. რელიგიის ისტორია, როგორც რელიგიათმცოდნეობის შემადგენელი ნაწილი. რელიგიის ფილოსოფიის, რელიგიის ფსიქოლოგიის, რელიგიის სოციოლოგიის, რელიგიის ფინანსოლოგიის არსი და მნიშვნელობა. მართლმადიდებლობა, როგორც ქართველი ერის უმთავრესი არტერია. რელიგიის ისტორიის სწავლების მართებულობა, მიზნები და ამოცანები თანამედროვე სკოლაში.

2. რელიგიის არსი. ტერმინ "რელიგიის" ეტიმოლოგია, სემანტიკა, რელიგიის განმარტება. რელიგიის არსისა და წარმოშობის საკითხი. - ე.ნ. სიცრუის თეორია; რელიგიის სოციალური მნიშვნელობა. რელიგიური კონცეფციები; რელიგიის კვლევის სოციოლოგია; რწმენა, როგორც რელიგიის საყრდენი.

3. რელიგიის წარმოშობა და მისი ისტორიული ფორმები. რელიგიის წარმოშობა და განვითარება ლვთისმეტყველთა მიხედვით; ლვთისმეტყველება, მეცნიერება ლვთის რწმენისა და თაყვანისცემის შესახებ; პრათეიზმი; ფეტიშიზმი; ანიმიზმი; ტომეტემიზმი; ქართული ტომეტიზმი; მაგია და მისი სახეები; რელიგიის ისტორიის მეცნიერული მეთოდოლოგიით შესავალა.

4. მსოფლიო რელიგიების კლასიფიკაცია. პრათეიზმი-წინარელმერთიანობა; პრამონთეიზმი- პირველყოფილი ერთლმერთიანობა; პოლითეიზმი – მოძღვრება მრავალლმერთიანობის შესახებ; პანთეიზმი – რელიგიურ – ფილოსოფიური მიმდინარეობა ღმერთისა და ბუნების შერწყმის შესახებ; დუალიზმი – როგორც მოძღვრება – სამყაროს მატერიალური და სულიერი არსებობის შესახებ; მონოთეიზმი – მოძღვრება ერთლმერთიანობის შესახებ; დეიზმი, რომლის მიხედვითაც უარყოფილია პიროვნული ღმერთის არსებობა და მისი ყოველ-

დღიური ჩარევა სამყაროში; თეიზმი, როგორც პიროვნული ღმერ-  
თის რელიგია.

5. ძველი ცივილიზაციის პოლიტეისტური და ნაციონალური რე-  
ლიგიები. წინა აზიის ქვეყნების (შუმერულ – ბაბილონური, ასურუ-  
ლი, ხეთური, ურარტული, ფინიკიური, ძველეგვიპტური, ინდური,  
ჩინური, იაპონური, ძველბერძნული, რომაული, ირანული) რელი-  
გიები.

6. ბუდიზმი. ბუდიზმის წარმოშობა; ბუდა, როგორც ბუდისტური  
რელიგიის ისტორიის დამფუძნებელი; ბუდას ოთხი ჭეშმარიტება;  
ბუდისტური კანონიკური ლიტერატურა; ტანჯვათა მოსპობის ხუთი  
ბუდისტური მცნება; ნირვანას არსი და მისი მნიშვნელობა ბუდის-  
ტურ რელიგიაში; ბუდისტთა მსოფლიო სამრ.

7. ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, მათი წარმოშობა და  
ქრონოლოგია. ბიბლიის ეტიმოლოგიური განმარტება; ბიბლიის შექ-  
მნის ისტორია; ბიბლიის ავტორთა საკითხის პრობლემა; ბიბლიის  
კანონიკური და არაკანონიკური წიგნები; ძველი და ახალი აღთქმის  
კანონიკური წიგნები; სასულიერო მწერლობის მთარგმნელობითი დარგი;  
ბიბლიის უძველესი თარგმანები; ბიბლიის უძველესი ქართული თარ-  
გმანი.

8. იუდაიზმი. მოსე, როგორც იუდაიზმის რელიგიის ფუძემდებელი;  
მოსეს ხუთწიგნეული იუდაიზმის, როგორც რელიგიის უმთავრესი  
წყარო; წინასწარმეტყველთა კატეგორია, მათი მოღვაწეობის უმთავ-  
რესი მომენტები; იაჰვეს კულტი და რეფორმები; იუდაიზმის ძირი-  
თადი რელიგიური დოგმატები; იუდაიზმის სექტები; კაბალისტების  
ასკეტური მიმდინარეობა; ხასიდიზმია არსი; თალმუდი და მისი მნიშ-  
ვნელობა ებრაელთა ცხოვრებაში; მაიმონიდის რელიგიიური მოძ-  
ღვრება; მენდელსონი და მისი როლი მოსეს რჯულის განმტკი-  
ცებაში; თალმუდის ძირითადი აკრძალვები; იუდაიზმის ზნეობრივ –  
აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

9. ქრისტიანობის წარმოშობა, განვითარება და სახელმწიფო რე-  
ლიგიად გამოცხადება. ქრისტიანული რელიგიის წარმოშობისა და  
განვითარების წყაროები; ქრისტიანობის აპოლოგეტები; ქრისტიანუ-  
ლი რელიგიის ჩამოყალიბება და ადმავლობა; ქრისტეს ცხოვრება და  
მოღვაწეობა; იესო ქრისტეს მოწაფეები; ქრისტეს საიდუმლო სე-  
რობა; ქრისტეს სასწაულები; ქრისტეს იგავები და მათი ზნეობრივ –

აღმზრდელობითი მნიშვნელობა; ქრისტეს წამება; ქრისტიანობის სახელ-  
მწიფო რელიგიად გამოცხადება; ქრისტიანობის მნიშვნელობა მსოფული  
ლიო კულტურის განვითარებაში.

10. ქრისტიანობის საღვთო წიგნები. მსოფლიო საეკლესიო კრებები;  
ძველი აღთქმა; ახალი აღთქმა; დოგმატიკური და პრაქტიკული ხასი-  
ათის წიგნები; ლეთისმეტყველური წიგნები; ისტორიული უანრის  
ნაწერები; მათეს, მარკოზის, ლუკას და იოანეს სახარება; მათი  
ავტორები; საღმრთო გადმოცემა; მცველი საღმრთო გადმოცემისა;  
ქრისტიანული საღმრთო გადმოცემის წყარო; სკოლები საღმრთო  
გადმოცემის შესახებ; ქრისტიანული დოგმატები; ქრისტიანული დოგ-  
მატები და მართლმადიდებლური მოძღვრება; მსოფლიოს საეკლე-  
სიო კრებები; მათი მნიშვნელობა; ქრისტეს ათი მცნება მათი ზნეობრივ  
აღმზრდელობითი მნიშვნელობა; მსოფლიოს მართლმადიდებლური  
დამოუკიდებელი ავტოკეფალური ეკლესიები.

11. ქრისტიანობის განმტოვებანი. გნოსტიციზმი; მანდიზმი ანუ საბიზმი;  
ორიგენიზმი; არიანობა; ნესტორიანობა; მონოფიზიტობა და სომხური  
ეკლესია (სევერიანობა, ივლიანიტობა); მონოთელიტობა და მირონი-  
ტები; ხატმებრძოლობა.

12. განხეთქილება ქრისტიანულ ეკლესიაში. "ჰენტარქია" - ანუ  
ხუცმთავრობის თეორია; განხეთქილების მიზეზი; ბრძოლა რომისა  
და ბიზანტიის კათედრებს შორის; ბრძოლა გავლენის სფეროთა  
გადასანანილებლად; უთანხმოების მოგვარების პერსპექტივები; საეკ-  
ლესიო განხეთქილების კვლავ განახლება XI საუკუნეში; საბოლოო  
განხეთქილება ეკლესიაში; ფერარა - ფლორენციის უნია და მის  
მიერ მიღებული გადაწყვეტილება; ქართველ პატრიარქთა მონაწი-  
ლეობა ფერარა - ფლორენციის კრებაზე.

13. მართლმადიდებლობა. მართლმადიდებლობა, როგორც ქრისტი-  
ანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმდინარეობა; მართლმადიდებლობა  
და კონსერვატულობა; მრნამსის სიმბოლოს ძირითადი არსი; მაარ-  
თლმადიდებლური ეკლესიის მოძღვრება სამების შესახებ; მართლმა-  
დიდებლობის მთავარი საიდუმლოებები; ძირითადი განსხვავება მარ-  
თლმადიდებლობასა და კათოლიკობას შორის; მართლმადიდებლუ-  
რი მსოფლმხედველობის აუცილებელი ნაწილები.

14. კათოლიკობა. კათოლიკობის არსი და მნიშვნელობა; უთანხმოება  
დასავლურ და აღმოსავლურ ეკლესიებს შორის; როდის გაითიშა  
ქრისტიანული ეკლესია ორ ნაწილად და როდის იწოდა "კათოლი-

კურ“ ქრისტიანულ ეკლესიად; პაპი, როგორც რწმენის საკითხებში “შეუცდომელი და უცოდველი”; ძირითადი განსხვავებანი მართლზა-დიდებლურ და კათოლიკურ მოძღვრებას შორის; რომაული სტკულტურისთვის სასამართლო და მისი ყველაზე აქტიური წარმომადგენლები; საქართველო და კათოლიკობა; კათოლიკური ეკლესია საქართველოში; პირველი კათოლიკე ეპისკოპოსი თბილისში; პირველი კათოლიკე მისიონერი საქართველოში.

15. პროტესტანტობა, ანგლიკანობა და კალვინიზმი. სიტყვა პროტესტანტიზმის ეტიმოლოგია; პროტესტანტიზმის არსი; პროტესტანტიზმის მამამთავრები; კალვინიზმის, როგორც რელიგიური მოძღვრების დამაარსებელი; კალვინიზმის ძირითადი რელიგიური არსი; ცვინგლიანობა და მისი ძირითადი მოძღვრება; ანგლიკანური ეკლესია, მისი წარმოშობის მიზეზები, არსი და დოგმები.

16. ლუთერანობა და მათი ეკლესია საქართველოში. მარტინ ლუთერი რეფორმატორი და თეოლოგი; ლუთერი რელიგიური შემეცნების ახალი მეთოდის ფუძემდებელი; ლუთერიანობის, როგორც რელიგიური მოძღვრების წარმოშობის მიზეზები და არსი; ლუთერის დაპირისპირება რომის პაპთან; ლუთერის სამი ტრაქტატი; ლუთერიანული ეკლესის ლვთისმსახურება; ლუთერიანობა და საქართველო.

17. ბაპტისტები და ორმოცდაათიანელები. ბაპტიზმი, როგორც პროტესტანტიზმის ნაირსახეობა; ბაპტიზმის წარმოშობა, მიზეზი და არსი; ბაპტისტური რელიგიური დოგმატები; ბაპტიზმი და საქართველო; ორმოცდაათიანელები, როგორც სექტანტურ – პროტესტანტული მოძღვრება; ორმოცდაათიანელთა მოძღვრება, დოგმატები და მრწამსი.

18. მარგინალური ქრისტიანები. ღუხობორები; მალაკანები; იელოვას მონძეები; ადვენტისტთა თემი; მათი წარმოშობის მიზეზები, არსი, მნიშვნელობა და რელიგიური მოძღვრება.

19. ისლამი. ისლამის წარმოშობა და ეტიმოლოგია. ისლამის დამართებელი, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა; მუჰამედის რელიგიური მოძღვრება; მუჰამედი და საღმრთო წერილი; მუჰამედის შეხედულება ქრისტეს მოძღვრების შესახებ; ყურანი და მარიამ ღვთისმშობელი; მუჰამედი და ქრისტიანული დოგმა სამების შესახებ; ისლამის დოგმატიკა; ისლამი, როგორც მონისტური რელიგია; ისლამის მოძღვრების რელიგიურ – აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

20. რას მოგვითხრობს ყურანი ქრისტესა და ქრისტიანობის შესახებ; ქრისტიანობის კრიტიკა მუპამედის მიერ; ისლამური და ქრისტიანული დოგმატიკა; მათი განსხვავება.

21. ქართველთა წარმართული რელიგია. ქართველთა რელიგია ადრეკლასობრივ საზიგადოებაში; არმაზის, გაცისა და გაის ღვთაებები; ხარის კულტი და ქართველთა წინაპრები; ღვთაებათა კულტი კოლხეთში; წარმართული დღესასწაულები "წმინდა ნინოს ცხოვრებაში"; მიცვალებულის კულტი სვანეთში.

22. ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში და მისი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება. სოციალურ - პოლიტიკური მდგომარეობა საქართველოში; პირველი მოციქულები საქართველოში; ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანანელი და მატათა; ქრისტეს კვართი საქართველოში; წმინდა ნინოს ცხოვრება და მოღვაწეობა; ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება; ქრისტიანობის მნიშვნელობა ქართველი ხალხის ისტორიაში; მისი ზნეობრივ – აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

23. ქართული ეკლესიის ავტოკეფალია. ავტოკეფალიის ეტიმოლოგია; საეკლესიო წყაროები ქართული ეკლესიის იურისდიქციის შესახებ; კათოლიკოსის თანამდებობის შემოღება; ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა; დვინის I და II საეკლესიო კრებები; დვინის საეკლესიო კრების დოგმატები; ქართული ეკლესიის იურიდიული ავტოკეფალია; განხეთქილება ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში; ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა; კერძნების მთავრობა და ქართული ეკლესია; კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქის მიერ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარება.

24. ცენტრალური ამერიკის ხალხთა რელიგია. აცტეკებთა მთავარი ღვთაებანი; მათი მნიშვნელობა და არსი; აცტეკები და მსხვერპლშენირვა; მაის ტომის მთავარი ღვთაებანი; ინკების სახელმწიფო ღვთაების მთავარი კულტი.

25. ლმრთისმსახურების ფორმები, ტაძარი – ეკლესია. ეკლესიის ეტიმოლოგია; ტაძრის მშენებლობა, მისი ფორმის მნიშვნელობა; ტაძრის შემადგენელი ნაწილები; კანკელი; კანკელის შინაარსი; საკურთხევლის მოწყობილობა; ტრაპეზი; ოდიკი; სანაწილე; სამკვეთლო; ბარძიმი; ფეხშემი; ვარსკვლავი; დაფარნა; ლახვარი; ღვთისმსახურება; ღვთისმსახურთა ჩაცმულობა; ღვთისმსახურების საჭირო წიგნები; ლიტურგია; მარხვა.

26. ქრისტიანობის ძირითადი ეთიკური კატეგორიები და შვიდი საიდუმლო. რწმენა; იმედი; სიყვარული; შვიდი საიდუმლო; ნათლის-ლება; მირონცხება; ზიარება; სინანული; მღვდლობა; ქორწინება; ზე-თის კურთხევა.

27. საეკლესიო ქრისტიანული დღესასწაულები. აღდგომა; ღმრთის-შპობლობა; ჯვართამაღლება; ტაძრად მიყვანება ყოვლად წმინდა ქალულისა, შობა უფლისა იესო ქრისტესი; ნათლისლება; მირქმა უფლისა; ხარება; ბზობა; ამაღლება უფლისა; სული წმინდის მოფენა; ფერისცვალება; მიძინება.

28. ქრისტიანობა და ქართული კულტურა. ქრისტიანობის როლი ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის განვითარებაში; ილია ჭავჭავაძის შეხედულებები ქრისტიანობის როლზე ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

მიგვაჩინა, რომ რელიგიის ისტორია გადახლართულია მსოფლიოს ისტორიასთან, ერების სულიერებასთან, ლიტერატურისა და ხელოვ-ნების მთელ შინაარსთან ( ბიბლია, ღვთაებრივი კომედია, დაკარგული სამოთხე, აღორძინების ხელოვნება). ჩვენი აზრით, პიროვნება, რომელიც ნაზიარები არ არის რელიგიასა და მ ის ისტორიას, არ შეიძლება კულტურულ ადამიანად ჩაითვალოს.

საჯარო სკოლა მოწოდებულია აზიაროს მოზარდი თაობა კულ-ტურას, კაცობრიობის სულიერსა და ინტელექტუალურ მონაპოვარს. თავის უფლებებში უნდა აღდგეს ის, რისი უარყოფაც შეუძლებელია. ჩვენი აზრით, დროის მოთხოვნაა, რომ დღეს სკოლაში ისწავლებოდეს რელიგიის ისტორია. საჯარო სკოლამ, მეცნიერებისა და კულტურის, ზნეობრიობისა და სულიერების უკეთ გაგების მიზნით, გვერდი არ უნდა აუაროს რელიგიის ისტორიის სწავლების პრობლემებს. სწო-რედ მართლმადიდებლობა კვებავდა და კვებავს ქართველთა შემოქ-მედებით ენერგიას და განსაზღვრავს მის თვითმყოფადობას. აქედან გამომდინარე, მიგვაჩინა, რომ საქართველოს საჯარო სკოლებში რე-ლიგიის ისტორიის სწავლება ქრისტიანობის პრიმატით უნდა წარი-მართოს.

საჯარო სკოლა მოწოდებულია აზიაროს მოზარდი თაობა კულტუ-რას, კაცობრიობის სულიერსა და ინტელექტუალურ მონაპოვარს. თა-ვის უფლებებში უნდა აღდგეს ის, რისი უარყოფაც შეუძლებელია. ჩვენი აზრით, დროის მოთხოვნაა, რომ დღეს, სკოლაში ისწავლებოდეს რე-

გის ისტორია. საჯარო სკოლამ, მეცნიერებისა და კულტურის, ზნეობისა და სულიერების უკეთ გაგების მიზნით, გვერდი არ უნდა აუაროს რელიგიის ისტორიის სწავლების პრობლემას. სწორედ მართლმადიდებლობა კვებავდა და კვებავს ქართველთა შემოქმედებით ენერგიას და განსაზღვრავს მის თვითმყოფადობას. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საქართველოს საჯარო სკოლებში რელიგიის ისტორიის სწავლება ქრისტიანობის პრიმატით უნდა წარიმართოს.

პრაქტიკულ-პედაგოგიური გამოცდილებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ რელიგიური აღზრდა, სწავლება და განათლება მივიწყებული და უგულებელყოფილი ტრადიციული ცნობიერებისაკენ მიბრუნებას ნიშნავს. ესაა კაცობრიობისა და მისი კულტურულ-ისტორიული პედაგოგიური არსებითი ერთეულის ერის, ბუნებრივი სავალი გზისკენ მიბრუნება, ესაა ადამიანში არსებული ღვთაებრივი თვისებების აღორძინებისა და გამოღვიძების საშუალება. „რელიგიური განათლება უამრავი მსოფლმხედველობრივი, იდეური და სახელმწიფოებრივ-იურიდიული ბარიერებისაგან შებრკოლებული ადამიანის კვლავ ღმერთთან დასაბრუნებელი გზის განთავისუფლებას ისახავს მიზნად. სასკოლო რელიგიური განათლების უმთავრესი მიზანი უნდა იყოს აღსაზრდელებში რწმენის, სიყვარულისა და სიპრძის ზიარება, საფუძველი კი ყოველგვარი რელიგიური განათლებისა - ესაა სწავლება სულის შესახებ [114, გვ.72-73].

მიგვაჩნია, რომ „ქრისტიანული აღზრდა“ - ეს არის ის, რაც ჩვენს ბავშვებს დაეხმარება გამოავლინონ, მოციქულ პავლეს სიტყვისამებრ, ხატი ღმრთისა. წმ. მოციქული პავლე ლაპარაკობს ქრისტეზე, რომელიც „ხატი ღმრთისაი იყო“ და, რომელმაც მიიღო „ხატი მონისაი“ (ფოლ. 2,6-7). წმიდა მამები გვასწავლიან, რომ „ღმერთი განკაცდა, რათა კაცმა შეძლოს განლმრთობა“. თუ ჩვენი ცხოვრების მიზანია - მივაღწიოთ გაღვთივოსნებას, მაშინ ჩვენი ცხოვრების ყოველი მოქნეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ქრისტეს გარეშე ჩვენ უძლურნი ვართ გავაკეთოთ რაიმე ღმრთივ სათონ. ღმერთი ჩვენ თვით საკუთარ სიცოცხლეს გვთავაზობს, მაგრამ, ამავე დროს, ჩვენ ყოველთვის მის ქმნილებად ვრჩებით. ეს პრაქტიკული თვალსაზრისით ნიშნავს, რომ ყოველი ჩვენთაგანის ამოცანაა გამოვდიოდეთ ღვთისგან, თუ რა ვაკეთოთ, რა ვთქვათ და როგორ გამოვხატოთ ის, რისი თქმაც და ქმედებაც გვსურს.

მასწავლებელი რელიგიური სწავლებისა და აღზრდის პროცესში უნდა იყენებდეს პირად მაგალითს, დარწმუნებას, ეთიკურ საუზრებს, დისპუტებს, ქადაგებებს და ლიტურგიკას. მასწავლებელმა სწავლებისა და აღზრდის პროცესში უნდა შეარჩიოს და გამოიყენოს სწავლების ნოვატორული მეთოდები. სწავლების მეთოდების შერჩევისათვის საჭიროდ მიგვაჩინა მიმოვიზილოთ დიდაქტიკასა და აღზრდის თეორიაში ცნობილი მეთოდები და ის მეთოდებიც, რომლებსაც რელიგიურ მოღვაწეთა შრომებში ვხედავთ.

დიდაქტიკაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ახსნით-საილუსტრაციო მეთოდს, რომლის ძირითადი დანიშნულებაა მოსწავლეების მიერ ინფორმაციის შეთვისების უნარი. მასწავლებელი ინფორმაციის გადაცემას ახორციელებს ზეპირად, წერილობითი წყაროებით, თვალსაჩინო საშუალებებით. მეთოდის გამოყენების ძირითადი ამოცანაა ინფორმაციის შეთვისების ისეთი ორგანიზაცია, რომლის დროსაც მოსწავლეები ითვისებენ ცოდნასა და მისი გადაცემის უნარ-ჩვევებს.

ევრისტიკული მეთოდი გულისხმობს ცალკეული საკითხების გადაწყვეტის შედეგის წინასწარ ცოდნას. იგი მოითხოვს არა მარტო შეძენილი ცოდნის აღდგენას, არამედ დასახული პრობლემის გადასაჭრელად მცირე ძიების განხორციელებასაც.

რეპროდუქციული მეთოდი აყალიბებს და ამდიდრებს აზროვნების ძირითად ოპერაციებს (ანალიზი, სინთეზი, აბსტრაქცია და ა.შ.) ამ მეთოდით შესაძლებელია მუშაობის გზებისა და საშუალებების ჩვენება სლაიდების, კინოფრაგმენტების, სურათების გამოყენებით.

სწავლების მეთოდებსა და ხერხებს შორის ყველაზე ხშირად გვხვდება ვერბალური მეთოდი. ჯერ კიდევ მე-5, მე-10 საუკუნეების საქართველოში სწავლებაში, ძირითადად, დიალოგის (კითხვა-პასუხის) უპირატესობა იყო აღიარებული. XI-XII საუკუნეებში კი ქრისტიანულ პედაგოგიკაში უმეტესად გავრცელებული იყო „კითხვა-მიგების“ მეთოდი, რაც ლოგიკურ მსჯელობას მოითხოვდა.

ჩვენ თვის საინტერესოა, რომ ქართულ-ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ პედაგოგიკაში, კერძოდ, საეკლესიო მოღვაწეთა შრომებში და სასწავლებლების პრაქტიკაში ვხვდებით ისეთ მეთოდებს, რომლებიც გონების განვითარებასთან ერთად ზნე-ხასიათის წვრთნას უწყობენ ხელს. მათ სწავლა-აღზრდის მეთოდებს უწოდებენ. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

მოსმენა: „ეს მეთოდი საეკლესიო მოღვაწეთა მიერ ასეა დახასიათებული - „თუ კაცი ისმენს და არ შეითვისებს, მისა გული მტკიცე განზრახვისა და მოქმედებისაგან შორსაა და მისთვის უსარგებლო იქნება ყოველი სწავლა, რადგან ყოველი აზრი, რომელიც გაუჩნდება გულს შინა, იქნება წარტაცებული უცხოთა შეუსაბამოთა აზრთაგან და ზრუნვათაგან. განიხილავენ მოსმენის რამდენიმე შემთხვევას: ისმენენ, ღრმად არ ითვისებენ და მალე ივიწყებენ; ისმენენ, სურთ შესრულება, მაგარმ ვერ ასრულებენ; ისმენენ და ასრულებენ" [76, გვ. 64].

ქართულ ქრისტიანულ-მართლმადიდებლური პედაგოგიკაში საჭიროდ არის მიჩნეული ალაგმვის, აკრძალვის მეთოდის გამოყენება, - რომლის შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ.

ქართულ ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ პედაგოგიკაში ფართოდ გამოიყენებოდა მაგალითის მეთოდი. ამ მეთოდის გამოყენების რამდენიმე სახეს განიხილავენ. მშობლის მაგალითი, მასწავლებლის მაგალითი, მადლმოსილ წინაპართა მაგალითი. წინაპართა ცხოვრების გაცნობით ხდება საკუთარი ცხოვრების წესის გაანალიზება. ვფიქრობთ, რომ მაგალითის მეთოდის გამოყენება ხელს უწყობს წინაპრების, უფროსებისადმი ქართველი კაცის მორიდებასა და პატივისცემას, ასევე ოჯახთან, უფროსთან დამოკიდებულებას და ქვეყნისადმი მოვალეობის გრძნობის განვითარებას.

საეკლესიო მოღვაწეს არსენ იყალთოელს პრაქტიკული ცოდნა-ჩვეულების დაუფლების უკეთეს გზად „ვარჯიშობანი“ მიაჩნდა, ხოლო გიორგი მთანმინდელმა და იოანე პეტრინმა განმარტეს „სიტყვისა“ და „საქმის“ ერთმანეთის შემავსებელი აუცილებლობა. ჩვენი აზრით, საყურადღებოა, აგრეთვე მღვდელ-მონაზონ გერმანეს მიერ შედგენილ მეთოდურ სახელმძღვანელოში „სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“ მოცემული დიდაქტიკურ-მეთოდი კური მითითებან.

სწავლა-აღზრდის მეთოდად არის მიჩნეული ჰომელია (ქადაგება). ქადაგება ზნეობრივ მაგალითზე უამბობს მსმენელებს და შეიცავს რჩევა-დარიგებებს, შეგონებას. XVIII საუკუნის საქართველოში სასულიერო სასწავლებლებში ანტონ კათალიკოსის ინიციატივით დაიწერგა სწავლების ლექციური, საჯარო დისპუტებისა და კომენტარების მეთოდი.

ქართულ ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ პედაგოგიკაში ფართოდ გამოიყენებოდა აგრეთვე ბავშვების მიმართ უფრო სების პასუხისმგებლობისა და მოვალეობის შეცნობის მეთოდი, რომელიც გულისხმობდა მასწავლებლის, სასწავლებლის, სახელმწიფოს, ეკლესიისა და მშობლის მოვალეობის გაცნობიერებას ბავშვების მიმართ, რათა მოსწავლეებმა დაინახონ, რომ არა მარტო მათგან მოითხოვონ, არამედ თავადაც შეუძლიათ მოთხოვონ. აქვე უნდა აღვნიშხოთ, რომ XX საუკუნის დასასრულიდან თანდათანობით ინერგება ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორიცაა გონებრივი იერიში, სიტუაციური ამოცანა, დიაგრამა, მაპროვოცირებელი კითხვები, ასოციაციური რუკა, აკვარიუმი, დაუსრულებელი ისტორიის (ამბის) მეთოდი და სხვ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მათი გამოყენება შესაძლებელია რელიგიის ისტორიისა და ქართული მართლმადიდებლური პედაგოგიკის, როგორც საგნის სწავლების პროცესში.

ამდენად, მასწავლებელს, მოძღვარს აქვს ფართო არჩევანი სწავლების მეთოდებისა და მათი სწორად შერჩევის შემთხვევაში. მას შესწევს უნარი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მოსწავლეთა რელიგიურზნეობრივი სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

გარდა ზემოთქმულისა, ბავშვის სულიერების ზრდის საფუძველს წარმოადგენს ეკლესიის საიდუმლოებანი: ნათლისლება, ზეთისცხება, ზიარება, აღსარება, მარხვა, ლოცვა. ისინი განბანს და ჩამორეცხავს იმ ცოდვებს, რომლებიც აწევს დაცემულ კაცობრიობას. საეკლესიო საიდუმლოებებში ბავშვები ამყარებენ ურთიერთობას თვით უფალთან. საიდუმლოებებში მათი მონაწილეობის შეზღუდვით ჩვენ ვარღვევთ უფლის მცნებას „მოუშვით ჩემთან ბავშვები და ნუ უშლით მათ, ვინაიდან მათნაირებისაა ღმრთის სასუფეველი“ (მარკ. 10,14).

ამდენად, ოჯახი, სკოლა და ეკლესია წარმოადგენს ქრისტიანული პედაგოგიკის აღმზრდელობითი საქმიანობის ძირითად ფორმას. სწორედ, ჩვენი, მართლმადიდებელი ქრისტიანების მოვალეობაა, მათი დახმარებით კარგად შევისწავლოთ ჩვენი რწმენის, ჩვენი სასოების საგანი და რა უნდა მოვიმოქმედოთ ამისათვის? ვის ან რას მივმართოთ დახმარებისათვის? ამის შესახებ თვით ქრისტეს მესაიდუმლე- წმიდა მოციქული იოანე გვასწავლის: „ვიცით, რამეთუ ძე ღმრთისა მოვიდა და მომცა ჩვენ გონებაი, რათა ვიცოდით ჩვენ ჭეშმარიტი ღმერთი და ვართ ჩვენ ჭეშმარიტისა თანა ძისა მისისა იესუ ქრისტესა. ესე

არს ჭეშმარიტი ღმერთი ცხოვრებაი საუკუნო (I იოან. 5,20). აი, სად არის ჩვენი ჭეშმარიტი ცოდნა, რამეთუ მეფსალმუნეც ღალადებს განათლებასაც და სიცოცხლესაც ჩვენ უფალი გვანიჭებს. „და თქვენ, მამებო, ნუ განარისხებთ თქვენ შვილებს, არამედ აღზარდეთ ისინი უფლის შეგონებით და სწავლით“ (ეფეს. 6,4).

ბავშვების ქრისტიანული აღზრდა მაშინ იქნება სრულყოფილი და სასურველ შედეგსაც მიაღწევს, თუ მშობლები აღზრდის პროცესში ჩართულები მხარს უჭერენ მოძღვარს, მასწავლებელს. მიგვაჩინა, რომ ოჯახის, სკოლისა და ეკლესის ერთიანი მონაბილეობა ბავშვთა ქრისტიანული აღზრდის საქმეში არა მარტო სასურველია, არამედ აუცილებელიც. თუ ბავშვი ვერ მიიღებს რელიგიურ განათლებას სახლში და მას არ ექნება ლოცვის, ეკლესიაში სიარულის სურვილი გაღვივებული ადრეული ასაკიდან, მაშინ ამაო მასწავლებლისა და მოძღვრის მცდელობა ბავშვში რელიგიურ-ზნეობრივი სულისკვეთების გაღვივებისა.

სკოლისა და ოჯახის ურთიერთთანამშრომლობა ბავშვთა ქრისტიანული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში, ჩვენი აზრით, გამოიხატება თუნდაც იმაში, რომ მშობელი თვალყურს ადეგნებს, რათა ბავშვმა არ გააცდინოს რელიგიის გავეთილები, დაეხმაროს რელიგიის საგნის მომზადებაში, ესაუბროს ლეთისა და სარწმუნოების შესახებ. კარგი იქნება, თუ მშობლები ბავშვებს შეაყვარებენ ეკლესიაში სიარულს კვირაობით და საეკლესიო სადღესასწაულო დღეებში ეკლესიაში ერთად იქნებიან. ამავეს გვასწავლის IV მცნება. არანაირი სარგებლობა არ ექნება მასწავლებლისა და მოძღვრის დარიგებებს, თუ მშობლები არ მიაქცევენ ყურადღებას ბავშვს. „ჯოზი და მხილება სიბრძნეს იძლევა, მიშვებული ყმანვილი კი დედის შემარცხენელია“ (იგავ. 29,15). „მაშ, გაუფრთხილდით თქვენსავე თავს და მთელ სამწყსოს, რომლის მცველებადაც დაგადგინათ თქვენ სულმა წმინდამ“ (საქმ. მოც. 20,28). ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ეკლესის ყველა წმიდა მამა და მოძღვარი, უფლის წმიდა მოციქულთა კვალად ბავშვების აღზრდა-განათლებას დაუინებით მოითხოვს ჭეშმარიტი სარწმუნოების სულისკვეთებით, ანუ „სწავლითა და მოძღვრებითა უფლისაითა“.

ქართული მართლმადიდებლური  
ქრისტიანული პედაგოგის  
აღმზრდელობითი ფორმები და  
მეთოდები

ოჯახი

ექლესია

სკოლა

1. ახსნით-საილუსტრაციო
2. ვერისტიკული მეთოდი
3. რეპროფესიული მეთოდი
4. ვერბალური მეთოდი
5. კითხვა-მიგების
6. მოსმენის
7. ქადაგება (პომელია)
8. ვარჯიშობანი
9. საჯარო დისპუტები
10. კომენტარები
11. ასოციაციური რუა
12. გონიერივი იერიში
13. დაუსრულებელი ისტორიის ამბავი
14. ლოცვა
15. იამბიკები

ალაგმება

აქრძალვა

გაყიცხვა

წახალისება

მაგალითი  
(მშობლის,  
მასწავლებლის,  
მაღლმოსილ  
წინაპართა)

## შ4. ქართული ენობრივი დილექციები პირსტიანული პატაგონიას როლი თანამედროვე სახალხო განათლების სისტემის განვითარების საჭრები

ჩვენი აზრით, თანამედროვე ქართული პედაგოგიკა ძირითადად სამი მიმართულებით ვითარდება. პირველი მიმართულება მისიწრაფვის იმ პედაგოგიური ტექნოლოგიების მოდერნიზაციისაკენ, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეებში ცოდნისა და უნარ-ჩვევების ფორმირებაზე. აქვე მიმდინარეობს საბჭოთა სკოლაში სამოცდაათი წლის განმავლობაში ჩამოყალიბებული პედაგოგიური მოღვაწეობის მეთოდოლოგიური საფუძვლების შენარჩუნება. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ, ძირითადში, მიმდინარეობს მისი "კოსმეტიკური" კორექტირება დროის მოთხოვნათა შესაბამისად. მეორე მიმართულებისათვის დამასასიათებელია პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო ტექნოლოგიების შემოტანა. ეს უდავოდ პროგრესული გამოცდილება უკავშირდება სკოლაში საზღვარგარეთული საგანმანათლებლო ტექნოლოგიების შემოტანას. მათი გამოყენება კი ჩვენს სკოლაში ხშირად მრავალ პრობლემას წარმოქმნის, რადგან უცხოური სწავლების მოდელები ცვლის სწავლებისა და აღზრდის ტრადიციულად, ისტორიულად ჩამოყალიბებულ ფორმებს. მესამე მიმართულება კი გულისხმობს ქართული სამამულო განათლებისა და აღზრდის იმ სულიერ – ზნეობრივი ტრადიციებისაკენ წარმართვას, რომლებიც, ვფიქრობთ, უსამართლოდ იყო მივიწყებული მრავალი წლის მანძილზე. პედაგოგიური პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეს მიმართულება კულტურული პერსპექტივით, რადგანაც იგი დაკავშირებულია ეროვნული ტრადიციების, ცხოვრების წესისა და გამოცდილების აღდგენასთან.

ტრადიციულად, ქართული პედაგოგიკა, ძირითადად, მართლმადიდებლური იყო. მას გააჩნდა თავისი კუთვნილების აღნიშვნის აუცილებლობა. თანამედროვე სამამულო პედაგოგიკაში არსებულ მიმართულებათა სიმრავლე მოითხოვს უფრო მეტ გარკვეულობას, როგორც შინაარსობრივი, ისე მეთოდოლოგიური თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ აღვნიშნეთ, რომ ქართული ტრადიციული პედაგოგიკა მართლმადიდებლურ ხასიათს ატარებდა. სიტყვა "პედაგოგიკა"

ბერძნულიდან ითარგმნება, როგორც ბავშვის ხელმძღვანელობა, ბავშვის ტარება, მოსწავლისა და მასწავლებლის ერთობლივი გზა. მართლმადიდებელ პედაგოგს ჩვენ ვუწოდებთ იმ ადამიანს, ვისაც ღმერთმა მიანდო ცოცხალი სული, მისი შენარჩუნების, ძალების განვითარებისა და ცხოვრების არსის აღსრულების, მისი ღმერთან მიყვანის მიზნით. პირველ რიგში ესენი არიან მართლმადიდებელი ეკლესის მოძღვრები, მშობლები და მასწავლებლები, რომელთაც ესმით თავისი დანიშნულების არსი, სიმაღლე და პასუხისმგებლობა.

მართლმადიდებლური ეკლესის მოძღვარს ჩვენ პედაგოგიც ვუწოდეთ, იმიტომ რომ მართლმადიდებლური პედაგოგიკა წარმოადგენს "სულზე მზრუნველობის" იმ ნაწილს, რაც ეკლესის არსს შეადგენს. ამიტომ ვფიქრობთ, რომ შეუძლებელია მართლმადიდებლური პედაგოგიკის მოწყვეტა ეკლესის ცხოვრებისა და გავლენისაგან.

პედაგოგიკის მართლმადიდებლური სულიერ – ზნეობრივი დასაბუთება განკუთვნილია სასულიერო და საერო სასწავლო დაწესებულებების მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის, რომლებიც შეისწავლიან პედაგოგიკას, მკვლევარებისათვის, რომლებიც მუშაობენ პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიკის დარგში, მშობლებისა და ყველა კეთილსინდისიერი მკითხველისათვის, რომელთაც აინტერესებთ პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიკის პრობლემები. პედაგოგიკის სადღესიოდ არსებულ ყველა კურსში, ფაქტობრივად არ არის გაშუქებული ადამიანის სულიერი ჩამოყალიბების პროცესი და მისი კავშირი ფსიქოფიზიკურ განვითარებასთან, მაგრამ ამ ურთიერთვავშირის გააზრების გარეშე შეუძლებელია სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის სწორი წარმართვა. მართლმადიდებლობაში გადარჩენის პრობლემა, მარადიული ცხოვრების პრობლემა მოიაზრება მიწიერი ცხოვრების ფარგლებში. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ რომ აღზრდაში სწორად უნდა იქნას შერწყმული ორი ამოცანა: აღზრდა მარადიული და მიწიერი ცხოვრებისათვის. საერო პედაგოგიკა მხოლოდ მიწიერი ცხოვრების ამოცანების გადაწყვეტაზეა ორიენტირებული, ადამიანის სულიერ საწყისს კი იგი არ ითვალისწინებს. მართლმადიდებლური პედაგოგიკა ამტკიცებს, რომ პედაგოგიური მუშაობისათვის იერარქიულად უფრო მნიშვნელოვანია მზადება მარადიული ცხოვრებისათვის და აღნიშნავს, რომ მიწიერი ცხოვრებისათვის მზადება უნდა ხდებოდეს პიროვნების

სულიერ-ზნეობრივი ჩამოყალიბების პროცესში. სხვაგვარად თუ ვიტყვით, მართლმადიდებლური პედაგოგიკის ფარგლებში შეგვიძლია ვილაპარაკოთ პედაგოგიური მოღვაწეობის ორი დონის „შესახებ“. პირველი დონის მიხედვით, პრიორიტეტი მიეკუთვნება პიროვნების სულიერ და ზნეობრივ ჩამოყალიბებას. მეორე დონე კი განსაზღვრავს პიროვნების ფსიქოფიზიკური განვითარებისა და სოციალიზაციის პროცესს.

მიგვაჩნია, რომ ჩვენი დღევანდელი სინამდვილე არის დიდი „პედაგოგიური“ ექსპერიმენტი იმის ნათელსაყოფად, თუ რაოდნენ დიდი უბედურება შეიძლება მოუტანოს ადამიანს ქრისტიანული პედაგოგიკისა და რელიგიურ – ზნეობრივი აღზრდის პრინციპების უარყოფამ. ქრისტიანული აღზრდისადმი პატივისცემა არ უნდა იყოს მხოლოდ საეკლესიო პირთა საქმე. ეს უნდა იყოს ადამიანის ცხოვრების წესი, მისი მაღალზნეობრიობისა და რელიგიურობის მაუწყებელი.

ამიტომ ქრისტიანული პედაგოგიკა უნდა იქცეს აღზრდის საფუძველთა საფუძვლად. საკითხი, რომელსაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს მოცემული თემის განხილვისას – ეს არის ოჯახის, ეკლესიისა და სკოლის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. ვფიქრობთ, რომ ოჯახის შემდეგ სწორედ სკოლაში ხდება მართლმადიდებლური ოჯახიდან გამოსული ყველა ბავშვისათვის ეკლესიისა და ცხოვრების შეხვედრა. აქ შეიძლება მოხდეს ან არ მოხდეს ცხოვრების გარდაქმნა ეკლესიის სულისკვეთებით. ამიტომ საქმე იმაში კი არ მდგომარეობს, რომ გაძლიერდეს რელიგიური სწავლება სკოლაში ან იმაში, რომ იგი ადმინისტრაციულად ეკლესიას დაექვემდებაროს, არამედ საუბარია სკოლაზე, რომელმაც უნდა განიცადოს ეკლესიის შინაგანი სულიერი ზეგავლენა. სწორედ ამ ასპექტში უნდა განვიხილოთ ქართული მართლმადიდებლური პედაგოგიკის მნიშვნელობა თანამედროვე სასკოლო განათლების სისტემის განვითარებაში.

საშუალო სკოლაში ქრისტიანული პედაგოგიკის სწავლება, უპირველეს ყოვლისა, უნდა წარვმართოთ ბიბლიის მეშვეობით. მაგრამ ბიბლიის სწავლება არ უნდა წარვმართოთ ჩვეულებრივი სასწავლო დისციპლინის მსგავსად. ბიბლია მუდმივად საკითხავი წიგნია. ჩვენი აზრით, უნდა ჩეიქმნეს ბიბლიური სხვადასხვა ტიპის საკითხავები ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ამ პრობლემის გადაჭრა არა მხოლოდ რელიგიურია, არამედ ზოგადდიდაქტიკური, მაგრამ უმთავრესი მიზანი ისაა, რომ მოზარდში გავაღვივოთ ცოცხალი

რწმენა და დავანახოთ ცხოვრების მიზანი – ცათა სასუფევლის ძიება და დამკვიდრება. დახმარების პირველი ამოცანა მათ არ გაწყვიტონ კავშირი ეკლესიასთან. მასწავლებელს ამ შემთხვევაში მოეთხოვება ეკლესიასთან კავშირი და სულიერი საზრდოს მიზოდება. თანაც გასათვალისწინებელია ის, რომ სწავლებამ ხელი არ უნდა შეუშალოს აღზრდას.

მიგვაჩნია, რომ ქრისტიანული პედაგოგიკის სწავლებისა და განათლების სასკოლო საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფოსა და ეკლესიის, ზნეობრივი მოქალაქეებისა და ერთგული ქრისტიანის საერთო ინტერესები, ხოლო რელიგიური სწავლების მართებულობა შემდეგი არგუმენტებით შეიძლება დასაბუთდეს:

-ქრისტიანობის კულტურულ – ისტორიული და საზოგადოებრივი მნიშვნელობა;

-რელიგია, როგორც ანთროპოლოგიური მოვლენა;

-სკოლის საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი დანიშნულება;

-რწმენის, ცოდნისა და რელიგიის თავისუფლება;

ქრისტიანული სწავლება მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას რელიგიური სინამდვილის წინაშე დადგეს, სხვადასხვა თვალსაზრისით ხელსუნიყობს სასკოლო ამოცანების განხორციელებას და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სკოლის ჰუმანიზაციის პროცესში. ამ შეხედულების დასაბუთებას, ჩვენი აზრით, წარმოადგენს ქრისტიანული პედაგოგიკის შინაარსი, მიზნები და ამოცანები.

-ქრისტიანული პედაგოგიკის მიხედვით რელიგიის სწავლება საშუალებას იძლევა მოვახდინოთ სწავლების გზების, მიზნების შემცნებითი და ემოციური ინტეგრირება;

-პიროვნების პარმონიული განვითარების იდეა, რომელიც არის ქრისტიანული პედაგოგიკის არსი, შეესაბამება თანამედროვე სასკოლო განათლებისა და აღზრდის მიზნებს;

-ქრისტიანული პედაგოგიკა ხელს უწყობს სასკოლო ცხოვრებაში ნორმალური სასწავლო ატმოსფეროს შექმნას და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სკოლის დემოკრატიზაციის პროცესში;

-ქრისტიანული პედაგოგიკა იძლევა გარკვეულ წარმოდგენას მართლმადიდებლობის როლზე საქართველოში, აღზრდა – განათლების სისტემის ჩამოყალიბებაში;

-ქრისტიანული პედაგოგიკა იძლევა საშუალებას მოვამზადოთ მომავალი თაობა ამქვეყნიური და მარადუილი ცხოვრებისათვის;

—ქრისტიანული პედაგოგიკის მიხედვით, მართლმადიდებლური განათლება დღეს ხორციელდება მართლმადიდებლურ აკადემიურში, გიმნაზიებში, ლიცეუმებში, სასწავლებლებში და ის ორ მოთხოვნას პასუხობს: ბავშვების აღზრდას მართლმადიდებლური ზნეობრივი სულისკვეთებით და ცოდნის იმ დონის შენარჩუნებას, რომელიც შეესაბამება ჩვენი თანამედროვე განათლების სისტემას;

—არის კიდევ ერთი ასპექტი, რომელიც ქრისტიანული პედაგოგიკის როლს განსაზღვრავს თანამედროვე განათლების სისტემაში. ეს არის გლობალიზაციის პროცესი, რაც განაპირობებს ეროვნული სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციების შესუსტებას. იგი ახალგაზრდობაში ხელს უწყობს ისეთი ზნეობრივი თვისებების გაქრობას, როგორიცაა მიმტევებლობა, ტოლერანტობა, ქართული ტრადიციებისადმი პატივისცემა და, რაც მთავარია, შეუძლებელი ხდება მართლმადიდებლური, ქრისტიანული წესით ცხოვრება. ამიტომ მიგვაჩინია, რომ ქართული განათლების პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ იდოლოგიას და მართლმადიდებლობას. აღზრდისა და განათლების მიზნები თანამედროვე სასკოლო განათლების სისტემაში, ჩვენი აზრით, უნდა დაეფუძნოს ქართული მართლმადიდებლური პედაგოგიკის მოთხოვნებს, რადგან ქართველი ხალხის ეროვნული სული, რომელიც ერის ზნე-ჩვეულებებში, აღზრდა — განათლების სისტემაში და ეროვნულ ადათ — წესებში ვლინდება — ქრისტიანული მართლმადიდებლური ცნობიერების უძირო საჭურჭლედ იქცეს. და მან, ქრისტიანულმა მართლმადიდებლურმა პედაგოგიკამ, განმაახლებელი იმპულსი უნდა შეიტანოს „ახალი ტიპის“ ქართველის აღზრდის საქმეში. ესაა საზოგადოების მობრუნება სულიერებისაკენ. ვფიქრობთ, რომ ქრისტიანული პედაგოგიკის მიზანია არა მარტო ვასწავლოთ ბავშვებს რისი გაკეთებაა შესაძლებელი და რისი არა, არამედ მათ სულებში უნდა დავანთოთ რწმენისა და სიყვარულის ცეცხლი. ჩვენ შეგვიძლია ვასწავლოთ ბავშვებს პირჯვრის გამოსახვა, ლოცვა, მარხვა, მაგრამ თუ მათ სულებში არ იქნება ჩანერგილი რწმენა ღვთისა და სიყვარული მოყვასისა, მაშინ ადვილად შეიძლება ისინი მიიღონ ცოდვისაკენ.

მიგვაჩინია, რომ, თუ ჩვენ გვინდა წარმატებით დავნერგოთ ქრისტიანული სწავლება თანამედროვე განათლების სისტემაში, უნდა შევქმნათ საერთო ქრისტიანული პედაგოგიკური სივრცე, რომლის ცენტრალური ფიგურა იქნება ბავშვი, მშობელი, მასწავლებელი და

მოძღვარი. რადგან გზა ჭეშმარიტების, ანუ ლვთის, შემცირებისაკენ საკუთარი თავის წვდომით, ე.ი., თვითშემცირებით იწყება და დაგვის სტადარტიზებული არ გახლავთ.

ამდენად, მართლმადიდებლური ქრისტიანული წესით ბავშვის აღზრდას, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება აღზრდის პრობლემის გადაწყვეტაში. რადგან ბავშვს არა მხოლოდ მშობლები ზრდიან, არამედ მასზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს გარემო პირობებიც. „შეილო, თუ უფალს მიეახლები სამსახურად, განსაცდელისათვის გაამზადე თავი; გული დაიმირჩილე განსაცდელის უამს, მიეახლე მას და ნუ განშორდები, რათა ამაღლდე საბოლოოდ; რაც შეგემთხვევა, ყველაფერი მიიღე სულგრძელობით. დაითმინე დამცირებანი, რადგან ოქრო ცეცხლში გამოიცდება, უფლის სათნონი – მორჩილების ქურაში, ერწმუნე მას და შეგეწევა; სწორად წარმართე გზები და მისი იმედი იქონიე. უფლის მოშიშნო, მის წყალობას ელოდეთ და ნუ მიაქცევთ, რათა არ დაეცეთ. უფლის მოშიშნო, იმედი გქონდეთ სიკეთისა, საუკუნო სიხარულისა და წყალობისა; გადახედეთ ძველ თაობებს და იხილეთ: ვინ ირწმუნა უფლისა და შერცხვენილ იქნა? ან ვინ იყო მოშიში და მიტოვებული იქნა?!...რადგან უფალი შემბრალეა და მოწყალე, ცოდვათა მიმტევებელი და მხსნელი გასაჭირის უამს....ჩავვარდეთ უფლის ხელში, რადგან რა დიდიცაა იგი, იმგვარივეა მისი წყალობა“ (ზირ. 2, 1-18).

## რეზიუმე

1. მეოთხე საუკუნიდან მოყოლებული აღზრდის, განთლების, სწავლების, მწერლობისა და იდეოლოგის სადავეები ქრისტიანული ეკლესიის ხელში გადავიდა. აქედან დაწყებული საქართველოში ყალიბდებოდა მხოლოდ ქრისტიანული საეკლესიო ცენტრები და სკოლები, რომლებშიც რელიგიური აღზრდა-განათლება მიმდინარეობდა.

2. ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანული პედაგოგიკის ზოგადი მიმოხილვიდან გამომდინარე ქართული მართლმადიდებლურ-ქრისტიანული ჰედაგოგიური აზროვნების ფორმირება და აღზრდის მიზნის გაცნობიერება ხდებოდა მართლმადიდებლური ეკლესიის გავლენით. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ქართულმა ეკლესიამ და მასში მოღვაწე საეკლესიო მამებმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ეროვნულ-ზნეობრივი თვითმყოფადობის განვითარების საქმეში.

3. რუსი მოხელეები მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში ცდილობდნენ ქართული მართლმადიდებლური პედაგოგიკური აზრის ჩაკვლასა და სასულიერო სასწავლებლებსა და საეკლესიო სკოლებს მიზნად უსახავდნენ ქართველი ახალგაზრდების რუსული სულისკვეთებითა და მეფის ხელისუფლებისადმი ერთგულებით აღზრდას. მიუხედავად ამისა, საეკლესიო-სამრევლო სკოლების უმრავლესობა ჯერ კიდევ არ იყო მოწყვეტილი ეროვნულ ნიადაგს და ისინი აღმოჩნდნენ ერთადერთი საგანმანათლებლო დაწესებულებები, სადაც კვლავ სულდგმულობდა მართლმადიდებლური პედაგოგიკური აზრი. ქართველთა ძლიერება, რომ ქრისტიანობისა და ეროვნულობის ერთიანობაში მდგომარეობდა, ეს შესანიშნავად იცოდნენ ჩვენი ერის მტრებმა - შინაურმა თუ გარეულმა, ამიტომ ცდილობდნენ აღმოეფხვრათ მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოება. მათ წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ედგნენ ქართული ინტელიგენციის ისეთი წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ ო. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ო. გოგებაშვილი, გაბრიელ ეპისკოპოსი, დ. ლამბაშიძე, დ. მაჭავარიანი, მ. ჩოგოვაძე, ს. მჭედლიძე და სხვ.

4. საეკლესიო მამების მოძღვრება, რომლის საფუძველია ქრისტიანობა, წარმოადგენდა და წარმოადგენს, სასულიერო და საერო განათლების სისტემის, სწავლებისა და აღზრდის პრაქტიკის გაუმჯობესების საშუალებას.

5. რელიგიისა და მეცნიერების ურთიერთმიმართება, აზროვნების მთელი ისტორია და სწავლა-აღზრდის ის ტრადიცია, რომელიც საქართველოში არსებობდა, სრულ საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ ჩვენში საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი საქმიანობის უმთავრესი ამოცანა გახდეს მომავალ თაობაში ცოდნისა და რწმენის სინთეზი, ისეთი მომავალი თაობის აღზრდა, რომელშიც ჰარმონიულად იქნება შერწყმული სარწმუნოება და ცოდნა. აუცილებელია რელიგიის სწავლებას სასკოლო განათლებაში პქნდეს გამჭოლი ხასიათი და, არა მხოლოდ სასკოლო განათლებაში, არამედ ყველა ეტაპზე, რაც გათვალისწინებული იქნება უწყვეტი განათლების კონცეფციით, რომელიც საფუძვლად და ერთ-ერთ პრინციპად დაედება განათლების ეროვნულ სისტემას. მიგვაჩნია, რომ ქართველი ერის ზნეობრივი სტატუსი ვერ აღდგება, თუ ჩვენში ქრისტიანული სული და რწმენა არ აღორძინდება. აუცილებელია სწავლა-აღზრდის პროცესის არსებითი გაუმჯობესება, სასულიერო განათლების გაფართოება, განათლებულ სასულიერო მოღვაწეთა მომზადება, რადგან სულიერ მამას დიდი გავლენა აქვს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ხალხის ცხოვრებაში. უფალი ბრძანებს: „მე ვარ ნათელი ქვეყნისა, ვინც გამომყვება არ ივლის ბნელში“. (იოანე 8:12).

6. პედაგოგიკის სადღესოდ არსებულ ყველა კურსში, ფაქტობრივად არ არის გაშუქებული ადამიანის სულიერი ჩამოყალიბების პროცესი და მისი კავშირი ფსიქოფიზიკურ განვითარებასთან, მაგრამ ამ ურთიერთკავშირის გააზრების გარეშე შეუძლებელია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სწორი წარმართვა. საერო პედაგოგიკა მხოლოდ მიწიერი ცხოვრების ამოცანების გადაწყვეტაზეა ორიენტირებული, ადამიანის სულიერ საწყისს კი იგი არ ითვალისწინებს. გაბრიელ ეპისკოპოსის ქართული ქრისტიანულ-მართლმადიდებლური პედაგოგიკა ამტკიცებს, რომ პედაგოგიური მუშაობისათვის იერარქიულად უფრო მნიშვნელოვანია მზადება მარადიული ცხოვრებისათვის და აღნიშნავს, რომ მიწიერი ცხოვრებისათვის მზადება უნდა ხდებოდეს პიროვნების სულიერ-ზნეობრივი ჩამოყალიბების პროცესში. აქედან გამომდინარე, აღზრდისა და განათლების მიზნები თანამედროვე სასკოლო განათლების სისტემაში, უნდა დაეფუძნოს ქართული მართლმადიდებლური პედაგოგიკის მოთხოვნებს, რადგან ქართველი ხალხის ეროვნული სული, რომელიც ერის ზნე-ჩვეულებებში, აღზრდა-განათლების

სისტემასა და ეროვნულ ადამ-წესებში ვლინდება - ქრისტიანული  
მართლმადიდებლური ცნობიერების უძირო საჭურჭლედ იქცეს.  
კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული დასკვნების ფერმილი  
პრაქტიკული გამოყენებისა და განზოგადება-გავრცობისათვის  
ნაშრომში მოცემულია შემდეგი რეკომენდაციები:

1. საჭიროა ოჯახის, სკოლის, ეკლესიისა და საზოგადოების გაერთიანება, რათა სწორად წარვმართოთ ქრისტიანული აღზრდის ელემენტების დანერგვა მომავალ თაობაში. ერთი სიტყვით, საჭიროა ქრისტიანული თეორიისა და პრაქტიკის მჭიდრო კავშირურთიერთობათა უზრუნველყოფა.

2. დღეს საგანმანათლებლო სისტემაში არსებული ვითარების სიტუაციური ანალიზი ცხადყოფს, რომ ეროვნული განათლების დასამკვიდრებლად, ეროვნული ცნობიერების ასაღორძინებლად, აუცილებელია აღზრდისა და სწავლების პროგრამა დაეფუძნოს იმ ტრადიციებს, რომლებიც ერმა საუკუნეებში გამოატარა. მეორე მხრივ, ნათელი ხდება, რომ თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა მზად არის განათლების რეფორმის განსახორციელებლად არა მარტო ფორმით, არამედ შინაარსითა და სიახლეთა დანერგვაში არსებული გამოცდილებით, რაც იძლევა შესაძლებლობას ქრისტიანულმა განათლებამ შეასრულოს გადამწყვეტი როლი ეროვნული სახისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებაში, აღორძინდეს და განვითარდეს ქართული ეროვნული სკოლა.

**The subject, problems, principals and methods of the Christian**

**Pedagogy**

**Abstract**

1. From the 4th century the issues of upbringing, education, teaching, writing and ideology was led by the Christian Church. Since then only Christian ecclesiastical centers and schools with religious education was formed.

2. According to the general review of the Georgian Orthodox Christian Pedagogy the formation of the pedagogical thinking and its perception was done with the influence of the Orthodox Church. Accordingly, we think that Georgian church and priests played the main role in the development of the national and moral originality of Georgians.

3. During the whole 19th century Russian officials tried to shatter the Christian pedagogical thinking. Their aim was to bring up Georgian youth with Russian aspiration and strengthen the devotion to the royal ruling. Besides, the majority of the ecclesiastic-parochial schools preserved their nationality and they were the only educational centers where orthodox pedagogical thought still existed. The enemies of our nation knew that the power of Georgians existed in the unity of Christianity and nationality. That's why they tried to eradicate the Orthodox Christian Religion. The fight against them was led by such representatives of the Georgian intelligence as: Il. Chavchavadze, Ak. Tsereteli, I. GoGebaShvili, Bishop Gabriel, D. Ghambashidze, D. machavariani, M.Chogovadze, S. Mcgedlidze and others.

4. Ecclesiastical doctrine, based on Christianity, was and still is the main means to improve the ecclesiastic and civil educational system.

5. Communication between religion and science, the whole history of thinking and the traditions of education, that existed in Georgia, is the basis to bring up educated future generation.

It's important the teaching of the religion at schools to have the penetrating character. This will be the basis of the national system of education. We think that without the Christian faith, Georgians moral status can't be reestablished. The development of the teaching process, the extension of the ecclesiastic education, the education of clerics (as priests play the main role in the life of people) is important.

6. In every teaching course that exists nowadays there is not given the process of the infancy of man and its connection to the physiological development. Without considering this connection it's difficult to manage the edu-

cational process correctly. National education is oriented only on solving the natural problems and it does not take into account the spiritual problems of the person. The Georgian Christian-orthodox pedagogy of the Bishop Gabriel states that preparation for the eternal life is more important for the pedagogical work and the preparation for the earthly life must be done during the process of the spiritual and moral formation. Accordingly, the aims of education and upbringing must be based on the principals of the Georgian orthodox pedagogy, as the national spirit of Georgians, revealed by the moral and manners of the nation, the system of education and national customs has become the bases of the Christian orthodox consciousness.

According to the research the following recommendations are given:

1. The union of the family, school, church and society is important to introduce the Christian upbringing elements to the future generation. The connection of the Christian theory and practice is important.
2. Existing educational system shows that to form the national education, to revive the national consciousness, it is necessary the education and upbringing program to be based on the traditions of the nation. On the other hand, it is evident, that the modern educational system is ready to be reformed not only with its form, but also with its content. Innovation makes possible the Christian education to play the main role in preserving the nationality and originality, to revive and develop the Georgian national school.




## გამოყენებული ლიტერატურა

1. აბდალაძე ა., გელათის აკადემიის ისტორიიდან, უურნაღი „ჯვარი ვაზისა“, №2, 1989 წ.
2. ალექსიძე ზ., საუბრები ქართულ ეკლესიაზე, გაზეთი „სახალხო განათლება“, №3, 1989 წ.
3. ალავიძე ო., დროის გადაუდებელი მოთხოვნა. უურნაღი „სკოლა და ცხოვრება“, №6, 1989წ.
4. ანტონ II საქართველოს კათალიკოსი, ანდერძი, უურნაღი „ჯვარი ვაზისა“, №2, 1990წ.
5. ანტონ კათალიკოსი, ქართული ღრამატიკა, ტფ. 1885წ.
6. ანტონ I., „მზამეტყველება“, ტფ. 1892წ.
7. ანტონ I., სპეკალი, ტფ. 1880წ.
8. ანტონ მთაწმინდელი, ილარიონ ქართველის ცხოვრება, უურნაღი „ჯვარი ვაზისა“, №1, 1991წ.
9. აზრები რელიგიაზე, თბილისი, 1993 წელი.
10. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკოლმი, თბილისი, 1991წ.
11. არქიმანდრიტი რაფაელი. იელოვას მოწმების შესახებ. თბილისი, 1997წ.
12. აღზარდენით შვილნი ჩვენნი სწავლითა და მოძღვრებითა უფლისაითა უურნ. „ჯვარი ვაზისა“ №3, 1991 წ.
13. акты собранные кавказской археографической комиссией, тифлисъ, т.10, 1870г.
14. ბიბლია., საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა., თბილისი, 1989წ.
15. ბარამიძე რ., დავით გურამიშვილის მსოფლმხედველობრივი კონცეფციის გაგებისათვის, უურნაღი „რელიგია“, №1, 1993 წ.
16. ბარამიძე რ., ლოცვების მხატვრული ფუნქცია „გრიგოლ ხანცელის ცხოვრებაში, უურნაღი "რელიგია“, № 1, 1993 წ.
17. ბაქრაძე ა., ილია და აკაკი, გამომცემლობა „საქართველო“, თბილისი, 1992 წ.
18. ბატონიშვილი ი., კალმასობა, ტ. 1, თფილისი, 1936 წ.

19. ბაქრაძე კ., ახალი ფილოსოფიის ისტორია, თბილისი, 1969 წ.
20. ბახტაძე ი., გაბრიელ ეპისკოპოსი იაკობ გოგებაშვილის შესახებ (პატარა მოგონება), იხ. ზ. ბოცვაძე, იაკობ გოგებაშვილი, გამომცემლობა „განათლება”, თბილისი, 1991 წ.
21. ბათოშვილი ა., ებრაელი ხალხის ისტორიიდან, თბილისი, 1992წ.
22. ბალანჩივაძე რ., ზეობრივი აღზრდის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე, თბილისი, ცოდნა, 1980 წ.
23. ბასილაძე ი., ბალანჩივაძე ი., ორჯონივიძე ნ., ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანული პედაგოგიკის მიზნები, სამეცნიერო ჟურნალი "ლოგოსი" "საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთასორისო ცენტრი, თბილისი 2008 წ.
24. ბასილაძე ი. გ., რელიგიის ისტორიის საკითხები, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2003 წ.
25. ბასილაძე ი.გ., გაბრიელ ეპისკოპოსის (გერასიმე ქიქოძის) ქრისტიანული პედაგოგიკა, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2000 წ.
26. ბიბილეიშვილი ი., ქართული კომენტარი, გამომცემლობა „აჭარა”, ბათუმი, 1993წ.
27. ბებიაშვილი ნ., იაკობ გოგებაშვილი და გაბრიელ ქიქოძე ეპისკოპოსი იმერეთისა, კრებული იაკობ გოგებაშვილი - 150, თბილისი, 1992წ.
28. ბებიაშვილი ნ., „პაცად ვაცადმან თვისი ტვირთი იტვირთოს”, ჟურნალი „დროშა”, №6, 1990წ.
29. ბელომორსკი ა., მართალი არიან რელიგიის უარმყოფელნი? ბრიუსელი, 1965წ.
30. ბოჭორიშვილი ა.თ, გაბრიელ ქიქოძის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები”, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, თბილისი, 1950წ.
31. ბოჭორიშვილი ა.თ., გამოკვლევები ფსიქოლოგიაში, თხზულებათა ტ.1., გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი, 1991წ.
32. გაბიძაშვილი ო., რელიგიათმცოდნება, განათლება, თბილისი, 2000წ.

33. ბასილაძე ი., ზნეობრივი აღმართვის საკითხები უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წლიდა ॥ ქადაგებათა მიხედვით, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის " მოამბე " № 10, 2008 წ.
34. გაბრიელ ეპისკოპოსი, ცდისეული ფსიქოლოგის საფუძვლები. თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1993წ.
35. გაბრიელ ეპისკოპოსი, ქადაგებანი, ტ. I., სტამბა „ქმობა“, კაზაკოვის ქ. №17, ქუთაისი, 1913წ.
36. გაბრიელ ეპისკოპოსი, ქადაგებანი, ტ. II., სტამბა „ქმობა“, კაზაკოვის ქ. №17, ქუთაისი, 1913წ.
37. გაბრიელ ეპისკოპოსი, პასუხი გიორგი მუხრან-ბატონის წერილზე; უურნალი „მოამბე“, №3, 1896წ., იხ. აგრეთვე უურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1998 წ. №1.
38. გაგუა ვ., სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმის შემდგომ საქართველოში, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1974წ.
39. გაგუა ვ., იაკობ გოგებაშვილი, განათლება, თბილისი, 1991წ.
40. გაზეთი „კვალი“, სარედაქციო წერილი, №24, 1893წ.
41. გაზეთი „კვალი“, სარედაქციო წერილი, №42, 1893წ.
42. გამსახურდია ზ.კ., ვეფხისტყაოსნის სახის მეტყველება, გამომცემლობა მეცნიერება, თბ. 1991 წ.
43. გამსახურდია ზ.კ., წერილები, ესეები, განათლება, თბილისი, 1991წ.
44. გამსახურდია ზ.კ., „ვეფხისტყაოსნის“ ქრისტიანული არსი, მართლმადიდებლობა და თანამედროვეობა, კრებული პირველი, თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტ „იბერიის“ ჰუმანიტარულ-თეოლოგიური კაბინეტის გამოცემა, თბილისი, 2004წ.
45. გამსახურდია სვ., კათოლიკე მისიონერთა საგანმანათლებლო საქმიანობა XVI-XVIII სს. საქართველოში., უურნალი „სკოლა და ცხოვრება“, 1970წ. №1.



46. გელოვანი ა., რწმენა, ღმერთები, ადამიანები., საქ. კვ. გამომცემლობა, თბილისი, 1990წ.
47. გელოვანი ა., რელიგიურ ტერმინთა ლექსიკონი., საქ. კვ. გამომცემლობა, თბილისი, 1989 წ.
48. გეგეშიძე დ., ახალგაზრდობა და რელიგია., ცოდნა, თბილისი, 1973წ.
49. გეგეშიძე დ., საუბარი ათეიზმსა და რელიგიაზე., ცოდნა, თბილისი, 1988წ.
50. გორგობაშვილი ა., „სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა“, ჟურნალი „რელიგია“, №5, თბილისი, 1993წ.
51. გოგებაშვილი ი.ს., თხზ. ტ. 1, პედაგოგიკის სამეც. კვლევითი ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 1952წ.
52. გოგებაშვილი ი.ს., თხზ. ტ. 2, პედაგ. სამეც. კვლევითი ინსტიტუტი, თბილისი, 1952წ.
53. გოგებაშვილი ი.ს., თხზ. ტ. 3, პედაგოგ. სამეც. კვლევითი ინსტიტუტი, თბილისი, 1954წ.
54. გოგებაშვილი ი.ს., თხზ. ტ. 4, პედაგოგ. სამეც. კვლევითი ინსტიტუტი, თბილისი. 1954წ.
55. გოგებაშვილი ი.ს., თხზ. ტ. II, განათლება, თბილისი, 1990წ.
56. გოგებაშვილი ი.ს., „დედაენა“, წინასიტყვაობა, თბილისი, 1876წ.
57. გოგებაშვილი ი.ს., მთავარი ღირსება გაბრიელ ეპისკოპოსისა და საუკეთესო ძეგლი, „ივერია“, №51, 1896წ.
58. გოგებაშვილი ი.ს., იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, როგორც პედაგოგი, „ნოვოე ობოზრენიე“, №4194, 1896წ.
59. გოგებაშვილი ი.ს., უსათაურო წერილი, ფსევდონიმით - ამერელიშვილი, „ივერია“, №54, 1896წ.
60. გოგებაშვილი ი.ს., ღვაწლი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, „ცნობის ფურცელი“, №2905, 1905წ.
61. გოგიძერიძე მ., პეტრიწი და მისი მსოფლმხედველობა, წიგნში: რუსთაველი, პეტრიწი, პრელუდიები, თბილისი, 1961წ.
62. გურამიშვილი დ., დავითიანი, ქართული პოეზია, ტ. 4, ნაკადული, თბილისი, 1975წ.

63. დავიდოვი რ., გაბრიელ ეპისკოპოსი „მეცნიერი არქიერიო!“ გაზეთი „განათლება“, №121, 1993წ.
64. დარიგებანი საეკლესიო მრევლისათვის, უურნალი „ჯვარი ვაზისა“, №4, 1989წ.
65. დარჩია მ., გაიოზ რექტორი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1987წ.
66. დეკანოზი იოანე მინდორჩი. „საღვთისმეტყველო განათლება პატრიოტული და ბიზანტიური ეპოქები და მისი გაკვეთილები ჩვენი დროისათვის, უურნალი „ჯვარი ვაზისა“ №4, 1985 წ.
67. დევიდ ვ. გუდინგი, ჯონ ლენონის, ბიბლია და ეთიკური განათლება, თარგმნა ნ. ნაკუდაშვილმა და ლ. გვარამაძემ, თბილისი, 2000წ.
68. დობროლიუბოვი ნ.ა., რეცენზია არქიმანდრიტ გაბრიელის წიგნის „ცდისეული ფსიქოლოგის საფუძვლების შესახებ“, „მნათობი“, №7, 1943წ.
69. დობრონნრავოვი მ., ბავშვთა აღზრდა-განათლება საღმრთო წერილისა და წმიდა მამების გამოცდილების მიხედვით, საქართველოს საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტი, თბილისი, 2001წ.
70. დოროხოვი ა., ეს უნდა გვახსოვდეს (წიგნი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცე, რომ შენც და სხვებმაც უკეთ და ბედნიერად იცხოვროთ),, ნაკადული, თბილისი, 1961წ.
71. ერემეიშვილი ი., იაკობ გოგებაშვილი გაბრიელ ეპისკოპოსის საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის შესახებ., უურნ. „სკოლა და ცხოვრება“, №1, თბილისი, 1989წ.
72. ვარდოსანიძე ს., თითონ საგნები ოდნავაც არ ეხებიან სულს., უურნალი „სკოლა და ცხოვრება“, №11, 1981წ.
73. ვარდოსანიძე ს., ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, 1917-1926წ., თბილისი, 2001წ.
74. ვასაძე ნ.შ., პედაგოგიკა, „ცის ნამი“, თბილისი, 2000წ.
75. ვასაძე ნ.შ., გლობალიზაცია და ეროვნული განათლება, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №6, თბილისი, 2003წ.

76. ზენკოვსკი ვ., პედაგოგიკა, საქართველოს საპატირიარქო ბათუმიდა  
და სხალთის ეპარქია, მთარგმნელი ც. მეგრელაძე, ბათუმი, 1998-წ.
77. ვენ्यკოვსკი ვ.ვ., педагогика, მ., 1996 წ.
78. თავზიშვილი გ.ი., სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური  
აზროვნების ისტორია საქართველოში 1801-1870წწ., პედაგოგიკურ  
მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 1948წ.
79. თავზიშვილი გ.ი., იაკობ გოგებაშვილი, პედაგოგ. მეცნ.  
ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 1960წ.
80. თავზიშვილი გ.ი., რჩეული ნაწერები, ტ. 1., განათლება, თბილისი,  
1974წ.
81. თაყაიშვილი ე.ი. რჩეული ნაწერები, ტ. 1., განათლება, თბილისი,  
1965წ.
82. თვარაძე რ., საგანი ქრისტიანული რელიგიის შესავალი,  
პროგრამა გაზეთი „განათლება“, 1992წ., აგვისტო.
83. თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის,  
ნამდვილი საბუთების შემოტანით და განმარტებით XIII საუკუნიდან  
ვიდრე XX საუკუნემდე, ტფ. 1902წ.
84. ილია II, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი და  
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ეპისტოლენი, სიტყვანი,  
ქადაგებანი, წიგნი I, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა,  
თბილისი, 1997წ.
85. იოსელიანი პ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა., ტფილისი, 1936წ.
86. იოანე პეტრიწი, შრომები, ტ. 2., თბილისი, 1937წ.
87. კანტი ი., რელიგია მხოლოდ გონების საზღვრებში, თბილისი,  
1989წ.
88. კანტი ი., წმინდა გონების კრიტიკა, თბილისი, 1979წ.
89. კაკაბაძე ვ.ლ., გამოკვლევები ფსიქოლოგიაში, ქუთაისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 1993წ.
90. კარბელაშვილი პ., იერარქია საქართველოს ეკლესიისა,  
კათალიკოსი და მღვდელმთავარნი., თფილისი, 1900წ.
91. კომენსკი იან ამოს, რჩეული პედაგოგიკური თხზულებანი, ტ. I,  
საქ. სსრ. პედმეცნიერებათა ინსტ. გამოც., თბილისი, 1949წ.

92. კივნაძე ზ., საუბრები ბიბლიაზე, თბილისი, 1988წ.
93. კელენჯერიძე მ.ს.პ., გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, სტამბა „ქმობა“ კაზაკოვის ქუჩაზე, №17, ქუთაისი, 1913წ.
94. კანდელაკი ნ., ქართული მჭერმეტყველება, თბილისი, 1966წ.
95. კვანტალიანი გ., დიდი ქართველი პედაგოგი ქრისტიანული რელიგიის მნიშვნელობაზე მოზარდა ზენობრივ აღზრდაში, უურნ. სკოლა და ცხოვრება, №4, 1990 წ.
96. კრებული „სულმნათი გაბრიელის საუნჯე“, ტფილისი, 1897წ.
97. კეკელიძე კ.ს., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I., მეცნიერება, თბილისი, 1980წ.
98. კეკელიძე კ.ს., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II., მეცნიერება, თბილისი, 1981წ.
99. კოპლატაძე გ., რუხაძე მ., ჰაგიოგრაფიის ღვთისმეტყველება,, საქ. საპატრიიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1997წ.
100. კუკავა თ., ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიიდან, განათლება, თბილისი, 1967 წ.
101. კუკავა თ., ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიიდან, XVII-XIXსს. განათლება, თბილისი, 1967წ.
102. ლორთქიფანიძე დ.ო., იან ამოს კომენსკი., თბილისი, 1970წ.
103. ლაზარეს აღდგინება, ტ. 1,2,3,4,5,6,7, საქ. საპატრიიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1988-1991წ.
104. ლოლაშვილი ივ., რუსთაველის მსოფლმხედველობის ისტორიული და ეროვნული საწყისები, საიუბილეო კრებული, „შოთა რუსთაველი“, თბილისი, 1965წ.
105. ლამბერტი არქანჯელო., სამეგრელოს აღწერა, თბილისი, 1938წ.
106. лоссий в.н., по образу и подобию., м., 1995 г.
107. მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები., ტ. I-II, მეცნიერება, თბილისი, 1980 წ.
108. მეგრელაძე შ., კეზევაძე მ., გაბრიელ ქიქოძე ქართულ საუნჯეთა დამცველი., უურნ. „განთიადი“, №5, 1989წ.
109. მეგრელაძე ც., რელიგიურ-ეთიკური ნორმების ცოდნის სასწავლო

პროცესში ჩართვის გზები და საშუალებები,, გამომცემლობა „აჭარა”, ბათუმი, 2003 წ.

110. მელიქიშვილი დ., გელათის სამონასტრო-ლიტერატურული სკოლა (აკადემია), ქუთაისის უნივერსიტეტის „მოაბე“, №1, ქუთაისი, 1993წ.

111. მელიქიშვილი დ., მღვდელი სიმონ მჭედლიძე და მისი სასულიერო-საგანმანათლებლო მოღვაწეობა. უურნალი „ჯვარი ვაზისა“, №2, 1990 წ.

112. მაღრაძე მ.გ., თამაშის ფსიქოლოგია, ქუთაისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 1995წ.

113. მინდიაშვილი ა., რატომ ვისჯებით, რა გადაგვარჩენს?!, გამომცემლობა „შარავანდი“, თბილისი, 2003წ.

114. მიმინდვილი ზ., პედაგოგიკის ქრისტიანული ხედვისათვის, უურნალი „სკოლა და ცხოვრება“, №7-12, თბილისი, 2000წ.

115. მთვარელაშვილი ნ., ანტონ I საქართველოს კათალიკოზი, უურნ. „ივერია“, 1881წ., №8,9,10.

116. მჭედლიშვილი გ., შუა საუკუნეების ქართული პოლიტიკური აზრი და „ვეფხისტყაოსანი“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 2000წ.

117. ნათაძე რ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1977წ.

118. ნადარაია ნ.ე., გაბრიელ ქიქოძის საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა, უურნ. „სკოლა და ცხოვრება“, №2, 1984წ.

119. ნიკოლაძე ნ., თხზულებათა ტ. I., თბილისი, 1931წ.

120. ნიკოლაძე ნ., თხზულებათა ტ. II., თბილისი, 1960წ.

121. ნიკოლეიშვილი მ., გლობალიზაცია და საქართველოს განათლების სისტემა., სგმ., მოამბე, №6, 2003წ.

122. ნიკოლეიშვილი ა.ო., გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე), მერანი, თბილისი, 1990წ.

123. ნუცუბიძე შ.ი., ქართული ფილოსოფიის ისტორია., ტ. 1, მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1956 წ.

124. ნუცუბიძე შ.ი., ქართული ფილოსოფიის ისტორია., ტ. II, მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1958წ.

125. ნუცუბიძე შ.ი., კრიტიკული ნარკოვები, მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1958წ.
126. ნადირაძე ე., მსოფლიოს რელიგიები, თბილისი, 1996წ.
127. ნარმანია მ., ზნეოპრივი აღზრდის საკითხები რევოლუციამდელ ქართულ პრესაში, მეცნიერება, თბილისი, 1974წ.
128. პეტრინი ი., შრომები ტ. 2, განმარტებაი პროკლესთვის დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვის, ტექსტი გამოსცეს, გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1937წ.
129. პედაგოგიკის ისტორია, ნ. ვასაძის რედაქტორობით, განათლება, თბილისი, 1988წ.
130. петровский а.в., вопросы истории и теории психологии, москва, 1984 г.
131. პაპუაშვილი თ., რელიგიის ისტორია, ვარიბჭე, თბილისი, 1996წ.
132. რენანი ე., ქრისტეს ცხოვრება, ცოდნა, თბილისი, 1989წ.
133. რელიგიურ სიტყვათა ლექსიკონი, შეადგინა ნიკო აჭარაძემ, თბილისი, 1993-94წწ.
134. რატიანი პრ., ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი, წიგნი 2., თბილისი, 1987წ.
135. როგავა ა.პ. სახალხო განათლება ერკლე მეორის დროის ქართლ-კახეთში და ანტონ I. თბილისი, 1950წ.
136. უურნალი „მწყემსი“, №23, 1884წ., №10, 1885წ, გასაოცარი და საზარელი მკვლელობა.
137. საბინინი ვ., საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1912წ.
138. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 481, საქ. 238.
139. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 488, საქმე 26588, 26589, იქვე სერია 3, საქ. №5404.
140. საღვთისმეტყველო კრებული, ტ. 1. საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 1991წ.
141. საეკლესიო საგანმანათლებლო ბროშურა „მეტეხი“, №2(6), 2004წ. მართლმადიდებლობა და ქართველობა.

142. სურგულაძე აკ. პ., ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის II ნახევარში., თბილისი, 1973წ.
143. სხირტლაძე ს., ი. გოგებაშვილი და გაბრიელ ქიქოძე, საიუსტილურ კრებული-იაკობ გოგებაშვილი, თბილისი, 1960წ.
144. სხირტლაძე ს., წერილები, საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1977 წ.
145. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, ტ. I-V, საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1989-96წწ.
146. სოლოვიოვი ვ., მუჟამედი, თბილისი, 2000წ.
147. სირაძე რ., ქრისტიანული კულტურის შესასწავლად., უურნ. „სკოლა და ცხოვრება“, №4, 1990წ.
148. სირაძე რ., „დავითიანი“ და ბიბლია, უურნ. „ცისკარი“, №8, 1989წ.
149. სულხან-საბა ორბელიანი, თხზ. ოთხ ტომად, გამოსაცემად მოამზადა ს. ყუბანეიშვილმა და რ. ბარამიძემ, თბილისი, 1959წ.
150. უზნაძე დ., ბავშვის ფსიქოლოგია., სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1947წ.
151. ფრანგიშვილი ა., ნარკვევები ადამიანის ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან საქართველოში (XVII-XVIIIსს. და XIX ს. დასაწყისი), თბილისი, 1959წ.
152. ფუტკარაძე ტ., რწმენისათვის სიკვდილი ანუ ბეთლემელი მწირის გამარჯვება., გაზეთი „ქართული“, №1, 2003წ.
153. ფერაძე ი., წმ. გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსის შეხედულებანი ბავშვთა აღზრდაზე., духовный вестник грузинского екзархата, 1896 г., №21,23,24.
154. ფერაძე ი., წმ. გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსის შეხედულებანი ბავშვთა აღზრდაზე., გაზეთი „კანდელი“, 1997წ., №1-2.
155. ფანჯიკიძე თ., ქრისტიანობა-წარსული და თანამედროვეობა, განათლება, თბილისი, 1984წ.
156. ტოვარევი ს., მსოფლიოს ხალხთა რელიგიის ისტორია., მოსკოვი, 1986წ. (რუსულ ენაზე).

157. ტყეშელაშვილი გ., ყურაშვილი ც., რელიგია და კულტურა, ქუთაისი, 1996წ.
158. ქიქოძე გ., ეტიუდები და პორტრეტები, მეცნიერება, თბილისი, 1938წ.
159. ქართული პედაგოგიკის ისტორია, რედაქტორი გ. სიხარულიძე, განათლება, თბილისი, 1974წ.
160. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგნილია ყველა ძრითადი ხელნაწერის მიხედვით სიმ. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I., თბილისი, 1955წ.
161. ქიქოძე მ., გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა, უურნალი „მოამბე“, №8, 1895წ.
162. ქართული ლიტერატურის ქრესტომათია., განათლება, თბილისი, 1979წ.
163. ქრისტინაშვილი რ., რელიგიათმცოდნეობის სწავლებისათვის პედაგოგიურ ინსტიტუტებში, უურნალი „სკოლა და ცხოვრება“, №8-9, თბილისი, 1993წ.
164. ქინქლაძე ო., დროება და აღზრდის საკითხები, თბილისი, 1963წ.
165. ქუთელია ალ., ნ.ა. დობროლიუბოვი არქიმანდრიტ გაბრიელის „ცდისეული ფსიქოლოგის საფუძვლები“, „მნათობი“, №7, 1943წ.
166. ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 21, საქმე 11434.
167. ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 21, საქმე 2142.
168. ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (ქცსა), ფონდი 21, საქმე 11838.
169. ქცსა, ფონდი 21, საქმე 2146.
170. ქცსა, ფონდი 21, საქმე 3910.
171. ქცსა, ფონდი 2, საქმე 25
172. ქცსა, ფონდი 7, საქმე 125.
173. ლამბაშიძე დ., გაბრიელ ეპისკოპოსი., უურნალი „მწყემსი“, 1896წ. №2.

174. შარაშიძე გ., ცოტა რამ გურიის სკოლების წარსულიდან,, უურნ. „განათლება”, 19166., №1.
175. შუშანაშვილი გ., ზეობრივი ღირებულების ჟურნალის მეცნიერება, თბილისი, 1980წ.
176. ცინცაძე დ., გაბრიელ ქიქოძე, გაზეთი „განათლება”, №52, 1989წ.
177. ციცქიშვილი დ., მართლმადიდებლური ფსიქოლოგია, ნაწ. I-II., საქართველოს საპატირიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2004წ.
178. ცუცქირიძე ზ., განათლების სისტემის ორგანიზაციის ფორმები,, უურნ. „სკოლა და ცხოვრება”, №11, 1992წ.
179. ჩიტეიშვილი მ., რელიგიის ისტორიის საკითხები,, ქუთაისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2001წ.
180. ჩიქოვანი რ., სასწავლო საგანი - ქრისტიანული რელიგიის ისტორია,, უურნ. „სკოლა და ცხოვრება”, №6, 1990წ.
181. წერეთელი აკ., სიტყვა წარმოთქმული გაბრიელ ეპისკოპოსის წლისთავზე, 1897წ., 26 იანვირი, უურნ. „მწყემსი”, №3, 1897წ.
182. წერეთელი გ., „ახალგაზრდა დედებსა და ყმანვილ ქალებს”, გაზეთი „დროება”, №26, 1866წ.
183. წვერავა ვ. , საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობა XIX საუკუნეში,, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2003წ.
184. წიქვაძე ვ., ისლამი, თბილისი, 1997წ.
185. წმ. იოანე ოქროპირი, განმარტება იოანეს სახარებისა, ტ. 1-2., საპატირიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1993-1994წ.
186. წმიდა იოანე ოქროპირი, როგორ გავზარდოთ შვილები უფლისა სწავლითა და მოძღვრებით. წიგნში: სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, ტ. III., ხელოვნება, თბილისი, 1991წ.
187. წმიდა იოანე ოქროპირი, ბავშვთა აღზრდის შესახებ, წიგნში: მართლისა სარწმუნოებისა, ტ.I, ხელოვნება, თბილისი, 1991წ.
188. წმიდა ანტონ დიდი, სწავლანი, კრებულიდან სათნომოყვარეობა, საქართველოს საეკლესიო კალენდარი, საპატირიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1991წ.

189. წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე). შეგონებანი შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა გია ტივიშვილმა, თბილისი, 2003წ.
190. წმიდა დიდმოწამე ვლადიმერ (ბოგოიავლინსკი) კიევის და გალიციის მიტროპოლიტი, ქრისტიანული აღზრდის ანბანი., გამომცემლობა საგანძურო, თბილისი, 2004 წ.
191. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წიგნი II., მეცნიერება, თბილისი, 1965წ.
192. ჯავახიშვილი გ., კალმასობა,, თფილისი, 1933წ.
193. ჯანაშვილი მ., ქართული წიგნი და ქართული ბიბლიოთეკა,, საჯარო ბიბლიოთეკის შრომები, ტ. V., თბილისი, 1940წ.
194. ჯორჯაძე ა., ჩვენი საზოგადოებრიობა., წიგნი მეორე, თბილისი, 1911წ.
195. ჯორჯაძე ა., რელიგია, ფილოსოფია, წერილები, მერანი, თბილისი, 1989წ.
196. ხიდაშელი შ., იოანე პეტრიწი, თბილისი, 1955 წ.
197. ხინ თიბიძე ე., მსოფლმხედველობითი პრობლემები ვეფხისტყაოსანში, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1975წ.
198. ხუნდაძე ტრ., ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში (XIX საუკუნე), საქ. სსრ. განათ. სამინისტ. პედაგ. მეცნ. ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 1951წ.
199. ხუნდაძე ტრ., ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში,, პედაგოგ. მეცნ. ინსტ. გამომცემლობა, თბილისი, 1951წ.
200. ჭავჭავაძე ი.გ., პედაგოგიური თხზულებანი,, თბილისი, 1938წ.
201. ჭავჭავაძე ი.გ., თხზულებანი ხუთ ტომად, ტ.2., თბილისი, 1941წ.
202. ჭავჭავაძე ი.გ., თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. IV., თბილისი, 1955წ.
203. ჭავჭავაძე ი.გ., თხზულებანი ხუთ ტომად, ტ.V., თბილისი, 1955წ.
204. ჭავჭავაძე ი.გ., სიტყვა თქმული გელათის მონასტერში გაპრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვის დღეს, „ივერია“, №63, 1896წ.
205. ჭავჭავაძე ი.გ. რჩეული ნაწერები, ტ. 4, თბილისი, 1987წ.

206. ჭელიძე ვ., „კაცად კაცადმან თვისი ტივირთი იტივირთოს”, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო”, №35-36, 1988წ. 1988წ.

207. ჭელიძე ვ., ეპლესია სძალი უფლისა., მეცნიერება, თბილისი, 1990წ.

208. პუდინგი დ., ყველა რელიგიას მივყავართ დათისაკენ? უურნ., „რელიგია”, №6, 1992 წ.

209. ჩხეიძე რ. , ხანი უნდობარი, თბილისი, 2004 წ.

210. ბარამიძე რ., ქართული საისტორიო და ორატორული პროზა, თბილისი , 1985 წ.

211. სურგულაძე ა. , სულხან – საბა ორბელიანის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, თბილისი, 1959 წ.

212. სულხან – საბა ორბელიანი, ტ. III , 1963 წ.

213. სულხან – საბა ორბელიანი, ტ. II, 1959 წ.

214. ჭავჭავაძე ი. , რჩეული ნაწერები ხუთ ტომად, ტ. III, 1987 წ.

215. უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქის ილია II ქადაგებანი თბილისის სასულიერო აკადემიაში, თბილისი 2007წ.

216. საპატრიარქოს უწყებანი, № 9, 2005 წ.

217. საპატრიარქოს უწყებანი, № 11, 2005 წ.

74/340



“ମୁହଁରୀରେ ଗାସିଥିଲେ ଯଦ୍ବୟା କିମ୍ବାରେ ଫଳିତରେ ପାଇଲା ଏହା  
କିମ୍ବାରେ କିମ୍ବାରେ କିମ୍ବାରେ କିମ୍ବାରେ କିମ୍ବାରେ କିମ୍ବାରେ କିମ୍ବାରେ

წიგნი დაიბეჭდა პატივი წერეთლის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბაში

ნაბეჭდი ფორმა 10  
ქალბაზდის წომა 60X84. 1/16

გადაეცა წარმოებას 21.12.2010 წ.  
ტირადი 100

K276.543  
3